Current WHO guidelines for prevention of preeclampsia include supplementation by calcium (900 mg/day), Antihypertensive medications especially for women with preexisting hypertension before pregnancy and severe hypertension during their pregnancy. WHO also recommends low dose Aspirin at (75 mg/day) from their second trimester until delivery. Some modalities tested in this paper are directly against the current WHO guideline, these ensure comprehensiveness and indicate an importance for further studies.

Reference from current WHO guidelines for prevention of preeclampsia include supplementation by calcium (900 mg/day) in areas of the world with less calcium in their diet, Antihypertensive medications can especially be given to women with preexisting hypertension before pregnancy and also to women who have severe hypertension during their pregnancy, WHO also recommends low dose Aspirin at (75 mg/day) can also be given from their second trimester onwards until their delivery.

Data for this study report was sourced from 6 RCT studies done in India, one Review article and excerpts taken from standard obstetric textbook (Williams obstetrics 24th edition) and DC Dutta's obstetrics (8th edition).

From the 6 RCT studies conducted in India regarding preeclampsia prevention strategies, we can conclude that. Prevention of preeclampsia with the use of 150 mg of Aspirin yielded better results when compared to 75 mg [A]. Which is concurrent with the current WHO guideline. Use of Calcium supplementation [B] was only effective when it was provided for women who were actually having calcium deficiency, it was not a good preventative measure for women who already had sufficient calcium in their diet, which follows the current WHO guideline.

From the studies [C] & [D], We can conclude that the use of lycopene and Isosorbide Mono-

nitrate was not a useful modality of preeclampsia prevention. Study [E] suggests that using Vitamin C and Vitamin E reduced the risk of mild preeclampsia by 46% and severe cases by 72% Study [F] shows that the use of Yoga and physical exercise can regulate blood pressure disorders and therefore decrease the occurrence of preeclampsia.

Keywords: Preventive Strategies, Preeclampsia, Indian Women.

არჩევნების ცნება - ქართულ რეალობას მორგებული პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

ანანო ქუთათელაძე, თეკლა ბუშელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დემოკრატია საკუთარი თავში მოიაზრებს საზოგადოების უშუალო ჩართულობას სახელმწიფოს მართვასა და განვითარებაში. დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი ადამიანების გაერთიანებაა და არა მათი დაყოფა, თუმცა აღნიშნული ცნების სრული პრაქტიკული რეალიზება საკმაოდ რთული, ხშირად შეუძლებელიც კია. საჯარო მმართველობის გატარების უმთავრესი გამოხატულება პირდაპირი, ფარული, და თავისუფალი არჩევნებია. ზოგადად, საარჩევნო სისტემის არჩევა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა. თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს, რომელი საარჩევნო სისტემა შეესაბამება მის რეალობას. ჩვენს ქვეყანაში ფუძემდებლური პრინციპების სრული დაცვით არჩევნების ჩატარება ჯერ კიდევ გარკვეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ისტორიულად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მატარებელმა ქვეყანამ შეიცვალა კურსი და გადაერთო მსოფლიოს წამყვანი, განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. პროპორციული საარჩევნო სისტემის უმთავრესი მიზანი „დაკარგული ხმების“ სიმცირე და წარმომადგენლობით ორგანოში ქვეყნის ასე თუ ისე, მთელი მოსახლეობის ინტერესების თავმოყრაა. აღნიშნული საარჩევნო სისტემის საქართველოზე მორგება იქნება ქვეყნის განვითარებისთვის უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა საარჩევნო სისტემის შეცვლა არ არის მარტივი პროცესი და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. მიუხედავად პროპორციული არჩევნების დადებითი მახასიათებლებისა, კვლავ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ უკანასკნელსა და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და კვლავ ვაწყდებით მათი ურთიერთშეპირსპირების ფაქტს. ამისგან დამოუკიდებლად, საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ სწორედ არჩევნები თამაშობს უდიდეს როლს დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებაში და ის აჩენს სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის შესაძლებლობას. მოცემული საკონფერენციო ნაშრომიც („არჩევნების ცნება-ქართულ რეალობას მორგებული

პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები“) ერთგვარ გზამკვლევის როლს შეასრულებს აღნიშნულ თემაზე დისკუსიისას.

საკვანძო სიტყვები: არჩევნები, დემოკრატია, გამოწვევები, საზოგადოების ნება.

სახელმწიფოს ზეგავლენა მოქალაქეთა შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაზე

ლანა გელაშვილი, ანა გოგობერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს როლი მოქალაქეთა თავისუფალი აზრის გამოხატვის პროცესში. განვიხილავთ საქართველოს კონსტიტუციის 17-ე და 21-ე მუხლს, რომელიც გადმოგვცემს, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლება. ეს მუხლები მეტად უახლოვდებიან საერთაშორისო სტანდარტებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

ყურადღებას ვამახვილებთ იმ პირობებზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ მოქალაქეებმა აზრის დაფიქსირებისას. ასევე სახელმწიფო აწესებს შეზღუდვებს, რომელიც ეხმარება მას ეფექტურად განახორციელოს საქმიანობა. ამ შეზღუდვებს კი, თავისთავად აქვს თავისი მოტივებიც, რომლებზეც გამახვილებულია ყურადღება ნაშრომში.

ვისაუბრებთ იმაზე, რომ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ადამიანთა აზრის გამოხატვის ამგვარი თავისებურება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ლეგიტიმურ ფარგლებში. დემოკრატიულ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს გვაქვს იმის ნდობა, რომ ვიცხოვრებთ უსაფრთხო, დაცულ გარემოში, შესაბამისად, სახელმწიფომ ყველაფერი უნდა ქნას იმისთვის, რომ შექმნას სწორედ ასეთი გარემო. სახელმწიფო იმასთან ერთად, რომ იცავს ადამიანის თავისუფლად განვითარების პირობებს, ასევე იცავს მისი თავისუფალი განვითარების პროცესში ადამიანის დაცვის პირობებსაც. შესაბამისად, ნაშრომში აღნიშნულია ის ღონისძიებები, რომლებსაც ატარებს სახელმწიფო იმისთვის, რომ იდეალური შუალედი დაიცვას ერთი მხრივ, ადამიანის აზრის თავისუფლად გამოხატვის და, მეორე მხრივ, მისივე უსაფრთხოებისთვის, დაცვის პროცესში.

ცნობიერებისა და მსჯელობის გამყარების მიზნით, მოვიძიეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, (2002 წლის 5 ნოემბერი) რომელშიც გადმოცემულია სწორედ სახელმწიფოს ჩარევის საკითხი, მოქალაქეთა შეკრების თავისუფლებაში, რადგან სახელმწიფომ განსაზღვრა წინასწარ გაფრთხილებისა

და ნების დართვის პირობა საქართველოს კონსტიტუციაში. ამ ცვლილებამ კი მოქალაქეებს გაუჩინა პროტესტის გრძნობა, რაც შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოში დააფიქსირეს. საინტერესოა როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების იმგვარი დაკმაყოფილება, რომ არ შეიზღუდოს სხვა მოქალაქეთა უფლებები. სასწორზე დგას ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესები, რომლებიც მოიცავს ადამიანთა ჯანსაღ, უსაფრთხო, ეფექტურ, დაცულ გარემოში ცხოვრებას და მეორე მხრივ, არის კერძო ინტერესი, რომელიც მოიცავს მოქალაქის, როგორც ინდივიდუალური ღირებულების ინტერესებს, ამ ინტერესების კეთილდღეობას, აზრის დაფიქსირებას ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე. შესაბამისად, საჭიროა სწორი ბალანსი, რომ ადამიანმა იგრძნოს დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება, ასევე სახელმწიფომაც შეძლოს თავისი ვალდებულებების ეფექტურად განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული სახელმწიფო, თავისუფალი აზრი, მოქალაქეთა ინტერესი, სახელმწიფოს შეზღუდვები.

Influence of the state on the freedom of assembly and demonstration of citizens

Lana Gelashvili, Ana Gogoberidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

This paper delves into the dynamic relationship between the state and citizens' freedom of assembly and expression, with a specific focus on Georgia's constitutional framework, notably Articles 17 and 21. These constitutional provisions underscore the fundamental rights of Georgians to freely express their opinions and assemble, aligning closely with international human rights standards. The discourse navigates through the considerations citizens must bear in mind when articulating their views, alongside the state-imposed restrictions intended to foster effective governance. Emphasis is placed on elucidating the underlying motives behind these restrictions. Moreover, the paper examines the state's prerogative to limit free expression within the bounds of legality while ensuring the creation of a safe environment conducive to democratic development. It also sheds light on the measures undertaken by the state to safeguard both the freedom of expression and public safety, concerning a consequential decision by the Constitutional Court of Georgia. Additionally, the paper contemplates the delicate balance between citizen and state interests, advocating for an equilibrium that upholds individual liberties while enabling the state to fulfil its obligations effectively. In essence, it advocates for a nuanced approach to reconcile divergent interests, ensuring a democratic environment where both citizens and the state can thrive.

Keywords: democratic state, freedom of thought, citizens' interests, state restrictions.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პრობლემატიკა და მისი ანალიზი ქართულ სამართლებრივ რეალობაში

ანანო სვიმონიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამართლებრივმა სამყარომ დიდი ხანია დაამსხვრია მითი სასამართლოს შესახებ, რომელიც მას იმ ერთადერთ ორგანოდ აქცევდა, სადაც სამართლის აღსრულება იყო შესაძლებელი. დღესდღეობით ყველასთვის ცნობილია დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული მეთოდი, როგორცაა, არბიტრაჟი. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეებისთვის საბოლოო და მბოჭავი ძალის მქონეა (საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2019). მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის საჭიროა სპეციფიკური პროცედურების გავლა. კვლევა მიზნად ისახავს, დადებით ტენდენციებთან ერთად შეისწავლოს ამ საკითხის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ეროვნული და ნაციონალური იურიდიული ლიტერატურის შესწავლის გარდა, ნაშრომში გააანალიზდა ქართული სასამართლო პრაქტიკა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სიღრმისეულად შესწავლილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული თავისებურებანი. კვლევისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ შესახებ კონვენციამ და 2009 წელს UNCITRAL-ის ფარგლებში გაეროს მოდელური კანონის საფუძველზე შემუშავებულმა საქართველოს კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“ (კეკენაძე გ., ტყემალაძე ს., „გზამკვლევი არბიტრაჟში“, 2017, გვ:1), რომლის დახმარებითაც განისაზღვრა ძირითადი ასპექტები, პროცედურები, თავისებურებანი, უარის თქმის საფუძვლები. შესაბამისად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათა სიას მიეკუთვნება.

გარდა ამისა, ნაშრომში დამუშავებულია აღნიშნული საკითხის შესახებ არსებული სასამართლო გადაწყვეტილებები, ხაზგასმულია პროგრესული მოსაზრებები და განმარტებები. კვლევის მიღმა არ დარჩენილა ქართულ სამართლებრივ რეალობაში

არსებული თანამედროვე გამოწვევებიც, შეფასდა მათი დადებითი თუ ნეგატიური ეფექტი.

კვლევამ დაადასტურა, რომ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის, განვითარებას თანამედროვე სამართლებრივ სამყაროში ცვლილებები სდევს თან. თვალსაჩინო გახდა აღნიშნული ინსტიტუტის გაზრდილი როლი ბიზნეს სექტორში. ცალსახად დასაბუთდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პრობლემატიკის აქტუალობა ეროვნულ სამართალში და ამასთანავე, წარმოჩინდა კანონში არსებული ხარვეზები.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გაღრმავებული ცოდნის საფუძველზე დასკვნაში გაიცა რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ რა ალტერნატივები მესახება ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად და დასახელდა ხელშემწყობი გზები იმისათვის, რომ მომავალში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მეტად გამართული და გამარტივებული პროცედურები ვიხილოთ.

საკვანძო სიტყვები: არბიტრაჟი, საარბიტრაჟო, გადაწყვეტილება, ცნობა-აღსრულება, სასამართლო.

The Problem of Recognition-Enforcement of Arbitration Award and Its Analysis In Georgian Legal Reality

Anano Svimonishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The modern legal world has broken the myth of the court a long time ago, as the only body where justice can be administered. Today, everyone knows an arbitration as an alternative method of dispute resolution. As the Law of Georgia on arbitration says, the arbitration award rendered by an arbitral tribunal on the basis of a valid arbitration agreement is final and binding for the parties (the Law of Georgia on Arbitration, 2019). However, the arbitration award shall be subject to the specific procedures for its recognition and enforcement. The research aims to study the problems raised around this issue and the ways of their solution, along with positive trends.

Apart from national and international legal literature, the thesis analyzed Georgian judicial practice as well. Considering the above, the features related to the recognition and enforcement of the arbitration award were studied in depth. The Convention on Recognition and Enforcement of Foreign Arbitration Awards and the Law of Georgia on Arbitration adopted in 2009 on the basis of the UN Model Law within the framework of UNCITRAL (Kekenadze G. Tkemaladze S. "A guide to arbitration", 2017, p:1) played an important role in the research under which the main aspects, procedures, exceptions, grounds for refusal were determined. Accordingly, as a result of the research, it was established that the issue of recognition and enforcement of the arbitration award is one of the actual problems.

In addition, the thesis elaborates the existing court decisions on the mentioned issue, emphasizes progressive opinions and explanations. Modern challenges in the Georgian legal reality were not left behind in the research, their positive or negative effects were evaluated.

The research confirmed that the development of arbitration as an alternative method of dispute resolution is accompanied by changes in the modern legal world. The increased role of the mentioned institution in the business sector has become visible. The relevance of the issue of recognition and enforcement of the arbitration award in national law was clearly substantiated and, at the same time, the gaps in the law were shown.

Based on the knowledge gained during the working on the thesis, recommendations were made in the conclusion regarding the alternatives to solve the above-mentioned problematic

issues, and proposed various ways for more smooth and simplified procedures for the recognition and enforcement of arbitration awards in the future.

Key words: arbitration, arbitration award, recognition - enforcement, court, international, national.

ანგარიშვალდებულების პრინციპის მნიშვნელობა მმართველობასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში

ანი გობრონიძე, ავთანდილ დონნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო ორგანიზაციები და შეთანხმებები ხელს უწყობენ ანგარიშვალდებულებას, როგორც მმართველობის ფუნდამენტურ ასპექტს. ანგარიშვალდებულება წარმოადგენს სასიცოცხლო მექანიზმს საჯარო ინსტიტუტების გამჭვირვალობის, მთლიანობისა და ნდობის უზრუნველსაყოფად. გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია (UNCAC) ადგენს ზომებს კორუფციის პრევენციის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისთვის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. საქართველოს კონტექსტში, ერისათვის, რომელიცჯერ კიდევ იკვლევს პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის სირთულეებს და ისწრაფვის დემოკრატიულ კონსოლიდაციისაკენ, ანგარიშვალდებულების პრინციპი უმაღლეს მნიშვნელობას იძენს.

დემოკრატიულ ქვეყნებში ანგარიშვალდებულება მექანიზმია, რითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტო ერთმანეთს აკისრებს ანგარიშგების ვალდებულებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და გადაწყვეტილებების მიღება კანონისა და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამართლებრივი ჩარჩოები, ანგარიშვალდებულების ზომების პრაქტიკული განხორციელება შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა ბიუროკრატიული დაბრკოლებები, შესაძლებლობების ნაკლებობა ან საკუთარი ინტერესებისადმი წინააღმდეგობა.

საქართველო დგას ისეთი დაბრკოლებების წინაშე, როგორც არის რესურსების შეზღუდვა და პოლიტიკური ჩარევა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს აღსრულების ძალისხმევას. ამის აღმოსაფხვრელად საქართველომ გაატარა რეფორმები, შედეგად კი მიაღწია წინსვლას ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებით, კერძოდ ინსტიტუციურად შეიქმნა და გაძლიერდა ისეთი სუბიექტები, როგორებიცაა სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ანტიკორუფციული სააგენტო, თუმცა პრაქტიკული განხორციელება კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად საქართველოს ანგარიშვალდებულების არეალში. ამ

გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ისეთი ყოვლისმომცველი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ყველა დონეზე.

აღნიშნული ნაშრომი კრიტიკულად განიხილავს ადმინისტრაციული ორგანოების როლს კარგი მმართველობის ფართო კონტექსტში და ხაზს უსვამს ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას, როგორც საქართველოს, ასევე უცხოური იურისდიქციების პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული შეხედულებების საფუძველზე. აუცილებელია მუდმივი ძალისხმევა საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების, საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისა და ეფექტური აღსრულების მექანიზმების უზრუნველსაყოფად, რათა დავიცვათ ანგარიშვალდებულება, როგორც დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტური პრინციპი საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ანგარიშვალდებულება მმართველობაში, პრაქტიკული განხორციელება, ღია მმართველობა, კორუფცია, ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM), დემოკრატია, საზოგადოების ჩართულობა.

The significance of the principle of accountability in governance and its role in the fight against corruption

Ani Gobronidze, Avtandil Dokhnadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

International organizations and agreements advocate for accountability as a foundational pillar of governance, crucial for maintaining transparency, integrity, and trust within public institutions. The United Nations Convention Against Corruption (UNCAC) outlines measures to combat corruption and advance transparency and accountability across both public and private sectors. In the context of Georgia's ongoing post-Soviet transition and pursuit of democratic consolidation, accountability stands as a paramount principle.

In democracies, accountability acts as a linchpin ensuring that governmental branches uphold their duties, anchoring power to lawful conduct and the collective will of the populace. Despite established legal frameworks, effective implementation faces significant obstacles such as bureaucratic barriers, institutional capacity limitations, and opposition from vested interests.

Georgia confronts formidable challenges, including resource constraints and political interference, potentially impeding the enforcement of accountability measures. To counter these, Georgia has initiated reforms, making notable progress in fortifying its legal framework to promote accountability. Although entities like the State Audit Service and Anti-Corruption Agency have been strengthened, practical implementation remains a primary challenge.

Addressing these hurdles demands comprehensive strategies aimed at enhancing institutional capacity, encouraging public engagement, and combating corruption across all levels of governance. This paper critically assesses the role of administrative bodies within the broader spectrum of good governance, emphasizing the paramount importance of accountability. Drawing from practical experiences and theoretical insights from both Georgian and foreign contexts, it illuminates the multifaceted nature of accountability in democratic governance. Sustaining accountability as a foundational principle necessitates ongoing efforts to bolster the legal framework, foster public participation, and implement effective enforcement mechanisms in Georgia.

Key words: Accountability in governance, Practical program, Open government, Corruption, Independent Reporting Mechanism (IRM), Democracy, Public involvement.

ოჯახური ძალადობა და მისი გავლენა არასრულწლოვნებსა და ქალებზე

ანუკი ხარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ოჯახური ძალადობა მსოფლიოს აქტუალური პრობლემაა. ის გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულბელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით და იძულებით, რაც ხშირად მიმართულია მოძალადის მბრძანებლობის სურვილისა და ფსიქოლოგიური პრობლემებისგან გამოწვეული კომპლექსების დაკმაყოფილებისკენ. მოცემული დანაშაული ლატენტური ხასიათისაა, შესაბამისად მისი სააშკარაოზე გამოტანა ხშირად სწორედ მსხვერპლის ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ვინაიდან სტერეოტიპულ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც მიიჩნევა, რომ ყველანაირი "ოჯახური პრობლემა," თუნდაც ძალადობა, ოჯახშივე უნდა გადაწყდეს და სადაც ხშირად მოძალადე შეფარულად მოქმედებს, როცა მსხვერპლსაც კი უჭირს მისი გამოვლენა და აღიარება, ასეთი დანაშაულები უმეტესად დაუსჯელი რჩება და მსხვერპლს კიდევ დიდი ხნის ან მთელი ცხოვრების განმავლობაში უწევს მასზე განხორციელებული ზეწოლის ატანა, რა დროსაც ძირითადად უფლებებთან ერთად საფრთხის ქვეშ დგება მსხვერპლის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და უსაფრთხოება. ძალადობა წარუშლელ კვალს ტოვებს ამ დანაშაულის ყველაზე ხშირი მსხვერპლის - ქალის ფსიქიკაზე ფსიქოლოგიური პრობლემებისა და შიშების სახით, თუმცა ყველაზე სენსიტიურად მაინც არასრულწლოვნებზე მოქმედებს, რომლებიც ოჯახშივე სწავლობენ, რომ ძალადობა ნორმაა, რაც მომავალში მათ მიერ მოძალადეობრივი ციკლის გაგრძელების წინაპირობაა.

როგორც სხვა სახელმწიფოები, საქართველოც ებრძვის ამ დანაშაულს, რისი გამონატულებაც იყო ქართულ კანონმდებლობაში და სისხლის სამართალში ცვლილებების შემოტანა, "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის შემუშავება, ოჯახური დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის გამკაცრება და სხვა ზომების მიღება, რომელზეც უფრო ვრცლად ნაშრომში ვისაუბრებ. თუმცა ოჯახური ძალადობის სტატისტიკა არ იცვლება, რადგან მისი პრევენცია რთული საკითხია, შესაბამისად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამ მხრივ საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, ახალი პრევენციული ზომების შემუშავება, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, დამხმარე ცენტრებისა და თავშესაფრების მომრავლება, რათა მსხვერპლს მოძალადესთან ცხოვრებაზე მეტად მისგან თავის დაღწევის არ ეშინოდეს და სხვა.

ჩემი კვლევის მიზანია ოჯახური ძალადობისა და მისი თავისებურებების საფუძვლიანი ანალიზი, მოძალადის ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბება, დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების განხილვა, საქართველოსა და უცხოეთში არსებული მდგომარეობის და სტატისტიკის მიმოხილვა, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედარება, არასრულწლოვნებსა და ქალებზე ოჯახური ძალადობის გავლენის ნათლად წარმოჩენა და ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის გაცნობა.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ძალადობა, კანონმდებლობა, ძალადობის საფუძვლები, მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, პრევენციული ღონისძიებები, საერთაშორისო გამოცდილება, არასრულწლოვნებზე გავლენა, სტატისტიკა, სასამართლო პრაქტიკა.

Domestic violence and its impact on minors and women

Anuki Kharadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Domestic violence is an important problem of the world. It refers to the violation of the constitutional rights and freedoms of one family member by another family member through neglect and/or physical, psychological, economic, sexual violence and coercion, which is often aimed to satisfy the aggressor's desire to rule and fill their complexes caused by psychological problems. This crime is latent in nature, therefore its exposure often depends on the will of the victim, but since we live in a stereotypical world, where it is considered that all "family problems", even violence, should be solved within the family, and where often the abuser acts covertly, when even the victim finds it difficult to detect and recognize wrongful actions, such crimes often go unpunished and the victim has to bear the pressure for a long time or even a lifetime, during which the health, life and safety of the victim are at risk along with their rights. Violence leaves an indelible mark on the psyche of the most frequent victim of this crime - a woman - in the form of psychological problems and fears, however, it affects the most sensitively on minors, who learn in the family that violence is the norm, which is a prerequisite for them to continue the cycle of violence in the future.

Like other countries, Georgia also fights against this crime, which was reflected in the making amendments to Georgian legislation and criminal law, also in the adoption of the law "On the elimination of violence against women and/or domestic violence, protection and support of victims of such violence", toughening of the punishment provided for domestic crimes and taking other measures, on which I will talk about in more detail in my research paper. However, the statistics of domestic violence are not changing, because its prevention is a difficult issue, so there is still a lot to be done. In this regard, it is necessary to improve the legislation, develop new preventive measures, raise awareness in society, increase the number of help centers and shelters, so that the victim does not fear getting away from the abuser more than living with him and so on.

The purpose of my research is a thorough analysis of domestic violence and its features, establishing the main characteristics of the perpetrator, discussing the measures of criminal liability of the offender, reviewing the current situation and statistics in Georgia and other countries, comparing the preventive measures against this crime at the national and international level,

clearly showing the impact of domestic violence on minors and women, reviewing Georgian and European judicial practice.

Keywords: domestic violence, legislation, bases of violence, psychological condition of victim and perpetrator, preventive measures, international experience, impact on minors, statistics, court practice.

მშობლის უფლების შეზღუდვა და მისი სამართლებრივი რეგულირება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე

მარიამ ბალანჩივაძე, ელენე აფრიდონიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სოციალური ურთიერთობები აბსოლუტური კომპლექსურობით ხასიათდება, თუმცა დღითიდღე საკანონმდებლო რეგულირებითა და სამოსამართლო პრაქტიკით შესაძლებელი ხდება ყოველი წახნაგის შეძლებისდაგვარად მოწესრიგება. მშობელთა და შვილთა უფლება-მოვალეობები კანონით საკმაოდ დეტალურადაა რეგლამენტირებული, მიუხედავად ამისა, ურთიერთობათა სწრაფი განვითარებისა და ცვალებადობის ფონზე კანონმდებელს არ შესწევს უნარი, კანონის დონეზე დაარეგულიროს ყველა შესაძლო შემთხვევა და, ამდენად, საჭირო ხდება სასამართლოს მიერ იმ უნიფიცირებული წესების დადგენა და პრაქტიკის იმგვარად განზოგადება, რომელიც შემდგომ პრევენციული მექანიზმის სახით გამოირიცხავს სუბიექტურ, გაუმართლებელ ლავირებას, რაც, თვის მხრივ, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის დაცვას მისი კანონიერი, საუკეთესო ინტერესების ხელყოფისგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის ხვა უფლებებთან ერთად განამტკიცებს ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. სწორედ დასახელებული უფლებით დაცული სფეროს ფარგლებში ექცევა მშობლის უფლება, განავითაროს ურთიერთობები შვილთან/შვილებთან, რასაც უკავშირდება მშობლობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების წარმოშობა. მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, დასახელებული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და თანაზომიერების პრინციპის დაცვით შესაძლებელია მასში ჩარევა, ჩარევის ერთ-ერთ სახეს კი წარმოადგენს მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა, რა დროსაც მშობლობის უფლებებთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს თავისი არსის გათვალისწინებით. ანალოგიურად აფასებს საკითხს ევროპული სასამართლოც, რომელიც მშობლობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეზღუდვას, თავისი პრაქტიკის საფუძველზე, განიხილავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით აღიარებულ და უზრუნველყოფილ უფლებაში, კერძოდ, პირადი და

ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა შემთხვევაში დგება მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვის გზით ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა და როგორ აფასებს სასამართლო პრაქტიკა დასახელებულ საკითხს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მშობლის უფლების შეზღუდვის ინსტიტუტის განმარტება, რა დროსაც გამოყენებული იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების, უპირატესად საქართველოს უზენაესი სასამართლოს, მიერ დადგენილი პრაქტიკის ანალიზი, აგრეთვე განხილული იქნება ქართულ კანონმდებლობაში მშობლის უფლებების შემზღუდველი ნორმების რეგულირების შედარება გერმანულ სამართალთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: მშობლის უფლებები; მშობლის უფლებების შეზღუდვის საფუძველი; სამოსამართლო სამართალი; შედარებითი ანალიზი.

კრიონიქსის, როგორც უკვდავების პერსპექტივის ურთიერთმიმართება ადამიანის ღირსებასთან

ელენე ფარულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში მედიცინა და მეცნიერება მუდმივად განვითარებადი სფეროა. შესაბამისად, უამრავი ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტი ხორციელდება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე. სწორედ ასეთ პროცედურას წარმოადგენს კრიონიქსი, რომელიც გულისხმობს მიცვალებულების გაყინვის ტექნიკას ძალიან დაბალ ტემპერატურაზე იმ იმედით, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება მათი სიცოცხლის აღდგენა. კრიონიქსის პროცესს თან ახლავს ეთიკურ-სამართლებრივი გამოწვევები, თუმცა სამედიცინო მეცნიერების განვითარება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთ სიახლეებთან, რომლებიც დროთა განმავლობაში საზოგადოებაში თავს დაიმკვიდრებს. ამ სიახლეების განხილვის პარალელურად საჭირო გახდება კრიონიქსის საკანონმდებლო რეგულირება. სამართლებრივი რეგულაციების არარსებობამ არ უნდა შეაფერხოს მეცნიერების პროგრესი. ამ დროისათვის შესაძლოა ირეალური იყოს ადამიანის გაცოცხლების ფაქტი, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად ხდება გარდაცვლილი ადამიანების გაყინვა გაცოცხლების პერსპექტივით.

ჩნდება კითხვა, რამდენად გამართლებულია საზოგადოებრივი თუ სამართლებრივი ფასეულობებიდან გამომდინარე ადამიანს, რომელსაც გააჩნია ღირსება, ჰქონდეს საკუთრების უფლება სხეულზე და წარმოადგენდეს ის მის ქონებას იმისათვის, რომ განხორციელდეს კრიონიქსის პროცესი. ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს კრიონიქსის პროცესის მიმართება ადამიანის ღირსებასთან, როგორც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ აბსოლუტურ უფლებასთან.

საკვანძო სიტყვები: კრიონიქსი, ღირსების უფლება, ადამიანის სიცოცხლე, ეთიკურ-სამართლებრივი გამოწვევები.

Cryonics as a perspective on immortality and human dignity

Elene Pharulava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

In the modern world science and medicine are constantly developing. Accordingly, a lot of biotechnological experiments are carried out which are focused on preserving human life and health. One such procedure is cryonics. This involves the technique of freezing the dead at very low temperatures in the hope that they can be brought back to life in the future. The cryonics process is accompanied by ethical and legal challenges, although the development of medical science may be related to such innovations that will become established in society over time. When considering these innovations, legislative regulation of cryonics will become necessary. The absence of legal regulations should not hinder the progress of science. At this time, the fact of a person coming back to life may be unreal. However, at the international level dead people are being actively frozen with the prospect of coming back to life. The aim of the paper is to outline the relation of the cryonics process to human dignity as an absolute right confirmed by the Constitution of Georgia.

Keywords: Cryonics, dignity, human life, ethical-legal challenges.

**თანამედროვე ხედვა არტერიული ჰიპერტენზიის მართვაში - ვაქცინა,
როგორც მკურნალობის ახალი ვარიანტი**

ალექსი შოგირაძე, მარიამ სოსელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებას, რომელიც მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტ ადამიანს აწუხებს. ჰიპერტენზია გავლენას ახდენს სხვადასხვა სისტემაზე, მათ შორის ცენტრალურ ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა, შარდის გამომყოფ სისტემებზე. იგი ასაკ-დამოკიდებული დაავადებაა და პრევალენტობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. გამომწვევი ხშირად უცნობია, თუმცა, მის განვითარებაში დიდი როლი უჭირავს სტრესს, მარილიანი საკვების მიღებას და სხვადასხვა ორგანულ დაზიანებებს (ენდოკრინულ, თირკმელზედა ჯირკვლის, თირკმლის დაავადებებს). ჰიპერტენზია თავის მხრივ აზიანებს სამიზნე ორგანოებსაც, ესენია: თავის ტვინი, გული, თირკმლები, სისხლძარღვები, თვალები. მკურნალობის მიმდინარე მეთოდები მოიცავს ისეთ მედიკამენტებს, როგორებიცაა: რას ინჰიბიტორები (აფგ; არბ), კალციუმის არხის ბლოკატორები, დიურეტიკები, ბეტა ბლოკერები, ძირითადად კომბინირებულად ორი ან სამი მედიკამენტის კომბინაციით, იშვიათ შემთხვევებში მონოთერაპიის სახით. დღესდღეისობით, თანამედროვე გადმოსახედიდან, მკურნალობის მიზანი კვლავ წარმოადგენს არტერიული წნევის მაჩვენებლების დარეგულირებას, თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად მეცნიერები კვლავ ეძებენ ახალ მეთოდებს, რითაც შეიძლება მოხდეს ჰიპერტენზიით გამოწვეული გართულებებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების მკვეთრი კლება დროის უფრო მოკლე პერიოდში და სხვადასხვა მეთოდით.

ამ მიზნით, მოცემულ მიმოხილვით სტატიაში ნაჩვენებია ის უახლესი კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავენ დაავადებულ პირთა მდგომარეობის მაქსიმალურად სწრაფ გაუმჯობესებასა და გამოჯანმრთელებას ისეთი საშუალებით, როგორიც ვაქცინაა. დღეისათვის შემუშავებულია ვაქცინის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან ზოგიერთმა გაიარა ყველა ფაზა იმისათვის, რომ კვლევა გაგრძელებულიყო ადამიანებში. ვაქცინების ძირითადი მექანიზმს ანგიოტენზინ II-ის ან ანგიოტენზინ I-ის დათრგუნვა წარმოადგენდა. ამით მიიღწეოდა შესაბამისად არტერიული ჰიპერტენზიის მაჩვენებლების დაქვეითება

და შესაბამისად, მიიღწეოდა მიზანი. ყველაზე პერსპექტიულ ვაქცინას ამ ეტაპისათვის წარმოადგენს CYT006-AngQb ვაქცინა, რომელიც გამოიცადა. ვაქცინა წარმოდგენილია Ang II პეპტიდისგან N ტერმინალური Cys-Gly-Gly გაფართოებით, რომელიც კოვალენტურად არის შეწყვილებული ვირუსის მსგავს ნაწილაკებთან (VLP). აღნიშნული ვაქცინა გამოიცადა ადამიანებზე და მიღწეულ იქნა სასურველი შედეგით.

განხილული კვლევებიდან ჩანს, რომ მიუხედავად ზოგიერთი გვერდითი ეფექტისა, რომელიც ვაქცინების გამოყენებისას გამოვლინდა, ჰიპერტენზიის მკურნალობის თანამედროვე პერსპექტიულ გამოსავლად გვევლინება ვაქცინაცია, რომელიც ჯერ კიდევ კვლევების ეტაპზეა. მისი გაუმჯობესებისა და შემდგომში გამოყენების შემთხვევაში კი მოსალოდნელია სიკვდილიანობის რიცხვის მკვეთრი შემცირება მსოფლიო მოსახლეობაში.

საკვანძო სიტყვები: არტერიული წნევა, არტერიული ჰიპერტენზია, ახალი მეთოდები, ვაქცინა.

A modern perspective in the management of arterial hypertension - a vaccine as a new treatment option

Aleksii Shogiradze, Mariam Soselia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Arterial hypertension is one of the most common chronic diseases that affects more than 1 billion people worldwide. Hypertension affects various systems, including the Central nervous, Cardiovascular, and Urinary systems. It is an age-related disease and the prevalence increases with age. The cause is often unknown, however, stress, eating salty food and various organic injuries (endocrine, adrenal gland, kidney diseases) play a huge role in its development. Hypertension, in turn, damages the target organs, such as: brain, heart, kidneys, blood vessels, eyes. Current treatment methods include drugs such as: RAS inhibitors (ACE; ARB), calcium channel blockers, diuretics, beta blockers, mostly in combination with two or three drugs, rarely as monotherapy. Today, from a modern point of view, the goal of treatment is still the regulation of blood pressure indicators, however, scientists are still looking for new methods to achieve this goal, which can cause a sharp decrease in complications and mortality rates caused by hypertension in a shorter period of time and by different methods.

To this end, this review article shows the most recent studies that aim to improve the condition of sick people as quickly as possible and recover with a means such as a vaccine. To date, several variants of vaccine have been developed, some have gone through all the phases in order for research to continue in humans.. The main mechanism of the vaccines was inhibition of angiotensin II or angiotensin I. This would lead to a decrease in arterial hypertension indicators and, accordingly, the goal would be achieved. The most prospective vaccine at this stage is the CYT006-AngQb vaccine, which has been tested. The vaccine is composed of an Ang II peptide with an N-terminal Cys-Gly-Gly extension covalently coupled to a virus-like particle (VLP). The mentioned vaccine was tested on humans and the desired result was achieved. From the reviewed studies, it can be seen that, despite some of the side effects that have been revealed with the use of vaccines, vaccination, which is still in the research stage, appears to be a modern promising solution for the treatment of hypertension. If it is improved and used further, a sharp reduction in the number of deaths in the world population is expected.

Key words: blood pressure, arterial hypertension, new methods, vaccine.

ბიკამერალიზმი და მისი არსებობის პერსპექტივა საქართველოში

შაკო სიბაშვილი, ანა აფციაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს წარმოდგენა მისი მთავარი მახასიათებლის, წარმომადგენლობითი ორგანოს, გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. პარლამენტარიზმის განვითარების დონე ფაქტობრივად ერთ-ერთი საზომია ქვეყნის დემოკრატიულობისა, მაგრამ ყველაფერი ისე მარტივად არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, პარლამენტარიზმიც საკმაოდ კომპლექსური, ჩახლართული საკითხია თავისი პარადიგმებით, რომლებიც მწვავე დებატებს იწვევენ. ერთ-ერთი ასეთია ერთპალატიანობას(მონოკამერალიზმს) და ორპალატიანობას (ბიკამერალიზმს) შორის არჩევანი, რომელი სისტემით არის უფრო მეტად შესაძლებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. სახელმწიფოს დემოკრატიულობასთან დაკავშირებით აუცილებლად სახსენებელია სახელმწიფო, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა თანამედროვე დემოკრატია, შეერთებული შტატები, და ასევე სახელმწიფო, რომელმაც მსოფლიოს პარლამენტარიზმი აჩუქა, ბრიტანეთი, თუ ვივარაუდებთ, რომ დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის სუფთა, სწორი სახე უკეთ იქნება წარმოდგენილი ამ სახელმწიფოებში, რადგან ორივე ფენომენი პირველად ჩაისახა აქ, ანუ აქვთ მრავალსაუკუნოვანი ისტორია ორივე ინსტიტუტისა და გამომდინარე აქედან ორივეს აქვს მიღებული დახვეწილი და ოპტიმალური სახე, მარტივი დაკვირვებით მივალთ დასკვნამდე, რომ ორივე სახელმწიფოში მოქმედებს ორპალატიანი(ბიკამერული) წარმომადგენლობითი ორგანო, ანუ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოშიც უნდა მოქმედებდეს ბიკამერული წარმომადგენლობითი ორგანო, მაგრამ ეს სამართლებრივი საკითხიც, ისევე როგორც სხვა ყველა, ძალზედ კომპლექსური და წინააღმდეგობებით აღსავსეა. იმის განმაპირობებელი, ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანო ბიკამერული იქნება თუ მონოკამერული, ძალიან ბევრი ფაქტორია დაწყებული ქვეყნის ისტორიითა და სიდიდით დამთავრებული ტერიტორიული მოწყობითა და პოლიტიკური ამინდით. სწრაფმა პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ ორპალატიანობა გასცდა ბრიტანეთსა და ამერიკაში მისი არსებობის თავდაპირველ მიზანს და ტიპურ ჩარჩოს, რომ თითქოს იგი მხოლოდ ისეთ ქვეყანაში უნდა არსებობდეს, რომელიც ფედერალური მოწყობისაა და რომელშიც ათობით

მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ორპალატიანობა დღეს საკმაოდ გავრცელებული ფენომენია. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.“ ქართველი კანონმდებელი ადგენს წინაპირობებს ბიკამერალური წარმომადგენლობითი ორგანოს დანერგვისთვის, აქედან გამომდინარე, არსებობს შესაძლებლობა საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის არსებობის, სწორედ ეს საკითხი იქნება გაანალიზებული მოცემულ ნაშრომში კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისიდან, თუ რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ორპალატიანი პარლამენტის დანერგვამ და როდის.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციონალიზმი, ორპალატიანობა, ბიკამეტალიზმი, პარლამენტარიზმი, საკონსტიტუციო სამართალი.

**არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქების სპეციფიკა
ქართულ ონლაინმედიაში**

ანა ბილანიშვილი, ინნა ხელაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევის მიზანია ქართულ ონლაინმედიაში არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქების სპეციფიკის შესწავლა. მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებსაც ახორციელებენ ჯერ კიდევ სრულწლოვან ასაკს მიუღწეველი პირები. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი ყოველწლიურად უფრო და უფრო იმატებს. მნიშვნელოვანია, უშუალოდ ქართული მედია უწყობს თუ არა ხელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამდენად, საკვლევი თემა აქტუალურია. დროთა განმავლობაში იცვლება მედიის დამოკიდებულება და შეხედულება ნებისმიერი სახის ახალი ამბის გაშუქების მიმართ და შესაბამისად იცვლება მათი გაშუქების სპეციფიკაც კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. აღნიშნული მეთოდი საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქების ამსახველი ტექსტების ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, რა სიხშირით შუქდება საკვლევი თემა, რა სახის მედიაპუბლიკაციები გვხვდება, რა თავისებურებებით ხასიათდება იგი და რა აზრობრივი გზავნილები შეინიშნება მოცემულ მედიატექსტებში. სიღრმისეული ინტერვიუები ჩაიწერა ცალკეულ ექსპერტებთან, ასევე ჟურნალისტებთან, რომლებიც აშუქებენ არასრულწლოვანთა დანაშაულს, რითაც გამოიკვეთა აღნიშნულ თემაზე მუშაობის სპეციფიკა და დანახასიათებელი ტენდენციები. ასევე გამოიკვეთა ჟურნალისტების როლი არასრულწლოვანთა თემის გაშუქების კუთხით, პუბლიკაციათა ეთიკური მახასიათებელი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიგოს თუ რა კეთდება იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილება. საკვლევი პერიოდად განისაზღვრა 2023 წელი. კვლევის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე ონლაინგამოცემა: „პუბლიკა“, „ნეტგაზეთი“ და „ტაბულა“. საკვლევი ობიექტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა გამოცემების რეიტინგი და პრიორიტეტები. კვლევის შედეგად დადგინდა, თუ როგორ აშუქებენ არასრულწლოვანთა დანაშაულებს საკვლევი მედიის საშუალებები. რა სიხშირით შუქდება და მეტწილად

რასახისააიგი.ასევერაგარემოებებიგანსაზღვრავსარასრულწლოვანთაქმედებებს. კვლევის მეშვეობით დადასტურდა ჰიპოთეზები, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული თანაბარი ინტერესითა და აქტუალურობით არ შექდება ქართულ ონლაინმედიაში, ასევე აღნიშნული თემები არ განიხილება სიღრმისეულად - პრობლემის მიზეზ- შედეგობრიობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა დანაშაული, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, ციფრული მედია, ქართული ონლაინმედია, დანაშაულის პრევენცია, ჟურნალისტების როლი.

ორგანიზებული დანაშაული, როგორც მომეტებული საშიშროება

ანა თაბუკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის დარგი ხაზგასმით იცავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და ადამიანთა უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი დანაშაულების განხილვაზე. სტატისტიკურად, მსოფლიოს მასშტაბით არის ცნობილი მსგავსი დანაშაულების მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგები და ასევე, საინტერესოა მსგავსი დანაშაულების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარის არსებითი შესწავლა.

მსგავს დანაშაულებს შორის არის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, რაც ვლინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა საფრთხეში. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომეტებული საშიშროება ჩანს მის სტრუქტურაში, საკანონმდებლო მოწესრიგებაში, დანაშაულის შემადგენლობაში და სხვა ასპექტებში, რაზეც გამახვილდება ყურადღება ნაშრომში. ხაზგასასმელია უცხოეთის პრაქტიკა მსგავს დანაშაულებთან ბრძოლაში და ასევე, ის რეალობა, რასაც მოიცავს ზოგადად ორგანიზებული დანაშაულის სახე. მაგალითად, ნაშრომში განხილულ იქნება აშშ-ს რეალობა დასახლებულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც შედარდება ქართულ რეალობასთან. ყოველივე ეს ორგანიზებულ დანაშაულთან არსებულ თეორიულ მოსაზრებებთან ერთად მეტად შეუწყობს ხელს მისი რეალური სურათის დანახვას.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურული ჩონჩხი ბევრ სხვა, კიდევ უფრო საშიში დანაშაულის ფორმირებას იწვევს, როგორცაა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობა, ბანდიტიზმი, ტერორიზმი და სხვა. შესაბამისად, ნაშრომის აქტუალურობა მსგავს საკითხთა რელევანტურობაშიც გამოიხატება, ვინაიდან, შეუძლებელია ამა თუ იმ დანაშაულზე საუბარი, თუ არ იქნა განხილული მისი მთავარი კონცეფცია-საფუძველი, რასაც ემყარება ზემოთ დასახლებულ დანაშაულთა ობიექტური შემადგენლობა, რომლის განხილვა მეტად განჭვრეტადს ხდის სისხლის სამართლის დარგში დასახლებული დანაშაულის ადგილს.

მაშასადამე, საბოლოოდ აუცილებელია, განხილულ იქნეს ის მთავარი

მახასიათებლები, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ახლავს თან, თუმცა, ამას გარდა, საინტერესოა ორგანიზებული დანაშაულის, როგორც განზოგადებულად დანაშაულის სახის წარმოჩენა და მისი შედარება მომიჯნავე დანაშაულებთან. ყოველივე ეს კი ნაშრომში წარმოაჩენს ორგანიზებული დანაშაულის მომეტებულ საფრთხეს, რაც თანამედროვე სისხლის სამართლისთვის აქტუალური საკითხია.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზებული ჯგუფი, ორგანიზებული დანაშაული, მომეტებული საშიშროება, დანაშაულის ამსრულებელი, მომიჯნავე დანაშაულები.

ბიოეთიკური საზღვრების ნავიგაცია: ევთანაზიის, გენეტიკური ინჟინერიის და ორგანოების ტრანსპლანტაციის სამართლებრივი კვლევა

ანა თირქია, ნათია მჭედლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ჯანდაცვის დინამიურ ლანდშაფტში, ჯანდაცვის კანონისა და ბიოეთიკის კვლევა წარმოადგენს კრიტიკულ ზღვარს, რომელიც სავსეა რთული მორალური და სამართლებრივი გამოწვევებით. მრავალ ბიოეთიკურ დილემას შორის, რომლებიც საზოგადოებას აწყდება, სამი სადავო სფერო მოითხოვს განსაკუთრებულ კვლევასა და შეფასებას: ევთანაზია, გენეტიკური ინჟინერია და ორგანოების ტრანსპლანტაცია. მულტიდისციპლინარული ლინზების მეშვეობით ჩვენ ვიკვლევთ რთულ ურთიერთკავშირს სამართლებრივ ჩარჩოებს, ეთიკურ მოსაზრებებსა და პრაქტიკაში თანდაყოლილ სოციალურ შედეგებს შორის.

ევთანაზია, სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა ტანჯვის შესამსუბუქებლად იწვევს დებატებს პაციენტის ავტონომიას, სამედიცინო ეთიკისა და სოციალური ღირებულებების შესახებ. ევთანაზიის გარშემო დებატები ეხება ადამიანის ღირსებისა და ცხოვრებისეული სიწმინდის ფუნდამენტურ საკითხებს, განსხვავებული პერსპექტივებით, რომლებიც აყალიბებენ საკანონმდებლო მიდგომებსა და სასამართლო ინტერპრეტაციებს მთელ მსოფლიოში. გენეტიკურმა ინჟინერიამ ინოვაციური ტექნოლოგიებით, როგორცაა CRISPR-cas9, წამოიწყო შესაძლებლობებისა და ეთიკური სირთულეების ახალი ერა. ადამიანის გენომის მანიპულირების უნარი იწვევს შეშფოთებას გენეტიკურ გაძლიერებასა და არასასურველი შედეგების პოტენციალის შესახებ, რაც თავის მხრივ განაპირობებს მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოების უზრუნველყოფას. ორგანოთა ტრანსპლანტაცია სამედიცინო სფეროში სიცოცხლის გადარჩენის პოტენციალის გამო პოზიტიური მიღწევაა, თუმცა სამართლიანობის პრინციპების დაცვით, შეზღუდული რესურსებით მაქსიმალური სარგებლობის ეთიკური იმპერატივი, ხაზს უსვამს ორგანოთა ტრანსპლანტაციის პოლიტიკის თანდაყოლილ გამოწვევებს.

ეს ინტერდისციპლინარული კვლევა ცდილობს ამ ბიოეთიკური საზღვრების ნავიგაციას ჯანდაცვის კანონის კონტექსტში, შეისწავლის რთულ ურთიერთქმედებათა სამართლებრივ ჩარჩოებს, პრინციპებსა და სოციალურ ნორმებს შორის ურთიერთმიმართებას. სასამართლო საქმეების, საკანონმდებლო

პასუხებისა და საერთაშორისო კონვენციების ყოვლისმომცველი ანალიზის მეშვეობით, ჩვენ ვცდილობთ ამოვიცნოთ ამ ბიოეთიკური დილემის გამომწვევი მიზეზები და ვიპოვოთ გზები ეთიკური მმართველობისა და ჯანდაცვის სფეროში ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავებისკენ.

საბოლოო ჯამში, ეს კვლევა მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუწყოს დიალოგების წარმართვას, ცნობიერების ამაღლებას და პროგრესული გადაწყვეტილებების მიღებას ჩვენი დროის რთული ბიოეთიკური გამოწვევების გადაწყვეტისას, ჯანდაცვის კანონის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ბიოეთიკა და კანონი, ევთანაზია, გენეტიკური ინჟინერია და ორგანოთა ტრანსპლანტაცია.

**უსამართლო სტანდარტული პირობებისა და მისი სამართლებრივი
გარანტიის იმპლემენტაცია ქართულ სამართლებრივ სისტემაში და
საერთაშორისო გამოცდილება**

ანი ბლიაძე, მარიამ ონიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, სახელშეკრულებო ურთიერთობის განოყუფელ ნაწილს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე მომხმარებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობისას უმეტესად სტანდარტულ პირობებს იყენებს, თავს მოხვეულმა სახელშეკრულებო პირობებმა მომხმარებელი შესაძლოა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს, ამდენად მას სათანადო დაცვა სჭირდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტანდარტული პირობები ქართულ სამართლებრივ სისტემაში პრაქტიკისთვის შედარებით ახალ საკითხს წარმოადგენს, რომლის გამოკვლევა და სიღრმისეული შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანია. ხშირ შემთხვევაში მოვაჭრეები წინასწარ გამზადებულ სახელშეკრულებო პირობებს სთავაზობენ მომხმარებლებს, რომლებიც ყოველგვარი ინდივიდუალური მოლაპარაკებებისა და პირობების დეტალური გაცნობის გარეშე დებენ ხელშეკრულებებს. ამდენად, მაღალია იმის რისკი, რომ მომხმარებლისთვის შეთავაზებული სტანდარტული პირობები აღმოჩნდეს უსამართლო ან შეცდომაში შემყვანი.

მოცემული სამეცნიერო ნაშრომით, გვსურს წარმოვადგინოთ როგორ ვლინდება უსამართლო სტანდარტული პირობების შემთხვევები სახელშეკრულებო ურთიერთობებში, კრიტერიუმები რომლითაც ფასდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უსამართლობა, რა ეტაპების გავლაა საჭირო იმისათვის, რომ მომხმარებელი არ შევიდეს შეცდომაში. ასევე, რა მექანიზმების გამოყენებაა საჭირო, რათა დაცული იყოს მოვაჭრესა და მოხმარებელს შორის მხარეთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უსამართლო სტანდარტული პირობების რეგულირების საკითხზე ქართულ კანონმდებლობაში. გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნაშრომში გამოყენებულია პრაქტიკული მაგალითები, როგორც ქართული ისე უცხოური სამართლებრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემული საკითხი მეტად აქტუალური და საინტერესოა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი სახელშეკრულებო ურთიერთობის „სუსტ მხარეს“ წარმოადგენს, ამდენად მისი უფლებების დასაცავად შესაბამისი ბერკეტების არსებობაა საჭირო. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შერჩეული საკითხის დამუშავება კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი იქნება უსამართლო სტანდარტული პირობების სახელშეკრულებო პრაქტიკაში აღსაკვეთადა და აღმოსაფხვრელად, ვინაიდან დაცული იქნას მომხმარებელთა ინსტერესები.

საკვანძო სიტყვები: უსამართლო სტანდარტული პირობები, სამართლებრივი გარანტიის იმპლემენტაცია, ქართული სამართლებრივი სისტემა, საერთაშორისო გამოცდილება.

“არავის შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე თავად გააჩნია” (დიგესტები. წიგნი 50, 17.54)

ანი მეტრეველი, ლიზი წურწუმია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკუთრების უფლების შექმნა სანივთო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელთან მიმართებითაც არსებობს პრინციპი, რომ „არავის შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება ვიდრე თავად გააჩნია“ (დიგესტები. წიგნი 50, 17.54). ეს პრინციპი რომის სამართლიდან მომდინარეობს და დიგესტებში გვხვდება. ნაშრომში ამ პრინციპს ძირითადად მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით შევხებით და განვიხილავთ მის მოქმედების სფეროს, წინაპირობებსა და როლს დღევანდელ სანივთო სამართალში.

რომის სამართალში ნივთის შექმნისას საკმარისი არ იყო მხოლოდ შეთანხმების ფაქტი, არამედ საჭირო იყო მხარეთა შეთანხმება მისი გადაცემის თაობაზე. რომის სამართლის კომენტატორები მოძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის პროცესში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ საფუძველსა (titulus) და შექმნის გზას (modus) საფუძველად ითვლებოდა ხელშეკრულება, ხოლო საშუალებად – გადაცემა. დიგესტების თანახმად, შეთანხმება წარმოშობს მხოლოდ ნივთის გადაცემის ვალდებულებას, ხოლო თავადამნივთო საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის - tradicio- მომენტიდან (ზოიძე. ბ, “ქართული სანივთო სამართალი” 2003, გვ. 145). ქართულ სამოქალაქო კოდექსში ტიტულუსისა და მოდუსის პრინციპთა შეთანხმებაა. კანონმდებელი ეყრდნობა რომაულ ტრადიციოსა და გამიჯვნის პრინციპებს და ადგენს რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელი პირობაა ნამდვილი უფლება და ამ უფლების საფუძველზე განხრელებული რეალაქტი - ნივთის შემქმნისათვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, გვ.126).

აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია დღევანდელობაშიც, რადგან ხშირია შემთვევები როდესაც ადამინები რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ მფლობელობას, ასხვიდებენ ნივთს, მაშინ როდესაც მასზე საკუთრების უფლება არ გააჩნიათ. შედეგად კი გამოდის, რომ ნივთის მესაკუთრე ზარალდება და მისი შემქმნის სამართლებრივი მდგომარეობა ნივთთან მიმართებით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

საკვანძო სიტყვები: დიგესტები, რომის სამართალი.

დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან და წარმგზავნი სახელმწიფოს უფლებები

ანი მორჩილაძე, თამარ შათირიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დიპლომატიურ წარმომადგენლებს მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ენიჭებათ პრივილეგიები და იმუნიტეტები, ეს ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა მხრივ გამორჩევის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ ნაყოფიერად აღასრულონ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, როგორც სახელმწიფოთა წარმომადგენელი ორგანოების ფუნქციები. ვენის 1961 წლის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ არეგულირებს ყოველივე ზემოხსენებულს. შესაბამისად, კვლევის მიზანია: პირველ რიგში, განისაზღვროს, თუ რას მოიაზრებს დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი; დადგინდეს, რა უფლებებით სარგებლობს მთავრადიტირებელი სახელმწიფო; წარმოჩინდეს პრობლემის პრაქტიკული მხარე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და გამოიკვლიოს, იმუნიტეტებისა და პრივილეგიების გამოყენება არის უფლებით ბოროტად სარგებლობა, თუ საჭიროება.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნული საკითხი, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით. წარმოჩენილ იქნება, როგორც საერთაშორისო ასპარეზი, ასევე შიდა საკანონმდებლო ჩარჩო, რათა მკითხველისათვის ჩვალსაჩინო გახდეს აღნიშნული პრობლემა.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ფარგლები ამ დრომდე არ არის მოწესრიგებული, რის გამოც კვლევის ფარგლებში გამოცემულია რეკომენდაციები მისი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.

საკვანძოსიტყვები: იმუნიტეტი; იურისდიქცია; პრივილეგია; მთავრადიტირებელი სახელმწიფო.

თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის ინსტიტუტები და მათი ურთიერთგამიჯვნის პრობლემატიკა ჯგუფურ დანაშაულში (მათი ცალკეული შემთხვევების ანალიზი)

ნათია მიქიანი, თამთა ბაზაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამონაწილეობა და თანაამსრულებლობა ქართული სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართლმსაჯულების სფეროში იკვეთება მთელი რიგი ხარვეზები. უნდა ითქვას, რომ ხსენებული პრობლემა დღესდღეობით დიდი აქტუალობით გამოირჩევა. ბუნებრივია, რომ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც დანაშაულს სჩადის ერთზე მეტი პირი, სწორედ ამ დროს წარმოიშობა პრობლემა არსებული ორი ინსტიტუტის ურთიერთგამიჯვნასთან დაკავშირებით. ყველა ადამიანს გააჩნია ისეთი საყოველთაოდ აღიარებული უფლება, როგორცაა სამართლიანი სასამართლო. ნაშრომის მიზანია, განხილულ იქნეს სუბიექტური და ობიექტური (ფორმალურ-ობიექტური; მატერიალურ-ობიექტური) თეორიები და მათი მთავარი არსი. აგრეთვე, არგუმენტები და ფაქტები, რომლებიც ნათლად ასახავს მათ უპირატესობებსა თუ ნაკლოვანებებს, შედეგად კი აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვას: რომელი თეორიის გამოყენებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელი მათგანით უნდა ვინაობდვანელოთ ქართული სისხლის სამართლის შემთხვევაში. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის ინსტიტუტების მნიშვნელობა ჯგუფურ დანაშაულში (ცალკეული შემთხვევები), მათი რეგულირება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ზემოხსენებული თეორიები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რომელშიც ნათლად ჩანს, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ქმედების კვალიფიკაციის საკითხში. აგრეთვე, ქართული სისხლის სამართლის შედარება სხვა ქვეყნების სისხლის სამართალთან, როგორცაა, მაგალითად - გერმანია, ვინაიდან ხსენებულ ქვეყანაში საკითხის რეგულირება სხვაგვარად ხდება.

საკვანძო სიტყვები: თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა, სუბიექტური, ობიექტური თეორიები, სასამართლო.

ხანდაზმული მიგრანტები: პრაქტიკის, ტენდენციებისა და სტატისტიკის მიმოხილვა

ელენე ლაჭავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიგრაცია 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ძირითად საყურადღებო საკითხად რჩება. ის ევროპის ისტორიის ძირითადი ასპექტია. მიგრაციის ტალღები იმატებდა და მოიმატებს დროთა განმავლობაში და საჭიროა სახელმწიფოებმა დანერგონ სხვადასხვა მიდგომა და პოლიტიკა, რათა ხელოვნურად არ მოხდეს მიგრაციის გაუარესება და შესაბამისად მიგრანტები არ დემონიზირდნენ მიმღებ საზოგადოებებში.

დღემდე პრობლემურია მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა მიგრაციის შემდეგ. ძირითადი ყურადღება კი ბავშვებსა და ქალებზე მახვილდება, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორცაა ხანდაზმული მიგრანტები. ამ კონკრეტული ჯგუფის პრობლემურობა იკვეთება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მიმღებ სახელმწიფოებში ხდებიან ხანდაზმულები და სჭირდებათ განსაკუთრებული ზრუნვა ჯანმრთელობისათვის. ერთი საკითხია, როცა წარმომავლობის ქვეყანას ტოვებს ხანდაზმული, რათა შეუერთდეს ოჯახს, რომელიც მიმღებ სახელმწიფოშია და მეორეა, როცა მიმღები სახელმწიფოდან წასული საშუალო ასაკის ადამიანი სიბერეს სხვა ქვეყანაში მიგრანტად ყოფნისას აღწევს. ვფიქრობ, ეს პრობლემა საქართველოსაც შეეხება და ამიტომ, დამაინტერესა გამომეკვლია უკეთ ხანდაზმული მიგრანტების მდგომარეობა. სამწუხაროდ, სტატისტიკათა სიმწირის გამო, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე რთული იქნებოდა საუბარი, თუმცა არსებობს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების გარკვეული მონაცემები. მსოფლიოში არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მაღალია ხანდაზმულ მიგრანტთა რაოდენობა და ბოლო ათწლეულში კიდევ უფრო გაიზარდა მათი რიცხვი, თუმცა ისინი შეუმჩნევლები რჩებიან, რადგან მათი კულტურული შოკი უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე სხვა მოწყვლადი ჯგუფებისა.

ამ ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს სტატისტიკა და ხანდაზმულ მიგრანტთა მდგომარეობა სხვადასხვა სახელმწიფოებში, აღნიშნოს, რამდენად აკლიათ საჭირო ყურადღება და როგორ ყიდებიან ზრუნვას სხვა ოჯახებზე, რამდენად

დაუბალანსებელია მათი შრომა და როგორ უარესდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დროთა განმავლობაში. ასევე, განხილულია შვედეთის მაგალითი და დასმულია პრობლემური საკითხები.

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ძირითადი ნაწილი მომზადებულია ევროპის საბჭოს მიგრაციის კომიტეტისა და ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, თუმცა არ გამოხატავს მათ შეხედულებას.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, ხანდაზმული მიგრანტები, დისკრიმინაცია, ჯანდაცვა.

Abstract

Migration remains one of the major concerns of the 21st century and is a key aspect of European history. Waves of migration have increased over time and are expected to continue rising. To avoid exacerbating migration issues and demonizing migrants in host societies, states need to implement varied and effective policies.

The situation of vulnerable groups after migration is still problematic. The main focus is often on children and women, but elderly migrants also constitute a vulnerable group that remains neglected. The challenges faced by elderly migrants typically become apparent when they require special health care in their host countries. It is one thing when an elderly person leaves their country of origin to join family in a host country, and another when a middle-aged person who migrates ages in a new country.

This problem is likely to affect Georgia as well, prompting my interest in investigating the situation of older migrants. Due to the scarcity of statistics, it is difficult to discuss the current situation in Georgia specifically, but data from European and American countries provide some insights. Global trends indicate that the number of elderly migrants is high and increasing, yet they remain unnoticed because their culture shock lasts longer than that of other vulnerable groups.

The purpose of this paper is to present statistics and examine the situation of elderly migrants in various states. It will highlight their lack of necessary attention, their roles in caregiving for other families, the imbalance in their work, and the deterioration of their health over time. Sweden will be used as a case study to discuss these issues in detail. Most of the literature reviewed is sourced from the Committee on Migration of the Council of Europe and the International Organization for Migration, though their views are not explicitly represented here.

Key Words: Migration, Elderly migrants, Discrimination, Healthcare

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების
აღსრულება ეროვნულ დონეზე: სახელისუფლებო ორგანოების როლი
აღსრულების პროცესისას**

ალექსანდრე გრძელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მექანიზმია. სასამართლომ არსებობის პერიოდში გამოიტანა 10,000-ზე მეტი გადაწყვეტილება, რაც შთამბეჭდავი რიცხვია. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა დავაში მყოფი სახელმწიფოსთვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა აქცევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ძლიერ, ცოცხალ მექანიზმად, რომელიც პასუხობს სამართლის უზენაესობის თანამედროვე გამოწვევებს ევროპაში. როგორც ქართულ ისე ევროპულ პრაქტიკაში ვხვდებით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას კონკრეტულ გამოწვევებს.

იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული, აუცილებელია მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. რაც აღმოფხვრის მომავალში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას.

აღნიშნული კვლევა შეეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმებსა და პროცედურებს, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. განხილული იქნება თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი, საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, თუ როგორ ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურულ ზედამხედველობას და მინისტრთა კომიტეტის როლი აღნიშნულ პროცესში. ასევე განხილული იქნება შიდასახელმწიფოებრივი ეტაპები და სახელისუფლებო როლი აღსრულების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილებების აღსრულება, სახელისუფლებო ორგანოები, აღსრულების პროცესი.

Abstract

The European Court of Human Rights is one of the mechanisms of the Council of Europe. During its existence, the court issued more than 10,000 decisions, which is impressive. The court's decision is binding on the disputing state and prompts governments to change their legislation and administrative practice in many areas. The case law makes the European Convention on Human Rights a powerful, living mechanism that responds to contemporary challenges to the rule of law in Europe. In both Georgian and European practice, we encounter specific challenges in the execution of court decisions.

For human rights to be protected, it is necessary to enforce court decisions at the domestic level. That will eliminate gross violations of human rights in the future.

The research will concern the mechanisms and procedures of the execution of the decision of the European Court of Human Rights, both at the domestic and international levels. The role of the European Court of Human Rights in the execution of its decision, how the court carries out procedural supervision of the execution of the decision, and the role of the Committee of Ministers in this process will be discussed. Domestic stages and governmental role in the implementation process will also be addressed.

**პერსონალური მონაცემების დაცვა, მობილური
აპლიკაციების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენება“
(„Facebook“-ისა და „Tik-Tok“-ის მაგალითზე)**

ანასტასია გვაზავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამყაროს განვითარებასთან ერთად ციფრულმა ეპოქამ მოიცვა ინდივიდთა პროფესიული საქმიანობა, პირადი და სოციალური ცხოვრება. ტექნოლოგიის საშუალებით ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ კომუნიკაციას, ეცნობიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, ეძლევათ თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვისა და თავიანთი ყოველდღიურობის სამყაროსათვის გაზიარების შესაძლებლობა.

მიუხედავად უამრავი სარგებლისა, ციფრულმა განვითარებამ წარმოშვა უამრავი პრობლემა სამართლებრივი თვალსაზრისით. ერთ-ერთი გამორჩეულად პრობლემური ასპექტი არის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული სირთულეები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგია, განსაკუთრებით კი სოციალური ქსელები, კომუნიკაციის დამყარების და თვითგამოხატვის ეფექტური საშუალებაა. შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ აპლიკაციის მომხმარებლები ნებაყოფლობით აზიარებენ გარკვეულ ინფორმაციას სასურველი მიზნის მისაღწევად. ასეთი ცნობები შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. თანამედროვე მობილური აპლიკაციების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩაშენებულია ციფრული ალგორითმები, რომლებიც მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებასა და აპლიკაციის ეფექტიანობის ხელშეწყობას ემსახურება. აღნიშნული სისტემები სრულყოფილი ოპერირებისათვის საჭიროებენ წვდომას დიდი რაოდენობით ინფორმაციაზე, რამეთუ სწორედ დაგროვილი ინფორმაციული ბაზის განახლებით ვითარდება ალგორითმის შესაძლებლობები. საინტერესოა, რამდენად და რა დოზით სჭირდება მობილურ აპლიკაციებს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა? ხდება თუ არა ამ მონაცემების სათანადო და მართლზომიერი გზებით მიწოდება, დამუშავება და გამოყენება?

ნაშრომში დიდი ადგილი დაეთმობა პერსონალური მონაცემების ცნებას, მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და მობილური აპლიკაციების მიერ ამ მონაცემების გამოყენების ფორმებს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თეორიული ანალიზის

დახმარებით სრულფასოვნად გადმოცემული იქნება აღნიშნული საკითხის არსი, სპეციფიკა და მისი პრობლემური ასპექტები. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი ურთიერმიმართება სოციალურ ქსელებთან. საქრთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით თვალნათლივ და მკაფიოდ წარმოჩინდება კონკრეტული სოციალური ქსელებისა და აპლიკაციათა მფლობელების მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნული დაგვეხმარება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე დგას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი და რა სამართლებრივი რეგულაციები და ბერკეტებია საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემი, აპლიკაცია, სოციალური ქსელი, უსაფრთხოება

Abstract

As the world continues to advance, it keeps creating new digital eras full of different possibilities and conceptions which were once unimaginable to the society. These new inventions often affect the way people conduct their social lives. By the use of modern technology, humans have been able to communicate, learn and acquire important information. Social media has given us a chance to portray our personalities and voice our opinions in real time.

Despite all of its benefits, digital development and the advancement of modern technology has created many problems from a legal standpoint. One of the particularly problematic aspects is ensuring the protection of a person's personal life and the difficulties associated with it. As mentioned earlier, technology, especially social networks, are an effective means of communication and self-expression. It can be said that in many cases the users of this or that application voluntarily share certain information to achieve their desired goals. Such notices may contain personal data. The vast majority of modern mobile applications have built-in digital algorithms that serve to improve the user experience and promote the effectiveness of the application.

The vast majority of modern mobile applications have built-in digital algorithms that serve to improve the user experience and promote the effectiveness of the application. These systems require access to a large amount of information for perfect operation, which is achieved by updating the accumulated information base that the capabilities of the algorithm develop. It is interesting how much and in what dose mobile applications need access to personal data? Is this data provided, processed and used in appropriate and fairways?

The paper will devote a huge part analyzing to the concept of personal data, the legal mechanisms of its protection and the forms of how this data is being used by mobile applications. Based on the goals of the research, the essence, specificity and problematic aspects of the mentioned issue will be fully conveyed with the help of theoretical analysis. This paper will discuss the legal relationship of personal data with social networks. Based on the international practice, the approaches of the owners of specific social networks will be discussed for a better understanding.

All of the above will help us to discuss what problems personal data protection law is facing and what legal regulations and levers are needed to eliminate them.

Keywords: personal data, application, social network, security.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება საჩივართან
დაკავშირებით**

თამარ ახოზაძე, დემეტრე ნოზაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებებს, ან მმართველობის დადგენილ წესს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ამ დარღვევებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოიქმნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სამართალდამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ არის გათვალისწინებული, რაც შეიძლება განიხილებოდეს ხარვეზად. ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას, რომელიც გამოიყენება სამართალდამრღვევის აღსაზრდელად და ახალი სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით. ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს დაინტერესებული მხარის წერილობითი მოთხოვნას უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც მიმართულია დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, ადმინისტრაციული საჩივრის არსი, უფლებამოსილი სუბიექტები, საქმის განხილვის ვადა.

Abstract

An administrative offense is defined as an unlawful, culpable (intentional or negligent) act or omission that violates state or public order, property, citizens' rights and freedoms, or established rules of governance, leading to administrative responsibility. Administrative responsibility applies from the age of 16. The Code does not address the liability of legal entities, which is considered a flaw, especially since Georgian legislation sometimes imposes penalties on legal entities. Administrative penalties are measures of responsibility aimed at educating the offender and preventing new offenses.

Keywords: the concept of an administrative offense, the essence of an administrative complaint, authorized subjects, the term of consideration of the case.

სომხები - საქართველოში ეთნიკური უმცირესობები

აისელ ზეინალოვა

კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

აბსტრაქტი

სომხების ჩამოსახლება საქართველოში 1860-იანი წლებიდან გააქტიურდა. XIX საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის მიერ საქართველოს შემოერთებით ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა. რუსეთის ხელისუფლებამ სომხური ფაქტორი გამოიყენა სამხრეთ კავკასიაში თავის გასაძლიერებლად და მათ რეგიონში დასახლებას უბიძგებდა. რუსეთის იმპერია 1917 წლის რევოლუციების შემდეგ დაემხო და სამხრეთ კავკასიაში დაარსდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

საბჭოთა რუსეთის სამხრეთ კავკასიაში მოსვლის შემდეგ საქართველოში მცხოვრებ სომხებს იმპერიული პოლიტიკის ფარგლებში პრივილეგიები მიენიჭათ, მათთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საზღვართან დასახლებლად. ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხებმა პირდაპირ და ირიბად გადადგნენ ნაბიჯები ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ წლებში განვითარებულმა მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა გამოიწვია ამ ქვეყანაში მცხოვრები სომხების რაოდენობის შემცირება.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ბევრ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 87 პროცენტი ქართველია, ხოლო 13 პროცენტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 5 პროცენტი ეთნიკური სომეხია. ქვემო ქართლს საზღვარი აქვს აზერბაიჯანთან, ხოლო სამცხე-ჯავახეთს სომხეთთან. ეს მდებარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების სტატუსის პოლიტიზებას. სომხებთან დაკავშირებით ქართველების შიში ქართულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას უკავშირდება.

საქართველოს ტერიტორიაზე სომხების მასობრივი ჩამოსახლება სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ბატონობის შემდეგ ახალი მიგრაციების წყალობით განდა

შესაძლებელი. სომხეთი, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაფანტული სომეხი მოსახლეობის გამოყენებით, ტერიტორიულ პრეტენზიებს აცხადებდა და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს. ამ პროცესში ადგილობრივმა სომხებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სომხეთი, სომხები, მიგრაცია.

Abstract

The resettlement of Armenians to Georgia intensified from the 1860s onwards. With the annexation of Georgia by Tsarist Russia in the early 19th century, this process accelerated even further. The Russian government utilized the Armenian factor to strengthen itself in the South Caucasus and encouraged Armenians to settle in the region. Taking advantage of favorable conditions, Armenians began to distort Georgian history and lay claim to land by seizing material and spiritual monuments. After the 1917 revolutions, the Russian Empire collapsed, and three independent states - Georgia, Armenia, and Azerbaijan - were established in the South Caucasus. Armenia, using the dispersed Armenian population in various regions of Georgia, made territorial claims and attacked Georgia without declaring war. During this process, local Armenians played a significant role.

Georgia is a country where many different languages are spoken and many ethnic groups. According to the 2014 census, approximately 87 percent of the country's population are Georgians, and 13 percent are representatives of various ethnic groups. The largest part of these groups are Azerbaijanis, 6 percent of the population of Georgia, and almost 5 percent of the country's population consists of ethnic Armenians. Kvemo-Kartli has a border with Azerbaijan and Samtshe-Javaheti - Armenia. Georgians' anxiety towards Armenians is related to their claims on Georgian lands and cultural heritage.

Mass settlement of Armenians on the territory of Georgia was possible thanks to new migrations after Russia's rule in the South Caucasus.

Following the arrival of Soviet Russia in the South Caucasus, Armenians living in Georgia were granted privileges as part of imperial policy, especially favorable conditions were provided for them to settle in border areas. After gaining independence, it is known that Armenians directly and indirectly took steps contrary to the national interests of this country. The harsh economic and social conditions during these years led to a decline in the number of Armenians living in this country.

Keywords: Georgia, Armenia, Armenian Migration

ეპითელურ-მეზენქიმური გადასვლა კიბოს პროგრესირებასა და მკურნალობაში

ელისაბეტ ბასილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეპითელურ-მეზენქიმური გადასვლა (EMT) არის ფუნდამენტური ბიოლოგიური პროცესი, რომელიც ხასიათდება ეპითელური უჯრედების მეზენქიმურ ფენოტიპებად გარდაქმნით, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ემბრიონის განვითარებაში, ქსოვილების აღდგენასა და პათოლოგიურ მდგომარეობებში, როგორცაა ფიბროზი და კიბოს მეტასტაზები. (1-2-3)(1.1)

ემბრიონში ეპითელურ-მეზენქიმური გადასვლის მექანიზმის განხილვისას, ზოგადად ვარაუდობენ, რომ ფიბრობლასტის მსგავსი უჯრედების წარმოქმნის უნარი იკარგება ეპითელიუმის მომწიფებისას. ეპითელურ-მეზენქიმური გადასვლების გარეშე, რომლის დროსაც პოლარიზებული ეპითელური უჯრედები გარდაიქმნება მოძრავ უჯრედებად, მრავალუჯრედულ ორგანიზმებს არ ექნებათ უნარი გადალახონ ემბრიონის განვითარების ბლასტულური ეტაპი. (4-5)

EMT მოიცავს უჯრედულ და მოლეკულურ ცვლილებებს, მათ შორის უჯრედების ადჰეზიის დაკარგვას, ციტოჩონჩხის რეორგანიზაციას და უჯრედების მოძრაობის გაზრდას. ამ პროცესში ცენტრალურია ძირითადი მარეგულირებელი გზები, როგორცაა TGF- β , Wnt და Notch სიგნალიზაცია, რომლებიც არეგულირებენ EMT-სთვის აუცილებელ ტრანსკრიპციულ რეპროგრამირებას. (6-6.2)

გადასვლა აღინიშნება ეპითელური მარკერების დაქვეითებით (მაგ., E-კადჰერინი) და ამ დროს იზრდება მეზენქიმური ფენოტიპის მარკერული ცილა ვინმენტინის მაკოდირებელი გენის ექსპრესია. (7-8)

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემის მიმართ მიძღვნილი პუბლიკაციების რიცხვი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მოცემული პროცესების ზუსტი მექანიზმები ბოლომდე არ არის დადგენილი, უახლესი ტექნოლოგიები და აღმოჩენები ამავდროულად მოცემულ საკითხს ახალ ელფერს სძენს. მაგალითად გამოვლინდა, რომ ეს პროცესები რეგულირდება მრავალგვარი ფაქტორებით როგორცაა (TGF β 1, IL6, IL8, EGF, FGF), რომლებიც საწყისი სიგნალების გაძლიერებას იწვევენ. (9-10-11)

კიბოს მკურნალობის კონტექსტში, EMT გამოიყენება სიმსივნის პროგრესირებასა და

მეტასტაზებში მისი როლისთვის. EMT-თან დაკავშირებული გზების დამიზნებამ შეიძლება დათრგუნოს მეტასტაზები და გააუმჯობესოს კიბოს თერაპიის ეფექტურობა. მაგალითად, ნაჩვენებია, რომ TGF- β სიგნალის დათრგუნვა ამცირებს მეტასტაზურ პოტენციალს ზოგიერთ კიბოში. გარდა ამისა, EMT მარკერები შეიძლება იყოს ბიომარკერები კიბოს პროგნოზისა და თერაპიის პასუხისთვის, რაც ხელს უწყობს პერსონალიზებული მედიცინის მიდგომების შემუშავებას. ეს თეორიული კვლევა ასინთეზებს ბოლოდროინდელ მიღწევებს EMT-ის მოლეკულურ რეგულირებაში და მის შედეგებს დაავადების პათოლოგიაში, რაც უზრუნველყოფს კვლევის მიმდინარე მიმართულებების და პოტენციური კლინიკური აპლიკაციების ყოვლისმომცველ მიმოხილვას. (13.3,13.4.13.5)

საკვანძოსიტყვები: კიბოს პროგრესირება, მკურნალობა, ეპითელიური უჯრედები, კიბოს მეტასტაზები, ბილოგიური პროცესი.

ოპტიმალური ტერიტორიული მოწყობის ფორმა საქართველოსთვის

მარიამ დაუთაშვილი, მარიამ ბერაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის მიხედვით სახელმწიფო ოთხი თვისებით უნდა ხასიათდებოდეს, რომელთაგან ერთ-ერთი განსაზრვული ტერიტორია და მისი მოწყობის ფორმაა. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიის ვერტიკალურ მოწყობას, რაც ნიშნავს იმ სივრცის ერთობლიობას, რომელზეც ვრცელდება მისი სუვერენიტეტი.

თითოეულ სახელმწიფოში ტერიტორიული მოწყობის ფორმა ინდივიდუალურად განისაზღვრება და ის მოწესრიგებულია ამავე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. აღნიშნულით წარმოიქმნება სახელმწიფოებრივი საზღვრები, ქვეყნის შემადგენელი ნაწილები, სადაც ვრცელდება ხელისუფლების მოქმედების გეოგრაფიული არეალი. საზოგადოდ ტერიტორიული მოწყობის რამდენიმე ფორმაა აღიარებული: ფედერალური, უნიტარული, რეგიონული. თითოეულს კი თავისი დამახასიათებელი დეფინიცია აქვს. ფედერალური ტერიტორიული მოწყობის ფორმა გულისხმობს სახელმწიფოს შემადგენლობაში სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებას. უნიტარული ტერიტორიული მოწყობის ფორმა შედარებით მარტივია. ასეთი მოწყობისას სახელმწიფოს ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა.

რაც შეეხება რეგიონულს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ყველა რეგიონს ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი აქვს მინიჭებული. ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნით რეგიონული ტერიტორიის მოწყობის ფორმა უნიტარულია და ფედერალიზმს ჰგავს, თუმცა მისი არსებობა სრულიად დამოუკიდებელია.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა ყოველთვის განხილვის

საგანი იყო, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო დღემდე დაუდგენელია, ვინაიდან კანონმდებელი მის განსაზღვრავს უკავშირებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ისტორიიდან გამომდინარე ყველასათვის თვალნათელი ხდება, რომ საქართველოს გარკვეული ტერიტორია ოკუპირებულია, შესაბამისად სწორედ ამ ერთეულებზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. უამრავი მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ფორმა იქნება საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი და გამოყენებაუნარიანი. გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ფედერაცია მცირე ტერიტორიიდან გამომდინარე სახიფათოა, ნაწილი კი უნიტარიზმის წინააღმდეგია, ზოგი კი რეგიონულს აკრიტიკებს. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედაც, რომ ამ პრობლემური ხასიათის წარმოჩენაა.

გარდა ხსენებულისა, ნაშრომში განხილული იქნება თითოეული ტერიტორიული მოწყობის ფორმა, მათი არსი და მახასიათებლები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც მორგებული იქნება საქართველოს რეალობასთან და წარმოჩენილი ავტორისეული ხედვით, თვალნათელი გახდება თუ რომელი არის საქართველოსთვის ოპტიმალური საშუალება.

საკვანძო სიტყვები: ტერიტორიული მოწყობის ფორმა, ვერტიკალური მოწყობა, ფედერალიზმი, უნიტარიზმი, რეგიონალიზმი, ტერიტორიული ერთეულები.

The optimal form of territorial organization of Georgia

Mariam Dautashvili Mariam Beradze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

According to Article 7, Part 4 of the Constitution of Georgia: "The territorial state arrangement of Georgia will be revised by the constitutional law of Georgia, based on the principle of separation of powers, after the full restoration of Georgian jurisdiction over the entire territory of the country."

According to the Montevideo Convention of 1933, the state should be characterized by four features, one of which is the territory and the form of its organization. It refers to the vertical arrangement of the state territory, which means the totality of the space over which its sovereignty extends.

The form of territorial organization in each state is determined individually, and it is regulated in the constitutions of the same states. This shows the state borders, constituent parts of the country, where the geographical area of the government's activity extends. In general, several forms of territorial organization are recognized: federal, unitary, and regional. Each one has its own characteristic definition.

The form of federal territorial arrangement implies state formations within the state and unification in one state. The form of unitary territorial arrangement is relatively simple. In such an arrangement, the territory of the state is divided into administrative-territorial units, within which local self-government is carried out. As for regional, in this case, all regions of the state have been granted the status of territorial autonomy. The form of organization of the regional territory is similar to unitarism and federalism in certain features, although its existence is completely independent.

The form of territorial organization in Georgia has always been a subject of discussion. However, due to certain reasons, it has not been determined until now, since the legislator determines it and connects it with the restoration of the country's territorial integrity. Based on history, it becomes clear to everyone that certain territories of Georgia is occupied; Therefore, Georgia's jurisdiction does not extend to these units. There are many opinions regarding which form will be the most convenient and usable for

Georgia. Some believe that the federation is dangerous due to its small territory, some are against unitarism, and others criticize regionalism. One of the main goals of the work is to

present this problematic nature. In addition to the above mentioned, the paper will discuss the form of each territorial arrangement, their essence and characteristics, advantages and disadvantages, which will be adapted to the reality of Georgia and presented by the author's vision, it will become clear which is the optimal way for Georgia.

Keywords: form of territorial arrangement, vertical arrangement, federalism, unitarism, regionalism, territorial units.

ურთიერთქმედება სოციალურ მედია მარკეტინგსა და ფინანსურ ეფექტურობას შორის

ბექა სხირტლაძე, დოდო ხომასურიძე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აბსტრაქტი იკვლევს მნიშვნელოვან კავშირს სოციალური მედია მარკეტინგის (SMM) სტრატეგიებსა და მის ფინანსურ შესრულებას შორის, თანამედროვე ბიზნეს გარემოში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, სოციალური მედიის პლატფორმების გავრცელებულმა გავლენამ შეცვალა მარკეტინგული მიდგომები და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები. სოციალური მედია მარკეტინგი, ბიზნესს სთავაზობს უპრეცედენტო შესაძლებლობებს ბრენდის ექსპოზიციისთვის, ჩართულობისა და მომხმარებელთა ურთიერთობისთვის. ამავდროულად, ფინანსური მაჩვენებლების ოპტიმიზაციისკენ სწრაფვა, რჩება უმთავრეს მიზნად, ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა ინდუსტრიებში. მარკეტინგისა და ფინანსების სიმბიოტური პოტენციალის აღიარებით, აღნიშნული კვლევა, ცდილობს გამოავლინოს სინერგიული ეფექტები, რომლებიც ჩნდება, როდესაც სოციალური მედიის მარკეტინგული სტრატეგიები რეალურად შეესაბამება ფინანსურ მიზნებს. თეორიული ჩარჩოებისა და ემპირიული მტკიცებულებების სინთეზზე დაყრდნობით, ეს კვლევა განიხილავს მრავალმხრივ გზებს, რომლითაც სოციალური მედიის მარკეტინგული ინიციატივები ხელს უწყობს ფინანსური შესრულების მეტრიკას. ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვის საშუალებით, კვლევა შეისწავლის მექანიზმებს, რომლითაც სოციალური მედიის პლატფორმები ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობას, მომხმარებელთა შექენას და შემოსავლის გამომუშავებას. უფრო მეტიც, ის იკვლევს სოციალური მედიის ანალიტიკის როლს მარკეტინგული ROI-ის გაზრდისა და რესურსების განაწილების ოპტიმიზაციისთვის ქმედითი ინფორმაციის მიწოდებაში.

გარდა ამისა, აბსტრაქტი მოიცავს მომხმარებელთა ჩართულობისა და ბრენდის ლოიალობის ნიუანსებს, სოციალური მედიის მარკეტინგის კონტექსტში და მის გავლენას ფინანსურ შედეგებზე. შემთხვევის კვლევებისა და ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზებით, ის ასახავს მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბების სტრატეგიებს ავთენტური მოთხოვნების, ინტერაქტიული შინაარსისა და საზოგადოების შექმნის

ძალისხმევის მეშვეობით.

აბსტრაქტი, ასევე ეხება მეთოდოლოგიურ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური მედიის მარკეტინგის გავლენის რაოდენობრივ განსაზღვრასთან ფინანსურ შესრულებაზე, მათ შორის, ატრიბუციის მოდელირება, მონაცემთა ანალიტიკა და შესრულების მეტრიკა. სოციალური მედიის ინვესტიციებიდან მიღებული ჰოლისტიკური ღირებულების შესაფასებლად, კონცეპტუალური ჩარჩოს შეთავაზებით, ეს კვლევა, მიზნად ისახავს, პრაქტიკოსებს და მკვლევარებს მიაწოდოს ღირებული ინფორმაცია სოციალური მედიის მარკეტინგული სტრატეგიებისა და ფინანსური საქმიანობის შედეგების ურთიერთკავშირის შესახებ.

დასასრულს, აბსტრაქტი ხაზს უსვამს სოციალური მედიის მარკეტინგის ინიციატივების ფინანსურ მიზნებთან ინტეგრირების მნიშვნელობას, რათა განიხილოს ორგანიზაციული ზრდისა და კონკურენტული უპირატესობის სინერგიული შესაძლებლობები დღევანდელ დინამიურ ბიზნეს ლანდშაფტში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს გარემო, ბიზნეს სტრატეგია, მომხმარებელთან ურთიერთობა, სოციალური მედია მარკეტინგი, ფინანსები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლების დაცვის სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში

მარიამ ბულაძე, მაკა ქურდიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკითხი ადამიანის უფლებათა დარგში ერთ-ერთი კრიტიკული და პრობლემურია, ვინაიდან მსოფლიოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უამრავ სირთულეს აწყდებიან ყოველდღიურობასა და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები ამ პრობლემებთან გასამკლავებლად იღებენ სხვადასხვა დოკუმენტებს (მაგალითად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, ხოლო, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, საკანონმდებლო აქტები, როგორცაა საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“).

სირთულეები თავს იჩენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის დასაქმების კუთხით. შრომის თავისუფლება კონსტიტუციის 26-ე მუხლით არის დაცული, მაგრამ შშმ პირებს უწევთ უამრავ გამოწვევასთან გამკლავება, როგორცაა დისკრიმინაცია და სტერეოტიპები, რომლებსაც მყარად აქვთ ფესვები გადგმული საზოგადოებაში, ამგვარი დამოკიდებულება ერთგვარ ბარიერს უქმნის მათ დასაქმების გზაზე, რაც ხელს უშლით სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ აძლევს საშუალებას სრული პოტენციალი გამოავლინონ.

ერთ-ერთი გზა ამ პრობლემებთან ბრძოლისა არის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს რეგულაციებსა და პროცედურებს, რომლებიც ეფექტურად სრულდება, რათა დაცული იყოს შშმ პირთა შრომისა და დასაქმების უფლება.

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოკვლევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით, რაც მოიცავს როგორც რელევანტური შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტების შესწავლას, აგრეთვე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების ხარისხის გამოკვლევასა და არსებული

ხარვეზების გამოვლენაზე, რაც აუცილებელია, რომ მომავალში უკეთესად იქნეს დაცული შშმ პირთა შრომითი უფლებები და მათ შეძლონ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საკვანძოსიტყვები: შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა; შრომისა და დასაქმების უფლება; დასაქმების ხელმისაწვდომობა; კანონმდებლობის მიმოხილვა.

Legal Framework for Protection of the Right To Work of Persons with Disabilities in Georgia

Mariam Bughadze, Maka Kurdiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The rights of persons with disabilities are one of the critical and problematic issues in the field of human rights as persons with disabilities worldwide face many difficulties daily and at different stages of life.

International organizations and states adopt various documents to deal with these problems (for example, the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities, and at the domestic level, legislative acts, such as the Law of Georgia on the Rights of Persons with Disabilities).

Difficulties appear in various areas of life, including employment. PwDs have to deal with many challenges, such as discrimination and stereotypes, which are firmly rooted in society, this attitude creates a kind of barrier for them, in the way of employment, which prevents them from fully participating in public life, does not allow them to show their full potential.

One of the ways to combat these problems is an appropriate legal framework that provides regulations and procedures, which are enforced efficiently to protect the right to work of PwDs. The purpose of our paper is to examine the current legislation in Georgia regarding employment of disabled persons, which includes the study of relevant domestic normative acts, as well as the international documents ratified by the state. Also, special attention will be paid to examination of the quality of implementation of the legislation in practice and the identifying of existing gaps, which is necessary to better protect the labor rights of disabled persons in the future and enable them to actively participate in public life.

Key Words: Promotion of employment of PwDs; Right to work; Accessibility of employment; Overview of the legislation;

ონლაინ ბაზრები და პროდუქტის პასუხისმგებლობის რისკები

ქეთევან გიორგაშვილი, ანანო გახარია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პირველ რიგში, ვიდრე უშუალოდ კვლევის მიზნებზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, აუცილებელია, განიმარტოს ონლაინ პლატფორმების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე ცხოვრებაში. ონლაინ პლატფორმები ქმნიან ბაზარს პროდუქტებისთვის, სერვისებისთვის, იდეებისა და შინაარსებისთვის. იგი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთთან ინტერაქციისთვის. ეს პლატფორმები (როგორებიცაა Amazon, eBay) ინტერნეტ სივრცეში მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობენ და აკონტროლებენ ბევრ ასპექტს.

შედარებისთვის კი, ინტერნაციონალური პლატფორმები ავითარებენ იმაზე მეტ ძალას, ვიდრე ქარხნის მფლობელები ადრეული ინდუსტრიული რევოლუციისას. ასევე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ როდის გახდა აღნიშნული პლატფორმები მეტად აქტუალური, აღსანიშნავია Covid-19 პანდემიის შესაბამისად წარმოშობილი გამოწვევები, რომლებმაც ამ ბაზრების საჭიროება გაამძაფრა. ონლაინ პლატფორმების აქტუალურობასთან ერთად, დადგა საკითხი იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოწესრიგებულიყო თანამდები სამართლებრივი ურთიერთობები და როგორ უნდა გამკლავებოდნენ ახალ გამოწვევებს. სახელმწიფო უწყებებისა თუ სხვადასხვა მომხმარებელთა ორგანიზაციების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ონლაინ პროდუქციის უსაფრთხოების საკითხიდან წარმოშობილი პრობლემები. ბაზრებისთვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ჩამოაყალიბონ ისეთი საბაზრო სივრცე, რომელიც მომხმარებლებს შეუქმნის უსაფრთხოების განცდას შესაბამისი გარანტიებით. მათ აუცილებლად უნდა უზრუნველყონ პირობათა ისეთი ჩამოყალიბება, რომ არ იყოს მარტივად შესაძლებელი პირთა დისკრიმინაცია. აუცილებელია ის, რომ საბაზრო სივრცე იყოს პროცედურულად სამართლიანი, ღია, სტაბილური და რაც მთავარია, უსაფრთხო. აგრეთვე გვსურს, განვსაზღვროთ პასუხისმგებლობის საკითხი წუნდებულ პროდუქტთან მიმართებით და აღვნიშნოთ, რომ წუნდებული პროდუქტიდან წარმოშობილი მოთხოვნები მრავალწახნაგოვანია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებსა და სახელმწიფოებში გათვალისწინებულ

სამართლებრივი მოწესრიგების გზებზე. საკითხის განხილვის პარალელურად, ნაშრომში წარმოჩენილი იქნება სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, რათა თეორიული კვლევის გარდა, პრაქტიკული მაგალითებით განისაზღვროს და ნათლად წარმოჩინდეს ონლაინ ბაზრების მნიშვნელობა დღევანდელ რეალობაში. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოთქმული იქნება რეკომენდაციებიც სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ ბაზრები, პასუხისმგებლობის რისკები.

**ადამიანის უფლებების დაცვა და საჯარო ინტერესი დემოკრატიულ
სახელმწიფოში (აზრის გამოხატვისა და შეკრებებისა და
მანიფესტაციების თავისუფლების უფლებების კონტექსტში)**

ლანა გელაშვილი ანა გოგობერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს სახელმწიფოს როლს მოქალაქეთა თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლების დაცვის პროცესში. განვიხილავთ საქართველოს კონსტიტუციის 17-ე და 21-ე მუხლებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის, ასევე შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის უფლება.

ამ უფლებების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის სტანდარტი შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საერთაშორისო სტანდარტებთან. ეს სტანდარტები არის ფუნდამენტური პრინციპები დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსი.

ეროვნული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული და დაცული გამოხატვისა და შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლებები არ არის უნივერსალური უფლებები და მათი შეზღუდვა დასაშვებია სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმური და კანონიერი ჩარევის საფუძველზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ მოლოდინი, რომ საჯარო ინტერესსა და ადამიანი უფლებებს შორის ბალანსი იქნება დაცული, როგორც კანონმდებლობის, ისე სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან.

ამგვარად, ნაშრომში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (2002 წლის 5 ნოემბერი) დაყრდნობით განვიხილავთ საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონმდებლობას შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, შევადარებთ მათ ეფექტურობას საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებას და შევეცდებით შემოგთავაზოთ ჩვენი შეფასებები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეთა, თავისუფალი აზრი, დემოკრატიული სახელმწიფო.

Human rights and public interest in a democratic state (in the context of the rights to freedom of expression and assembly and demonstration)

Lana Gelashvili, Ana Gogoberidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The paper reviews the role of the state in the process of protecting the right of citizens to express their free opinion. We will consider Articles 17 and 21 of the Constitution of Georgia, according to which citizens of Georgia have the right to freely express their opinions, as well as hold assemblies and demonstrations. The standard of protection of these rights guaranteed by the Constitution of Georgia is by the international standards of the European Convention on the Protection of Human Rights and the Universal Declaration of Human Rights. These standards are the fundamental principles of a democratic and legal state. The rights to freedom of expression assembly and demonstration recognized and protected by national and international law are not universal rights and their restriction is permissible based on legitimate and lawful intervention by the state. People living in a democratic state expect that the balance between public interest and human rights will be protected by both the legislation and the executive power of the state. Thus, based on the decision of the Constitutional Court of Georgia (November 5, 2002), in this paper, we will discuss the Constitution of Georgia, Georgian legislation on gatherings and demonstrations, compare their effectiveness with international standards and the experience of other countries, and try to offer our assessments and recommendations.

Keywords: citizens, free opinion, democratic state.

აუცილებელი გზის პრობლემატიკა სანივთო სამართალში

ნატა გეწაძე , მარიამ ადამაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნე სამეზობლო ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. სამეზობლო ურთიერთობებში წარმოჩენილ სხვადასხვა პრობლემატიკას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ, სამეზობლო სამართლის თავი. აუცილებელი გზის ლეგალური დეფინიცია განსაზღვრულია სსკ-ის 180-ე მუხლით. ნაშრომში განხილულია დოქტრინა და პრაქტიკა აუცილებელ გზასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში საკმაოდ ბევრ მაგალითს ვხვდებით სასამართლო დავების სახით, რაც იმის მანიშნებელია, რომ სამოქალაქო ბრუნვაში საკითხი აქტუალურია.

საკითხის კომპლექსურობისა და აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს აუცილებელი გზის პრობლემატიკა სანივთო სამართალში. მიუხედავად კოდექსში არსებული მოწესრიგებისა, დაბალია საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხთან მიმართებით. აუცილებელი გზის კონსტრუქციით კანონმდებელმა შემოიტანა საკონტროლო მექანიზმი, რომლითაც, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, შეუძლია ისარგებლოს იზოლირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, მიწის ნაკვეთის აუცილებელ კომუნიკაციებთან კავშირის უზრუნველსაყოფად.

სამეცნიერო კვლევის მიზანია, განსაზღვროს მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისთვის მისი საჯარო გზებთან აუცილებელი კავშირის საკანონმდებლო წინაპირობები, გამოიკვლიოს და გაანალიზოს სერვიტუტისა და აუცილებელ გზასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და სხვა რიგი საკითხები. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევხედოთ ეროვნულ კანონმდებლობას „გარედან“ და შევიმუშავოთ რეკომენდაციები პრაქტიკის სრულყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: სამეზობლო ურთიერთობები, სერვიტუტი, აუცილებელი გზა, აუცილებელი კომუნიკაციები, იზოლირებული მიწის ნაკვეთი.

The problem of the necessary road in commercial law

Nata Getsadze, Mariam Adamashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The 21st century is unimaginable without neighborhood relations. The civil code of Georgia regulates the various problems in neighborhood relations, in particular, the chapter on neighborhood law. The legal definition of a necessary road is determined by Article 180 of the Civil Code of Georgia. The paper discusses the doctrine and practice regarding the necessary path. In practice, we find quite a lot of examples in the form of lawsuits, which is an indication that the issue in civil turnover is relevant.

Due to the complexity and urgency of the issue, the object of our research is the problem of the necessary path in the commercial law.

Despite the regulations in the code, public awareness of this issue is low. With the construction of the necessary road, the legislator introduced a control mechanism that, in cases of urgent necessity, can be used by the owner of an isolated plot of land to ensure the connection of the plot of land with necessary communications.

The purpose of the scientific research is to determine the legal prerequisites for the necessary connection of the land plot with public roads, to investigate and analyze the legal practice related to the easement and the necessary road, and a number of other issues. In the research process, the comparative-legal research method is used, which allows us to look at the national legislation "from the outside" and develop recommendations for improving the practice.

Key words: neighborhood relations, easement, essential road, essential communications, isolated plot of land.

კიბერ დელიქტი და მისი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

სანდრო გზირიშვილი, ზურაბ კაპანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღესდღეობით ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს კიბერ სამყარო, სადაც უამრავ დროს ვატარებთ, შესაბამისად უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულწილად ადამიანთა ფსიქიკასა და განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს იგი. თანამედროვე კანონმდებლობაში სამართლებრივი მარეგორმებმა რაღაც მხრივ შეძლო და მოაწესრიგა კიბერ სამყაროსთან ასოცირებული საფრთხეები. სამწუხაროდ, არსებობს აქტუალური საკითხები, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ისინი სამართლებრივი მოწესრიგების მიღმა რჩებიან.

დელიქტური სამართლის მიზანს წარმოადგენს იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც პირმა საკუთარი ბრალეული ქმედებით სხვა პირს მიაყენა ზიანი. კიბერ სივრცეში კი სამართალდარღვევები ხშირად გვხვდება, მაგალითად, კიბერ ბულინგი. მოცემულ ვითარებაში მნიშვნელოვანია, პირს, რომელიც მსგავს ქმედებას ჩადის, უფლება შელახულმა პირმა დააკისროს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის. ამისათვის საჭიროა კიბერ სივრცეში ჩადენილი დელიქტებით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრა შეგვეძლოს არა ზოგადი ნორმით, რომელიცაა სსკ 992-ე მუხლი, არამედ სპეციალური ნორმით, რომელიც მოაწესრიგებს მხოლოდ კიბერ სივრცეში ჩადენილ დელიქტებს.

საქართველოს უახლოესი პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია თვითმკვლელობამდე მიყვანა კიბერ დელიქტით, მაგალითად, კიბერ ბულინგით, განსაკუთრებით არასრულწლოვანებში, ეს ნორმა კი დაგვეხმარება მსგავსი დანაშაული აღმოფხვრას და მოახდინოს პრევენცია. პირს შეეძლება მსგავსი ქმედება აირიდოს თავიდან და სამოქალაქო სამართლებრივად მოაგვაროს იგი. ეს იქნება ის ეფექტური ბერკეტი რომელიც მოგვცემს საშუალებას ავირიდოთ სისხლის სამართლის დანაშაულები და სასიკვდილო შედეგები.

აგრეთვე ძალზე საინტერესოა არაქონებრივი (მორალური) ზიანი ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც ანონიმური პირის მიერ ხორციელდება. კიბერ სამყაროში

არც ისე რთულია დამალო შენი მონაცემები და განახორციელო ქმედება ყოველგვარი ვინაობის გამჟღავნების გარეშე. ასეთ შემთხვევაში კიბერ დელიქტის განხორციელების შედეგად ბუნდოვანია, თუ ვის უნდა დაეკისროს სანქცია სპეციალური მუხლის არსებობის პირობებშიც კი. სწორედ ამიტომ საჭიროა ნორმა, რომელიც მიესადაგება კიბერ დელიქტს, იძლეოდეს განმარტებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ფიზიკური პირი ანონიმურ პირისგან მიღებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის პირობებში და როგორ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ეს საქმე.

საყურადღებოა ასევე ის ფაქტიც, რომ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს კიბერ დანაშაულები კიბერ დელიქტისაგან, რათა შევძლოთ ქმედების სწორად კვალიფიკაცია, ასევე ეს იმისათვის არის მნიშვნელოვანი რომ გადაწყდეს რომელმა სასამართლომ განიხილოს დავა სისხლის სასამართლომ თუ სამოქალაქო სასამართლომ. აუცილებელია კიბერ დანაშაულსა და კიბერ დელიქტს შორის გაივლოს მკაფიო მიჯნა.

საკვანძო სიტყვები: კიბერ დელიქტი, არაქონებრივი მორალური ზიანი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურება.

მყიდველის მეორეული მოთხოვნების სისტემატიკა ნაკლოვანი შესრულებისას

მარიამ გიორგაძე, ლიზი წიგნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მხარეებს შორის ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე არის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება თითქმის ყველა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰპოვებს ასახვას. ვინაიდან, ნასყიდობის ხელშეკრულებას გააჩნია ასეთი მნიშვნელობა, ასევე მნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული ურთიერთობის რეგულირებაც. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა იცოდნენ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ და რა ხდება მაშინ, თუ ამ უფლება-მოვალეობებს დაარღვევენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ეს არის ის კრიტერიუმები, რაც ვალდებულების სრულფასოვან შესრულებას განაპირობებს, თუ მხარე თავის ვალდებულებას შეასრულებს ამ კრიტერიუმების დარღვევით, მაშინ აშკარა იქნება ვალდებულების დარღვევა. თემის პირველი ნაწილიში საუბარია მყიდველის მეორეული მოთხოვნის საწარმოო საფუძვლებზე, განხილულია ვალდებულების დარღვევისა და ნაკლოვანი შესრულების შემთხვევები. ვალდებულების დარღვევა, როგორც უკვე იქნა ნახსენები, დაკავშირებულია ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებასთან. რაც შეეხება ნაკლოვან შესრულებას, აქაც მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არაჯეროვნად ასრულებს, თუმცა მას რჩება შესაძლებლობა, რომ აღმოფხვრას ის ნაკლი, რამაც ნაკლოვანი შესრულება გამოიწვია.

რაც შეეხება ძირითად ნაწილს, მასში საუბარი არის მყიდველის მიერ მეორეული მოთხოვნების იერარქიაზე. ვინაიდან არსებობს მოთხოვნებს შორის იერარქია, უპირველესად განხილული არის დამატებითი შესრულების მოთხოვნის შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე სახე გააჩნია, ეს არის ნივთის შეცვლა, დამატებითი ვადის დანიშვნა, ნივთს ნაკლის გამოსწორება. ასევე განხილული იქნება მეორეული მოთხოვნის შედმეგი სახე ხელშეკრულებიდან გასვლა, ასევე საუბარი იქნება ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც მყიდველს შეუძლია ნებისმიერი მეორეული მოთხოვნასთან ერთდ მოვალეს მოსთხოვოს. რაც შეეხება დასკვნის ნაწილს,

შეჯამებულია მთლიანი კვლევა მყიდველის მიერ მეორეული მოთხოვნის უფლების წარმოშობისა და მათი იერარქიის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მყიდველი, მეორეული მოთხოვნების სისტემატიკა, ნასყიდობა, ხელშეკრულება.

Abstract

One of the most common forms of origination of obligations between parties is a contract of sale. Purchase contract is reflected in almost every person's daily life. Since the purchase agreement has such importance, it is also important to regulate the relationship related to it. It is important that the parties know about their rights and obligations and what happens if they violate these rights and obligations. According to the Civil Code of Georgia, the obligation must be performed regularly, in good faith, at the appointed time and place. These are the criteria that determine the full performance of the obligation, if the party fulfills its obligation by violating these criteria, then the violation of the obligation will be obvious. The first part of the topic talks about the bases of the secondary demand of the buyer, the cases of breach of obligation and incomplete performance are discussed. As for deficient performance, here too the party fulfills the conditions provided for in the contract in a timely manner, although he has the opportunity to eliminate the defect that caused the deficient performance. As for the main part, it talks about the hierarchy of secondary production by the buyer. Since there is a hierarchy between the requests, the case of the additional performance request, which has several forms, is considered, i.e. changing the item, setting an additional deadline, correcting the item's defect. Also, withdrawal from the contract as a result of secondary production will be discussed, as well as the compensation of damages, which the buyer can demand from the debtor along with any secondary production. As for the concluding part, the whole research on the origin of the buyer's right of secondary demand and their hierarchy is summarized.

ქალთა უფლებები ისლამურ სამართალში მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ

ნატა გეწაძე, გვანცა მაილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქალთა უფლებების სრულყოფილად რეალიზება კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ჩვენი ნაშრომი შეეხება ქალთა უფლებებს ისლამურ სამართალში მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ. ისლამური სამართალი რელიგიური სამართალია და ის ეფუძნება მუსლიმთა წმინდა წიგნს-ყურანს. ყურანში გადმოცემული ბუნდოვანი ნორმები მუსლიმ მეცნიერ-სწავლულების, ფაკიჰების მიერაა განმარტებული. მათზე დაყრდნობით ვარკვევთ, რომ ისლამურ სამართალში ქალთა უფლებები მეტ-ნაკლებად იყო რეალიზებული.

კვლევის მთავარ წყაროს წარმოადგენს საოჯახო სამართალი, რომელიც დეტალურად დამუშავებულია ყურანში. საოჯახო სამართალში მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ქორწინება და განქორწინება. ძალზედ საინტერესოა ამ ორ ინსტიტუტთან ქალთა უფლებების მიმართება: განსხვავებით სხვა სამართლებრივი სისტემებისგან, ისლამურ სამართალში ქალს განქორწინების უფლება ჰქონდა, იღებდა სამემკვიდრეო წილს, გარკვეულ შემთხვევაში დებდა გარიგებებს.

კვლევის ეფექტურობისთვის ვიყენებთ შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, ასევე პარალელს ვაკლებთ თანამედროვე ისლამურ ქვეყნებთან (ირანი, თურქეთი). აქედან გამომდინარე ნაშრომში გადმოცემულია ქალთა უფლებების ტრანსფორმაცია ძველი დროიდან დღემდე.

კვლევის შედეგად მკითხველი შეძლებს გაეცნოს და აიმაღლოს ცნობიერება ქალთა უფლებების თავისებურებებს ისლამურ სამართალში.

საკვანძო სიტყვები: ყურანი, ქალთა უფლებები, ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა, ისლამური სამართალი.

Women's rights in Islamic law after the death of Muhammad

Nata Getsadze, Gvantsa Mailashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The full realization of women's rights remains one of the world's main challenges. Our work will concern women's rights in Islamic law after the death of Muhammad. Islamic law is a religious law and it is based on the holy book of Muslims - the Koran. Based on them, we conclude that women's rights were more or less realized in Islamic law.

The main source of the research is family law, which is elaborated in detail in the Koran. Marriage and divorce are important institutions in family law. The relation of women's rights to these two institutions is very interesting: unlike other legal systems, in Islamic law, a woman had the right to divorce, received a share of inheritance, and in certain cases made deals.

For the effectiveness of the research, we use a comparative-legal analysis, we also draw a parallel with modern Islamic countries (Iran, Turkey). Therefore, the work describes the transformation of women's rights from ancient times to the present day.

As a result of the research, the reader will be able to get to know and raise awareness about the features of women's rights in Islamic law.

Keywords: Koran, women's rights, marriage, divorce, inheritance, Islamic law.

კლიმატის ცვლილება და საქართველოს როლი მის შერბილებაში

გიორგი ვასაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, როგორცაა კლიმატის ცვლილება და მისი რეგულირება საქართველოს მიერ, ვინაიდან კლიმატის ცვლილებას წარმოადგენს ბუნებრივ მოვლენას, ჩვენ არ შეგვიძლია მისი შეჩერება, თუმცა შეგვიძლია დავაჩქაროთ ის უარყოფითი პროცესები და შედეგები რაც მას სდევს თან, რადგან სწორედ ადამიანის მიერ განცოცხლებული ქმედება იწვევს გარემოსადმი ზიანის მიყენებას, რომლის ხანგრძლივი პროცესის შედეგია კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა, რომელიც თავისმხრივ შედეგია კლიმატის ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ჭარბი გამოყენებით, რესურსების შემცირებით, ჰაერის დაბინძურებით რაშიც განსაკუთრებული წვლილი სათბური ემისიების გამოყოფას მიუძღვის, რაც თავისმხრივ გაუმართავი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებითაცაა განპირობებული, ტყის მასიური ჭრა და გახშირებული ხანძები, არაგანახლებადი რესურსების ჭარბად მოხმარება, მიწის დეგრადაცია, წყლის დაბინძურება და სხვა, ყოველივე აღნიშნული ყოველდღიურობის ნაწილია რაც ამდაფრებს კლიმატის ცვლილების პროცესებაც, ამიტომ ის საჭიროებს სწრაფ რეაგირებას თიოთეული ქვეყნის მხირდან, რადგან პრობლემა გლობალურია, ამიტომაც ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვითი კუთხით, მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე არაერთი ვალდებულება აქვს განსაცოცხებელი, ნაშრომში წარმოდგენილია ის ქმედებები რომლებსაც ქვეყნა კლიმატის ცვლილებების შესარბილებლად აკეთებს და ძირითადი აქცენტი გამახვილებულია სწორედ სამომავლო კლიმატის კანონზე რომელიც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის აღნიშნული პროცესის რეგულირებას, კანონის შესამუშავებლად აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები საზოგადოებსთან მათი კითხვებისა და შემოთავაზებების მოსასმენად, რაზე დაყრდობითაც შეიქმნა "თეთრი წიგნი" კლიმატის კანონზე ერთგვარი ჩარჩო, რომლის სრულყოფაში მოყვანას პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი უძღვება და უახლოეს მომავლში, კანონში ყველა ფაქტორის გათვლისწინების დასრულების შემდგომ, ქვეყანას ექნება ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი

დოკუმენტი, როგორცაა კლიმატის ცვლილების კანონი.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობა, რეგულირება, საქართველო.

Abstract

The paper presents such an important challenge as climate change and its regulation by Georgia, since climate change is a natural phenomenon, we are able to stop it, however, we can accelerate the negative processes and consequences that follow it, because it is human action that causes damage to the environment. The long-term effects of climate change and global warming, which are itself a result of climate change, are caused by overuse, depletion of resources, air pollution, which has a special contribution to the release of greenhouse emissions, which is itself due to the use of faulty technological means, massive deforestation and frequent fires. Excessive consumption of non-renewable resources, land degradation, water pollution, etc., all of these are part of daily life, which aggravates the processes of climate change, so it requires a quick response from

of each country, because the problem is global, that's why all states are obliged to contribute in terms of environmental protection, including Georgia, which has a number of obligations to fulfill based on international agreements, the paper

presents the actions that the country takes to mitigate climate change, and the main focus is on the future climate law, which will make the regulation of the mentioned process even more effective. Based on that, the "White Book" on the climate law was created, a kind of framework, which is being perfected by the environmental protection committee of the parliament, and in the near future, after all factors are taken into account in the law, the country will have such a significant legal document as the climate change law.

არჩევნები და წარმომადგენლობითი დემოკრატია

გოგა თავდგირიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანს არჩევნები და საარჩევნო სისტემები წარმოადგენენ, რომლებიც გამაწყვეტ როლს ასრულებენ მოსახლეობის პოლიტიკური ნების გამოხატვაში. წინამდებარე ნაშრომით განვიხილავთ თუ რა გზა განვლო არჩევნებმა საქართველოში და რა მდგომარეობაა დღეს. მიმოვიხილავთ საარჩევნო სისტემებს, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობის ნების გამოხატვასა და მის სისრულეში მოყვანას. არჩევნები უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ არჩევნებზე დაფუძნებულ ძირითად პრინციპებს, რათა მოქალაქეების ხმები არ დაიკარგოს. გარდა ამისა, შევხებით საარჩევნო სისტემების დადებით და უარყოფით მხარეებს, თუ რომელი მათგანი უწყობს ხელს მოსახლეობის ნების უკეთ გამოხატვას. არჩევნების მნიშვნელობას ისიც უსვამს ხაზს, რომ იგი საერთაშორისო აქტებითაა დაცული, რაზეც ჩვენი კვლევის ფარგლებში ვისაუბრებთ. დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანი სწორედ ისეთი არჩევნების ჩატარებაა, რომელიც ხალხის ნებას პრაქტიკაში მოიყვანს.

სხვადასხვა მეცნიერს, პროფესორს თუ საზოგადო მოღვაწეს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით, საუბრობენ იმ პრობლემებზე, რომლებსაც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები აწყდებიან და გამოსავალს სხვადასხვა სისტემაში ხედავენ. წინამდებარე ნაშრომით განვიხილავთ საარჩევნო სისტემებს მსოფლიო და ადგილობრივ მაგალითებზე დაყრდნობით, თუ რა განვითარების ეტაპი განვლო არჩევნებმა საქართველოში და რა მდგომარეობა გვაქვს დღეს, რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო და რა შეიძლება იყოს გამოსავალი.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო სისტემა, წარმომადგენლობითი დემოკრატია, მოსახლეობის ნება, სახელმწიფო.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი

ანა გოდერიძე, მარიამ ჩიტაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების - საჯარო მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზიანისათვის სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლის პრაქტიკისა და მეცნიერე ბისერო-ერთი აქტუალური საკითხია. თანამედროვე სახელმწიფოში როგორც სახელისუფლებო ძალაუფლების მატარებელი სუბიექტის - ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობაა საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების იმდაგვარად განხორციელება, რომ დაცული იყოს კერძო პირთა უფლებები მათი მატერიალური ანდა მორალური ზიანის, არამართლობიერი შეზღუდვის ასაცილებლად. თუმცა, ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ საკითხის სირთულეს წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესები, რომლებიც ფაქტობრივად, ერთმანეთს უპირისპირდება, ესენია: სახელმწიფოს ქმედუნარიანობის შენარჩუნებისა და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი, რასაც განვიხილავთ შემდგომში.

ამგვარად, ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირები, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები, პასუხს აგებენ სხვა პირისათვის მიყენებული მატერიალური ან მორალური ზიანის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მის საფუძველზე საქართველოს სასამართლოების მიერ წლების განმავლობაში დადგენილი პრაქტიკის მიხედვით ადაპტირებულია ზიანის ანაზღაურების შესაბამისი წესები და მათ შორის წინაპირობები. წარმოდგენილ ნაშრომში ვისაუბრებთ საკითხზე, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც ზიანი შეიძლება მიადგეს არა მხოლოდ კერძო პირის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მხრივაც, ესენი არიან სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან კანონის საფუძველზე დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განმანხორციელებელი სხვა პირები. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება პასუხისმგებლობა დაზარალებულის მიმართ იმ წესით, რომელიც ძირითადად მსგავსია სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების პროცედურისა, მაგრამ გარკვეული განსხვავებული თავისებურებების დაშვებით.

ნაშრომში წარმოდგენილია, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები და საფუძვლები. ასევე განვიხილავთ თანამედროვე პრაქტიკულ მაგალითებს მოცემულ საკითხთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, პასუხისმგებლობა, საჯარო მოსამსახურეები.

The Question of the Responsibility of the Administrative Body

Abstract

The liability of the state for damage caused by its organs - public servants - is one of the widespread issues in the practice and science of law in a rule of law state. In a modern state, as a subject bearing governmental power, it is the duty of an administrative body to exercise public law authority in such a manner that the rights of private individuals should be protected from material or moral harm and from unjust restrictions. However, it must also be noted that the complexity of this issue lies in the conflicting interests of the state. These interests include maintaining the state's operational capability and ensuring the protection of citizens' rights, a principle which we will discuss further. Thus, natural persons or legal entities under private law, as subjects of civil transactions, are liable for material or moral damage caused to another person. According to the Civil Code of Georgia and the practice established by Georgian courts over the years based on it, the appropriate rules and conditions for compensation of damage have been adapted. In this paper, we will discuss the issue of the liability of an administrative body, particularly when damage may be inflicted not only on private individuals but also by the administrative body itself. These include state or municipal bodies, legal entities under public law, or other persons exercising public authority delegated by law.

Of course, in such cases, the administrative body responsible for causing the damage is liable to the injured party in accordance with rules that are generally similar to the procedures for compensation of damage established by civil law, albeit with certain distinct features. The paper presents the conditions and grounds for imposing the obligation of compensation for damage by the state, as well as the prerequisites and basis for claiming compensation for damage. We will also examine contemporary practical examples related to this issue.

ხელოვნური ინტელექტის გავლენა მომხმარებელთა უფლებებზე

მარიამ გორგოტაძე, ანა სამადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა მომხმარებელთა უფლებებზე. ეკონომიკა სულ უფრო გლობალური და ციფრული ხდება, ახალი სამომხმარებლო დღის წესრიგი 2020-2025 წლებისათვის მიმართულია ერთიანი ციფრული ბაზრის ფუნქციონირების ბარიერების მოხსნაზე, ხელოვნური ინტელექტის მეტად ინტეგრირებაზე მომხმარებელთან ურთიერთობისას, მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი ხარისხის გარანტიების შეთავაზებაზე. ე.წ ჩატბოტები და მომხმარებელთა ავტომატიზებული მომსახურება სულ უფრო პოპულარული ხდება, რაც ლოგიკურიც არის, ვინაიდან ისინი წარმოადგენს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებისა და გაყიდვების გაზრდის ეფექტურ საშუალებას.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გაანალიზოს მომხმარებლის პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის: ძიების, შესყიდვის ისტორია, სოციალურ ქსელებში აქტივობა, რათა უზრუნველყოს პროდუქტის პერსონიზირებული რეკომენდაციები და მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები. საინტერესოა, როგორ განსაზღვრავს ალგორითმი პერსონალიზირებულ ფასს, რა როლს თამაშობს იგი მომხმარებელთა გადახდის სურვილის წინასწარ განსაზღვრაში? როდესაც დგება საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას ციფრულ ბაზარზე ფასების პერსონალიზაციის პროცესში, ჩნდება კითხვა, თუ ვისი პასუხისმგებლობაა აღნიშნული ფასთა სხვადასხვაობა - კომპანიის, რომლისგანაც ვიძენთ პროდუქტს ან მომსახურებას თუ ალგორითმის, რომელიც მომხმარებლის სურვილებსა და პრეფერენციებზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მისთვის პერსონიზირებულ პროდუქციას და ფასს ადგენს. რა სამართლებრივი ბერკეტი არსებობს იმისათვის, რომ მომხმარებლები მეტწილად ინფორმირებულნი და დაცული იყვნენ ალგორითმიზაციის პროცესში დადგენილი ტარიფების შესაძლო დისკრიმინაციული ხასიათისაგან, რომლის ობიექტიც შესაძლოა თითოეული ჩვენგანი აღმოჩნდეს ამ კითხვაზე პასუხს „ომნიბუსის“ დირექტივა იძლევა, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპარლამენტის, კომისიის და საბჭოს მიერ შემუშავებული პერიოდული სტრატეგია მომხმარებელთა უფლებების

დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. სწორედ ზემოაღნიშნულ წყაროებსა და არამხოლოდ მასზე დაყრდნობით შევეცდებით მოცემულ ნაშრომში გამოვკვეთოთ ყველა ის პრობლემა და გამოწვევა, რაც დღესდღეობით მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არსებობს და ვისაუბროთ იმ დაცვის მექანიზმებზე, რაც აუცილებელია, რომ მუდმივი ალგორითმიზაციის პროცესში უგულებელყოფილი არ იქნას მომხმარებელთა უფლებები.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი არის დინამიური, განვითარებადი სფერო, რომელიც მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და ადაპტაციას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ხელოვნური ინტელექტი ხდება ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, ევროპული დირექტივა, ალგორითმები.

უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები ქართულ საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში

ქეთევანი გუგუშვილი, გვანცა კვაჭაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კანონმდებლობა იმ პირებთან ერთად, რომლებსაც აქვთ მემკვიდრეობის უფლება, ასევე განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრესაც, რომლებიც არც კანონით და არც ანდერძით შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. ამგვარი სუბიექტები მემკვიდრეობით სამართალში უღირს მემკვიდრეებად მიიჩნევიან. აქედან გამომდინარე, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს უღირსი მემკვიდრის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ცნებას და ყურადღებას ამახვილებს იმ ასპექტებზე, რომლებიც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უღირსი მემკვიდრისთვის უფლების შეზღუდვა, თავის მხრივ, მამკვიდრებელს თავისუფალი ნების გამოხატვისა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. მამკვიდრებლის უფლების დაცვა და თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მინიჭება კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი პრეროგატივაა. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი საკუთარი ქმედებით ირიბად თუ პირდაპირ ზემოქმედებს მამკვიდრებელზე, მის ნება-სურვილზე, ჩადის განზრახ დანაშაულს. ამის მიუხედავად, ზოგჯერ ზუსტად ვერ დგინდება, ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე, უნდა ჩამოერთვას თუ არა პირს მემკვიდრეობის უფლება, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსში ბუნდოვნად არის მოწესრიგებული უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლები. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ჩვენსწ მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო პრობლემები და თავისებურებანი, გამოკვეთოს სუბიექტის უღირს მემკვიდრედ აღიარების წინაპირობები, განმარტოს და შეაფასოს მოცემული ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება.

საკვანძო სიტყვები: **მემკვიდრე, ანდერძი, მამკვიდრებელი, უფლება.**

Abstract

The law recognizes the rights of those who possess property and also delineates the individuals who cannot acquire ownership, either through legal means or otherwise. These individuals are acknowledged as having interests in property matters. Consequently, family and property law acknowledge the property interests of unworthy heirs and emphasize the legal system's focus on defining the precedence of such interests. It's important to recognize that restricting property rights for unworthy heirs allows testator the right and opportunity to exercise their freedom of choice and personal discretion in decision-making. safeguarding the testator's rights and facilitating their free decision-making are fundamental aspects of legal practice. Unfortunately, there are instances in contemporary reality where individuals, through their action or directly, place undue burdens on the testator. Determining whether such actions constitute negligence can be challenging. The aim of this article is to address the legal issues and relationships pertinent to our discussed topic, to examine the priorities of unworthy heirs' property interests, and to analyze and assess the regulatory framework of the relevant institution. Through this lens, the article explores various sources and court rulings on relevant matters, providing an extensive examination of the legal aspects of unworthy heirs and the associated processes.

Keywords: Testator, Will, Heir, Right.

**ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი ადგილობრივი
თვითმმართველობის განვითარებაში: გურჯაანისა და გორის
შედარებითი ანალიზი**

გიორგი გულეური, თათა თიბილოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს მთავრობის მიერ, 2020 წელს დამტკიცებული "2020-2030 წლის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის" ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალგაზრდებისთვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მისი შესრულება ევალუა ყველა მუნიციპალიტეტს, რაც ნიშნავს სათანადო ყურადღების მიქცევას ახალგაზრდებისთვის, თუმცა დოკუმენტში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული თითოეული მუნიციპალიტეტიდან გამომდინარე, როგორ უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ ამ საკითხის გადატანა მუნიციპალურ დონეზე და ფართოდ გაშლამნიშვნელოვანია, რათა ვიწროჭრილში დავინახოთ, ამ შემთხვევაში გორისა და გურჯაანის მაგალითზე, როგორ ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვა, ფორმირება და აღსრულება. შესაბამისად კვლევის თემას შემდეგნაირად ვაყალიბებთ: ახალგაზრდული გურჯაანისა და გორის მუნიციპალიტეტების შერჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ორგანიზაციების საკმაოდ დიდ რაოდენობა იყრის თავს, ხოლო კონტრასტის სახით გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები ფაქტობრივად არ გვხვდება. შესაბამისად ეს ორი მუნიციპალიტეტი ერთმანეთის ანტიპოდს წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია თუ რა როლს ასრულებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფო პოლიტიკა მუნიციპალიტეტებში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების განსავითარებლად და ადგილობრივ თვითმმართველობში ჩასართავად. რა მიდგომები არსებობს მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების გაძლიერების, ჩართულობის კუთხით და ასევე, რა როლს ასრულებენ ეს ორგანიზაციები აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში და არის თუ არა მათი როლი განმსაზღვრელი სახელმწიფოსთვის ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისას.

აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანსაც შესაბამისად ვაყალიბებთ, დავადგინოთ როგორ ურთიერთქმედებენ ახალგაზრდული ორგანიზაციები და თვითმმართველი ორგანოები. უწყობს თუ არა სახელმწიფო ხელს მათ ფუნქციონირებას ხელს და რა როლი მიუძღვის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თვითმმართველობის განვითარებაში, შეადგენენ თუ არა ისინი საჭირო კომპონენტს და განვითარების ბერკეტს მუნიციპალიტეტისთვის თუ არ ცვლიან მუნიციპალურ დღის წესრიგს. მიზნებიდან გამომდინარე კვლევის კითხვას შემდეგნაირად ვსვამთ: როგორ პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო (ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები) ახალგაზრდებისა და მათი გაერთიანებების, ახალგაზრდული ორგანიზაციების მიმართ და რა გავლენა აქვს არასამთავრობო თუ სამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა, შედარებითი ანალიზი.

სოციალური მეწარმეობის არსი, ქართული და უცხოური პრაქტიკის შედარება

მარიამ გულიტაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღესდღეობით საქართველოში მზარდ დინამიკას ინარჩუნებს სოციალური საწარმოების დამკვიდრების და განვითარების პროცესი. სოციალურ მეწარმეობას დიდი პოპულარობა აქვს მოპოვებული მთელს მსოფლიოში, როგორც სოციალური გამოწვევების გადაჭრის მძლავრი ინსტრუმენტი, რადგან ის აერთიანებს სოლიდარული პრინციპების და მდგრადი განვითარების კონცეფციის კომპონენტებს.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სოციალური მეწარმეობის განვითარებადი ლანდშაფტის საქართველოში და ასევე პარალელი გაავლოს საზღვარგარეთ არსებულ სოციალურ საწარმოებთან. შეისწავლოს ის საერთაშორისო პრაქტიკები, რომლის წარმატებით დანერგვის შემთხვევაში საქართველო კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს გადადგავს ძლიერი ეკონომიკის შექმნისკენ და დაეხმარება საზოგადოებას ხელი შეუწყონ სოციალურ ცვლილებებს, როგორც საქართველოში, ისე გლობალურად.

საქართველოში სოციალური მეწარმეობა ჩნდება, როგორც დინამიური სფერო, მრავალი ინიციატივით, რომელიც მიმართულია ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა უმუშევრობა, სოციალური ინკლუზია და მდგრადი განვითარება. ეს კვლევა განიხილავს საქართველოს სოციალური საწარმოების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს, გამოწვევებს და წარმატებულ ისტორიებს, ხაზს უსვამს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკის კონტექსტების როლს მათი განვითარების ფორმირებაში.

უფრო ფართო პერსპექტივის უზრუნველსაყოფად, საქართველოს გამოცდილება შედარებულია დამკვიდრებულ პრაქტიკასთან სოციალური მეწარმეობის მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიური ქვეყნები. შედარება ცხადყოფს სხვადასხვა მოდელებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტური აღმოჩნდა სხვადასხვა გარემოში. იგი ასევე განსაზღვრავს საუკეთესო პრაქტიკებს და გაკვეთილებს, რომელთა ადაპტირება და განხორციელება შეუძლიათ ქართველ სოციალურ მეწარმეებს მათი გავლენის გასაზრდელად.

საბოლოოდ, სტატია ხაზს უსვამს სოციალური მეწარმეობის ზრდად პოტენციალს

აქტუალური სოციალური საკითხების გადასაჭრელად და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. სოციალური საწარმოების პრაქტიკის დანერგვა და მასშტაბირება უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას და გრძელვადიან პოზიტიურ ცვლილებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმო, მდგრადი განვითარება, სამეწარმეო ეკოსისტემა.

The essence of social entrepreneurship, comparison of Georgian and foreign practices

Abstract

Nowadays, the process of establishment and development of social enterprises maintains a growing dynamic in Georgia. Social entrepreneurship has gained great popularity around the world as a powerful tool for solving social challenges, as it combines the components of solidarity principles and the concept of sustainable development.

The aim of the paper is to explore the emerging landscape of social entrepreneurship in Georgia and also to draw parallels with social enterprises abroad. To study those international practices, which if successfully implemented, Georgia will take another big step towards creating a strong economy and will help the society to promote social changes, both in Georgia and globally.

In Georgia, social entrepreneurship is emerging as a dynamic field with many initiatives aimed at addressing issues such as unemployment, social inclusion, and sustainable development. This study examines the key drivers, challenges, and success stories of social enterprises in Georgia, highlighting the role of cultural, economic, and policy contexts in shaping their development.

To provide a broader perspective, Georgia's experience is compared to established practices in countries with a rich history of social entrepreneurship, such as the United States, Great Britain, and the Nordic countries. The comparison reveals different models and strategies that have proven effective in different settings. It also identifies best practices and lessons that Georgian social entrepreneurs can adapt and implement to increase their impact.

Finally, the article highlights the growing potential of social entrepreneurship to address pressing social issues and promote sustainable development. Adopting and scaling social enterprise practices will ensure country development and long-term positive change.

Key words: Social entrepreneurship, Social enterprise, Sustainable development, Entrepreneurial ecosystem

ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში (საქართველოს მაგალითზე)

გურამ აბაშიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ჩვენს ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა კომუნიკაცია, ისევე როგორც სხვა სფეროებში, მედია სივრცეშიც ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და მასზედ მორგება უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად იქცა, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებელთა რიცხვი ძალიან დიდია და ეს რაოდენობა დღითიდღე უფრო მატულობს. შესაბამისად ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაზე მორგება დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამ ნაშრომში განხილულია ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესი, ტენდენციები და გამოწვევები, გამოკვლეულია პროცესის მიმდინარეობა და შედეგები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ტრადიციული მედია ორგანოების ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრა და იმ შედეგების შესწავლა, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამ პროცესზე ჩამორჩენამ. ასევე კვლევის მიზანია ციფრულ ეპოქაზე მორგებული თუ ვერ მორგებული ტრადიციული მედია ორგანოების შედარებითი ანალიზი, გავლენების ასახვა მათ რეიტინგზე და მედია სივრცეში აუდიტორიის მოზიდვაში აღნიშნული პროცესის როლის განსაზღვრა.

ამ ყველაფრისთვის ჩავატარეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიაზე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ელექტრონული ფორმის კითხვარი (გამოვკითხეთ 300-ამდე 16 წლის ზემოთ, ადამიანი) საიდანაც დავადგინეთ ციფრული და ტრადიციული მედიის გამოყენების, ნდობისა და უპირატესობების სტატისტიკა. თვისებრივი კვლევის მეთოდით გამოვიკითხეთ ტრადიციული მედია ორგანოების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები (ჟურნალისტები). აღნიშნული კვლევების შედეგად გამოიკვეთა საკმაოდ საინტერესო სურათი, რაც ნაშრომში დეტალურადაა წარმოდგენილი.

ეს ნაშრომი ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესში, თავისი შედეგებით გვისახავს, საქართველოში არსებულ საერთო სურათს, რაც თავის წვლილს შეიტანს აღნიშნული პროცესის მნიშვნელობის აღქმის საკითხში და ტრადიციული მედია ორგანოებსა და მათ წარმომადგენლებს მოუწოდებს ამ

პროცესის დაჩქარების აუცილებლობისაკენ, რადგან ეს პროცესი გარდაუვალია და დაგვიანებამ შეიძლება სავალალო შედეგები მოუტანოს ტრადიციულ მედია ორგანოებს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, ტრადიციული მედია, მედიის ტრანსფორმაცია, სოციალური მედია, მულტიმედია, გაციფრულება.

ცხოველი - სამართლებრივი სტატუსი კერძო სამართალში და მორალური დილემები

მარიამ სანაია, გურამ ემუხვარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისგან მიჯნავს მოძრავ და უძრავ ნივთებს, თუმცა ცხოველების სამართლებრივი მდგომარეობა კანონმდებლობით დაუზუსტებელია. დავის საგანია ცხოველები წარმოადგენენ ნივთებს, თუ ისინი შეიძლება მივიჩნიოთ სრულფასოვან სუბიექტებად. ამ საკითხთან მიმართებით იურიდიული და მორალური საკითხები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა კანონმდებლობა თანამედროვე ტენდენციებზე დაყრდნობით, ცხოველებზე, როგორც ცოცხალ არსებებზე, ნაწილობრივ ავრცელებს სუბიექტის სტატუსთან მიახლოებულ სამართლებრივ რეჟიმს და არ განიხილავს მათ მხოლოდ როგორც მოძრავ ნივთს. განსხვავებით ამისგან, საქართველოს კანონმდებლობა ცხოველებს კვლავ ნივთებად აკვალიფიცირებს, თუმცა ბოლო ხანებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, შესაძლოა მიუთითებდეს ახალი ტენდენციის ჩამოყალიბებაზე.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის ერთადერთ მუხლში, კერძოდ, 1003-ე მუხლში, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ და მხოლოდ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე და მუხლის ქვეტექსტში ნახსენებია ცხოველი, როგორც მფლობელობის ობიექტი, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცხოველს განიხილავს, როგორც მფლობელობის ობიექტს ანუ ნივთს. ცხოველებზე შესაძლებელია არსებობდეს საკუთრება და მფლობელობა, რათა ისინი კონკრეტული პირის პასუხისმგებლობას მიეკუთვნებოდნენ.

სამართლებრივ კონტექსტში, ცხოველთა უფლებების დაცვაზე დამყარებული მიდგომა, ადამიანის გარდა „სხვა სულიერი არსებების“ - ცხოველების იურიდიული და მორალური ანალიზის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. თუმცა მიამიტურია იმაზე ფიქრი, რომ კანონმდებლობით ცხოველების სტატუსის განსაზღვრით, როგორც „სხვა სულიერი არსებების“ და მათთვის გარკვეული პიროვნულობის მინიჭებით, არსებული პრობლემები გადაიჭრება. მიუხედავად ამისა, ამგვარი სამართლებრივი კატეგორიის შემოღება ცხოველთა მიმართ ინსტრუმენტალურ მიდგომას დაუპირისპირდება და პრაქტიკაში ცხოველთა უფლებების აზრიან

განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს კი, სავარაუდოდ, ნელი, თუმცა მორალურად და ფილოსოფიურად გამართლებული პროცესი უნდა იყოს. ამდენად, სავარაუდოდ, ის, რაც დღეს არის საჭირო, მიზნის ცვლილებაა, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, რათა ცხოველთა გონიერებასა და მათ სუბიექტობას მეტი ყურადღება მიექცეს და ცხოველთა უფლებები ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ.

კვლევისთვის გამოყენებული იქნება შედარებითობის მეთოდი, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ცხოველების სამართლებრივი მოწესრიგება.

წინამდებარე კვლევაში განხილული იქნება ცხოველების სუბიექტურ-ობიექტურობის საკითხი, ცხოველების ღირსება, როგორც მთავარი განმსაზღვრელი ცხოველთა სუბიექტებად კლასიფიკაციისთვის, შევხებით საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს მათი რეგულირების სფეროს შესახებ, საბჭოური საქართველოდან დღემდე კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებებს.

საკვნაძო სიტყვები: ცხოველი, ნივთი, მფლობელობის ობიექტი, ცხოველთა უფლებები, მოძრავი ნივთი.

Abstract

The municipal legislation intersects with the regulation of movable and immovable properties, yet the legal status of animals remains unjust. Animals are still considered property, capable of representing goods if they can be identified as valuable subjects. Legal and moral questions related to this issue are inherently interconnected.

Internationally, various legal frameworks tend to partially acknowledge the rights of animals, particularly in regards to living beings as sentient entities, but often fail to address them beyond their status as movable property. Moreover, Georgian legislation still qualifies animals as movable property, despite recent legal changes that may indicate a shift in the treatment of animals as qualified subjects.

It is noteworthy that within the Civil Code of Georgia, specifically in Article 1003, attention is solely directed towards the assessment of damages caused by animals, and within the subtext, animals are perceived as objects of ownership, suggesting that Georgian law views animals as property rather than sentient beings. Animals may possess rights and ownership, allowing them to be held accountable to specific individuals.

Within a legal context, addressing the protection of animal rights necessitates a consideration of "other spiritual entities," emphasizing the necessity of legal and moral analysis concerning animals. However, it is imperative to reconsider the establishment of animal status within the legal framework, granting them rights and responsibilities in accordance with their specific identities, rather than treating them as mere movable property. This process should be grounded in moral and philosophical principles. Consequently, the incorporation of this legal category should lead to more careful consideration of animal intelligence and subjectivity, ultimately advancing their rights to a new stage.

For research purposes, a comparative methodology will be employed, contrasting legal frameworks pertaining to animal rights across different countries' legal systems.

Keywords: animal, property, object of ownership, animal rights, movable property.

**ალიმენტი, როგორც საოჯახო ურთიერთობის გარანტი და მისი
გადანდისგან თავის არიდებით გამოწვეული პრობლემები**

დავით პეტრიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ალიმენტის დაკისრება საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ძალზე აქტუალური და პრობლემური საკითხია. შინაარსობრივად, ალიმენტი ლათინური სიტყვაა და სარჩოს მიღებას ნიშნავს. სწორედ ამგვარი ფორმულირებითაა მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. დღევანდელ სამართლის სისტემაში ალიმენტის ინსტიტუტის დამკვიდრებამ მრავალი ეტაპი განვლო. საბჭოთა კანონმდებლობასთან შედარებით, რადიკალურად განსხვავებული სახითაა ჩამოყალიბებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

საზოგადოებაში ალიმენტის ვიწრო გაგებაა გავრცელებული, რაც მშობლის შვილისადმი მატერიალურ უზრუნველყოფაში გამოიხატება. თუმცა სარჩოს მიღება არა მხოლოდ მშობლის ვალდებულებას გულისხმობს, უზრუნველყოს შვილის მატერიალური კეთილდღეობა, არამედ ეს შეიძლება შვილის პასუხისმგებლობაშიც გამოიხატებოდეს. აღსანიშნავია, რომ ალიმენტის დაკისრება ასევე ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობასაც აწესრიგებს. იგი საოჯახო ურთიერთობის გარანტია განქორწინების შემდეგ მშობელსა და შვილს შორის. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის ხსენებული ნაწილი საოჯახო სამართლის სფეროს მოიცავს. საოჯახო სამართლით უზრუნველყოფილია ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები, რაც, ცალსახაა, რომ სამართლის სისტემაში სპეციალურ დანაწესს საჭიროებს. ალიმენტის დაკისრება ერთგვარი სამართლებრივი ბერკეტია მშობლისა და შვილის, თუ მეუღლეთა შორის კავშირის შესანარჩუნებლად. მაგრამ საკითხავია, რამდენად „ჯანსაღია“ სამართლის ნორმებით უზრუნველყოფილი ურთიერთობა. ხაზგასასმელია, რომ სასამართლოს დახმარებით მხარეთა მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნას ხშირად უარყოფითი გავლენა აქვს ოჯახის წევრებზე. ზოგჯერ ხსენებული დაკისრებული ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაში ან მის დარღვევაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ ოჯახის წევრები ცდილობენ გარკვეული არასამართლებრივი მეთოდებით თავი აარიდონ ალიმენტის საშუალებით ერთმანეთის მატერიალურ უზრუნველყოფას. ამრიგად, ალიმენტი ხშირად საოჯახო ურთიერთობის გარანტია ან პირიქით,

ახლადწარმოქმნილი სადავო საკითხი ოჯახის წევრებს შორის. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში განხილულია ზემოხსენებული პრობლემატური საკითხები, რაც გამოწვეულია სამართლის სისტემისა და მის მიღმა არსებული ურთიერმიმართებით.

საკვანძო სიტყვები: ალიმენტი, სარჩოს მიღება, საოჯახო სამართალი, მატერიალური უზრუნველყოფა, სამართლებრივი გარანტი.

Alimony as a guarantor of family relationship and problems caused by avoiding its payment

Abstract

The imposition of alimony in Georgia, as well as in the whole world, is a very relevant and problematic issue. In essence, alimony is a Latin word and means receiving alimony. This is the wording given in the Civil Code of Georgia. Establishment of the institution of alimony in today's legal system has gone through many stages. Compared to the Soviet legislation, it is formulated in a radically different way in the Civil Code of Georgia. A narrow understanding of alimony is widespread in society, which is expressed in the material provision of the parent for the child. However, receiving alimony not only means the parent's obligation to provide for the child's material well-being, but it can also be expressed in the child's responsibility. It should be noted that the imposition of alimony also regulates the relationship between family members. It is the guarantee of family relationship between parent and child after divorce. It can be said that the mentioned part of the Civil Code covers the field of family law. Family law provides for existing relationships between family members, which, of course, requires a special provision in the legal system. The imposition of alimony is a kind of legal lever to maintain the relationship between a parent and a child, or between spouses. But the question is how "healthy" is the relationship provided by the norms of law. It should be emphasized that the request for material security of the parties with the help of the court often has a negative impact on the family members. Sometimes it is expressed in non-timely fulfillment of the mentioned obligation or in its violation. That is why family members try to avoid providing each other with alimony through certain illegal methods.

Thus, alimony is often a guarantee of a family relationship or, on the contrary, a newly created dispute between family members. Accordingly, the above-mentioned problematic issues, which are caused by the relationship between the legal system and beyond, are discussed in this paper.

Keywords: alimony, family law, material security, legal guarantor.

დაუსჯელობა სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების გასაყარზე: იურისპრუდენციიდან რეალპოლიტიკამდე

დავით ხვისტანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგში იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების კონცეფციების ურთიერთმიმართება ერთ-ერთი აქტუალური და საკამათო საკითხია. ამ კონცეფციების ურთიერთმიმართება მოიცავს არამხოლოდ ეროვნულ სამართალს და საერთაშორისო სამართალს, არამედ, საერთაშორისო ურთიერთობებს და პოლიტიკასაც. ეს ნაშრომი იკვლევს სახელმწიფოს იმუნიტეტსა და ადამიანის უფლებებს შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთკავშირს, შეისწავლის, თუ როგორ ახდენენ საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოები ამ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებების დაბალანსებას. სახელმწიფოს იმუნიტეტი, დოქტრინა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართალში, ტრადიციულად იცავს სახელმწიფოებს უცხოური სასამართლოების იურისდიქციისგან, უზრუნველყოფს სუვერენულ თანასწორობას და ხელს უშლის პოლიტიკურ ჩარევას. თუმცა, ადამიანის უფლებათა მზარდი ევოლუცია საფრთხეს უქმნის ამ დაცვას, როდესაც სახელმწიფოები არღვევენ *jus cogens* ნორმებს. საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზით, როგორცაა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR), ისევე როგორც ეროვნული სასამართლოების ძირითადი გადაწყვეტილებები, ეს კვლევა ხაზს უსვამს სასამართლოების რეალპოლიტიკური მიდგომიდან წმინდა იურისპრუდენციულ მიდგომაზე გადასვლის საჭიროებას. ნაშრომი ამტკიცებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მზარდი ტენდენცია სახელმწიფოს იმუნიტეტის შეზღუდვისკენ ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევების დროს, სამართლებრივი ლანდშაფტი რჩება ფრაგმენტული და არათანმიმდევრული. ეს მუდმივი დაძაბულობა ხაზს უსვამს უფრო თანმიმდევრული სამართლებრივი ჩარჩოს საჭიროებას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო იმუნიტეტი, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო სასამართლოები, ეროვნული სასამართლოები.

მოცუებით დადებული და თვალთმაქცური გარიგებების გამიჯვნა

ეკა ნადირაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას, როგორცაა კერძო სამართლის გარიგებები, უფრო კონკრეტულად კი მოცუებით დადებული და თვალთმაქცური გარიგებების გამიჯვნას. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ეს გარიგებები ერთმანეთის მსგავსია და მის გამიჯვნასაც თითქოს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად არის ისეთი პრეცედენტები, როდესაც ვერ ხერხდება გარიგების სახის დადგენა და შესაბამისი კვალიფიკაციაც პრობლემურია.

თანამედროვე ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე ძალიან ხშირად იდება გარიგებები. ეს შეიძლება გამონატული იყოს, როგორც წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებაში, ასევე ისეთ მარტივ ქმედებაში, როგორცაა ინტერნეტის საშუალებით თუ ფიზიკურმაღაზიაში ნივთის შექმნა და სხვა არაერთი სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეც საზოგადოების თითქმის ყველა წევრია და, შესაბამისად, მოცუებით დადებული და თვალთმაქცური გარიგებების გამიჯვნა სწორედ მათი სამართლებრივი უფლება-ვალდებულებების დაცვას ემსახურება.

საჭიროა მოცუებით დადებული და თვალთმაქცური გარიგების გამიჯვნა, რათა ნებისმიერი სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილე მხარეებმა თავიდან აიცილონ არასასურველი, უფლების შემლახველი შედეგი. გარიგებათა იდენტიფიცირება ემსახურება მათი წინაპირობების, საფუძვლებისა და დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნების ანალიზს.

მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რატომაა მოცუებით დადებული და თვალთმაქცური გარიგება სამართლებრივი ურთიერთობის ბათილობის საფუძველი. ამის მიზეზი არის ის, რა გზითაც დაიდო ხელშეკრულება თუ რა შედეგი მოჰყვა სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე კეთილსინდისიერი მხარისთვის, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა, საკუთრების უფლების დაკარგვა და სხვა.

ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკა კარგად ასახავს, თუ რამდენად განსხვავებულ შედეგამდე მიჰყავს სასამართლო დავა თითქმის ერთნაირი

ცნების მატარებელ ორი სხვადასხვა ფორმით დადებულ გარიგებას. მათი ზუსტი დეფინიცია და განმასხვავებელ მახასიათებლებზე მითითება ხელს შეუწყობს, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა ინტერესების დაცვას და სავარუდო შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საკვანძო სიტყვები: მოტყუებით დადებული გარიგება, თვალთმაქცური გარიგება, ბათილობა, კეთილსინდისიერი მხარე, ვალდებულების წარმოშობა, უფლების შელახვა.

The distinguishment between fraudulent and hypocritical transactions

Eka Nadiradze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The following article delves into the crucial topic of private law transactions, specifically focusing on the distinction between fraudulent and hypocritical transactions. While initially seeming similar, determining the type of contract and its corresponding classification can often be challenging in practice.

In today's fast-paced world, transactions are a common occurrence, ranging from written contracts to online purchases and other legal relationships. The differentiation between fraudulent and hypocritical transactions is vital in safeguarding the rights and obligations of all parties involved.

It is imperative to discern between these transactions to prevent undesired consequences that may encroach upon the rights of the parties. Identifying these transactions involves a thorough analysis of their prerequisites, foundations, and legal nature.

Furthermore, understanding why a fraudulent or hypocritical transaction can invalidate a legal relationship is of utmost importance. This hinges on the manner in which the contract was concluded and its consequences for the "bona fide" party, potentially leading to compensation for damages or loss of property rights.

Through real-life court cases, both domestic and foreign, we observe how agreements concluded in different forms can yield different outcomes based on similar concepts. It is evident that clearly defining and identifying key characteristics will serve to protect the interests of all parties involved in legal relationships and anticipate potential outcomes.

Keywords: fraudulent transactions, hypocritical transactions, invalidity, bona fide, the origin of obligations, violation of the rights.

საქართველოს თვალით დანახული გენდერული თანასწორობა

ეკატერინე კაკაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტერმინი გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი სიტყვაა დღევანდელ სოციუმში. თანასწორობის უნივერსალური პრინციპიდან აღმოცენებული გენდერული თანასწორობის ცნება ქალსა და მამაკაცს შორის ჰარმონიული, უპრობლემო, არამტრული ურთიერთობის ჩამოყალიბების საფუძველი-საგანია. სწორედაც იმ პატივისცემის საწყისი წერტილი, რომელსაც ჩვენი ბუნებრივი, იმანენტური, თავისთავადი შეგნება მოითხოვს ჩვენგან. ყველაზე მთავარი კი მსგავსი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის გენდერული თანასწორობის პრინციპის სწორად აღქმა-გააზრებაა. ნაშრომის მიზანია გენდერული თანასწორობა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი პრინციპი, სწორი ინტერპრეტაციით გაეცნოს საზოგადოებას, კერძოდ, ხაზი გაესვას ისეთ დეტალებს როგორცა: ქალსა და მამაკაცს შორის არსებითად თანასწორი მდგომარეობის შექმნის შეუძლებლობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სამართლიანი ქცევის სტანდარტი ქალბატონისა და მამაკაცის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებას მოითხოვს, მათი ბუნებრივი მახასიათებლების პატივისცემასა და გენდერული თანასწორობის პრინციპის უხეში დარღვევის შემთხვევაში დოფერენციაციის ანუ არასათანადო მოპყრობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების სააშკარავოზე გამოტანას. მეტი კონკრეტიზაციისთვის, ნაშრომში განვიხილავთ საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობის პრინციპისა და გენდერული თანასწორობის კონცეფციას, ასევე საუბარი გვექნება გენდერული თანასწორობის აღქმის პრობლემებზე, სექსუალურ შევიწროებაზე, საქორწინო კონტრაქტის მნიშვნელობასა და საქართველოს ისტორიულ სამართალმემკვიდრეობაზე გენდერული თანასწორობის ჭრილში. რაც ყველაზე მთავარია ზემოთ ნახსენებ საკითხებს გავცნობით საქართველოს ნორმატიული აქტების, სამართლის პრაქტიკოსებისა თუ თეორიტიკოსების, საერთაშორისო კონვენციისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: თანასწორობა, გენდერული, დისკრიმინაცია, სამართალი.

გენდერული კვოტირების სისტემის პერსპექტივები საქართველოში

ელენე კორშია, ანი კვანტალიანი.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოში გენდერული კვოტირების ფუნქციური დატვირთვის გააზრება და თანასწორობის მისაღწევად მექანიზმების დანერგვა თანამედროვე გამოწვევათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემატიკაა. თავის მხრივ გენდერული თანასწორობის დამყარება პატრიარქალური დამოკიდებულების აღმოფხვრის პირდაპირპროპორციულია.

საქართველომ სულ ცოტა ხნის წინ ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოიპოვა. აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ევროკომისიის მიერ მოწოდებული 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესრულება, გენდერული დისბალანსის შემცირება, გახლდათ. ზემოაღნიშნულის საფუძვლად კი შეგვიძლია გენდერული კვოტირების სისტემის შემოღება მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკაში დემოკრატიული პროცესების განვითარების თითოეულ ეტაპზე ქალთა წარმომადგენლობითი როლის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქალისა და მამაკაცის პროფესიული ფუნქციების გამიჯვნა კვლავაც შეინიშნება.

ამჟამინდელი მდგომარეობით, განსახილველად საინტერესოა როგორც ეროვნული, ამავდროულად საერთაშორისო პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი, რომლითაც ასევე ცხადი გახდება გენდერული მექანიზმების გაძლიერებისა და პროგრესის უზრუნველყოფის საშუალებები, რაშიც დიდ როლს სწორედ კვოტირების სისტემა ასრულებს. დღეს პოლიტიკურ ცხოვრებაში კარიერული წინსვლის ეტაპზე ქალები აწყდებიან დაბრკოლებებს დისკრიმინაციის სახით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში მათი მონაწილეობის გასააქტიურებლად.

წლებანდელი საპარლამენტო არჩევნები ქართველი ერისთვის შესაძლებლობაა პოლიტიკურ სივრცეში ქალთა წარმომადგენლობის მნიშვნელოვნად გასაზრდელად, ეს კი თავისთავად გენდერული უთანასწორობის შემცირებას გვიქადის. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თემის განხილვა ახლა

განსაკუთრებულად ფასეულია.

წინამდებარენაშრომის მიზანია მსმენელს გააზრებინოს გენდერული კვოტირების სისტემის არსი, ყურადღება გაამახვილოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის სტრატეგიებზე, ერთმანეთს დაუპირისპიროს განსხვავებული პოზიციების მქონე მხარეთა არგუმენტები.

დასასრულ, შევაფასებთ, თუ რამდენად გონივრული ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ ჩვენს მიერ წარმოჩენილი პრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად, ყურადღებას გავამახვილებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე და შემოგთავაზებთ რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული კვოტირება, დემოკრატია, დისკრიმინაცია, პოლიტიკა.

Abstract

Understanding the functional load of gender quotas in Georgia and implementing mechanisms to achieve equality is one of the most important topics among modern challenges. The establishment of gender equality is proportional to the elimination of patriarchal attitudes.

Georgia recently achieved a historic victory and gained the status of a candidate for EU membership. Among the grounds of reduction of gender imbalance was the implementation of one of the 12 recommendations provided by the European Commission. The gender quota system is the basis of this.

Although important steps have been taken to increase the representative role of women in the development of democratic processes in Georgian politics, since the 90s, the professional functions of men and women continues to be separated. In the current situation, it is interesting to discuss the in-depth analysis of national and at the same time international practice, which will also clarify the means of strengthening gender mechanisms, in which the quota system plays a major role. Today at the stage of career advancement in political life, women face obstacles in the form of discrimination, which becomes a drawback to activate their participation in the governing bodies of the state. The next parliamentary election is an opportunity for the Georgian nation to increase the representation of women in the politic, leading to the reduction of gender inequality. That is why the discussion of the mentioned topic is valuable now. The purpose of this paper is to make listeners understand the essence of the gender quota system, to focus on strategies for eliminating discrimination against women, to contrast the arguments of parties with opposed opinions. Finally, we will evaluate the reasonable measures that have been taken by the state, will focus on the important decisions made by the Constitutional Court and offer recommendations.

Key words: gender quota, democracy, discrimination, politics.

ლიზინგის ხელშეკრულების ბუნება და თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხები

ელენე წამალაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ლიზინგი ქართული სამართლისთვის ახალი ინსტიტუტია, რომელიც ბაზარზე აქტუალობას ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბის ზრდასთან ერთად იძენს. ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე ტექნიკის მიღება სამეურნეო თუ ეკონომიკური მიზნებისთვის თანდათანობით ხდება აქტუალური. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ლიზინგის ხელშეკრულების ბუნების წარმოჩენასა და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური საკითხების ჩვენებას. ამგვარი ინსტიტუტების გაანალიზება მეტად საჭიროა ქართული სამართლის განვითარებისათვის.

ნაშრომი შეეხება ლიზინგის ხელშეკრულების ზოგად ბუნებასა და მახასიათებლებს, აგრეთვე მის პოზიტიურ მოწესრიგებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე - სსკ-ის, ოტავის კონვენციისა და რომის მოდელური კანონის განხილვა მკითხველს წარმოდგენას უქმნის ამ ხელშეკრულების მახასიათებლებისა და მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების განაწილების თაობაზე. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში. განხილულია პრობლემური საკითხი - ლიზინგის უფლების რეგისტრაცია და რეგისტრაციის განუხორციელებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. მსჯელობა ეხება ლიზინგის საგნის სახის სწორად კვალიფიკაციას, რადგან აღნიშნული განაპირობებს რეგისტრაციის საჭიროებასა და შემდგომში შემძენის კეთილსინდისიერების საკითხს. ამასთან, ანალიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური სამართლებრივი საფუძვლებით. ნაშრომი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ჭრილში ეხება ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნების შესახებ საქმის წარმოებას. აგრეთვე გაანალიზებულია ლიზინგის საგნით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, რა მიზნითაც განხილულია დელიქტური და სახელშეკრულებო ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლები და მათი ურთიერთმიმართება თანამედროვეობაში საკმაოდ აქტუალურ ავტოსაგზაო შემთხვევებთან.

საკვანძო სიტყვები: ლიზინგის ხელშეკრულება, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში

ელზა მახარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას 1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში მოეწერა ხელი. მოგვიანებით, 1953 წლის 3 სექტემბერს იგი ძალაში შევიდა. კონვენცია მიღებულია ევროსაბჭოს ეგიდით, რომლის მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვა, პლურალისტური დემოკრატიის განმტკიცება და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 1999 წლიდან წარმოადგენს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ სამართლის წყაროს და იურიდიულად სავალდებულოა ეროვნულ დონეზე. ამასთან, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოსთვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, იგი შიდა და გარე მასშტაბით წარმოშობს შესაბამის ვალდებულებებს, როგორც კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც მოცემული კვლევის საგანს წარმოადგენენ.

ამრიგად, მოცემული კვლევის მიზანია ნათლად წარმოაჩინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლი კონვენციის მონაწილე ქვეყანათა შიდა სასამართლო პრაქტიკაში.

ზემოთხსენებული ვალდებულებების ფონზე, მნიშვნელოვანია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში ასახონ ის სტანდარტები, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროსასამართლო ამკვიდრებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გასაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისთვის, რათა უფრო მაღალი სტანდარტით იქნას დაცული პირთა უფლებები, ამასთან, მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, როგორც კონვენციის ნორმის განმარტების საშუალება და მისი მოქმედების ფარგლების დამდგენი საშუალება. კვლევაში წარმოჩენილია მსჯელობა ამ და სხვა საფუძვლებზე.

ამასთან, ნაშრომში განხილულია 2013 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემუშავებული ევროკონვენციის დამატებითი მე-16-ე ოქმის

პროექტის მნიშვნელობა, რომლის საშუალებითაც, ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილნი არიან მიმართონ ევროსასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით. ამ უკანასკნელის პრეამბულაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ევროსასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზანი.

კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ევროკონვენციის გამოყენებას ეროვნულ დონეზე და საჭიროებისამებრ ასახავენ მათ შიდა სასამართლო პრაქტიკაში, რის შესახებ მსჯელობაც ნაშრომში უფრო ნათლადაა წარმოჩენილი შესაბამის სტატისტიკაზე დაყრდნობით, რის საფუძველზეც, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სასურველი იქნებოდა, უფრო ხშირი ინტენსივობით ყოფილიყო გათვალისწინებული ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეროვნული სასამართლოს მიერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა უშუალოდ მხარეები მიუთითებენ მათ შესახებ.

დასკვნის სახით, შეფასებულია ზემოთხსენებული პრაქტიკა და მისი სამართლებრივი ანალიზი. წარმოჩენილია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა როლი უკავიათ ამ პროცესის წარმართვაში მხარეთა ინტერესების დამცველებსა და სხვა პირებს. შეფასებულია მოცემული საკითხის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: „ევროკონვენცია“; „ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ ; „ევროსაბჭო“; „ეროვნული სასამართლოები“; „მე-16-ე ოქმი“; „ადამიანის უფლებათა დაცვა“.

The importance of the European Convention on Human Rights and the precedent law of the European Court of Human Rights in the judicial practice of states

Elza Makharashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The European Convention on Human Rights was signed in Rome on November 4, 1950. Later, on September 3, 1953, it entered into force. The Convention was adopted under the auspices of the Council of Europe, the purpose of which is to protect human rights, strengthen pluralist democracy, and promote the rule of law. Since 1999, the European Convention on Human Rights has been the source of Georgia's domestic law and is legally binding nationally. In addition, as an international agreement, it is binding for Georgia at the international level. Accordingly, it has relevant obligations in the domestic and international spheres, as in the case of other member states of the Convention, which are the subject of this study. Thus, the purpose of this study is to present the role of the European Court of Human Rights and the European Convention on Human Rights in the practice of the domestic courts of the member states of the Convention. Based on the background of the obligations mentioned above, the states party to the Convention need to include in their national judicial practice the standards established by the European Convention on Human Rights and the European Court of Justice. The use of the European Convention on Human Rights is essential for national courts to protect the rights of individuals with a higher standard, and it is also important to use the precedent law of the European Court as a means of interpreting the norms of the Convention and determining the scope of its legal validity. The research presents arguments on these and other grounds. In addition, the study discusses the significance of the 16th additional protocol to the European Convention developed by the Parliamentary Assembly of the Council of Europe in 2013, through which national courts have the authority to apply to the European Court of Justice with a request to issue an advisory opinion. In its preamble, the goal of improving the relationship between the European Court and national courts is clearly stated. The study showed that the states, including Georgia, attach fundamental importance to the application of the case law and the European Convention at the national level and apply them as needed in their domestic judicial practice, the reasoning about which is more clearly demonstrated in the study, based on the relevant statistics, based on which it can be concluded that It would be desirable that the case law of the European Court of Justice be used with more frequent inten-

sity by the National Court, especially when the parties point directly to them. In conclusion, the aforementioned practice and its legal analysis are evaluated. Discussions are presented about the role of the defenders of the interests of the parties and other people in conducting this process. The importance of a given issue is assessed.

Keywords: "EU convention"; "case law of the European Court"; "Council of Europe"; "national courts"; "protocol No.16"; "protection of human rights".

ძროხის რძის მიმართ ალერგია

ელთან მუხდაროვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ძროხის რძის ცილაზე ალერგია (CMPA) არის იმუნოლოგიურად გაშუალებული რეაქცია ძროხის რძის პროტეინებზე, ძირითადად კაზეინსა და შრატის ცილაზე. CMPA. ჩვეულებრივ, ვლინდება ჩვილებში დაბადებიდან რამდენიმე კვირაში ან თვეში, ალერგენები გადაეცემა პერორალური მიღებით, დედის რძით და საშვილოსნოშიც კი. ჩვილებში კვებითი ალერგია სიხშირით მესამე ადგილზეა (2-7,5%). CMPA უფრო ხშირია იმ ახალშობილებში, რომლებსაც ოჯახურ ანამნეზში აქვთ ალერგიის, ეგზემის ან ასთმის შემთხვევები. CMPA-ს დიაგნოსტიკა რთულია სხვა მდგომარეობებთან სიმპტომების გადაფარვისა და საბოლოო ტესტების არარსებობის გამო, რაც ხშირად იწვევს არასწორ დიაგნოზს. CMPA შეიძლება გამოვლინდეს როგორც IgE-გაშუალებული, ასევე არა-IgE-გაშუალებული ან შერეული ტიპის, სიმპტომები, დაწყებული კანის რეაქციებიდან და კუჭ-ნაწლავის პრობლემებიდან, მძიმე რესპირატორულ პრობლემებამდე. ლაქტოზის აუტანლობისგან განსხვავებით, CMPA მოიცავს იმუნურ პასუხს რძის ცილებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი რეაქციებიც კი. მენეჯმენტი გულისხმობს ძროხის რძის ელიმინაციას და ჰიდროლიზებული ან ამინომჟავაზე დაფუძნებული ფორმულებით ჩანაცვლებას, რათა თავიდან იქნას აცილებული კვებითი დარღვევები. შემთხვევის შესწავლა ასახავს 3 თვის ბავშვს მუდმივი ყაბზობით და წონის ცუდი მატებით, რომელიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ღრმა ჰიდროლიზებული ფორმულით, რაც ხაზს უსვამს CMPA-ს განხილვის აუცილებლობას მსგავს კლინიკურ გამოვლინებებში. ეს შემთხვევა ხაზს უსვამს დედის დიეტური ჩვევების პოტენციალს, რომელიც გავლენას იქონიებს ახალშობილთა CMPA-ს განვითარებაზე და ადრეული დიეტური ინტერვენციების მნიშვნელობაზე. საერთო ჯამში, CMPA-ს აქვს ზოგადად ხელსაყრელი პროგნოზი, ბავშვების უმეტესობამ აღემატება ალერგიას ზრდასრულ ასაკში, განსაკუთრებით არა-IgE-ს შუამავლობით. რეგულარული გადაფასება და ფრთხილი დიეტის მართვა გადამწყვეტია ოპტიმალური შედეგებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ძროხის რძის ცილაზე ალერგია, CMPA, ახალშობილთა ალერგია, კაზეინი, შრატი, ჰიდროლიზებული ფორმულა.

Abstract

Cow's milk protein allergy (CMPA) is an immunologically mediated adverse reaction to cow's milk proteins, primarily casein and whey. CMPA typically manifests in infants within weeks or months after birth, with allergens transmitted via oral intake, breastmilk, and even in utero. It ranks as the third most common food allergy in infants, with a prevalence of 2-7.5%. CMPA is more likely in infants with a family history of allergies, eczema, or asthma. Diagnosing CMPA is challenging due to overlapping symptoms with other conditions and a lack of definitive tests, often leading to under- or over-diagnosis.

CMPA can present as IgE-mediated, non-IgE-mediated, or mixed reactions, with symptoms ranging from skin reactions and gastrointestinal issues to severe respiratory problems. Unlike lactose intolerance, CMPA involves an immune response to milk proteins, which can trigger reactions even in small amounts. Management involves eliminating cow's milk and substituting with hydrolyzed or amino acid-based formulas to prevent nutritional deficiencies.

A case study illustrates a 3-month-old with persistent constipation and poor weight gain, which improved significantly with an extensively hydrolyzed formula, highlighting the need for consideration of CMPA in similar clinical presentations. This case underscores the potential for maternal dietary habits to influence neonatal CMPA development and the importance of early dietary interventions. Overall, CMPA has a generally favorable prognosis, with most children outgrowing the allergy by adulthood, especially in non-IgE-mediated cases. Regular reassessment and cautious dietary management are crucial for optimal outcomes.

Keywords: Cow's milk protein allergy, CMPA, infant allergy, casein, whey, hydrolyzed formula.

ქალთა კვოტირება - უფლების რეალიზაციის საშუალება თუ პრივილეგია?

ვაჟა ტივიშვილი, დიმიტრი პაპავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გენდერული საკითხები მსოფლიოში დამათშორის საქართველოში აქტუალურობას არ კარგავს, როგორც სოციუმში, ისე კონკრეტულ პროფესიულ და პოლიტიკურ ასპარეზზე, სადაც ქალთა ჩართულობის ხარისხი საკმაოდ პრობლემურია. ამის გათვალისწინებით მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხშირად მიმართავენ პოზიტიურ დისკრიმინაციის შინაარსის მქონე მექანიზმების დანერგვას, რომელთაგანაც ყველაზე აპრობირებული მეთოდია გენდერული კვოტირება, იგი ერთი მხრივ განაპირობებს ჩაგრული სოციალური ჯგუფების ჩართულობის პოლიტიკურ პროცესებში, ხოლო მეორე მხრივ უალტერნატივოდ ზღუდავს და ავალდებულებს დირექტივის ადრესატს კონკრეტული ნიშნის მქონე ადამიანებისთვის უპირატესობის მინიჭებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, მნიშვნელოვანია მათი ინტერესების პოლიტიკური პლატფორმებიდან გაჟღერება. საკონფერენციო ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ გენდერული კვოტირების, როგორც ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სწრაფი და გავრცელებული მექანიზმის მნიშვნელობა და მისი თანმდევი თავისებურებები, რომლებიც ხშირად ხდება კრიტიკის საგანი საზოგადოების აზრთა სხვადასხვაობის გამო.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გენდერული, მსოფლიო, პოლიტიკური.

სიცოცხლის უფლება-აბსოლუტური უფლება?!

ვერონიკა მაკარიძე, მარიამ კუჭუხიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

არის თუ არა ადამიანთა სიცოცხლის უფლება მათი აბსოლუტური უფლება?! რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ზემოხსენებული კონსტიტუციური რანგის უფლება?! სწორია თუ არა ადამიანის სიცოცხლის უფლების ჩარჩოში ჩასმა?!

ამ სამეცნიერო კვლევის უმთავრესი მიზანია სიღრმისეული განხილვა ისეთი ფუნდამენტური უფლებისა, როგორც სიცოცხლის უფლება, დადგენა მისი საზღვრებისა და არსებულ შეზღუდვათა ლეგიტიმურობისა თუ სისწორისა. საზოგადოებაში გავრცელებულია ცრუ შეხედულება სიცოცხლის უფლების ხასიათთან მიმართებით, თითქოს ის ხელშეუხებელია და მისი ხელყოფა-სრულიად დაუშვებელი, რასაც, მაგალითისათვის, ამყარებს საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის 1-ელი ნაწილის (ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია) ზედაპირული ანალიზი. რეალურად ამ მუხლის ქვეტექსტი ამტკიცებს საპირისპიროს: ამ უზენაესი, ერთი შეხედვით, ხელშეუხებელი უფლების დაცვის საჭიროებიდან მომდინარეობს სწორედ ისეთი საგამონაკლისო შემთხვევები, როგორებიცაა: აუცილებელი მოგერიება, აბორტის უფლება და სხვა არაერთი, რომელიც შრომაში იქნება განხილული. შესაბამისად, ზემოჩამოთვლილი გამონაკლისები ემსახურება არა ექსკლუზიურად ადამიანის ამ თანდაყოლილი უფლების უხეშ, არალეგიტიმურ შეზღუდვას, არამედ მის დაცვას უკანონო ხელყოფისაგან. სწორედ ზემოთქმული "პარადოქსის" მტკიცებას ემსახურება ეს შრომა.

როგორ შეიძლება ადამიანმა თავი დაცულად იგრძნოს სახელმწიფოში, რომელშიაც უზრუნველყოფილი არ არის მისი სიცოცხლის უფლების აბსოლუტურობა?! არღვევს თუ არა ამ უფლების არსებული სტატუსი ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს?! სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი მოსახლეობის დაცვაა, რასაც სიცოცხლის უფლების შემზღუდავი ხასიათი, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება. შესაძლებელია თუ არა იყოს სახელმწიფო რეალურად ქმედითი, თუ არსებობს რიგი შემთხვევებისა, როცა სიცოცხლის უფლება უშუალოდ იზღუდება და სამართლებრივად სწორად მიიჩნევა?!

სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის ჩამოყალიბებაც თითოეული

განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოს საბოლოო მიზანია, სიცოცხლის უფლების აბსოლუტურობის საგამონაკლისო შემთხვევები უკავშირდება უკანონო ძალადობისგან სხვა ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საჭიროებას ან ძალზე სერიოზული საფრთხის აცილებას (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხლი 15, გვ. 73). შესაბამისად, სახელმწიფო, რომელშიც სიცოცხლის უფლება ატარებს შემზღუდავ ხასიათს, ანიჭებს ხალხს თავდაცვის რეალურ ბერკეტს. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიცოცხლის უფლების სამართლებრივ ფარგლებში შეზღუდვა კი არ არღვევს ჩვენს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ აფართოებს მათ. სახელმწიფოს ქმედუნარიანობას განსაზღვრავს არა ადამიანთა შეუზღუდავი თავისუფლება და ბუნებითი მდგომარეობის წახალისება, არამედ მათი ჩარჩოში ჩასმა და ამით თითოეული ადამიანის უფლებების დაცულობის სრული გარანტირება.

საკვანძო სიტყვები: სიცოცხლის უფლება, სიკვდილით დასჯა.

დასაქმებულის კონტროლის მექანიზმები დისტანციური მუშაობის პირობებში

მარიამ ზაზაძე, მარიამ ჩხაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს დისტანციური მუშაობის პირობებში დამსაქმებლების მხრიდან დასაქმებულთა კონტროლის მექანიზმები. რამდენად გახშირდა გარდამტეხი ეტაპების შემდეგ დისტანციური სამუშაოები მსოფლიოში, რამდენად ეფექტურია ან რამდენად დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს მას - სწორედ ეს არის მთავარი საკვანძო საკითხი. დისტანციური მუშაობა გულისხმობს საქმიანობას, რომელიც ხორციელდება დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისგან შემოთავაზებული დაწესებულების გარეთ იმგვარი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა: კომპიუტერი, ტელეფონი, პლანშეტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის დაწესებულმა შეზღუდვამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა დისტანციური შრომა. თუმცა ყურადსაღებია, რომ დისტანციურ ფორმატში საქმიანობამ შესაძლებლობებთან ერთად წამოჭრა ამოცანებიც, რომლებიც საჭიროებს შესაბამის ფორმულირებას, რეგულირებასა და დანერგვას საკანონმდებლო დონეზე, რათა მოხდეს კონტროლის გაწევა.

დისტანციურ სამუშაოს გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში, ადაპტაცია აღნიშნული ტიპის მუშაობასთან აფერხებდა საქმის სწრაფ და ხარისხიან შესრულებას. დამსაქმებლის მხრიდან რთული იყო დასაქმებულთა კონტროლი თავდაპირველ ეტაპზე. დისტანციური მუშაობა ყველასთვის უცხო იყო, შესაბამისად იწვევდა დაბნეულობას, რაც პირდაპირ კავშირშია შეფერხებულ მუშაობასთან.

დღესაც, 2021 წლის და COVID-19 პანდემიის პერიოდის შემდეგ ბევრი კომპანია თუ დაწესებულება აგრძელებს დისტანციურ სამუშაოს და მათთვის ეს ერთ-ერთ კომფორტულ საქმიანობის განხორციელების ხერხადაა ქცეული. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს სჭირდება ზუსტად და სწორად გაწერილი კანონმდებლობა, რითაც მოხდება კონტროლი დასაქმებულებზე, რათა მათი მხრიდან არ მოხდეს არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელება და შესაბამისად ის საქმე,

რაც დასაქმებულებს აკისრიათ შესრულდეს დამსაქმებლის მითითებების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული თუ რა ვალდებულებები ეკისრება დისტანციური მუშაობის შესრულებისას დასაქმებულს, ან რა მოხდება მაშინ, როდესაც დასაქმებულის მხრიდან დაირღვევა აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულებები, სწორედ ამ სამართლებრივი ვაკუუმის საქართველოში დისტანციური შრომა მოწესრიგებულია მხოლოდ შრომითი კანონმდებლობის ზოგადი ნორმებით და არ არსებობს სპეციალური კანონი ან განსხვავებული რეგულაცია, რომლებიც ორგანიზაციული საქმიანობის ამ ფორმას არეგულირებს თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია დავადგინოთ ის კონტროლის მექანიზმები, რომლებიც გაუმარტივებდა საქმეს დამსაქმებელს დისტანციური მუშაობის პირობებში.

შესაბამისად, ნაშრომინათლად წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება დარეგულირდეს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და როგორ იქნეს თავიდან აცილებული დასაქმებულის მხრიდან დარღვევები, რაც დისტანციური სამუშაოს შესრულებას შეუწყობს ხელს და დამსაქმებელს გაუმარტივებს დასაქმებულებზე კონტროლის გაწევას.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური შრომა, დამსაქმებელი, დასაქმებული, კონტროლი, მექანიზმები.

სოციალურ ქსელში არსებული დეზინფორმაცია და მისი შედეგები

ლიზი ზაქარიაძე, სალომე ჩოხელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მომხმარებელს საშუალება მისცა, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ოპერატიულად მოიძიოს. სოციალური ქსელების დახმარებით ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს გაუზიარონ სხვადასხვა სახის ინფორმაციები, მათ შორის ფოტოები, ვიდეოები და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებაც, რამაც სამყარო შეცვალა.

თუმცა, ყველა დადებითს აქვს უარყოფითი მხარეებიც. ტექნოლოგიების განვითარებამ სოციალურ ქსელში დეზინფორმაციისა და რეალობასთან შეუთავსებელი ინფორმაციების სწრაფი გავრცელებაც გამოიწვია. დეზინფორმაციის გავრცელების საკითხმა, ბოლო წლებში ფართო ყურადღება მიიპყრო. ეს არის ცრუ ან მანიპულაციური ინფორმაცია, რომელიც სოც მედიის მეშვეობით ვრცელდება, ხშირად მომხმარებლების მოტყუების ან შეცდომაში შეყვანის მიზნით.

აღნიშნულ კვლევაში ჩანს, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს დეზინფორმაციამ საზოგადოებას, ასევე ჩნდება კითხვა უქმნის თუ არა საფრთხეს სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესების წარმართვას. შეუძლია თუ არა შეცვალოს ადამიანის მოსაზრება ან დამოკიდებულება რაიმე კონკრეტულ საკითხზე. ნაშრომი დაგვეხმარება უკეთ დავინახოთ და გავაცნობიეროთ, თუ რამდენად დიდ ზიანს აყენებს ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია ეროვნულ ინტერესებსა და ერთიანობას. გავიგებთ როგორ ხდება აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან და რა სამართლებრივ ნორმებს ითვალისწინებს. კვლევაში დეზინფორმაციის სხვადასხვა სახეებია განხილული. ასევე როგორ მოქმედებს ცრუ ინფორმაცია ადამიანზე როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურადაც. როგორია სოც ქსელების გავლენა საზოგადოებაზე და მათ მსოფლმხედველობაზე.

სახელმძღვანელოებიდან, ექსპერტებისგან, სოციალური მედიიდან და ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს იმ საფრთხის ყოველდღიური ზრდა, რაც დეზინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია საზოგადოებაში.

კვლევის მიზანია, ადამიანებმა გააანალიზონ 2010-2024 წლები, რომლებმაც

შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციების მიმართ. განუმარტოს ინტერნეტ მომხმარებელს დეზინფორმაციის მნიშვნელობა და მას მისცეს რესურსი რომ სამართლებრივ დონეზე დაიწყოს ცრუ ინფორმაციების წინააღმდეგ ბრძოლა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელი, დეზინფორმაცია, ტექნოლოგიები, მომხმარებელი.

Misinformation in social networks and its consequences

Lizi Zakariadze, Salome Chokheli

National University of Georgia, SEU

Abstract

The rapid development of technologies has allowed the user to quickly find any kind of information. With the help of social networks, people are given the opportunity to share various types of information with each other, including photos, videos, and express their own opinions, which has changed the world.

However, every positive has its negative side. The development of technologies has also led to the rapid spread of misinformation and information incompatible with reality on social networks. The issue of spreading disinformation has attracted wide attention in recent years. This is false or manipulative information that is spread through social media, often with the intention of deceiving or misleading consumers. In the mentioned study, it can be seen what damage misinformation can cause to the society, and the question arises whether it poses a threat to the conduct of democratic processes in the state. Can it change a person's opinion or attitude on a particular issue? The paper will help us to better see and understand how much damage the misinterpretation of information does to national interests and unity. We will find out how the mentioned problem is solved by the state bodies and what legal norms it provides. Different types of disinformation are discussed in the research. Also, how false information affects a person both physically and psychologically. What is the impact of social networks on society and their worldview.

From textbooks, experts, social media, and research, it is clear that the danger that the spread of misinformation poses to society is increasing daily.

The purpose of the study is for people to analyze the years 2010-2024, which changed people's attitude towards information posted on social networks. To explain the importance of disinformation to the Internet user and to give him the resources to start the fight against false information at the legal level.

Keywords: Social Network, disinformation, technology, consumer

საგადასახადო თაღლითობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

ნიკა ზერეკიძე, მარიამ ზურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებში საგადასახადო თაღლითობა საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსხვავებულია და მოწესრიგებული. ქვეყნების უმეტესობა მსგავს შემადგენლობას ითვალისწინებს გადასახადებისაგან თავის არიდების დანაშაულის შემადგენლობაში.

განსხვავებული მოცემულობაა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ: საგადასახადო თაღლითობის შემადგენლობა მსგავსი დასახელებით არ გვაქვს მოცემული. გადასახადისაგან თავის არიდებას აწესრიგებს სსკ-ის 218-ე მუხლი. ნორმის ბლანკეტური შინაარსის გამო ამ ქმედების შემადგენლობის გარკვევის მიზნით უნდა მოვიშველიოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლი. ხსენებული ნორმის ანატომია გულისმობს მანიპულაციების გზით გადასახდელი გადასახადის შემცირებას და ისარმოიაზრებს ისეთ ქმედებებს, როგორცა დაუსაბუთებელი საგადასახადო უპირატესობების მიღება, თანხის თაღლითური დაბრუნების ან სარგებლის მოთხოვნის წარდგენა. აღნიშნული კი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, მას აქვს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი ადგენს - „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ამ ვალდებულების მნიშვნელობა ბევრად ფართოა და ის მოიცავს ზოგად პრინციპს, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია დანაშაულის განსაზღვრა და სასჯელის დაწესება, სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იყოს ფართოდ ინტერპრეტირებული ბრალდებულის საზიანოდ. ქმედების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის არსს და იყოს გონივრულად განჭვრეტადი. განჭვრეტადობის ტესტი უნდა იყოს დაკმაყოფილებული ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიკაციისას.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის შემადგენლობის ზუსტი და განჭვრეტადი ფორმით არსებობა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც ეხებოდა ე.წ. დღგ-ს თაღლითობებს, რომლის არსი ძირითადად გულისხმობდა სხვადასხვა მანიპულაციის გზით დღგ-ს აქტივის ყალბად შექმნას, გამოყენებას. მსგავსი შემთხვევების კვალიფიკაცია კი ხშირად მოიაზრებდა სსკ-ის 185-ე მუხლს. მაგრამ გადასახადი თავისი არსით არის ფინანსური ინსტრუმენტი. შესაბამისად, მსგავსი შემთხვევების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი ნორმა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც გაითვალისწინებდა მსგავს ქმედებას. მი არარსებობა კი წარმოშობს სამართლებრივ პრობლემას, მათ შორის ადამიანის უფლებების კონტექსტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მსურს კონფერენციაზე წარმოვადგინო თემა, საგადასახადო თაღლითობისა და მისი შემადგენლობის არსის შესახებ. მიმაჩნია, რომ საკითხი აქტუალური და პრობლემურია ,თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით. განხილული თემის ფარგლებში, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემოგთავაზებთ ზემოთხსენებული დანაშაულის შემადგენლობის ძირითად აღწერილობებს , რომლის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იმპლემენტაცია მიზანშეწონილად და აუცილებლადაც მიმაჩნია.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო თაღლითობა, საფინანსო დანაშაული, სარგებლის თაღლითურად მოთხოვნა, დაუსაბუთებელი საგადასახადო უპირატესობები, თანხის თაღლითური დაბრუნება.

ევროპის 2024 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი საქართველოსათვის

ზური ლეჟავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ის სოციალური თუ ეკონომიკური ასპექტები, რომლებიც შესაძლოა გაუმჯობესდეს მას შემდეგ რაც ჩვენი ქვეყანა მონაწილეობას მიიღებს ევროპის 2024 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე, დებიუტანტის რანგში. კვლევის დასაწყისში გაანალიზებულია თუ რა მოწოდების სიმალლეზე დგას ქართული ფეხბურთი დღეს და განვითარების როგორი დინამიკა აქვს მას. ამასთანავე ყურადღება ეთმობა ფინანსურ სტიმულებს, რომელსაც დიდი ალბათობით მიიღებს საქართველო ამ უდიდესი ფორუმის ჩატარების შემდგომ. ეს სტიმულებია: საინვესტიციო სფეროს წახალისება, ტურიზმის განვითარება, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და ა.შ. არანაკლებ საინტერესოა ისეთი სოციალური ასპექტის აღნიშვნა როგორცაა სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რაც სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანთაგან ერთ-ერთია. შესაბამისად მოთხოვნილების ზრდა ამ მიმართულებით გამოიწვევს უფრო მეტი სპორტული მოედნის გაჩენას და მასთან დაკავშირებული ცენტრების შექმნას. დასკვნით ნაწილში საინტერესოდ ჩაითვალია იმ შედეგებისა და ბენეფიტების განხილვა, რაც მიიღეს საქართველოსნაირი მსგავსი ეკონომიკის დებიუტანტმა ქვეყნებმა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის შემდგომ პერიოდში. ამგვარი გამოცდილება კი საშუალებას გვაძლევს სამომავლო პერსპექტივაზე დაბეჭდვით ვისაუბროთ.

საკვანძო სიტყვები: ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, საინვესტიციო სფერო, ტურიზმის განვითარება, ფინანსური სტიმულები.

Abstract

The paper discusses the social and economic aspects that may improve after our country participates in the 2024 European Football Championship as a debutant. At the beginning of the research, it is analyzed what level of calling Georgian football is today and what dynamics of development it has. At the same time, attention is paid to the financial incentives that Georgia will most likely receive after holding this largest forum. These incentives are: encouragement of the investment sector, development of tourism, improvement of infrastructure, etc. It is no less interesting to note such a social aspect as promotion of sports and healthy lifestyle, which is one of the stated goals of the state. Accordingly, the increase in demand in this direction will lead to the emergence of more sports fields and the creation of related centers. In the final part, it was considered interesting to discuss the results and benefits received by debutant countries with a similar economy like Georgia in the period after participation in the European Championship. This kind of experience allows us not to avoid talking about the future perspective.

Keywords: European football championship, investment field, tourism development, finance effect.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და სხვა ალგორითმული სისტემები ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებაში (ადმინისტრაციული სამართლის შედარებითი კვლევა)

მარიამ თავგაძე, ლიზი ქელბაქიანი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტის (AI) და სხვა ალგორითმული სისტემების ინტეგრაცია ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგენს, როგორც ახალ შესაძლებლობას, ასევე გამოწვევას ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში. ხელოვნური ინტელექტი მოიცავს კომპიუტერული აპლიკაციების ფართო სპექტრს, რომლებიც ავლენენ ადამიანის მსგავს ინტელექტს. დღესდღეობით ის სულ უფრო მეტად გამოიყენება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებისას, რაც განაპირობებს აღნიშნული საკითხის აქტუალობას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა ეყრდნობა ზოგად ადმინისტრაციულ პრინციპებს და მონაცემთა დაცვის კანონებს, როგორცაა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR). ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები, მათ შორის კანონიერება, თანასწორობა, ობიექტურობა, პროპორციულობა, გამჭვირვალობა, კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა, გადამწყვეტია ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიზნობრივი და სამართლიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად. პროცედურული პრინციპები, როგორცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მონაწილეობა, მოსმენის უფლება და წარმომადგენლობა, ასევე აუცილებელია, როდესაც AI გამოიყენება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში. თეორიული დისკუსიის ნაწილი დაეთმობა გამოწვევების განხილვას როგორცაა: სპეციფიური კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც ეხება AI-ს და ADM-ს, ზოგად პრინციპებზე დაყრდნობა კონკრეტული წესების არარსებობის შემთხვევაში და გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციისა და უფლებების დაცვის საკითხები AI-ს და ADM-ის გამოყენებაში. ნაშრომში განვიხილავთ ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის დონე ქართულ-სამართლებრივ სისტემაში. მიუხედავად იმისა რომ, აღნიშნული საკითხი ინოვაციურია და ევროსაბჭოს ყურადღება ბოლო 2 წელია მიიქცია, საინტერესოა დადგინდეს მისი კავშირი და სამომავლო ხედვა საქართველოსთან მიმართებაშიც. შედარებითი კვლევა განიხილავს მიმდინარე მარეგულირებელ ლანდშაფტს და AI-ის გამოყენებას ადმინისტრაციულ

სამართალში, ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში. მოცემული კვლევა ასევე შეეხება გამოწვევების გადაჭრის გზას, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები და იურისტები გვთავაზობენ. კერძოდ, ახალი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც კონკრეტულად AI-სა და ADM-ს ეხება, უკვე დიდი ხანია დღის წესრიგში დგას. ასევე უნდა მოხდეს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური და სამართლიანი გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში.

საკვანძო სიტყვები: ავტომატური გადაწყვეტილების მიმღები (ADM), ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები.

**უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი და მისი გამოყენება
საერთაშორისო სისხლის სამართალში**

თათა ტყეშელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

აბსტრაქტი

უნივერსალური იურისდიქციის მეშვეობით სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ისეთი საერთაშორისო დანაშაულებისთვის, როგორცაა გენოციდი, ომის დანაშაულები და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, განურჩევლად იმისა, თუ სად იქნა ჩადენილი მოცემული დანაშაული ან რომელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან პირები. ეს პრინციპი ემყარება წარმოდგენას, რომ ზოგიერთი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ გავლენას ახდენს მთელ მსოფლიო საზოგადოებაზე, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა სამართლიანობის დასაცავად, რათა პირებმა თავიარაარიდონ პასუხისმგებლობას. ესნაშრომი იკვლევს უნივერსალური იურისდიქციის სამართლებრივ საფუძველებს, რომლებიც განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებებით, როგორცაა ჟენევის კონვენციები, კონვენცია წამების წინააღმდეგ და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. ის განიხილავს მნიშვნელოვან მაგალითებს, როგორცაა ისრაელის მიერ ადოლფ აიხმანის სასამართლო პროცესი და გაერთიანებული სამეფოს მიერ ჩილეს ყოფილი დიქტატორის ავგუსტო პინოჩეტის დაკავება, ამ საქმეებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ შეუძლია ამ პრინციპს უზრუნველყოს დამნაშავეთა პასუხისმგებლობა ეროვნული საზღვრების მიღმა.

უნივერსალური იურისდიქციის ფაქტობრივი გამოყენების დროს რამდენიმე დაბრკოლებას ვაწყდებით. პოლიტიკური ფაქტორები ხშირად თამაშობენ როლს ბრალდების წაყენების საკითხში, რაც იწვევს მიკერძოებულ მართლმსაჯულებასა და შესაძლოა სამართლებრივი პრინციპები ბოროტად იქნეს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. აღსრულებას ართულებს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დიპლომატიური იმუნიტეტის საკითხები, ასევე სხვა ქვეყნებში მტკიცებულებების შეგროვებისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის პრობლემურობა.

მიუხედავად რიგი გამოწვევებისა, უნივერსალური იურისდიქცია რჩება გადამწყვეტ ინსტრუმენტად ყველაზე მძიმე დანაშაულების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტერიტორიული შეზღუდვების გადალახვით, ის აძლიერებს საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ერთგულებას ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის მიმართ. ნაშრომი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრინციპის გამოყენებას სჭირდება დახვეწა და უფრო დიდი საერთაშორისო თანამშრომლობა, ის არსებითია იმ დანაშაულებთან გასამკლავებლად, რომლებიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და საერთაშორისო თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული დაბრკოლებების დასაძლევად და უნივერსალური იურისდიქციის ეფექტურად განხორციელებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი, საერთაშორისო სისხლის სამართალი.

The principle of universal jurisdiction and its application in international criminal law

Tata Tkeshelashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

States have the ability to prosecute individuals for serious international crimes like genocide, war crimes, and crimes against humanity through universal jurisdiction, regardless of the location or nationalities involved. This principle is based on the belief that some crimes are so severe that they impact the entire global community, therefore necessitating cooperation to uphold justice and prevent individuals from escaping accountability. This study investigates the legal basis of universal jurisdiction, as defined by important international agreements like the Geneva Conventions, the Convention Against Torture, and customary international law. It looks at significant examples, such as Israel's trial of Adolf Eichmann and the UK's capture of former Chilean dictator Augusto Pinochet, highlighting how the principle can ensure accountability across borders.

Several obstacles are encountered in the actual implementation of universal jurisdiction. Political factors frequently play a role in determining whether or not to press charges, leading to worries about biased justice and the potential abuse of legal principles for political purposes. The enforcement is complicated by issues related to state sovereignty and diplomatic immunity, as well as challenges in collecting evidence and guaranteeing fair trials in other countries. Despite these obstacles, universal jurisdiction continues to be an essential instrument in the effort to hold perpetrators accountable for the most severe offenses. By surpassing boundaries, it strengthens the international legal system's dedication to human rights and justice. The study suggests that although the principle needs improvements and more international collaboration, it is crucial for tackling atrocities that jeopardize global peace and security. Strengthened legal structures and global cooperation are crucial for surmounting current challenges and successfully enforcing universal jurisdiction.

Keywords: Principle of Universal Jurisdiction, International Criminal Law.

**საქართველოში მიმდინარე განგრძობადი ოკუპაცია და რუსეთის მიერ
საერთაშორისო სამართლის ვალდებულებათა დარღვევა**

თამარ შვანგირაძე, თეონა ელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტერმინი „განგრძობადი ოკუპაცია“ გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ კონტროლის ან გავლენის თანმიმდევრულ, ხშირ და ფარულ გაფართოებას მეორე სახელმწიფოს ტერიტორიასა ან რესურსებზე. ეს უკანასკნელი არღვევს მთელ რიგ ძირეულ საერთაშორისო პრინციპებს, როგორებიცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა და საზღვრების ურღვეობა. საბოლოოდ კი ერთი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მსგავსი ქმედება მიიჩნევა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა უხეშ დარღვევად. მოგეხსენებათ, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტი რამდენიმე საუკუნის წინ დაიწყო და სხვადასხვა ეტაპად მიმდინარეობდა. დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რასაც განრძობითი ხასიათი აქვს. ზემოხსენებული გამოიხატება აგრესორი სახელმწიფოს ქმედებებით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო საზღვრების დაწესებაში, მოქალაქეთა დაკავებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველომ არაერთი საჩივრით მიმართა რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო უშუალოდ განგრძობადი ოკუპაციის შესახებ საქმეზე გადაწყვეტილება აღნიშნულმა სასამართლომ 2024 წლის 9 აპრილს გამოიტანა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორის დავაზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“ (ე.წ. „განგრძობადი ოკუპაციის საქმე“) რუსეთს დააკისრა სრული პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავების, თავდასხმების, მკვლელობებისა და ამგვარი ფაქტებისადმი ოფიციალური შემწყნარებლობის პრაქტიკისათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ე.წ. „ბორდერიზაციის“ ფონზე მიმდინარეობს. სტრასბურგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ მკაფიოდ გაესვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და უფრო მეტად განმტკიცდა ქვეყნის სუვერენიტეტი, რამდენადაც სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, აფხაზეთი და ცხინვალის

რეგიონი მთელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს განუყოფელ ნაწილად არის აღიარებული. ამასთან, დადგინდა, რომ უკანონო რუსეთის მხრიდან მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკვე დასმული პრობლემატური საკითხი უფრო ვრცლად და კრიტიკულად იქნება განხილული სწორედ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ რიგით მეოთხე საქმესთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, განგრძობადი ოკუპაცია, საერთაშორისო ვალდებულებებათა დარღვევა, საქმე, გადაწყვეტილება, პასუხისმგებლობა, ბორდერიზაცია.

მითებისა და რეალობის საბურველში გახვეული საქართველოს პირველი კონსტიტუცია ანუ კონსტიტუციონალიზმის დაბადება საქართველოში

თათია ინჯგია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში კონსტიტუციას უდიდესი ადგილი უჭირავს. საქართველოს პირველ კონსტიტუციას საკმაოდ უცანური ბედი ხვდა წილად, იგი შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონსტიტუციონალიზმის დაბადების სიმბოლოდ იქცა. 1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ პირველ გამოცდილებას წარმოადგენს. დრო, როდესაც იქმნებოდა საქართველოს პირველი ძირითადი კანონი თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში საკმაოდ კრიზისული იყო, ამიტომაც ჯერ კიდევ მისი მიღებისას უკვე მითებით იყო მოცული, რომელთა რიცხვი დროთა განმავლობაში იზრდებოდა და გარკვეულწილად უფრო მეტად მიმზიდველსაც კი ხდიდა მას. ამ ნაშრომში განხილულია საქართველოს პირველ კონსტიტუციასთან დაკავშირებული რამდენიმე გაზვიადებული მოსაზრება, რომელმაც შემდეგ მითებს ჩაუყარა საფუძველი. გაანალიზებული და განხილულია ის რეალობასთან შესაბამისობაში. მოცემულ ნაშრომში შეხვდებით ბრალდებებს, რომელთაც უყენებდნენ საქართველოს პირველ კონსტიტუციას, როგორც პირველ გამოცდილებას და პირველ კონსტიტუციურსამართლებრივ მნიშვნელობის აქტს. აქ ნახავთ რეალობისა და მითების, წარსულისა და აწმყოს ურთიერთდაპირისპირებას, რომელიც საქართველოს პირველ კონსტიტუციაში გამოიხატა, ნაშრომში შეხვდებით საქართველოს პირველი კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის განხილვას თავისი მახასიათებლებით, ნაკლოვანებებითა და მითებში გახვეული სინამდვილით, რადგან მიუხედავად ამ კონსტიტუციის დადებითისა თუ უარყოფითის განხილვისა, მის შესახებ უამრავი მითი მაინც იარსებებს, რომლებიც ან დააკნინებენ მას, ან განადიდებენ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართული სინამდვილისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი აქტი, რომელსაც დღემდე საკრალური მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: პირველი კონსტიტუცია, კონსტიტუციონალიზმი, მითები, პირველი გამოცდილება.

Abstract

The Constitution occupies a great place in the political life of any state. The first constitution of Georgia met a rather strange fate, it can be said that it became a symbol of the birth of constitutionalism in Georgia. The Constitution of 1921 represents the unique first experience of creating the state structure of independent Georgia.

The time when the first basic law of Georgia was created was quite critical to the development of modern civilization, that's why even when it was adopted, it was already surrounded by myths, which were added after the passage of time and even made it more attractive to some extent. The reason for this was the content of this constitution itself, its structure, as well as the skeptical and sometimes dismissive attitude of the surrounding society.

This work discusses some exaggerated opinions related to the first constitution of Georgia, which later laid the foundation for myths. It is analyzed and discussed in accordance with reality. In this work, you will meet the accusations against the first constitution of Georgia as the first experience and the first act of constitutional and legal significance. Here you will see the contrast between reality and myths, past and present, which was expressed in the first constitution of Georgia, in the work you will meet the discussion of the first constitution of Georgia as a basic law with its characteristics, shortcomings and truth wrapped in myths, because despite the consideration of the positive or negative aspects of this constitution, there are still a lot of myths about it. There will be beings who will either belittle him or glorify it, but it can be safely said that it was a special legal act for Georgian reality, which has a sacred meaning to this day.

Keywords: First constitution, constitutionalism, myths, first experience.

ფემიციდის და ძალადობის გაშუქება ქართულ მედიაში

თათია ხახუტაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ფემიციდი, ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობა, მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოში, რომელიც ასახავს ღრმა გენდერულ უთანასწორობას და გამყარებულ სოციალურ ნორმებს, რომლებიც აგრძელებენ ქალთა მიმართ ძალადობას. მიუხედავად საკანონმდებლო ძალისხმევისა და საერთაშორისო ზეწოლისა, ეს რჩება კრიტიკულ საკითხად, რომელიც მოითხოვს საფუძვლიან გამოძიებას და ეფექტურ ჩარევას. ეს კვლევა ანალიზებს ფემიციდსა და ბავშვზე ძალადობას საქართველოში, ფოკუსირებულია მედიის გაშუქებაზე და მის გავლენას საზოგადოების აღქმასა და სოციალურ ნორმებზე. ის იკვლევს სოციალურ-კულტურულ და სამართლებრივ ფაქტორებს, რათა გამოავლინოს ძირითადი მიზეზები და ნიმუშები, რომლებიც ამძაფრებს ასეთ ძალადობას. კვლევა აფასებს არსებული საკანონმდებლო და სოციალური ღონისძიებების ეფექტურობას ფემიციდსა და ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და გაუმჯობესების რეკომენდაციებს. საქართველოს სიტუაციის შედარებისას სხვა ქვეყნებთან, კვლევა ხაზს უსვამს სხვადასხვა გლობალურ სტრატეგიას და სამართლებრივ ზომებს ფემიციდისა და ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ, რაც გვთავაზობს ინფორმაციას საქართველოში საუკეთესო პრაქტიკის ადაპტაციისთვის. სამართლებრივი ზომები, როგორცაა ჯარიმები და სხვა სადამსჯელო ქმედებები, საჭიროა დამნაშავეების შეკავებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

გენდერული ძალადობისა და ბავშვზე ძალადობის გლობალური გავრცელების გათვალისწინებით, კვლევა ხაზს უსვამს ამ საკითხების გადაჭრის აუცილებლობას. ის იკვლევს, თუ როგორ ხდება ძალადობის გაშუქება მედიაში, გაშუქების სიხშირესა და პოტენციურ მიკერძოებებზე, იკვლევს, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს უყურადღებობამ და არასაკმარისმა გაშუქებამ საზოგადოების დამოკიდებულებაზე. შემთხვევის შესწავლისა და სტატისტიკური ანალიზის საშუალებით, კვლევა გამოავლენს ფემიციდის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს და იკვლევს ხელშემწყობ სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებს.

საბოლოო ჯამში, ის მიზნად ისახავს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ფემიციდისა და ბავშვზე ძალადობის სირთულეების საფუძვლიანად გააზრებას, მედიის გაშუქების გაუმჯობესებისა და სამართლებრივი ზომების გაძლიერების, პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზებას. ძირეული მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების განხილვით, კვლევა მხარს უჭერს გლობალურ ძალისხმევას ფემიციდისა და ბავშვზე ძალადობის დასასრულებლად, რაც ხელს უწყობს უფრო უსაფრთხო და სამართლიან მომავალს ყველასთვის. ყოვლისმომცველი და კოორდინირებული ძალისხმევით, შესაძლებელია შეიქმნას სამყარო, სადაც ქალები და ბავშვები არ იქნებიან ძალადობის მსხვერპლნი და იცხოვრებენ ღირსეულად და პატივისცემით.

საკვანძო სიტყვები: ფემიციდი, ძალადობა, ქართული მედია.

Coverage of Femicide in Georgian Digital Media

Tatia Khahutashvili

National University of Georgia - SEU

Abstract

Femicide, the gender-based killing of women, is a significant issue in Georgia that reflects deep gender inequality and entrenched social norms that perpetuate violence against women. Despite legislative efforts and international pressure, this remains a critical issue that requires thorough investigation and effective intervention. This study analyzes femicide and child abuse in Georgia, focusing on media coverage and its impact on public perception and social norms. It examines socio-cultural and legal factors to identify the root causes and patterns that fuel such violence. The study assesses the effectiveness of existing legislative and social measures to combat femicide and child abuse, identifying strengths and weaknesses and making recommendations for improvement. Comparing Georgia's situation with other countries, the study highlights various global strategies and legal measures against femicide and child abuse, offering information for adapting best practices in Georgia. Legal measures such as fines and other punitive actions are needed to deter criminals and ensure justice.

Given the global prevalence of gender-based violence and child abuse, the study highlights the need to address these issues. It examines how violence is reported in the media, the frequency of coverage and potential biases, and examines how inattention and underreporting can affect public attitudes. Through case studies and statistical analysis, the study identifies countries with high rates of femicide and examines the contributing socio-cultural and economic factors. Ultimately, it aims to provide a thorough understanding of the complexities of femicide and child abuse in Georgia and beyond, to offer practical recommendations for improving media coverage and strengthening legal measures. By addressing root causes and contributing factors, the study supports global efforts to end femicide and child abuse, contributing to a safer and more just future for all. With comprehensive and coordinated efforts, it is possible to create a world where women and children are free from violence and live in dignity and respect.

Keywords: Femicide, Violence, Georgian Media.

ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომით უფლებებზე

თამარ აქუბარდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

როგორ აისახება ხელოვნური ინტელექტი დასაქმებულის პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე? შეიძლება ხელოვნური ინტელექტი გახდეს შრომითი ურთიერთობების სუბიექტი? და მაინც რა გავლენას მოახდენს ხელოვნური ინტელექტი დასაქმებულთა უფლებებზე? ეს კითხვები ყველაზე აქტიუალური 2022 წლის შემდეგ გახდა, რაც ინტერნეტ სივრცეში ხელოვნური ინტელექტის პლათფორმა ChatGPT ჩაეშვა. რის შედეგადაც, მსოფლიომ გაიაზრა, რომ ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო შემოდიოდა ადამიანების ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტის გავლენის სწრაფი ზრდა ყველაფერზე აისახება, მათ შორის იგი ძირფესვიანად გარდაქმნის სამუშაო ბაზარს და პირდაპირპროპორციულად აისახება შრომის სამართალზე.

უშუალოდ ხელოვნური ინტელექტი, ასევე ცნობილი, როგორც Artificial Intelligence (AI), არის ტექნოლოგია, რომელიც კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენების გზით ადამიანის ინტელექტის სიმულაციას ახდენს. ხელოვნურ ინტელექტს იმის ძალა შესწევს, რომ შეასრულოს ამოცანები, რომლებიც სტანდარტულად ადამიანის ჩარევას ან მის ინტელექტუალურ რესურს მოითხოვდა. ხელოვნურ ინტელექტზე მოთხოვნის პარალელურად, იზრდება ნეგატიური შეფასებებიც. ბოლო პერიოდში, ხელოვნური ინტელექტის ცალკეული ფუნქციების გამოყენებადობის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს მოჰყვა აქტიური მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით ეთიკის საკითხზე. ფაქტია, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი გავლენისა, ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ ვერ მოექცა რომელიმე სამართლებრივი სისტემის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში. ხელოვნური ინტელექტი არის საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი შრომითი ბაზრისთვის. მას შეუძლია სწრაფად გაანალიზოს და გადაახარისხოს მონაცემთა დიდი ნაკრები. კომპანიები, მათ შორის, ქართული, მას მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვისთვის, გაყიდვების სისტემის მართვისთვის და ადამიანური რესურსების ნაწილში იყენებენ. ასევე ხშირად ხელოვნური ინტელექტი ოცდაოთხსაათიან კომუნიკაციას უზრუნველყოფს მომხმარებელთან, ასევე დახმარებას უწევს IT სერვისების მიმართულებით. ფაქტია, როგორც

კერძო, ისე საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მრავალი გზა არსებობს, თუმცა არსებობს სერიოზული რისკებიც. ამ ნაწილში ჩვენ უნდა ვისაუბროთ ხელოვნური ინტელექტის იმ რისკებზე, რომელიც უშუალოდ შრომით ურთიერთობაში მის გამოყენებას უკავშირდება.

ნაშრომის მიმდინარეობისას ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე ვისაუბრებთ, კერძოდ ხელოვნური ინტელექტის არსზე, მის გავლენაზე შრომით უფლებებზე, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვაზე და პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე. ასევე მიმოვიხილავთ არსებულ სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვა სამართლებრივი სისტემების პრაქტიკიდან. განვიხილავთ და გამოვკვეთთ, როგორც არსებით პრობლემებს, ისე მათი გადაჭრის გზებს. ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა, შეძლებისდაგვარად მიმოიხილოს ეს პრობლემური საკითხი და გამოკვეთოს პრობლემის მნიშვნელობა შრომითი ურთიერთობებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, შრომითი უფლებები, დისკრიმინაცია, სამართლის სუბიექტი, პერსონალური ინფორმაცია.

გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის მკურნალობის სტრატეგიები

თამარ მანთიძე, მარიამი ქირთაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, (Amyotrophic lateral sclerosis (ALS)), არის პროგრესიული, ფატალური, ნეიროდეგენერაციული დაავადება, გამოწვეული ცენტრალური და პერიფერიული მოტონეირონების დეგენერაციით. ეს გამოიხატება სპასტიურ პარეზში, ბულბურ პარეზში ან კუნთოვან ატროფიაში. დაავადების პროგრესირებასთან ერთად ხდება არტიკულაციის, საკვების მიღების, ყლაპვის და სუნთქვითი აქტის გაძღვება, ამ ფუნქციების სრულ მოსპობამდე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3-5 წელს შეადგენს. ALS-ის ეტიოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ლიტერატურაში აღწერილი შესაძლო მექანიზმებია: გენეტიკური მუტაციები, გლუტამატის კონცენტრაციის მატება, ოქსიდაციური სტრესი, აქსონალური ტრანსპორტის დარღვევა, ნეიროანთება და სხვა. დღესდღეისობით განიხილება სხვადასხვა თერაპიული სტრატეგიები ALS-ის სამკურნალოდ: თერაპია ოქსიდაციური სტრესის, მიტოქონდრიის დისფუნქციის, გლუტამატის კონცენტრაციის მატების, აპოპტოზის, ნეიროანთების წინააღმდეგ და სხვა. რილუზოლი და ედარავონი ერთადერთი მედიკამენტებია, რომლებიც დაბალი ეფექტურობის მიუხედავად დამტკიცებულია FDA-ს მიერ. ღია II ფაზის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა ინდივიდმა. 5 მაგთანისთვის 30 მგ ედარავონი, ხოლო 15 მატანისთვის 60 მგ იქნა შეყვანილი ინტრავენურად. დაფიქსირდა, რომ გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის ფუნქციური შეფასების შკალის (ALSFRS-R) ქულა მნიშვნელოვნად შემცირდა ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ ორივე ჯგუფისთვის. რანდომიზირებულ, ორმაგად ბრმა III ფაზის კვლევაში, ასევე დაფიქსირდა ALSFRS-R ქულის მცირე დაქვეითება პლაცებო ჯგუფთან შედარებით. კლინიკურად არ არის მიღებული ედარავონის პერორალური დოზირების ფორმულირება, ამიტომ იგი გამოიყენება როგორც ინტრავენური თერაპიული საშუალება ALS-ისთვის. თუმცა, ამ საკითხის კვლევა ხორციელდება Mitsubishi Tanabe Pharma Corporation-ის მიერ 3b ფაზის, მულტიცენტრული, რანდომიზირებული, ორმაგად ბრმა ტესტის ქვეშ, რომელშიც ჩართულია 380 პაციენტი. რილუზოლის ეფექტურობის დასადგენად ჩატარდა, ორმაგად ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 155 ინდივიდი ALS-ის

დიაგნოზით. აქედან 78 პაციენტი იღებდა პლაცებოს, 77- რილუზოლს. რილუზოლის დოზა იყო 100 მგ დღეში. 12 თვის შემდეგ, კვლევამ დადებითი შედეგი აჩვენა, პლაცებოს ჯგუფში 78 -დან 45-პაციენტში (58 %), ხოლო რილუზოლის ჯგუფში 77 -დან 57-პაციენტში(74%). აღმოჩნდა, რომ ანტიგლუტამატური აგენტი, რილუზოლი, ანელებს ამიოტროფიული გვერდითი სკლეროზის პროგრესირებას და ასევე მას შეუძლია გააუმჯობესოს პაციენტების ცხოვრების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზი, ოქსიდაციური სტრესი, ედარავონი, რილუზოლი.

იმპიჩმენტის მექანიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგები ქართულ რეალობაში

თეა შერვაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კონსტიტუციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეას ეფუძნება და მოიცავს პრინციპებს, რომლებიც განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებებს ამკვიდრებს. საკონსტიტუციო სამართლებრივ ღირებულებათა სისტემაში, უმნიშვნელოვანესია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმს წარმოადგენს იმპიჩმენტის პროცედურა. მისი განხორციელება ხელისუფლების ორი შტოს, პარლამენტის პოლიტიკური გადაწყვეტილებისა და სასამართლოს სამართლებრივი დასკვნის შედეგს წარმოადგენს. მისი მიზანი კი პირის თანამდებობიდან გადაყენებაა. თავის მხრივ, საქართველომ ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოსცადა რესპუბლიკური მმართველობის თითქმის ყველა მოდელი. აღნიშნული დროის მანძილზე, საკონსტიტუციო რეფორმების კვალდაკვალ, იმპიჩმენტის პროცედურის საფუძვლები განსხვავებულად იყო განსაზღვრული ქვეყნის ძირითადი კანონში. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში, იმპიჩმენტის პროცედურის სამართლებრივი საფუძველი მოიცავს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას. რეალურად, პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა განხორციელდა 2023 წელს. უმთავრეს პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა პრეზიდენტის შეხვედრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტებთან, რომლებზეც მას თანხმობა არ ჰქონია მთავრობისგან. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს ექვსმა მოსამართლემ დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, ხოლო სამ მოსამართლეს გააჩნდა განსხვავებული აზრი. მოცემული ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ საქართველოს, როგორც საპარლამენტო მმართველობის მოდელის მქონე ქვეყნის, გამოცდილება იმპიჩმენტის მექანიზმის ფარგლებში, შევხვოთ საკონსტიტუციო სასამართლოს

მიერ დამკვიდრებულ სამართლებრივ პრაქტიკას და პარლამენტის საბოლოო გადაწყვეტილების პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: იმპიჩმენტი, საქართველო, კონსტიტუციონალიზმი, პრეზიდენტი, სასამართლო

The political-legal consequences of the impeachment mechanism in Georgian reality

Tea Shervashidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The constitutionalism is based on the idea of democracy and freedom in the modern world and incorporates principles that establish the fundamental values of a developed legal state. In the system of constitutional legal values, the most significant principle is the separation of powers. The implementation of the foresaid political-legal procedure is the result of concerted action of two branches of government: the political decision of parliament and legal order of the court and the purpose of it is the removal of an individual from the office. On the other hand, during the last 30 years, Georgia has tested almost all models of republican governance. As a result of the 2017-2018 constitutional reforms, the current edition of the Georgian Constitution includes legal grounds for impeachment procedures, encompassing violations of the Constitution or the presence of criminal elements in the actions of the highest state officials. In practice, an impeachment procedure against the president was carried out in 2023. The main problematic issue was the president's foreign political meetings with the presidents of the Federal Republic of Germany, the Republic of France, and the Council of Europe, for which she did not have government approval. Consequently, 6 judges of the Constitutional Court confirmed the President's breach of the Constitution, while 3 judges had a different opinion. Due to the lack of the necessary 2/3 majority of votes in the parliamentary vote, the president did not lose his office through the impeachment mechanism. The purpose of this paper is to discuss Georgia's experience with the impeachment mechanism as a country with a parliamentary governance model, to review the legal practices established by the Constitutional Court, and to explore the political significance of the parliament's final decision.

Key words: impeachment, Georgia, constitutionalism, president, court.

მზითვის ინსტიტუტი საქართველოში

თეკლა მარჩილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომი ეხება მზითვის ინსტიტუტს საქართველოში. ნაშრომში მოცემულია მისი განმარტება და განვითარების ეტაპები. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მზითევი, ქალისათვის გათხოვებისას გასატანებელი ქონებაა. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ მზითვის შემადგენლობასა და ამ ინსტიტუტის სახესხვაობას მთასა და ბარს შორის.

საინტერესოა, მზითვის როლი ქალების მემკვიდრეობის თვალსაზრისითაც. ძირითადად, გათხოვილი ქალის სამემკვიდრეო უფლებები მზითვით შემოიფარგლებოდა. მზითევი ქალის ქონებრივი დამოუკიდებლობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო და ის დიდ გავლენას ახდენდა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზეც ქმრის ოჯახში. მშობლები გათხოვილ ქალს, მზითევის სახით, ოჯახიდან აძლევენ ქონებას. აღნიშნულის მიზანს კი ქალიშვილისთვის, გარკვეულწილად, ცხოვრების შემსუბუქება და მისთვის ქმრის ოჯახში კარგი პირობების შექმნა წარმოადგენდა. საკონფერენციო ნაშრომში განმარტებული იქნება თუ როგორ შეძლებდნენ ისინი მზითევის გატანებით შვილისთვის ქორწინების ტვირთის შემსუბუქებას.

საქართველოში ქალის ქონების აღმნიშვნელ რამდენიმე ტერმინს ვხვდებით, მართალია მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „მზითევი“, თუმცა საგულისხმოა ტერმინი „სათავნო“. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თითოეული, განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მათი გაგება და მნიშვნელობა კი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მზითევი წყაროებში წარმოდგენილია, როგორც ქორწინების შემადგენელი ნაწილი, რომლის მიცემა ქალიშვილისთვის სასურველის გარდა აუცილებელიც ყოფილა. დროთა განმავლობაში, მისი როლის ზრდამ კი განაპირობა აღნიშნულის სამართლებრივი რეგულირებაც.

საკონფერენციო ნაშრომი მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს საქართველოში მზითვის ინსტიტუტის რაობას, მის განვითარებასა და შემადგენლობას. ასევე შეძლებს, შეიტყოს თურაოდენ დიდი მნიშვნელობის მატარებელი ყოფილას ქალის უფლებაუნარიანობის განვითარებისთვის. ნაშრომში მოცემულია საგულისხმო ინფორმაცია ქალის ქონების აღმნიშვნელი სხვა ტერმინების შესახებაც. თუმცა,

ყველაზე საინტერესო საზოგადოების შეხედულებათა ცვალებადობაა ამ ინსტიტუტთან მიმართებით. თანამედროვეობაში, ხშირია, მზითვის ინსტიტუტის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რაც ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებამ და თავის მხრივ, მაღალმა საზოგადოებრივმა სტატუსმა განაპირობა.

საკვანძო სიტყვები: „მზითვის ინსტიტუტი“, „სათავნო“, „ქალთა უფლებები“, „ქონებრივი დამოუკიდებლობის გარანტია“.

Abstract

The conference paper is about the dowry institute in Georgia. Here are given definition and stages of development. As we all know, dowry is a property that is given to a woman when she gets married. Within the scope of the paper, we discuss the composition of dowry and the difference between this institution in Mountain and Bar.

It is interesting to consider the role of dowry in the context of women's inheritance. Primarily, a married woman's inheritance rights were limited to her dowry. The dowry was the main determinant of a woman's financial independence and had a significant impact on her status in her husband's family. Parents gave property to a married woman in the form of a dowry. The aim of this was to somewhat ease their daughter's life and create good conditions for her in her husband's family. The conference paper will explain how they were able to alleviate the burden of marriage for their daughter by providing a dowry.

In Georgia we find several terms indicating a woman's property, although the most common among them is "dowry", but the term "satavno" is also significant. In different regions of Georgia, each term was used with different meanings. Their understanding and meaning changed over time. Dowry is presented in sources as an essential part of marriage, that was not only desirable but also necessary for the daughter. Over time, the growth of its role led to its legal regulation.

The conference paper will allow the reader to learn about the nature of the dowry institute in Georgia, its development and its components. Additionally, readers will learn how significant it has been for the development of women's legal capacities. The paper also provides important information about other terms indicating a woman's property. However, most interesting aspect is the change in public opinion towards this institution. In modern times, there is often a critical attitude towards the institution of dowry, which was caused by the improvement of the legal status of women and, in turn, the high social status.

პირგასამტეხლოს როლი ქართულ სამართალში

მარიამ რუხაძე, თეკლა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, სადაც მაღალ დონეზე განვითარებული სახელშეკრულებო ურთიერთობები, უმნიშვნელოვანესია პირგასამტეხლოს როლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417 მუხლი მის დეფინიციას გვთავაზობს- მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ნორმის მიზანია მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულებისა და კრედიტორის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. იგი იცავს ორივე მხარის ინტერესებს, არეგულირებს მათ შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას და შეიძლება ითქვას, რომ პრევენციულ ხასიათს ატარებს. თუმცა ის, რაც თეორიაში გამტკიცებულია, პრაქტიკაში სულ სხვა სახეს იძენს. ამ აბსტრაქტში მინდა განვიხილო პირგასამტეხლოს მნიშვნელობა, მისი შემცირების შესაძლებლობა და გამოყენების პრაქტიკა.

პირგასამტეხლოს დაკისრების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ორივე მხარე- კრედიტორი, რომლის წინაშე ნაკირი ვალდებულებაც ჯეროვნად უნდა შესრულდეს და მოვალე, რომელმაც არ უნდა დაკარგოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ინტერესი უკიდურესად გადაჭარბებული თანხის დაკისრების გამო. ამ ყველაფერს არეგულირებს სასამართლო, რომელსაც შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ესაა ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს შეზღუდოს სახელშეკრულებო თავისუფლება და შეცვალოს გარემოებები მიღწეული შეთანხმების მიუხედავად.

რალა თქმა უნდა, ნებისმიერი ნორმა, რომელიც მიემართება თანასწორობის შენარჩუნებას, გამართლებულია, თუმცა მეორე საკითხია, როგორ დგება ნორმის განხორციელება მზის შუქზე. დასაფიქრებელია სასამართლო პრაქტიკა, პირგასამტეხლოს შემცირების პროცესი და მის სამართლიანობა დღევანდელ რეალობაში.

კერძოდ, ქვეყნის მდიდარი სასამართლო პრაქტიკა იძლევა იმის საშუალებას,

გავაკეთოთ დასკვნა, რომ პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მიღებული საჩივრების უმეტესობა დაკმაყოფილებული იქნა. რამდენადაც ეს ყველაფერი შესაძლოა უწყინარად მოგვეჩვენოს, გასავლება ხაზი, არის პირგასამტეხლო რეალური თავდაცვის მექანიზმი თუ სიმბოლურად არსებული კანონის შემავსებელი დანამატი, რომლის „მოშლაც“ ყველას შეუძლია. აქვს თუ არა რაიმე აზრი მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც მაინც შეიცვლება?

აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა სასამართლოს დადგენილება პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე და განმარტა, რომ სასამართლომ მხარეთა თანასწორობა მისთვის კანონით დაწესებული ჩარჩოს ფარგლებში უნდა დაიცვას.

ვფიქრობთ, უნდა იქნეს დაცული ბალანსი. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოვალის ზარალი, არამედ კრედიტორის რეალური ინტერესიც და თავიდან უნდა აიცილოს პირგასამტეხლოს ინსტიტუტის არაპრაქტიკულ, გამოუყენებელ ნორმად ქცევა.

საკვანძო სიტყვები: პირგასამტეხლო, სასამართლო პრაქტიკა, სახელშეკრულებო.

The role of civil penalty in the Georgian legal system

Mariam Rukhadze, Tekla Khachidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

In modern world, where civil relationships are highly developed, the role of penalty holds great importance. According to Article 417 of the Civil Code of Georgia, penalty is a monetary amount determined by the agreement of the parties, which the debtor must pay for non-fulfillment or improper performance of the obligation.

The purpose of the norm is to ensure that the debtor fulfills his obligations in good faith and to protect the interests of the creditor. However, what is proven in theory takes a completely different form in practice. In this abstract, I would like to discuss the importance of civil penalty, the possibility of its reduction and the practice of its use.

In the process of imposing a penalty, both sides must be taken into account - the creditor, to whom the obligation must be fulfilled in a concerted manner, and the debtor, who must not lose the interest in the contractual relationship due to the imposition of an extremely excessive amount. All of this is regulated by the court, which can reduce the inappropriately high penalty, taking into account the circumstances of the case. Of course, any norm that tends to maintain equality is justified, but how the implementation of the norm stands in the light of day is another matter.

In particular, the rich judicial practice of the country allows us to conclude that most of the complaints received regarding the reduction of the penalty have been satisfied. As innocuous as all this may seem, there is a line, whether it is a real defense mechanism or a symbolic addition to the existing law that anyone can "disrupt". Does it make sense to implement a mechanism that will change anyway?

I would like to mention the decision of the court of cassation, which canceled the court's decision on the reduction of the penalty and clarified that the court must protect the equality of the parties within the framework established by the law. In conclusion, I think a balance should be maintained. The court should take into account not only the debtor's loss, but also the real interest of the creditor, and should avoid turning the institution of penalty into an impractical, unused norm.

Key words: Penalty, court practice, contractual.

მენეჯმენტის როლი ღია ინოვაციების დანერგვის პროცესში მცირე და საშუალო ბიზნესში

თამარ ჯანგულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატია ეხება ტოპ და საშუალო რგოლის მენეჯმენტის როლის ანალიზს მცირე და საშუალო ბიზნესში ღია ინოვაციების დანერგვის პროცესში. სტატიაში განხილულია მენეჯმენტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობები ღია ინოვაციების ბიზნესში დანერგვამდე და დანერგვისას, კომპანიის მისიის და სტრატეგიის ანალიზის მნიშვნელობას ღია ინოვაციების დანერგვისას, ორგანიზაციული მოდელის შერჩევას და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობას, ბიუჯეტის და რესურსების განაწილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების ანალიზის, კომპანიის ღირებულებების გაანალიზების მნიშვნელობას და ამ პროცესების დაგეგმვისას მენეჯმენტის როლს. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში კვლევისა და განვითარების დეპარტამენტები (R&D) ღია ინოვაციების დანერგვაში დიდი როლს ასრულებენ, შესაბამისად, სტატიაში განვიხილავთ მენეჯმენტის როლს, პერსონალის ფუნქციებს და დეპარტამენტის როლს კომპანიის საერთო მიზნების მიღწევაში ღია ინოვაციების დანერგვის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტმა უნდა შეძლოს თანამშრომელთა მობილიზება, რომ მზად იყვნენ ითანამშრომლონ ერთმანეთთან ახალი პროდუქტის ან სერვისის შესაქმნელად, შესაძლებელია საჭირო გახდეს თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან ღია ინოვაციების ორგანიზაციაში დასანერგვისთვის. შესაბამისად, ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ ყველა რესურსის მობილიზება, რომ შეიმუშაონ, განავითარონ და მიაწოდონ ის ინოვაციები, რაც მათ მომხმარებელს სურს.

საკვანძო სიტყვები: ღია ინოვაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, ტოპ და საშუალო რგოლის მენეჯმენტი, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი (R&D).

პრევეციული თავდაცვის უფლების სამართლებრივი ასპექტები

თეონა ჩაჩუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მრავალი პრობლემური საკითხი იყრის თავს, რომელიც მოითხოვს რეგულირებასა და მშვიდობიანი გზების მოძიებას, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას. ერთ-ერთ საკვანძო საკითხად გვევლინება სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება, რომლის ირგვლივ ხდება აქტორის მოქმედების შეფასება. ძალის გამოყენების სამართლებრივმა რეგულირებამ ტრანსფორმაცია განიცადა, დაწყებული „სამართლიანი ომის“ დოქტრინის გამოყენებიდან, დამთავრებული გაეროს წესდებაში აღბეჭდილი ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვით. აღნიშნულ კონტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, სახელმწიფოთა სამართლებრივი თუ პოლიტიკური მოტივები და ინტერესები, და, მეორე მხრივ, ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვის პრობლემა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა.

პირველ რიგში საინტერესოა ძალის გამოყენების პირობების გააზრება, თუ რა შემთხვევაში უშვებს შესაძლებლობას სახელმწიფოების მხრიდან იქნეს ძალა გამოყენებული თავდაცვის მოტივით, ხოლო ამის პარალელურად წამოჭრილი სადავო საკითხი არის პრევენციული თავდაცვის განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს ძალის გამოყენებას იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველია და დაფუძნებულია მსხვერპლი სახელმწიფოს სუბიექტურ აღქმაზე, რომ სავარაუდო თავდასხვმა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს. აღნიშნულის პრატიკაში გამოყენება ისტორიის განმავლობაში არაერთხელ მომხდარა შეერთებულ შტატების მიერ, რომელიც აისახებოდა სპარსეთის ყურეში ირან-ერაყის ომის დროს აშშ-ის საზღვაო ძალების მონაწილეობის წესებში. წინასწარი თავდაცვის უფლებაზე მითითება აქვთ გაკეთებული გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს, რომ თავდაცვის უფლება „წინასწარი თავდაცვის“ უფლებასაც მოიცავდა, იმ პირობით, რომ შეიარაღებული თავდასხმა გარდაუვალი იყო.

ნაშრომის მიზანია: წარმოჩინდეს ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები, რომელიც დამყარებულია პრევენციული თავდაცვის დოქტრინას; დასახელებული

იქნება საერთაშორისო სამართალში არსებული ხარვეზები, რომელიც არსებობს საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში; საუბარი იქნება იმ დადებით და უაროფით შედეგებზე, რაც მოჰყვება ძალის გამოყენებას; შეფასების სახით კი წარმოჩინდება დაპირისპირებულ მოსაზრებათა მომხრეების არგუმენტირებული მსჯელობა და გაზიარებული იქნება წარსულის გამოცდილება, რამაც თანამედროვე აზროვნება მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პრევენციული თავდაცვის განხორციელება უკეთესი პირობაა მშვიდობის განსამტკიცებლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ კვლევის სირთულესა და მის კომპლექსურ ხასიათს, ნაშრომში დასმული მიზნების მიღწევა სოციოლოგიური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: პრევენციული თავდაცვის უფლება, საერთაშორისო სამართალი.

არასრულწლოვანთა ქონების განკარგვის საქმეთა თავისებურებანი

მარიამ თურქიაშვილი, მარიამ კალმახელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ინდივიდი, რომელიც არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, დაბადებიდან ხდება გარკვეული, თავისუფლებებისა და მოვალეობების მქონე. ადამიანის დამცავ ძირითად მექანიზმს სამართლის ხელში, მისი კონსტიტუციური, სამოქალაქო პრინციპებზე დაფუძნებული უფლებები წარმოადგენს, რომლის გარეშე პიროვნება არაა სამართლის სუბიექტი. როდესაც საკითხი არასრულწლოვანს ეხება, უფრო მეტი გარანტიაა საჭირო, მისი ინტერესების უზრუნველსაყოფად. ეს უკანასკნელი საკმაოდ კომპლექსურია და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს სამოქალაქო სამართალში, სხვადასხვა კვალიფიკაცია გააჩნია. რადგანაც, ბავშვი მოკლებულია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, სამართალი ავსებს ამ ღრმა დანაკლისს და კოდექსის მუხლების მიხედვით აწესრიგებს, არასრულწლოვანის მიერ სამართლებრივი საკითხების გადაჭრის გზებს და მისი ქონების განკარგვის შესაძლებლობებს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვს გააჩნია სრულყოფილი და ჯანსაღი განვითარების უფლება, კულტურულ ცხოვრებაში სრულყოფილად მონაწილეობის, საზიანო ქმედებებისგან დაცვის და ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს დღევანდელ რეალობაში წარმოადგენს, არასრულწლოვანთა ქონების განკარგვის საქმეთა თავისებურებანი. არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ძირეული საკითხები ყურადღების მიღმა დარჩეს, ჩვენ გვინდა კიდევ უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ ყოველივე, ის, რაც ბავშვთა უფლებების დაცვის საყოველთაო დოკუმენტებში არის დაწერილი, იგულისხმება კოდექსი, კონვენცია, დეკლარაციები. ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნები განეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომელთა სამართლებრივი სტატუსი, როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების წინაშე სუსტია, ამიტომ დამკვიდრდა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, მათი ინტერესების დამცველი მუხლების შემუშავება. ეს ყოველივე სწორედ მათი ქონების მესამე პირის მიერ ხელყოფისგან დაცვას ემსახურება. ჯერ კიდევ მ1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მრავალი ქვეყანა გაერთიანდა და შეიქმნა გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), რითაც ერთგვარად საფუძველი ჩაეყარა და აქტუალური გახდა ბავშვთა უფლებები, 1950 წელს მომზადდა, ბავშვთა უფლებების დოკუმენტის პირველი პროექტი.

საქართველოში 1994 წლის 2 ივლისს ვალდებულება, უზრუნველყოს „ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისთვის, ამასთან გათვალისწინებულია მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებები და მოვალეობები და ამ მიზნით მიმართავენ ყველა ადმინისტრაციულ, თუ საკანონმდებლო ზომებს“. ჩვენ ვისაუბრებთ, საკითხზე, რომელიც საზოგადოებაში და სამართლის სისტემაში მტკიცედ მკვიდრდება, ეს არის არასრულწლოვნის ქონების განკარგვის საქმის თავისებურებანი, მისი უფლებების და ინტერესების სრული უზრუნველყოფა, ხელყოფისგან დაცვა. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს თემის განვრცობა, ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სამართლის სისტემის მიხედვით და საფუძველზე; ვისაუბრებთ საკითხებზე, რაც საჭიროა ბავშვის უპირატესი ინტერესების დასაცავად.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანები, ქონების განკარგვა.

**სამეზობლო სამართალი და კერძოსამართლებრივი თმენის
ვალდებულებათა აქტუალურობა ქართულ რეალობაში**

ია ჯანგველაძე, თათული სოფრომაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამეზობლო სამართალი საქართველოს კანონმდებლობისათვის სიახლეა. იგი ადრეულ ეპოქაში ჩვეულებების დონეზე იყო დამკვიდრებული. თუმცა მსოფლიო იურისპრუდენცია ვითარდება და ქართული კანონმდებლობაც მას მისდევს ფეხდაფეხ, ამიტომ ის, რაც დაუწერელი ნორმების სახით იყო არსებული, საკანონმდებლო რეგლამენტაციის შედეგად კოდიფიცირდა. მოსახლეობაში კი გაურკვევლობა გაჩნდა, რადგან იურიდიულმა მიმართულებამ, რომელიც სამოქალაქო სამართალსავითარებს, გამოიწვია პრობლემათა ჯაჭვი. საზოგადოებამ ვეღარ გაისიგრძეგანა რა იყო კანონსაწინააღმდეგო და რა არა, ვინაიდან მათი ცნობიერების დონე შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციით, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ხარვეზი მის მომწესრიგებელ ნორმებშია, რომელსაც კონტრასტულად ემიჯნება უმრავლესობისთვის უცნობი საემისიო სამართალი, თავისი არსებითი და არაარსებითი ემისიებით.

ნაშრომში შევეხებით ისეთ საკვანძო საკითხს, როგორცაა კანონისა და რეალობის აცდენა, რომელიც არასახარბიელო შედეგების გამომწვევია. ასევე, საინტერესოა რას გულისხმობს სამეზობლო ემისია და შეუძლია თუ არა მას გარკვეული დისკომფორტის წარმოქმნა მეზობლებს შორის. უნდა დადგინდეს - ადამიანების ამგვარი კავშირი ვალდებულებაა თუ უბრალოდ ერთმანეთის პატივისცემით გამოწვეული პასუხისმგებლობა. საზოგადოებაში მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება თმენის ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომ სამართალი გარკვეულ ვალდებულებას აკისრებთ მათ, რომ იცხოვრონ საკუთარი და სხვისი გათვალისწინებით. შეუძლებელია მეზობლებს შორის ურთიერთობა სამეზობლო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების გარეშე, რათა აღკვეთილი იყოს ნებისმიერი სახის ხელშეშლა და გარკვევა იმისა რა შემთხვევაში შეიძლება იყოს სახეზე ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი თმენის ვალდებულება. უნდა გაიმიჯნოს მეზობლების უფლებები, იქნება ეს უფლება ნაყოფზე თუ აუცილებელი გზა. აღკვეთილი უნდა იყოს მეზობლის მხრიდან არასასურველი

ხელშეშლა, რაც გულისხმობს მაგალითად, მშენებლობისას მის მიწაზე გადასვლას. მნიშვნელოვანია ზიანი არ მიადგეს მეზობლის ეკოლოგიურ თუ სოციალურ უფლებებს: არ მოხდეს განათებისა თუ ხედის დაჩრდილვა. უნდა მივალწიოთ კომპრომისს საკუთრების თავისუფლებასა და სხვა პირთა ინტერესებში მისი შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე ამის ანალიზი კი, ვფიქრობთ, საერთო ჯამში, დაგვანახებს სამეზობლო ურთიერთობათა ქვაკუთხედის წიაღში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს. თუ როგორია კანონმდებლობის პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით გავიგებთ და განვიხილავთ უშუალოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მაგალითებზე.

საკვანძო სიტყვები: სამეზობლო სამართალი, თმენის ვალდებულება, ურთიერთპატივისცემა, კანონმდებლობა.

The neighborhood law and The private law obligation relevance in Georgian reality

Ia Jangveladze, Tatuli Sopromadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The neighborhood law is the new for Georgian Legislation. In early epoch it was established as customs. However the world Jurisprudence improves and Georgian Legislation is at its heels. Therefore, that, what was existing with the kind of unwritten norms were conditioned as a result of legal regulations and appeared uncertainty among the population because the legal direction who improves the civil law, caused a chain of problems. Society didn't understand what was legal or illegal, because their level of consciousness was limited only by the established tradition of the society in which they lived. As we see, the problem is in its regulatory norms which is separated from unknown emission law with its existing and unexistig emissions.

In this paper we will discuss such issues as missing the law and reality which causes unfavorable problems. As well it is very interesting what means neighborhood emission and if it can cause discomfort among the neighbors, need to be determined such connection is obligation or it is caused of responsibility of deference to each other. In society it is important to raise awarness about the commitment to patience that the law charges them the obligation to live with consideration to each other. it is Impossible the relationship with neighborhood without the norms of the neighborhood law because to be prevented any obstructions and need to understand if in which case it can be paid or unpaid commitment to patience need to separate the rights of neighbor it will be the right of the fetus or the necessary way. Must be prevented an unnecessary obstruction from the neighbor what means for example to move on its land during building. It's important don't damage his ecological or social rights. Don't be overshadowed lights or views. We have to reach a compromise about the freedom of ownership and the issue of limitation in the interests of other persons.

In common, in our opinion, the analysis of all this will show us how to solve the problems which are in the bosom of the cornerstone of neighborhood relations. What is the answer of the legislation in this regard, we will understand and discuss with the sums of the decisions of the Supreme Court.

Keywords: the neighborhood law, the commitment to patience, mutual respect, Legislation.

**იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპი და მისი გავლენა
თანამედროვე საერთაშორისო სამართალზე**

ირაკლი ხასაია, მარიამ ჩიბურდანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ პრინციპზე - იძულებითი დაბრუნების აკრძალვაზე ჩატარებულ კვლევას, რომელმაც უნდა გამოკვეთოს ამ პრინციპის დანიშნულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლისთვის. ნაშრომში განხილულია უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევები, განვითარებულია შეფასებითი მსჯელობა, ბოლოს კი ვხვდებით დასკვნას, რომელიც შეჯამებაა ყოველივე ზემოთქმულისა. ბუნებრივია, ნაშრომის თითოეული შინაარსობრივი ნაწილი გამყარებულია შესაბამისი იურიდიული კაზუსტიკით. კვლევა სრულად მოიცავს აღნიშნული პრინციპის განვითარების სტადიებს. მკითხველს ექმნება წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ საიდან წარმოიშვა იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპი, რა გზა გაიარა მან დღევანდელი ფორმის მიღებამდე, როგორ კოდიფიცირდა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და ყველაზე მნიშვნელოვანი - როგორი დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოებს მისადმი. ნაშრომი თვალნათლივ გამოკვეთავს იმას, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ისეთ დარგებში, როგორებიცაა ჰუმანიტარული სამართალი, ლტოლვილთა სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი ა.შ. იგი ასევე აღწერს პრინციპის გამოყენების სიხშირეს თანამედროვე რეალობაში და პასუხს სცემს მნიშვნელოვან შეკითხვას იმის თაობაზე, თუ ვისი უფლებამოსილებაა პრინციპის გამოყენება და რა პირობების დაცვით ხდება ეს. თვალსაჩინოებისთვის ნაშრომში მოხმობილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2016 წელს განხილული საქმე და სასამართლოს შემდგომი დადგენილებები, რომელიც ეხება იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპს.

საკვანძო სიტყვები: იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპი, ლტოლვილი, კოდიფიკაცია, კვლევა, ლტოლვილი.

დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებში

კესო კაკაურიძე, ლიზი ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შრომის სამართლის მიზანი დასაქმებულის დაცვაა. დასაქმებული აღიარებულია შრომითი ურთიერთობის „სუსტ მხარედ“. შრომითსამართლებრივი წესრიგის ფუნქციაც არის სწორედ შრომით ურთიერთობებში არსებული ბუნებრივი დისბალანსის შეძლებისდაგვარად ნეიტრალიზება. დასაქმებულის დასაცავად შრომის სამართალი ითვალისწინებს იმპერატიულ ნორმებს, მათ შორის უმთავრესია დისკრიმინაციის აკრძალვა.

ტერმინი დისკრიმინაცია ლათინური წარმომავლობისაა, რაც ნიშნავს „განსხვავების განხორციელებას“. ის გულისხმობს ნეგატიურ კონტექსტში გარკვეული ნიშნის მიხედვით ადამიანთა განსხვავებას. დისკრიმინაციის აკრძალვის კონცეფცია წარმოიშვა თანასწორობის იდეიდან. თანასწორუფლებიანობის არსია ადამიანთა მიმართ თანაბარი მოპყრობა და ინდივიდუალურობის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა სოციალური სიკეთების მიმართ. ხოლო დისკრიმინაცია გულისხმობს თანაბარ პირობებში მყოფი ორი პირის შემთხვევაში უთანასწორო მოპყრობას ერთ-ერთის სასარგებლოდ, მეორესთვის დამახასიათებელი ნიშნის გამო.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის თანახმად აკრძალულია დისკრიმინაცია, როგორც შრომითი ურთიერთობისას, ასევე წინასახელშეკრულებო ურთიერთობაშიც, მათ შორის ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 111-ე კონვენციის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებშია მოცემული დასაქმების ეტაპი- წინასახელშეკრულებო ურთიერთობა. სამუშაოს მაძიებლები, დასაქმების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სარგებლობენ თანაბარი მოპყრობის უფლებით. სამუშაოს ძებნა საკმარისია იმისთვის, რომ, თანაბარი მოპყრობის წესის დაცვის მიზნების გათვალისწინებით, კანდიდატის მიმართ გავრცელდეს შრომის სამართლით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები.

დღესდღეობით ხშირია დისკრიმინაციის შემთხვევები წინასახელშეკრულებო ეტაპზე. ეს შეიძლება მრავალმხრივ გამოიხატოს, მაგალითად, როდესაც

დამსაქმებლის მიერ ხდება პირდაპირ ან ირიბად მითითება იმ თვისებებზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოტენციური თანამშრომლის კვალიფიკაციებთან ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან, შერჩევის პროცესიდან გარკვეული პირების გამორიცხვა კონკრეტული ნიშნის გამო, იმ მიზეზების საფუძველზე, რომელიც არ უკავშირდება მათ სამუშაო უნარებს ან/და შესასრულებელი სამუშაოს არსს. (მაგალითად პირისთვის პოლიტიკური კუთვნილების გამო სამსახურში მიღებაზე უარის თქმა), არსებული სტერეოტიპული პოზიციების ზეგავლენით, რომ ქალი შესაძლოა მისი სქესის გამო შეუფერებელი იყოს ამ სამუშაოსთვის, მამაკაცი კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭება.

ჩვენი ნაშრომიც სწორედ შეეხება დისკრიმინაციის სახეებს და გამოვლინებას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მხარეების უფლება-მოვალეობებს, მათ შორის დამსაქმებლის შეკითხვების დასმის უფლებას, მათ სპეციფიკას და შეზღუდვის პირობებს, განვიხილავთ ევროპულ გადაწყვეტილებებს ამგვარ საქმეებზე, შევხებით პირის მოცულების უფლებას და მხარეების კეთილსინდისიერებას გასაუბრების ეტაპებზე, ვისაუბრებთ ვაკანსიისა და კონკურსის გამოქვეყნებისას არსებულ დისკრიმინაციის შემთხვევებზე და კანდოდატის უფლებების დაცვის მექანიზმებზე.

საკვანძო სიტყვები: შრომითი დისკრიმინაცია, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, განსხვავება, უპირატესობის მინიჭება.

მშობლის უფლების ჩამორთმევა: სამართლებრივი მოწესრიგება და გამოწვევები

მერი კოლუაშვილი, ანი ბიჩინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკიდურესი სამართლებრივი ღონისძიება, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც შვილებზე, ასევე მშობლებზე. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და გერმანიაში მშობლის უფლებების ჩამორთმევის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოების შედარებითი ანალიზი. ორივე ქვეყნის ისტორიული, კულტურული და საკანონმდებლო კონტექსტის შესწავლის შედეგად, განმარტებულია მშობლის უფლებების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, პროცედურული გარანტიები და სასამართლო პრაქტიკა. კვლევა ხაზს უსვამს საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აბალანსებს კანონმდებლობა ბავშვის კეთილდღეობასა და მშობლის უფლებებს. განხილულია მშობლის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. გარდა ამისა, ნაშრომი აფასებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და შემოთავაზებულია რეკომენდაციები. მშობლებს არასრულწლოვანი შვილების მიმართ არაერთი უფლება-მოვალეობა აკისრიათ. მათ ევალებათ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იზრუნონ მათ რჩენა-აღზრდაზე, განათლებასა თუ განვითარებაზე და შექმნან საამისოდ საჭირო პირობები. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საოჯახო სამართალში არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, თუმცა მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები სრულიად ვერ აღმოიფხვრა. ნაშრომში შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები და მისი სამართლებრივი შედეგები.

საკვანძო სიტყვები: მშობლის უფლების ჩამორთმევა, შედარებითი ანალიზი უცხოურ კანონმდებლობასთან.

Deprivation of Parental Rights: Legal Regulation and Challenges

Mary Koguashvili, Ani Bichinashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Deprivation of parental rights is an extreme legal measure that significantly impacts both children and parents. This paper presents a comparative analysis of the legal frameworks regulating the deprivation of parental rights in Georgia and Germany. By examining the historical, cultural, and legislative contexts of both countries, the legal grounds for terminating parental rights, procedural guarantees, and court practices are explained.

The research highlights the similarities and differences in civil legislation between Georgia and Germany, focusing on how the law balances the well-being of the child and the rights of the parent. Problematic issues related to the deprivation of parental rights are discussed. Additionally, the paper assesses the compliance of Georgian legislation with international standards and offers recommendations.

Parents have numerous rights and obligations towards their minor children. They are required to take care of their children's upbringing, education, and development based on the best interests of the child and to create the necessary conditions for this. Georgia has taken significant steps to protect the rights and legal interests of minors in family law, but cases of abuse of parental rights have not been completely eradicated.

Based on comparative analysis, the paper discusses the grounds for deprivation of parental rights and its legal consequences according to Georgian and German legislation.

Research on this topic is scarce in Georgia.

Keywords: deprivation of parental rights, comparative analysis with foreign legislation.

სქესის, ასაკის, კანის ფერისა და ოჯახური მდგომარეობის ნიშნებით დისკრიმინაცია შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში

მერი კოლუაშვილი, ვერიკო ლასურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დისკრიმინაცია საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად არის: "განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს და იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას."

ყოველდღიურ რეალობაში ხშირია შრომითი ურთიერთობების დარღვევის ფაქტები. შრომის სამართლის კოდექსის მთავრი ფუნქციაა, რეგულირება და კონტროლი გაუწიოს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს და მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო პასუხისმგებლობა დააკისროს დამრღვევს.

კვლევის დანიშნულებაა, აამაღლოს მოქალაქეთა ცნობიერება აღნიშნულ საკითხზე. ჩვენი მიზანია, სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანმა წევრებმა, თავი იგრძნონ დაცულად ყოველგვარი დისკრიმინაციული ნიშნებისაგან სამუშაო ადგილზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხშირია ხარვეზები და დარღვევები, დისკრიმინაციული ნიშნებით, დასაქმების სექტორში.

ნაშრომის მიზანია, დეტალურად განიხილოს და გამოიკვლიოს სქესის, ასაკის, კანის ფერისა და ოჯახური მდგომარეობით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები. მიმოხილულია წინა წლების პრაქტიკა, განვითარების ეტაპები და

ამჟამინდელი მდგომარეობა. ხაზი გაესმება საკანონმდებლო სივრცეში აღმოჩენილ ხარვეზებს და მათი აღმოფხვრის გზებს, რომელთა შესახებაც წარმოდგენილი იქნება არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობა.

საკვანძო სიტყვები: სქესის, ასაკის, კანის ფერისა და ოჯახური მდგომარეობის ნიშნებით დისკრიმინაცია, უთანასწორობა, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები.

Discrimination Based on gender, Age, Skin Color, and Marital Status in Labor-Legalrelations

Meri Koghuashvili, Veriko Lasurashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

According to Article 4 of the Labor Code of Georgia, discrimination is: "Intentional or negligent distinction or exclusion of a person or granting them preference based on race, skin color, language, ethnic or social origin, nationality, origin, property or status, employment contract status, place of residence, age, gender, sexual orientation, disability, health status, religious, social, political or other affiliation, marital status, political or other beliefs, or other grounds, which aims to and results in the denial or infringement of equal opportunity or treatment in employment and professional activities."

In everyday reality, violations of labor relations are frequent. The main function of the Labor Code is to regulate and control the relations arising between the employee and the employer and to impose appropriate responsibility on the violator in case of their violation.

the purpose of the research is to raise citizens' awareness of this issue. Our aim is for participants in civil relations, as full members of civil society, to feel protected from any discriminatory signs in the workplace.

It is noteworthy that Georgia has taken significant steps to eliminate discrimination and inequality in labor-legal relations. However, despite this, deficiencies and violations based on discriminatory grounds are frequent in the employment sector.

The goal of the paper is to thoroughly review and investigate the problems related to discrimination based on gender, age, skin color, and marital status. The practice of previous years, the stages of development, and the current situation are reviewed. Emphasis will be placed on the deficiencies found in the legislative space and ways to eliminate them, which will be presented through reasoned and substantiated discussion.

Keywords: discrimination based on gender, age, skin color, and marital status, inequality, labor-legal relations.

საკუთრების უფლების სოციალურ-სამართლებრივი ბუნება

ნუნუ ყვავაძე, ლადო ნემსიწვერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნული საკონფერენციო თემის ფარგლებში განხილული იქნება საკუთრების უფლება, მისი არსი და შეზღუდვის საფუძვლები ქართული სამართლის პრაქტიკაში. ეს უფლება უძველესი დროიდან დაინერგა და დღემდე განვითარების დიდი გზა განვლო, საბოლოოდ კი შეერწყა ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის უფლებების დაცვა და სწორედ ამიტომ სხვადასხვა სამართლებრივ მოქმედებაზე აწესებს შეზღუდვებს. სწორედ ამ სიაშია საქართველოც. ვინაიდან ჩვენი საკონფერენციო თემა უკავშირდება მხოლოდ საკუთრების უფლებას, საჭიროა ვახსენოთ თურასგულისხმობს იგი. ეს არის ისეთი უფლება, რომელიც აღიარებულია და ამასთანავე უზრუნველყოფილიც, თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა, კანონმდებელი უშვებს მაინც მისი შეზღუდვის ან თუნდაც ჩამორთმევის შესაძლებლობას. აღნიშნული საკმაოდ აქტუალური და პრობლემატურია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში დამათშორის საქართველოშიც, რასაც ადასტურებს თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები რაც აღნიშნულ თემაში იქნება განხილული. ფაქტია, ერთია რომ საკუთრების უფლების როგორც ჩამორთმევა, ისე შეზღუდვა, ორივე უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესის გამყარებას. მოცემულ თემაში ასევე საუბარია საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებაზე, რაც მრავლადაა ქართული სამართლის პრაქტიკაში. აქვე მოყვანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რაც პირდაპირ კავშირშია საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებასთან და მის შეზღუდვასთან. ამავდროულად, განხილული გვაქვს სხვადასხვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას ინდივიდის უფლებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციის უმთავრეს პრინციპებთან: დემოკრატიულ, სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან. შესაბამისად, ამ საკონფერენციო ნაშრომით თვალსაჩინო გახდება, თუ როგორ შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების უფლება და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას ინდივიდის ცხოვრებაზე.

საკვანძო სიტყვები: საკუთრების უფლების არსი, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების მეთოდები ქართული სამართლის პრაქტიკაში, საკუთრების უფლების შეზღუდვა, სასამართლო გადაწყვეტილებები.

The Socio-Legal Nature of Property Rights

Nunu Kvavadze, Lado Nemsitsveridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The conference will address property rights, focusing on their essence and limitations within the context of Georgian law. Property rights, established since ancient times, have evolved and integrated with other human rights. It is essential for democratic nations to protect individual rights, which often necessitates imposing restrictions on certain legal actions, including those in Georgia. Understanding property rights is crucial, as they are recognized and protected by law. However, legislators allow for the possibility of limiting or even confiscating these rights. This issue is pertinent and problematic in various countries, including Georgia, as evidenced by Constitutional Court decisions. Both confiscation and restriction of property rights are intended to serve the public interest. The topic also explores the abuse of property rights, a common issue in Georgian legal practice. Relevant articles of the Civil Code of Georgia addressing the abuse and limitations of property rights will be discussed. Additionally, the decisions of various constitutional courts on property right limitations, which impact individual rights and align with the constitutional principles of a democratic, social, and legal state, will be considered. This conference paper will highlight the ways in which property rights can be limited and the consequent effects on individuals' lives.

Keywords: essence of property rights, abuse of property rights in Georgian law, limitation of property rights, court decisions.

**სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი სანქცია
-პატიმრობა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება**

გაბრიელ ლასარეიშვილი, მარიამ კობახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ძლიერი სახელმწიფო საზოგადოებრივი უსაფრთხოების უპირველესი გარანტია. იგი ვალდებულია მიიღოს ყოველგვარი ზომა, დაიცვას ქვეყანა გარე ძალებისაგან და უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი წესრიგი. ამ პროცესში სახელმწიფოს ერთ-ერთქმედითნაბიჯს წარმოადგენს სანქცია, რომელიც კანონის დარღვევისთვის იძულებისა და ზემოქმედების ზომაა.

სისხლის სამართალი და ადმინისტრაციული სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი ბუნებით, პასუხისმგებლობის მასშტაბით და იმ მიზნებით, რომელსაც თითოეული მათგანი ემსახურება. საკონფერენციო ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მხრიდან დასანქცირების შესაძლებლობა, როგორც წესრიგის დამყარებისა და სამომავლო სავარაუდო დანაშაულის პრევენციისათვის საჭირო გზა.

ზემოხსენებული სანქციები შესაძლოა იყოს მრავალი სახის, როგორცაა, მაგალითად პატიმრობა. სანქციის აღნიშნული ფორმა გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლისსამართლებრივი დარღვევების დროს. საკონფერენციო ნაშრომი შეეხება ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი პატიმრობა, მათი გამიჯვნა და მიზანი. აგრეთვე, ნაშრომის აქტუალობის საფუძველი სწორედ ისაა, რომ მასში წამოჭრილ საკითხს გააჩნია უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ასევე, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართალდარღვევები და მათთვის დამახასიათებელი ნიშნები, ვინაიდან სწორედ მათი მსგავსება

წარმოშობს გამიჯვნის პრობლემატიკას.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას აქვს ინდივიდუალური მიზნები და მახასიათებლები. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მათ შორის განსხვავებაზე, თუ როდის და რა შემთხვევები იძლევა იმის საშუალებას, რომ სანქციის სახით გამოყენებულ იქნას პატიმრობა.

პატიმრობა წარმოადგენს ფაქტობრივად უკიდურეს საშუალებას ადამიანის პასუხისმგებაში მიცემასა და დასანქცირებისათვის, შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ იგი გამოყენებულ იქნეს სამართალდარღვევის პროპორციულად, არ მოხდეს პირის უფლებების უკანონო შეზღუდვა და სანქციის გამოყენებისათვის განსაზღვრული მიზნის მიღწევა.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული, სისხლი, სამართალდარღვევა, პატიმრობა, გამიჯვნა.

Criminal and Administrative Sanctions - Imprisonment as a Means of Achieving a Goal

Gabriel Lasareishvili, Mariam Kobakhidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Strong public safety is the foremost guarantee of a democratic society. It is imperative to ensure the safety of every scale, protect the country from external threats, and uphold internal public order. In this process, each action of the government determines a step towards sanctions, which is the measure of preventing violations of the law and exceeding authority.

The judiciary and administrative judiciary differ from each other in their functions, responsibilities, and goals, each serving its own purpose. The possibility of dismissal from office by the authorities and the necessary procedures for the establishment of the rule of law and prevention of abuse of power by the state are discussed in the conference agenda.

Sanctions imposed may take various forms, such as penalties. The designated form of sanction is used during administrative and criminal justice proceedings. The conference addresses significant topics such as administrative and criminal justice penalties, their identification, and purpose. Moreover, the relevance of the conference lies precisely in the extensive theoretical and practical significance presented within. It also discusses crucial issues, such as administrative and criminal justice violations and indicators for their assessment, as their similarity often leads to problems in implementation.

Individual objectives and criteria for administrative and criminal justice are essential. It is crucial to pay attention to differences between them and identify when and under what circumstances the use of sanctions can lead to penalties. Penalties represent the most extreme opportunity for a person to respond and be sanctioned, thus, it is essential that it is used proportionally to the proportionality principle of justice and does not lead to illegal restrictions on individual rights and the achievement of the defined goal of sanctioning.

Keywords: Administration, Blood, Justice, Sanctioning, Penalty, Enforcement.

კიბერ ძალის გამოყენების სამართლებრივი მოწესრიგება და არსებული სახელმწიფო პრაქტიკა საერთაშორისო სამართალში

თეკლა ფარქოსაძე, ზურაბ ლებანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების გადაფასება, სწორედ ეს გადაფასებაა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ეფექტიანი მოქმედებისთვის წინაპირობა. მისი ნორმები შესაბამისად უნდა აწესრიგებდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოწვევებსა და საფრთხეებს, მათ შორის კიბერსივრცეს და კიბეროპერაციებს. ჯერჯერობით საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ამ გამოწვევების მომწესრიგებელი lex specialis, სწორედ ამიტომ, არსებული ნორმების შინაარსის მნიშვნელობის გასაფართოებლად მნიშვნელოვანია ევოლუციური განმარტების გამოყენება.

საკითხის განვითარებასთან ერთად იცვლება დამოკიდებულებები. დღესდღეობით გეოპოლიტიკური ზეწოლის განხორციელებას აადვილებს სწორედ განსახილველი კიბეროპერაციები და შესაბამისად ჩნდება საჭიროება, რომ სახელმწიფოს თავდაცვის მიზნებისათვის ჰქონდეს განვითარებული კიბერუსაფრთხოება. ამის მაგალითებად რეალური სამყაროდან შეგვიძლია მოვიყვანოთ ის შემთხვევები, როდესაც ერთმა სახელმწიფომ მეორეს არამართლზომიერად დაურღვია კიბერსივრცე. ამის ნათელი მაგალითებია 2007 წლის კიბერშეტევა ესტონეთზე, 2010 წელს კიბერშეტევა ირანის ბირთვული სადგურის კომპიუტერულ სისტემაზე და 2008 წელს საქართველოზე რუსეთთან ომის პერიოდში განხორციელებული კიბერთავდასხმა.

ნაშრომი მიზნად ისახავს კიბეროპერაციების განხილვას საერთაშორისო სამართლის ჭრილში. ნაშრომში განხილული იქნება კიბეროპერაციების მიმართება გაეროს ქარტიასთან, ძალის გამოყენების აკრძალვასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებთან. განხილული იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმების ევოლუციური განმარტების მიმართება კიბეროპერაციებთან და ასევე განხილული იქნება კიბერშეტევების მიმართება გაეროს ქარტიის 51-ე მუხლთან, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს თავდაცვის უფლებას.

ნაშრომში ვუპასუხებთ რამდენიმე კითხვას, სად გადის კიბერკიბერძალის ზღვარი

დარამომენტიდან შეიძლება გადაიქცეს უმნიშვნელო კიბეროპერაცია სერიოზული შედეგების მქონე აქტად? შეიძლება თუ არა კიბეროპერაცია გაუთანაბრდეს შეიარაღებულ თავდასხმას?

საკვანძო სიტყვები: ძალის გამოყენება, კიბეროპერაცია, კიბერსივრცე, კიბერშეტევა, კიბერომი.

Legal Regulation of the Use of Cyber Force and Existing State Practice in International Law

Tekla Parkosadze, Zurab Lebanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

As modern technology develops, it becomes increasingly important to reevaluate the active norms of international law. This reevaluation allows modern international law to exist effectively; its regulations should answer the challenges and dangers coming from modern technological advancements, including cyberspace and cyber operations. Today, there are no *Lex specialis* that govern these cyberchallenges. For this reason, existing norms must be expanded by using evolutionary interpretation.

As this issue develops, attitudes change. In modern times, cyber operations contribute to the implementation of geopolitical pressure, and therefore, states need to develop cyber security for defense and security purposes. As examples of this, we can cite cases from the real world when one state illegally violated cyberspace. Examples of this are the cyberattack on Estonia in 2007, the cyberattack on the computer system of the Iranian nuclear station in 2010, and the cyberattack on Georgia in 2008 during the war with Russia.

The purpose of the work is to discuss cyber operations in the context of international law. The article will discuss the connection of cyber operations with the UN Charter, the prohibition of the use of force, and the principles of non-interference in internal affairs. The connection between the evolutionary definition of the norms of international law and cyber operations will be discussed, as well as the connection between cyber attacks and Article 51 of the UN Charter, which implies the right of the state to self-defense.

This work will answer a few questions: Where do we draw a line for cyber force, and when does an ordinary cyber operation turn into an act with serious repercussions? Can cyberoperation equate to an armed attack?

keywords: Use of force; Cyber operation, Cyberspace; Cyberattack; Cyberwarfare.

**ირიბი ჩვენების გამოყენება - ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
პრაქტიკის შედარებითი ანალიზი**

ლეილა ლიპარტელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს, რომელიც სპეციფიკური მოწესრიგების საგანია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

ნაშრომში მიმოხილული იქნება საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც იყენებს ევროსასამართლო ირიბი ჩვენების გამოყენების დროს, როგორც წინასასამართლო, გამოძიების, ასევე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ჭრილში კი, განხილულ იქნება, ირიბი ჩვენების მომწესრიგებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი და მისი იმპლემენტირება საერთო სასამართლოთა პრაქტიკაში.

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების, სპეციფიკური ბუნება, რომელიც ნაწარმოები, მეორადი სახით არსებობს და არ წარმოადგენს ინფორმაციის პირველწყაროს. ამ უკანასკნელის ავთენტურობის უშუალოდ გამოკვლევის შესაძლებლობა შეზღუდულია, როგორც ბრალდებულისათვის, ასევე სასამართლოსთვის, რაც წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითი პროცესისა და მტკიცებულების უყტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტთან, შესაბამისად, მისი გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვან დამატებით რისკებს ქმნის და საჭიროებს განსაკუთრებულ მოწესრიგებას.

ნაშრომში გაანალიზებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ემსახურება ირიბი ჩვენების მომწესრიგებელი კანონმდებლობის რიგი ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას იმ აუცილებელი ნაბიჯებისა, რომლებიც უნდა გადაიდგას ნორმებს შორის დატოვებული ცარიელი სივრცის აღმოფხვრის მიზნით.

თავისმხრივ, ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ემსახურება საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო სტანდარტის მიმოხილვას, რომელიც შეეხება მტკიცებულების მოპოვების ხერხს, ხარისხს, გამოკვლევას, გამოყენებას, საქმისწარმოების საბოლოო შედეგზე ზეგავლენის ხარისხს, იმ გარემოებებს, რომლებშიც მოხდა მტკიცებულების მოპოვება და სხვა, რაც საერთო ჯამში, უზრუნველყოფს კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი განხილვის უფლების ეფექტურ რეალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: „ირიბი ჩვენება“, „დაცვის მხარის უფლებები“, „უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი“, „მტკიცებულებათა ერთობლიობა“, „ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულება“.

საქართველოში საკანონმდებლო რეფერენდუმის დანერგვის მართებულობა

ლიზი ბალაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანია გასცეს პასუხი კითხვას, მართებულია თუ არა საქართველოში საკანონმდებლო რეფერენდუმის დანერგვა. ამ საკითხის აქტუალობა ნებისმიერ სახელმწიფოში შეიძლება დადგეს, თუმცა იმისათვის რომ გავიგოთ თუ რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალური მისი დანერგვის მიზეზებიდან უნდა ამოვიდეთ.

პირველ რიგში, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დისბალანსის გაჩენის რისკი საკმაოდ დიდია დემოკრატიის პირობებში, ნებისმიერი საკონსტიტუციო თუ საკანონმდებლო ცვლილება რომელიც ხელისუფლების თვითკონტროლს განახორციელებს სასურველი და მისაღებია სახელმწიფოსთვის, ამიტომაც ხსენებული ინიციატივა მიზანშეწონილი უნდა იყოს, მით უმეტეს, დღევანდელობაში უამრავია შემთხვევა, ქვეყანაში არსებული არეულობის და დაძაბულობისა, სწორედ ხელისუფლებისა და საზოგადოების უთანხმოების მიზეზით.

დღევანდელი ინიციატივა პირდაპირ ხაზს უსვამს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მეორე პუნქტის დანაწესის გაუქმებას, რომელიც ამტკიცებს რომ „რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად“. სადავო კანონპროექტის პირდაპირ გამოტანა რეფერენდუმზე და ამ გზით აზრთა სხვადასხვაობის გადაწყვეტა ქვეყანაში მართებული უნდა იყოს, თუმცა, მნიშვნელოვანია მონიტორინგი იმისა რომ ეს უკანასკნელი არ გახდეს ნებისმიერი უთანხმოების გადაწყვეტის საშუალება - ამის აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებებს სრულ ნაშრომში განვიხილავთ.

ეს ინიციატივა შესაძლოა იყოს უამრავი რისკის მატარებელი. პირველ რიგში საყურადღებოა მედია მანიპულაციისა და დეზინფორმაციის რისკი, რომ ამ ნიადაგზე ხალხის მიერ არ იქნეს გამოტანილი არასწორი გადაწყვეტილება. თუმცა ამ რისკის მინიმუმამდე დაყვანის რეალური გზები არსებობს.

ასევე შესაძლოა წამოყენებული იყოს პოზიცია, რომ კანონპროექტი ხშირად დაკავშირებულია ბევრს რთულ ნიუანსთან რომლის გაგებაც მოსახლეობის

უმრავლესობისთვის საკმაოდ რთულია. იმ შემთხვევაში ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია უამრავი დისკუსიითა და საჯარო დებატებით რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას კონკრეტულ საკითხებზე, რაც, ბუნებრივია, საერთო ჯამში ბენეფიციური იქნება საზოგადოებისთვის..

პოლიტიკურად აქტიური საზოგადოება, რომელსაც ამ ცვლილების შედეგად მივიღებთ ,განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. საკმაოდ მსუყვე საერთაშორისო პრაქტიკა, ამართლებს ამ ინიციატივას, მაგალითად შვეიცარიის კანონმდებლობა, ირალნდიაში გამართული არაერთი საინტერესო რეფერენდუმი და ა.შ.

საბოლოო ჯამში, რისკების გაცნობიერების, მათი აღმოფხვრის გზების მიგნებით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, ვასკვნით, რომ სწორი და სრულიად მართებული უნდა იყოს საქართველოში საკანონმდებლო რეფერენდუმის დანერგვა, ვინაიდან როგორც არისტოტელე თავის ნაშრომ „ პოლიტიკაში“ ამტკიცებს „ კანონები უნდა იყოს დაფუძნებული რაციონალურ პრინციპებზე და მორგებული იყოს იმ საზოგადოების კონკრეტულ გარემოებებზე , რომლებსაც ისინი მართავენ“.

საკვანძო სიტყვები: "რეფერენდუმი" ,"საკონსტიტუციო ცვლილება", "ინიციატივა", "კანონშემოქმედება".

Validity of legislative referendum in Georgia

Lizi Bagashvili

International Black Sea University

Abstract

The aim of the mentioned research is to answer the question whether it is appropriate to introduce a legislative referendum in Georgia. The relevance of this issue can be found in any state, however, in order to understand why this issue is important and relevant, we need understand it's purpose.

First of all, the risk of an imbalance between the government and the society is quite large in the conditions of democracy, any constitutional change that provides the self-control of the government is important, especially since there are many cases of unrest and tension in the country today. Due to this problem.

Today's initiative directly emphasizes the cancellation of the provision of the second paragraph of Article 52 of the Constitution of Georgia, which states that "referendum cannot be held to adopt or cancel a law". It should be right to submit the controversial bill directly to the referendum, to resolve the differences of opinion in the country,

This initiative may carry many risks. media manipulation and disinformation should be noted, However, there are ways to minimize this risk, which will be listed in the full article. It may also be argued that the draft law is often quite difficult for the majority of the population to understand. this problem can be eliminated with a lot of discussions and debates.

Quite rich international practice justifies this initiative, for example Swiss legislation, a number of interesting referendums held in Ireland, etc.

In the end, by realizing the risks, finding ways to eliminate them, taking into account international practice, we conclude that it should be correct to introduce a legislative referendum in Georgia, because as Aristotle asserts in his work "Politics" "Laws should be based on rational principles and to be adapted to the specific circumstances of the society they govern".

Keywords: "referendum", "constitutional amendment", "initiative", "lawmaking".

ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მიღწევები პროგრამული უზრუნველყოფის ავტომატური შემუშავების სფეროში

ლიზი ზარქუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ოცდამეერთე საუკუნე ტექნოლოგიების ეპოქაა. ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა არის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარება. მიუხედავად მათი დიდი ეფექტიანობისა და პოპულარობისა, ეს ტექნოლოგიები კიდევ განაგრძობენ განვითარებას და ჯერ მათ სრულყოფილ სახესა და შესაძლებლობებს საზოგადოება არ იცნობს.

ხელოვნური ინტელექტი უდავოდ პერსპექტიული სისტემაა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და სხვა უამრავი დარგისთვის, რადგან მას აქვს უნარი, გადაჭრას სხვადასხვა სირთულის ამოცანა, მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილება, შეასრულოს გამოთვლები, გამოიმუშავოს ასობით უნარ-ჩვევა, რომელსაც ამ ეტაპზე მხოლოდ ადამიანი ფლობს. ხელოვნურ ინტელექტს უკვე აქვს უდიდესი ზეგავლენა ადამიანების ყოფასა და საქმიანობაზე ყველა მიმართულებით.

ხელოვნური ინტელექტი ცხოვრების გასამარტივებლად შეიქმნა, მექანიკური და ნაკლებად ინტელექტურალური საქმიანობის შეთავსებით, ადამიანის გონების უკეთესი, უფრო აღმატებული საქმიანობით დაკავებისთვისა და განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მეტი საფრთხე დაინახა ვიდრე ეს სიკეთე. შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი გახდა მოსაზრება, რომ მხარდი შესაძლებლობების წყალობით, უახლოეს მომავალში, ეს ტექნოლოგია შეძლებს ადამიანის როლის მორგებასა და მის ჩანაცვლებას.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ხელოვნური ინტელექტის დღევანდელი მდგომარეობა შეგვესწავლა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის თვალსაზრისით, რადგან ეს უნარი, გამორჩეულად კარგად აქვთ გამოიმუშავებული ინტელექტუალურ სისტემებს.

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის შესასწავლად ჩავატარეთ კვლევა, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ინტელექტუალური სისტემის შეფასებას კოდის წერაში სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: სტანდარტული მართვის სისტემა, ვებ აპლიკაცია და მობილური აპლიკაცია. შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა

ხელოვნური ინტელექტების მიერ შემოთავაზებული კოდების კორექტულობა, სისრულე და ეფექტურობა. კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტი განვითარების ამ ეტაპზე არც ისეთი უნარიანი და სრულყოფილია, როგორც მოლოდინიც შეიძლება იყოს საზოგადოებაში.

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: ხელოვნური ინტელექტის იდეა; ძირითადი კომპონენტები; ენის დიდი მოდელები; კვლევა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ავტომატიზაციის შეფასებისთვის

საკვანძო სიტყვები: „ხელოვნური ინტელექტი“, „ნეირონული ქსელი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ავტომატიზაცია“, „ენის დიდი მოდელი (LLM)“.

Modern Advances in Artificial Intelligence in Automated Software Development

Lizi Zarkua

Ilia State University

Abstract

The 21st century is the age of technology. One of the greatest achievements of this period is the development of artificial intelligence technologies. Despite their great effectiveness and popularity, these technologies continue to develop, and the public does not yet know their full form and capabilities.

Artificial intelligence is undoubtedly a promising system for science, technology, and many other fields, because it has the ability to solve tasks of various complexity, make logical decisions, perform calculations, and generate hundreds of skills that only humans possess at this point. Artificial intelligence already has a great impact on people's lives and activities in all fields.

Artificial intelligence was created to simplify life by performing mechanical and less intelligent tasks, allowing the human mind to engage in better, more advanced activities and move to a new stage of development. Still, some saw more danger than good. One of the reasons for concern was the idea that increased capabilities of technologies will allow them to adapt and replace human roles in the near future.

Due to the relevance of the topic, studies were carried out to examine the current state of artificial intelligence from the point of view of creating software, because this ability is exceptionally well developed by intelligent systems.

In order to study artificial intelligence from the point of view of software development, we conducted a study that involved the evaluation of several intelligent systems in writing code in different directions, namely: a standard management system, a web application, and a mobile application. The main evaluation criterion was the correctness, completeness, and efficiency of the codes proposed by artificial intelligence. Research has shown that artificial intelligence at this stage of development is not as capable and perfect as society might expect.

The following topics are discussed in the paper: The idea of artificial intelligence; Main components of AI; Large language models; Research to evaluate the automation of software creation.

Keywords: "Artificial intelligence", "Neural network", "Software automation", "Large Language Model (LLM)".

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი-დემოკრატიული სახელმწიფოსა და თვითრეალიზებული ადამიანის მთავარი საჭიროება

ლიზი კოპალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა დემოკრატიულ წესწყობილებაში. დღეს, ამდენად განვითარებულ რეალობაში სახელმწიფოები უდიდესი გამოწვევის წინაშე დგანან, რომ ღირსეული ცხოვრების პირობები შესთავაზონ მოქალაქეებს. ამ ყველაფრის უზრუნველყოფას კი აღნიშნული პრინციპის საშუალებით შეძლებენ.

ნაშრომი ემსახურება იდეას, წარმოჩინდეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის არსებობას ქვეყნის კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ნაჩვენებია ისტორიული კუთხე, თუ რამხელა გზა განვლეს, საიდან დაიწყეს განვითარება და რაოდენ დიდი გამოწვევების წინაშე დადგნენ სოციალური სახელმწიფოები, რათა აღნიშნული პრინციპი დაენერგათ. უყურადღებოდ არაა დატოვებული ისიც, თუ რამდენად დიდი ფინანსური რესურსი, ცოდნა და დიდი ძალისხმევაა საჭირო აღნიშნული პრინციპის დასანერგად. წარმოჩენილია საოციალური სახელმწიფოს როლი იმისთვის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში თვითრეალიზებულმა ადამიანმა შეძლოს არსებობა. კვლევის შედეგად გადმოცემულია უამრავი საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსისა და მეცნიერის ნააზრევი და დამოკიდებულება, რომელიც ნაშრომს სიმყარეს სძენს. განხილულია სხვადასხვა ლიტერატურა, სტატია და ნორმატიული მასალა, რომელიც აღნიშნულ თემას უკავშირდება. ასევე, ნაშრომი ხაზს უსვამს თითოეულ მნიშვნელოვან კომპონენტსა და საკითხს, რომელიც სოციალური უფლებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი წინაპირობა და ფუნდამენტური ღირებულებაა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური სახელმწიფო, დემოკრატიული სახელმწიფო, თვითრეალიზებული ადამიანი.

საკუთრების უფლების დაცვა - ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელები

ლიზი სამუშია, სედა სამანდიანი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, იხვეწებოდა სამართალი. სამოქალაქო რეფორმის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ისაა, რომ საფუძველი ჩაეყარა კერძო საკუთრების ცნებას. საკუთრების ფორმები, როგორც იყო სახელმწიფო საკუთრება, საკოლმეურნეო-კორპორაციული საკუთრება, პროპკავშირული საკუთრება- ისტორიას ჩაბარდა. ასევე ისტორიას ცაბარდა დრო, როდესაც საკუთრება და საჯარო ხელისუფლება მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ნაშრომში მინდა ყურადღება გავამახვილო საკუთრების უფლების დაცვის სანივთო-სამართლებრივ საშუალებებზე. რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე საკუთრების დაცვის საშუალება არ არსებობდა. იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო გახდა ამ უფლების დაცვა. საკმაოდ ხშირი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შემუშავდა საკუთრების უფლების დაცვის საშუალებები - სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები. ვინდიკაციას მაშინ მიმართავენ როდესაც მესაკუთრეს წარმეული აქვს ნივთზე მფლობელობა, ესაა სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა მესაკუთრის მიერ, რაც შეეხება ნეგატორულ სარჩელს, აქ ისეთი მდგომარეობაა, როდესაც საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ჩამორთმევის გარეშე. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს აქვს უფლება ხელშემშლელს მოსთხოვოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთა. ჩემი ნაშრომის მიზანია, ამაღლდეს ხალხის ცნობიერება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა საკუთრების უფლების დაცვა, ვინაიდან ეს არის თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რასაც თითქმის ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით. ცნობიერების ამაღლებით კი, რასაკვირველია, ყველაფერი უფრო გამარტივდება. ამ ნაშრომში განვიხილავ სასამართლო გადაწყვეტილებასაც, რომელიც უკეთ წარმოაჩენს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და დამეხმარება ზუსტად გადმოვცე თუ რამხელა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლების

დაცვას თანამედროვე რეალობაში.

საკვანძო სიტყვები: საკუთრება, სანივთო სამართალი, ნეგატორული სარჩელი, ვინდიკაციური სარჩელი.

Protection of Property Rights - Vindictory and Negatory Claims

Lizi Samushia, Seda Samandiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Along with the development of the state, it is natural that law improved. One of the greatest achievements of civil reform is that it laid the foundation for the concept of private property. Forms of ownership, such as state ownership, collective-economic-corporate ownership, prop-union ownership, have passed into history. Also, the time when property and public authority were closely related to each other is gone. In this paper, I would like to focus on the way to protect property. Taking into account that property is one of the fundamental human rights, it became necessary to protect this right in everyday life. Crimes against property were quite common. It is to eliminate this problem that the means of protection of property rights were developed - vindication and negative lawsuits. Vindication is applied when the owner has been deprived of the ownership of an item, that is, the owner claims the item from someone else's illegal possession. As for the negation lawsuit, here is a situation where property encroachment or other interference occurs without confiscating the thing. In this case, the owner has the right to demand that the trespasser be prevented from taking legal action. The purpose of my work is to raise people's awareness of such an important issue as the protection of property rights, since it is an integral part of every person's life, which we encounter almost in our daily life. By raising awareness, of course, everything will be easier. In this paper, I will discuss a court decision that better presents the problems related to property rights and will help me convey exactly how much practical importance protection of property rights has in modern reality.

Keywords: civil law, vindication lawsuits, negative lawsuits, private property.

თავდასხმები გემებზე წითელ ზღვაში - მეკობრეობის თუ საზღვაო ტერორიზმის აქტები?

ლიზი სვინტრაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წითელი ზღვა წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან საზღვაო დერეფანს, რომელიც აკავშირებს ხმელთაშუა ზღვას ინდოეთის ოკეანესთან და ხელს უწყობს გლობალურ ვაჭრობას. თუმცა, ბოლო წლებში ეს რეგიონი სულ უფრო მეტად ხდება დაუცველი გემებზე მრავალჯერადი თავდასხმების ფონზე, რაც აჩენს მწვავე კითხვებს მათი ბუნების და მიზნების შესახებ. ეს ნაშრომი ცდილობს გაარკვიოს, წითელ ზღვაში გემებზე განხორციელებული თავდასხმები არის თუ არა მეკობრეობის ან საზღვაო ტერორიზმის აქტები.

მეკობრეობა, როგორც ეს არის განსაზღვრული საერთაშორისო კანონმდებლობით, ტრადიციულად გულისხმობს ძარცვას და ძალადობას, რომელიც პირადი მიზნებისთვის ხორციელდება ღია ზღვაში. მეკობრეობა წითელ ზღვაში მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცნობილი იყო, განსაკუთრებით კი ოსმალეთის იმპერიის ბატონობის დროს. მეკობრეობის ასეთი აქტები მოიცავდა სწრაფი კატარღების გამოყენებას, შეიარაღებულ დაპირისპირებებს, მძევლების აყვანასა და გამოსასყიდის მოთხოვნებს.

საზღვაო ტერორიზმი, თავის მხრივ, წარმოადგენს შედარებით თანამედროვე გამოწვევას, რომელიც ხასიათდება ძალადობის იძულების ან დაშინების პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მოტივებით. მეკობრეობისგან განსხვავებით, საზღვაო ტერორიზმი აწესებს ხაზებს კრიმინალსა და პოლიტიკურ ძალადობის აქტებს შორის, რაც წარმოადგენს უნიკალურ გამოწვევას საზღვაო უსაფრთხოების დაინტერესებული მხარეებისთვის. საზღვაო ტერორიზმის შემთხვევები შეიძლება მოიცავდეს დივერსიებს, ფარულ თავდასხმებს და ტერორისტული ორგანიზაციების მიერ კოორდინირებულ ოპერაციებს.

ამ ფონზე, წითელი ზღვა მოწმეა გემებზე განხორციელებული თავდასხმების სიმრავლისა, დაწყებული გატაცებიდან და შეიარაღებული ძარცვიდან დივერსიასა და ფარულ თავდასხმებამდე. ეს ნაშრომი ცდილობს ნათელი მოჰფინოს რეგიონში არსებულ საზღვაო უსაფრთხოების გამოწვევებს, განიხილოს მეკობრეობისა და საზღვაო ტერორიზმის განსხვავებები და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში

მათი სამართლებრივი განმარტებები.

ნაშრომი ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას, აერთიანებს იურიდიულ ანალიზს, ემპირიულ მტკიცებულებებს და ინციდენტებს წითელ ზღვაში გემებზე თავდასხმების სირთულეების გასარკვევად. წარსული ინციდენტების კრიტიკული შესწავლით, თანამედროვე გამოწვევების შეფასებით და სამომავლო პერსპექტივების შესწავლით, ნაშრომი წარმოაჩენს საზღვაო უსაფრთხოების საფრთხეების განვითარებად ბუნებასა და ეფექტური კონტროლების აუცილებლობას. ამგვარად, კვლევა სცილდება უბრალო აკადემიურ ინტერესს და ეხმიანება გლობალური საზღვაო უსაფრთხოების და ვაჭრობის დაცვის საჭიროებას.

საკვანძო სიტყვები: მეკობრეობა, საზღვაო ტერორიზმი, წითელი ზღვა, საზღვაო უსაფრთხოება, გლობალური ვაჭრობა.

**პოლიტიკური პარტიების კერძო შემოწირულობებით დაფინანსების
სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები
(შედარებით ანალიზი)**

ნინო ყარალაშვილი, ლიზი ხუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

განვითარებადი დემოკრატიის სახელმწიფოებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მყარად ინსტიტუციონალიზებული და მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ეფექტური სისტემის ფუნქციონირების გარეშე, რომელმაც ქვეყანაში დიდი და პატარა პოლიტიკური პარტიებისთვის კონკურენტული გარემო უნდა შექმნას.

ნაშრომში განხილულია კერძო შემოწირულობებით პარტიათა დაფინანსების თავისებურებები. გასულ წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც პოლიტიკურ პარტიებს იურიდიულ პირთაგან შემოწირულობის მიღება აუკრძალა. ეს ყოველივე კი იმ რეალობის ფონზე, როდესაც პოლიტიკური კორუფცია ჯერ კიდევ მიმდინარე და მოცემულ საკითხთან მჭიდრო ბმაში მყოფი გამოწვევაა, რომელმაც სერიოზული ზეგავლენა შეიძლება იქონიოს მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

ნაშრომში განხილულია კერძო შემოწირულობების სახეები, ფორმები და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები. დაფინანსებასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები და უცხო ქვეყნებში არსებული სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომში გაანალიზებულია იურიდიული პირების მხრიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რისკ-ფაქტორები და დადებითი მხარეები. მათ შორის შეფასებულია თუ რამდენად არის საქართველოში განხორციელებული ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებულ პოლიტიკურ პარტიათა თავისუფლებასთან შესაბამისობაში. აგრეთვე წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოში არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან მიმართებით, რომელიც, თავის მხრივ, დასავლური ქვეყნების პრაქტიკასა და გამოცდილებას აერთიანებს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტიები, კერძო დაფინანსება, შემოწირულობები, კორუფციის ინდექსი.

ორმაგი ეფექტის დოქტრინა: აბორტი, ქალის უფლება თუ სახელმწიფოს ტრაგედია?

ლიკა ბოლქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დავა სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტის გარშემო არც ერთ საუკუნეში კარგავს აქტუალობას. მისი მრავლისმომცველობიდან გამომდინარე, საჭიროა ვისაუბროთ აბორტზე მორალური, დემოგრაფიული, რელიგიური და სამართლებრივი პერსპექტივებიდან. გასათვალისწინებელია ორმაგი ეფექტის დოქტრინის ეთიკური ჩარჩოც. სამართლებრივად, აბორტი ქალის უფლებას წარმოადგენს. მას, როგორც ინდივიდს აქვს უფლება, მოეპყროს საკუთარ სხეულს თავისი სურვილისამებრ. ეს დამოკიდებულება პირდაპირ მიუთითებს თავისუფალ არჩევანსა და პირად უფლებებზე. რაც შეეხება დემოგრაფიულ შედეგებს, სხვადასხვა კვლევებით თუ გამოკითხვებით დგინდება, რომ აბორტი მოსახლეობის დაბერებას, შობადობის შემცირებას უწყობს ხელს, შესაბამისად არაერთ ქვეყანაში შევხვდებით აბორტის აკრძალვის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტებს. ამასთან, მრავალი რელიგია კატეგორიულად უდგას წინ სიცოცხლის ხელყოფას და ეწინააღმდეგება აბორტს, როგორც მორალურად ყოველმხრივ მიუღებელს. წინამდებარე ნაშრომში საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ვეცდები, ერთმანეთისგან გავმიჯნო აბორტი, როგორც ქალის უფლება და სახელმწიფოს მდგომარეობა, ნაყოფის სამართლებრივ უფლებებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: უფლება, აბორტი, შობადობა, ორმაგი ეფექტის პრინციპი, რელიგია.

Abstract

The controversy surrounding abortion does not lose its relevance in any century. Due to its multiplicity, we need to talk about abortion from moral, demographic, religious and legal perspectives. The ethical framework of the doctrine of double effect should also be considered. Legally, abortion is a woman's right. She, as an individual, has the right to treat her own body as she wishes. This attitude directly refers to free choice and personal rights. As for the demographic results, various studies and surveys show that abortion contributes to the aging of the population and the reduction of the birth rate, therefore in many countries we will meet the initiated draft laws on the prohibition of abortion. Also, many religions categorically oppose the violation of life and oppose abortion as morally unacceptable in every way. In this paper, based on the comparative analysis of the law of Georgia and different countries, I will try to distinguish abortion as a woman's right and state of the country, along with the legal rights of the fetus.

Keywords: right, abortion, birth, double effect doctrine, religion.

**საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის
ურთიერთმიმართება საქართველოს სამართლებრივ სისტემაში**

ლიზი ქარდავა, ნადეჟდა ლობჯანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველო შედის იმ სახელმწიფოთა ჯგუფში, სადაც კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მაღლა დგას. საერთაშორისო სამართალში იმპერატიულადაა დადგენილი, რომ სახელმწიფოს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ უარი თქვას საერთაშორისო ხელშეკრულებით არსებული ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუკი აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. აღსანიშნავია, საქართველოში კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუციასთან შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა ნორმატიული აქტი, თუმცა, თუკი საერთაშორისო ხელშეკრულება წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნულ კანონმდებლობასთან, მაშინ აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ, ამასთანავე პედანტურად იქნა გამოკვლეული საქართველოს კონსტიტუციის მე-4 და 47-ე მუხლები. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, ასევე განხილულია ვენის კონვენციის 27-ე და 46-ე მუხლები. ნაშრომში ვხვდებით საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულების კოლიზიის პრაქტიკას. კვლევისთვის გამოყენებულია განმარტების სხვადასხვა მეთოდი: ტელეოლოგიური ექსტენზია, გრამატიკული და სიტყვასიტყვითი. აგრეთვე, ნაშრომში დასკვის სახით შეჯამებულია კვლევის შედეგები და წარმოდგენილია ავტორთა მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

Relationship between international law and national law in the legal system of Georgia

Abstract

Georgia belongs to the group of states where the constitution takes precedence over an international treaty. It is imperatively established in international law that a State has no power to refuse to fulfil an obligation under an international treaty, including in the event that the said international treaty has been declared unconstitutional. It should be noted that in Georgia, based on the principle of the supremacy of the Constitution, all normative acts must be in accordance with the Constitution, however, if an international treaty does not contradict the national legislation, then it has the supreme power over an intrastate normative act, at the same time the fourth and 47-th article of the Constitution of Georgia has been carefully examined. The article discusses the practice of different countries in relation to international treaties, and also discusses Articles 27 and 46 of the Vienna Convention. In the work we find the practice of the collision of the Constitution of Georgia and the international treaty. Various methods of explanation have been used for the study: teleological extension, grammatical and literal. In addition, the paper summarises the results of the study and presents the authors' views on the issue.

სიკვდილით დასჯის თავსებადობა ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან: შეფასება და გამოწვევები

ლუკა ბოჭორიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სიკვდილით დასჯასა და ადამიანის უფლებებს შორის ურთიერთობა საკმაოდ კომპლექსური და საკამათო საკითხია, რომელიც, 21-ე საუკუნეშიც მრავალი სახელმწიფოსათვის აქტუალურ პრობლემად და გამოწვევად რჩება. სიკვდილით დასჯის მომხრეთა მთავარი არგუმენტი არის ის, რომ სასჯელის აღნიშნული უმაღლესი ფორმა საკმაოდ ქმედითი ხასიათის მატარებელია, ახდენს: დანაშაულთა ეფექტურ პრევენციას, ზოგიერთის აზრით, ის მსხვერპლის ოჯახისა და სხვა ახლობელი ადამიანებისათვის სამართლიანობის განცდას ერთადეთი გზაა, ასევე ფიქრობენ, რომ სიკვდილით დასჯა ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსური სახსრების დაზოგვას პატიმრის შენახვის ნაწილში და ა.შ. მსგავს მოსაზრებებს, სხვადასხვა საზოგადოებებში ფართო მხარდაჭერა აქვთ, რაც მკვეთრად განსხვავდება საქართველოში გაბატონებული სამართლებრივი და სოციალური მიდგომებისგან, რადგან ისტორიულად, საქართველოში მიიჩნეოდა, რომ სასჯელის მსგავსი ფორმა უხეშად არღვევდა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. საკითხის აქტუალურია და ამას ისიც მოწმობს, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს 50-ზე მეტი ქვეყანა, რომელსაც სიკვდილით დასჯაზე საკანონმდებლო ჩანაწერები თუ აღსრულებების ქმედითი მექანიზმები გააჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში სიკვდილით დასჯის გაუქმების გლობალური ტენდენცია შეინიშნება, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში უკვე დასმული პრობლემატურ საკითხები უფრო ვრცლად და კრიტიკულად იქნება მიმოხილული, შეფასებული იქნება სასჯელის მოცემულ ზომასთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, კვლევა დაეყრდნობა სტატისტიკური მონაცემებს, ემპირიული დაკვირვების შედეგებსა და მოცემული მიმართულებით დაგროვილი ცოდნის სამართლებრივ ასპექტებს.

საკვანძო სიტყვები: სიკვდილით დასჯა, სიცოცხლე, უფლება, დარღვევა, სასტიკი, არაჰუმანური, მსჯავრდებული, მომხრე, მოწინააღმდეგე, აკრძალვა.

**შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გამიჯვნის
პრობლემატიკა თანამედროვე შრომის სამართალში**

ლუკა ლაგურაშვილი, ელენე ჩოკორაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები თანამედროვეობაში იურისტებისთვის საკმაოდ პრობლემურია. ვინაიდან თავად შრომითი ურთიერთობები ქართულ სამართალში უახლესი რეგულირების სფეროს წარმოადგენს და კონსტანტურად ვითარდება, არ არის უცნაური, რომ ჯერ კიდევ არსებობდეს ისეთი საკითხები, რომლებიც უხარვეზოდ არაა რეგულირებული საქართველოს შრომის კოდექსითა თუ კანონქვემდებარე აქტებით.

ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ, მკაფიოდ აგვერეკლა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების აღსრულებისას, წარმოშობილ ურთიერთობებში ყოველდღიურ ბაზისზე გვხვდება. შრომითი სამართალი, როგორც დასაქმებულის დაცვის ყველაზე ძლიერი ბერკეტი დამსაქმებლისგან, ხოლო მომსახურების ხელშეკრულება, როგორც თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა, პრაქტიკაში ხშირად წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ჩაგრულ პოზიციაში ჩაყენების საშუალებას და გამოიყენება არაკეთილსინდისიერად. რადგან არსებობს კონკრეტული გარღვევები ამ ტიპის ურთიერთობაში, ხოლო კანონის მიერ რეგულირება სრულყოფილი არაა და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, დასაქმებულის დაცვის ერთადერთი ბერკეტი ისპობა.

ამ სამართლებრივი ასპექტების განხილვა გადამწყვეტია სამართლიანი გარემოს შესაქმნელად და ყველა მხარის ინტერესის დასაცავად გრძელვადიანი და სტაბილური შრომითი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ვფიქრობთ, ამ საკითხის ხაზგასმა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გეომეტრიული პროგრესიით მზარდი შრომითი ბაზრის ბალანსისთვის. ნაშრომი ემსახურება ზემოაღნიშნული საკითხიდან წარმოშობილ პრობლემების კვლევასა და მათი გადაჭრის ჰიპოთეტურ გზებს, რომლებიც შესაძლოა, გამომდინარეობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკებიდან (საკანონმდებლო, სასამართლო, ყოფითი ურთიერთობიდან).

ყოველივე ზემოხსენებული, ჩვენი აზრით, ეფუძნება სამართლის დარგისთვის

მნიშვნელოვანი პრინციპების უგულებელყოფას, რაც მეტად ყურადსაღები საკითხია და აქედანვე უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ის საკამათო და სავალალო შედეგები, რომლებიც დასაქმებულის უუფლებობასთან ტოლობის ნიშანს დასვამს.

სწორედ ამიტომ მივიჩნევთ, რომ ამ საკითხის განხილვა არათუ მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ ინოვაციურაცაა.

საკვანძო სიტყვები: შრომა, მომსახურება, სამართალი, ხელშეკრულება.

წლამდელი კრიმინალი - მნიშვნელოვანი გამოწვევა ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის

ლუკა ფაჩუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

„ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები“ - აღნიშნული წინადადებით ბავშვის უფლებათა კონვენციამ საერთაშორისო საზოგადოებაში ბავშვთა სტატუსის მიმართ სრულიად ახლებური მიდგომა დაამკვიდრა. ისტორიულმა გამოცდილებამ კაცობრიობას ნათლად დაანახა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრულფასოვანი დაცვის აუცილებლობა. სხვა ჯგუფებთან ერთად, არასრულწლოვნებზე ყურადღების გამახვილება კი სამაგალითო ნაბიჯად იქცა სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ქვეყნებს შორის ზემოხსენებულ საკითხზე მალევე შედგა ფართო კონსენსუსი, რაც მათ შორის, გამოიხატა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ეროვნული კანონმდებლობების დონეზე ბავშვის უფლებათა კონვენციის მასობრივ რატიფიკაციაში.

ბავშვის, როგორც სპეციალური დაცვისა და ზრუნვის საჭიროების მქონე ინდივიდად აღიარებამ არასრულწლოვანთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და მართლმსაჯულების ერთგვარი შერბილება განაპირობა. ცხადია, ამგვარი მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციულად - იგი სრულად თავსებადია შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. საკითხისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ სახელმწიფოებს სერიოზული თავსატეხი გაუჩინა - დღის წესრიგში დადგა ბავშვთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა პრევენციის პრობლემა. მინიჭებულმა უპირატესობებმა უამრავ მოზარდს გზა გაუხსნა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ. რა თქმა უნდა, ამ ნაწილში ასევე გასათვალისწინებელია მთელი რიგი წინაპირობები, რომლებიც არასრულწლოვანთა ხსენებულ ქმედებებს შეიძლება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდეს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ასაკობრივი მომენტი და სასამართლო სისტემის ჩვეულებრივზე უფრო მეტი ღმობიერება ბავშვებს თითქოსდა თვითნებობის მეტ სივრცეს უტოვებს.

აღბათ, ნაკლებად რეალისტურია ისეთი სახელმწიფოს დასახელება, რომელსაც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა აღმოფხვრის საჭიროება არ

გააჩნია. ამ მხრივ, ბუნებრივია, არც საქართველოა გამონაკლისი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოზარდთა მიერ განხორციელებული კანონდარღვევების შესახებ სიახლეებს ფაქტობრივად ყოველდღიურად ვეცნობით. დანაშაულები კი არ შემოიფარგლება მხოლოდ მცირედი მასშტაბით.

კვლევის მიზანი გახლავთ საქართველოში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა ბუნების შესწავლა, ხსენებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სახელმწიფოს მიერ განვლილი გზისა და დაგროვილი გამოცდილების გაანალიზება, ასევე დღესდღეობით არსებული გამოწვევების წარმოჩენა. ნაშრომის ფარგლებში დავეყრდნობით საკითხის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს, ეროვნულ დონეზე მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და რელევანტურ პრეცედენტებს. და ბოლოს, ვიმსჯელებთ არსებულ ხარვეზებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, დანაშაული, მართლმსაჯულება, სახელმწიფო პოლიტიკა, კანონმდებლობა.

Criminal under the age of 18 – an important challenge for the Georgian justice system

Luka Pachuashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

„Children are people with special rights and not just passive objects of charity“ – with this statement the Convention on the Rights of the Child established a completely new approach to the status of children in the international community. Historical experience clearly showed humanity the necessity of proper protection of human rights and freedoms. Focusing on minors, has become an exemplary step for most states. This is evidenced by the fact that soon a broad consensus was reached between the countries on the above-mentioned issue, which was manifested in the mass ratification of the Convention on the rights of the child at the level of national legislations.

Recognition of a child as a person in need of special protection and care led to kind of softening of state policy and justice towards minors. This attitude towards the issue created a serious puzzle for the states – prevention of the crimes committed by children became more challenging. Despite various preconditions, we can say that in any case, the moment of age and the more than usual leniency of the judicial system seem to leave children more room for arbitrariness.

Georgia is one of the countries which faces under-18 criminals. Practically every day, we get the news about law violations committed by teenagers. And the crimes are not limited only to a small scale.

The purpose of the research is to analyze the nature of juvenile delinquency in Georgia. The discussion will be based on the relevant normative acts and precedents, as well as international legal aspects of the issue. Finally, we will refer to the actual gaps and ways of their elimination.

Keywords: Juvenile, Crime, Justice, State policy, Legislation.

**ხელყოფის კონდიქცია, როგორც ზიანის ანაზღაურების ალტერნატივა
სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების
ფარგლებში**

ლუკა ძაძამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ხელყოფის კონდიქცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრებისათვის მიძღვნილი მესამე თავის ერთ-ერთი ცენტრალური დანაწესია. ნორმის ტელეოლოგიური საფუძვლის მიღმა თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა და სამართალსივრცეში არსებული გამოწვევები ხელყოფის კონდიქციის ხელახალი გააზრების საფუძველს იძლევა. ხელყოფის კონდიქციის მექანიზმის გამოყენება ხელს უწობს მოსარჩელის მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას, როდესაც რთულდება დამდგარ ფაქტობრივ ზიანზე მითითება. ხელყოფის კონდიქციის დანაწესის გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა სწორედ ზიანისა და ბრალეულობის მტკიცების ტვირთის თავიდან აცილების შესაძლებლობაში გამოიხატება. ყურადსაღებია, სავინდიკაციო სარჩელის წარდგენისას მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის ხელყოფის კონდიქციის დანაწესით ჩანაცვლების პერსპექტივა და კლასიკური დელიქტის ნაკლოვანი მოცემულობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უსაფუძვლო გამდიდრების თავში გადაყვანა. კონდიქციური ნორმების მიზანი ეფუძნება მხარეთა გათანაბრების პრინციპს, მოთხოვნის ადრესატის არა დასჯას, არამედ მიღებულის სამართლებრივი საფუძვლის უკუქცევით შექმნას, თუმცა შესაძლებელია ხსენებული დანაწესის ალტერნატიული პერსპექტივით, ზიანის ანაზღაურების მექანიზმის ნაცვლად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ხელყოფის კონდიქცია, ზიანის ანაზღაურება, ვინდიკაცია, კლასიკური დელიქტი.

**კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციული ტექნოლოგიების
უსაფრთხოების აუდიტის როლი საჯარო სექტორის გამართულად
მუშაობაში**

მაგდა ზირაქაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კიბერსივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სირთულეებს საზღვრები არ გააჩნია. არსებობს უამრავი სირთულე როგორც კიბერუსაფრთხოების სირთულეების ჩვენს გაგებაში, ისე სახელმწიფო პოლიტიკაში და ტექნიკურ შესაძლებლობებში, რომლებიც აუცილებელია მოცემული საკითხების გადასაჭრელად. არსებობს ტერმინის „კიბერსივრცის“ განმარტების ბევრი ვარიანტი და ყველა მათგანი იძლევა თავისებურ განსაზღვრებას. თუმცა ყველა განმარტებაში აღნიშნულია, რომ „კიბერსივრცე“ წარმოადგენს ინფორმაციულ - ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსს, რომელიც თავისთან მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. ბოლო ორ ათწლეულში ჩვენ გავხდითე.წ.„ინფორმაციულიაფეთქების“უნებლიემოწმეები,როცაპრაქტიკულად არავის არ შეუძლია გვერდი აუაროს ინფორმაციულ ქსელებზე დაშვებასა და მის გამოყენებას, იქნება ეს პირადი საყოფაცხოვრებო თუ პროფესიულ დონეზე. ამის გარდა, გლობალური ქსელების მიმართ არსებულ მზარდ ინტერესს თან ახლავს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადეკვატური ზომები. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თავდაპირველად ინტერნეტი იქმნებოდა სამეცნიერო მონაცემების გაცვლის მიზნით, თუმცა დღეს ეს სურათი კარდინალურად არის შეცვლილი და ამჟამად ინტერნეტის გლობალური ქსელი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის მხარდამჭერ ერთერთ ძირითად საშუალებას.

კიბერუსაფრთხოება არის პრაქტიკა კომპიუტერების, სერვერების, მობილური მოწყობილობების, ელექტრონული სისტემების, ქსელების და მონაცემების მავნებლური შეტევებისგან. ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში დაწყებული ბიზნესიდან დამთავრებული მობილური კომპიუტერებით, ასევე შესაძლებელია დაიყოს რამოდენიმე კატეგორიად. კიბერუსაფრთხოება არის სისტემების, ქსელების და პროგრამების ციფრული თავდასხმებისგან დაცვის პრაქტიკა. ეს თავდასხმები, როგორც წესი, მიზნად ისახავს სენსიტიურ

ინფორმაციაზე წვდომას, შეცვლას ან განადგურებას, მომხმარებლებისგან ფულის გამოძალვას ან ნორმალური ბიზნეს პროცესების შეწყვეტას.

საჯარო სერვისებში კიბერუსაფრთხოება გადამწყვეტია მთავრობის ოპერაციებისა და სენსიტიური ინფორმაციის დასაცავად და მოქალაქეებისთვის აუცილებელი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. საჯარო სექტორთან მიმართებით შეგვიძლია გამოვყოთ კიბერუსაფრთხოების რამდენიმე ასპექტი, როგორებიცაა სენსიტიური მონაცემების დაცვა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის გამძლეობა, კიბერთავდასხმების პრევენცია, ნდობის უზრუნველყოფა, სტანდარტებთან შესაბამისობა, ინფორმაციის გაზიარება და სხვა. სწორედ ამ პროცესებშია აუცილებელი ინფორმაციული ტექნოლოგიის უსაფრთხოების აუდიტი, რომელიც ჯერ კიდევ არსარგებლობს პოპულარობით, მითუმეტეს, ქართულ საჯარო სექტორში. უსაფრთხოების აუდიტი არის ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების, ინფრასტრუქტურის, პოლიტიკისა და პროცედურების ყოვლისმომცველი შეფასება მისი უსაფრთხოების კონტროლის ეფექტურობის შესაფასებლად და დაუცველობის იდენტიფიცირებისთვის. საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) კონტექსტში, უსაფრთხოების აუდიტი კონკრეტულად ფოკუსირებულია უსაფრთხოების ზომების შეფასებაზე, რომლებიც განხორციელებულია ორგანიზაციის IT სისტემებსა და ქსელებში.

ნაშრომში განხილული იქნება კიბერუსაფრთხოების, კიბერშეტევის, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის ცნებები. ასევე, ის ეტაპები, რომელსაც მოიაზრებს კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და ნაჩვენები იქნება როგორ არის ინპლემენტირებული კიბერუსაფრთხოება საჯარო სექტორში. ნაშრომი მოიაზრებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის როლის შეფასებას საჯარო სექტორის გამართულ მუშაობაში, არსებული მდგომარეობის განხილვას, იმ პრობლემების გამოკვეთას, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და რეკომენდაციების შემუშავებას. ამას გარდა, ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო გამოცდილებას და კონკრეტულ მაგალითებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის შესახებ. ნაშრომში, დასკვნის სახით, შეჯამებული იქნება თითოეული ცნების მნიშვნელობა, განვითარების დონე, დღევანდელი მდგომარეობა და წარმოდგენილი იქნება ავტორის ხედვები ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის განვითარების სფეროში.

საქორწინო ხელშეკრულების რეგულირების თავისებურებები კერძო სამართალში

მაგდა იაშვილი, ანა ივანელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება საქორწინო ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი თავისებურებები კერძო სამართალში. საქორწინო კონტრაქტი საკანონმდებლო დონეზე, საქართველოში 1997 წლიდან მოწესრიგდა, თუმცა ეს დრო არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ინსტიტუტის განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციები და წარმოდგენები ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებით. საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება, ერთნი მიიჩნევენ, რომ საქორწინო კონტრაქტი არის მეუღლეთა პირადი უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალება, ხოლო საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ მეუღლეთა შორის ურთიერთობის ამ ფორმით მოწესრიგება ეწინააღმდეგება მორალურ-ეთიკურ შეხედულებებსა და ოჯახის არსს. სწორედ დუალისტური შეხედულებაა ჩვენს რეალობაში პრობლემა, რაც კიდევ უფრო აქტუალურსა და მნიშვნელოვანს ხდის ამ საკითხის განხილვას.

კვლევა ეფუძნება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო კანონმდებლობის, მეცნიერ-იურისტთა შეხედულებათა შესწავლას ამ ინსტიტუტის ზოგადი არსის ჩამოსაყალიბებლად. ასევე, გაანალიზდება სტატისტიკური მონაცემები, უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა.

კვლევის მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული საკითხისადმი.

საკვანძო სიტყვები: საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებანი, ინსტიტუტისადმი დუალისტური შეხედულება, განვითარების ტენდენციები, უცხო ქვეყნის პრაქტიკა.

Peculiarities of regulation of marriage contract in private law

Magda Iashvili, Anna Ivanelashvili

Abstract

The conference paper addresses the legal aspects of regulation of the marriage contract in private law. The marriage contract has been regulated at the legislative level in Georgia since 1997, however, this time was not enough for the development of this institution, which is shaped by long-standing traditions and beliefs regarding the institution of marriage in Georgia. There is no consensus in the society, some believe that the marriage contract is the best way to protect the personal rights of spouses, while others contend that regulating the relationship between spouses in this way goes against moral and ethical principles and the fundamentals of the family. Since the dualistic view is the source of the problem in our reality, this issue is all the more relevant and crucial to discuss

The research is based on: the study of the Civil Code of Georgia, international legislation, the opinions of scientists and lawyers to establish the general essence of this institution. Also, statistical data, legislation and practice of foreign countries will be analysed.

The purpose of the research is to raise public awareness of the mentioned issue.

Keywords: legal aspects of the marriage contract, dualistic view of the institution, development trends, practice of foreign countries.

გონივრული მისადაგების პრინციპი-თანაბარი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის საშუალება

მარიამ მაისურაძე, ანანო მეშველაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღევანდელ რეალობაში სამუშაო ადგილზე თანასწორობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა უმთავრესია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სამუშაო ადგილზე თანასწორობისკენ მიმავალ გზას მხარს უჭერს სამართლებრივი გარანტიების ჩარჩო, რომელიც შექმნილია მათი უფლებების დასაცავად და მნიშვნელოვანია დასაქმების შესაძლებლობების ხელშესაწყობად. სამუშაო ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დასაცავად მთავარია ანტიდისკრიმინაციული ნორმები, რასაც ემსახურება მსოფლიოში ქვეყანათა უმრავლესობის მიერ მიღებული კანონმდებლობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მუშაკების უფლებების დასაცავად. ანტიდისკრიმინაციული ნორმებიდან დაწყებული გონივრული მისადაგების პრინციპით დამთავრებული, ეს სამართლებრივი დებულებები გადამწყვეტ როლს თამაშობს უფრო ხელმისაწვდომი და სამართლიანი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად. სამუშაო ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების რეალიზების ერთ-ერთი ქვაკუთხედი არის გონივრული სამუშაო პირობების კონცეფცია. ეს პირობები წარმოადგენს სამუშაო გარემოს მოდიფიკაციას ან კორექტირებას, რაც საშუალებას აძლევს პირებს ეფექტურად შეასრულონ თავიანთი სამუშაო მოვალეობები. სამუშაო ადგილზე შშმ პირთა თანასწორობის მისაღწევად სამართლებრივი გარანტიები აუცილებელ მექანიზმს წარმოადგენს. ანტიდისკრიმინაციული კანონების დაცვა და გონივრული პირობების უზრუნველყოფა, ემსახურება საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს თანაბარი პირობების უზრუნველყოფას სამუშაო ადგილზე ყველა მუშაკისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის, კერძოდ, გონივრული მისადაგების პრინციპის, დაცვის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დასაქმების, კარიერული წინსვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა

და პროფესიული გადამზადების ხელმისაწვდომობისთვის. მნიშვნელოვანია დროის იმ მონაკვეთის განსაზღვრა, როდესაც დამსაქმებელს წარმოეშვება ზემოთ ნახსენები ვალდებულებები, ერთი მხრივ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს თავად შშმ პირის შეტყობინების ვალდებულებასთან, მეორე მხრივ, საგულისხმოა დამსაქმებლის მოვალეობა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ამ გარემოების შეცნობისთანავე გადადგას ქმედითი ნაბიჯები მათთვის ხელმისაწვდომი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოდად.

საკვანძო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სამუშაო გარემო, გონივრული მისადაგება, დისკრიმინაცია.

გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის მკურნალობის სტრატეგიები

თამარ მანთიძე, მარიამ ქირთაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, (Amyotrophic lateral sclerosis (ALS)), არის პროგრესიული, ფატალური, ნეიროდეგენერაციული დაავადება, გამოწვეული ცენტრალური და პერიფერიული მოტონეირონების დეგენერაციით. ეს გამოიხატება სპასტიურ პარეზში, ბულბურ პარეზში ან კუნთოვან ატროფიაში. დაავადების პროგრესირებასთან ერთად ხდება არტიკულაციის, საკვების მიღების, ყლაპვის და სუნთქვითი აქტის გაძღვება, ამ ფუნქციების სრულ მოსპობამდე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3-5 წელს შეადგენს. ALS-ის ეტიოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ლიტერატურაში აღწერილი შესაძლო მექანიზმებია: გენეტიკური მუტაციები, გლუტამატის კონცენტრაციის მატება, ოქსიდაციური სტრესი, აქსონალური ტრანსპორტის დარღვევა, ნეიროანთება და სხვა. დღესდღეისობით განიხილება სხვადასხვა თერაპიული სტრატეგიები ALS-ის სამკურნალოდ: თერაპია ოქსიდაციური სტრესის, მიტოქონდრიის დისფუნქციის, გლუტამატის კონცენტრაციის მატების, აპოპტოზის, ნეიროანთების წინააღმდეგ და სხვა.

რილუზოლი და ედარავონი ერთადერთი მედიკამენტებია, რომლებიც დაბალი ეფექტურობის მიუხედავად დამტკიცებულია FDA-ს მიერ.

ღია II ფაზის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა ინდივიდმა. 5 მაგთანისთვის 30 მგ ედარავონი, ხოლო 15 მატანისთვის 60 მგ იქნა შეყვანილი ინტრავენურად. დაფიქსირდა, რომ გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზის ფუნქციური შეფასების შკალის (ALSFRS-R) ქულა მნიშვნელოვნად შემცირდა ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ ორივე ჯგუფისთვის.

რანდომიზირებულ, ორმაგად ბრმა III ფაზის კვლევაში, ასევე დაფიქსირდა ALS-FRS-R ქულის მცირე დაქვეითება პლაცებო ჯგუფთან შედარებით.

კლინიკურად არ არის მიღებული ედარავონის პერორალური დოზირების ფორმულირება, ამიტომ იგი გამოიყენება როგორც ინტრავენური თერაპიული საშუალება ALS-ისთვის. თუმცა, ამ საკითხის კვლევა ხორციელდება Mitsubishi Tanabe Pharma Corporation-ის მიერ 3b ფაზის, მულტიცენტრული, რანდომიზირებული, ორმაგად ბრმა ტესტის ქვეშ, რომელშიც ჩართულია 380 პაციენტი.

რილუზოლის ეფექტურობის დასადგენად ჩატარდა, ორმაგად ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 155 ინდივიდი ALS-ის დიაგნოზით. აქედან 78 პაციენტი იღებდა პლაცებოს, 77-რილუზოლს. რილუზოლის დოზა იყო 100 მგ დღეში. 12 თვის შემდეგ, კვლევამ დადებითი შედეგი აჩვენა, პლაცებოს ჯგუფში 78 -დან 45-პაციენტში (58 %), ხოლო რილუზოლის ჯგუფში 77 -დან 57-პაციენტში(74%). აღმოჩნდა, რომ ანტიგლუტამატური აგენტი, რილუზოლი, ანელებს ამიოტროფიული გვერდითი სკლეროზის პროგრესირებას და ასევე მას შეუძლია გააუმჯობესოს პაციენტების ცხოვრების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზი, ოქსიდაციური სტრესი, ედარავონი, რილუზოლი.

**არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია,
როგორც დანაშაულის რეციდივის ხელშემშლელი საშუალება**

ნინო კაპანაძე, მარი წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

არასრულწოვნისთვის სასჯელის შეფარდება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ის არასრულწოვნები, რომლებიც ჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პირველ რიგში, არიან მსხვერპლები და არა დამნაშავეები.

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომში მიმოვიხილავთ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითს. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დასმული საკითხის სამართლებრივი შეფასება, პრობლემების გაანალიზება და მისი გავლენა, როგორც თავად დამნაშავეზე, ასევე დაზარალებულზე, საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.

სასჯელი იძულებითი ღონისძიებაა, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართალდამრღვევთა და დამნაშავეთა დასჯას, იურისდიქციის ფარგლებში. მისი მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის 39-ე მუხლის თანახმად, გახლავთ, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. მისი მიზანი სულაც არ არის მსჯავრდებულის ღირსების დამცირება ან ფიზიკური ტანჯვა.

ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რესოციალიზაციაზე, რომელიც კრიმინალის შემცირებას, მსჯავრდებულის პიროვნულგანვითარებასა და მის საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში, სამწუხაროდ, იმატა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის რიცხვმა, რასაც, ბუნებრივია, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. აუცილებელია გამომწვევ ფაქტორთა გამოვლენა და პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისი ღონისძიებების გატარება. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზანი გახლავთ, როგორც მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა, აგრეთვე, რეციდივის შემცირება.

არასრულწოვანთა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითხი დღევანდელ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ის წარმოადგენს სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც უნდა იცავდეს საზოგადოების

წესრიგს. მოცემული ნაშრომის დახმარებით გაგაცნობთ მის ზოგად განმარტებას, წარმოვაჩინთ ქართულ პრაქტიკაში არსებულ რესოციალიზაციის მიღწევის გზებსა და პრობლემებს.

მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მისი ადგილი ქართულ კანონმდებლობაში და უცხოური, წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.

აღდგენითი მართლმსაჯულების კუთხით გაგაცნობთ სისხლის სამართალში აქტუალურ საკითხებს, მათ შორის, განრიდებისა და მედიაციის მიზნებს.

შევეხებით აღნიშნული მიზნის მისაღწევად გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც გარკვეულ უარყოფით თუ დადებით გავლენას ახდენენ დამნაშავეთა რესოციალიზაციის პროცესზე. გაგაცნობთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკას, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მოსაზრებებს, წარმატებული და წარუმატებელი რესოციალიზაციის შედეგებს.

მოცემული საკონფერენციო ნაშრომის ბოლოს შემოგთავაზებთ ჩვენი, ავტორების, ხედვასა და რეკომენდაციას მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითხის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, დანაშაული, ფსიქოლოგია, პრევენცია, ბრალდებული, მსჯავრდებული, რეციდივი.

აუცილებელი გზის პრობლემატიკა სანივთო სამართალში

ნატა გეწაძე, მარიამ ადამაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნე სამეზობლო ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. სამეზობლო ურთიერთობებში წარმოჩენილ სხვადასხვა პრობლემატიკას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ, სამეზობლო სამართლის თავი. აუცილებელი გზის ლეგალური დეფინიცია განსაზღვრულია სსკ-ის 180-ე მუხლით. ნაშრომში განხილულია დოქტრინა და პრაქტიკა აუცილებელ გზასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში საკმაოდ ბევრ მაგალითს ვხვდებით სასამართლო დავების სახით, რაც იმის მანიშნებელია, რომ სამოქალაქო ბრუნვაში საკითხი აქტუალურია. საკითხის კომპლექსურობისა და აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს აუცილებელი გზის პრობლემატიკა სანივთო სამართალში. მიუხედავად კოდექსში არსებული მოწესრიგებისა, დაბალია საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხთან მიმართებით. აუცილებელი გზის კონსტრუქციით კანონმდებელმა შემოიტანა საკონტროლო მექანიზმი, რომლითაც, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, შეუძლია ისარგებლოს იზოლირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, მიწის ნაკვეთის აუცილებელ კომუნიკაციებთან კავშირის უზრუნველსაყოფად. სამეცნიერო კვლევის მიზანია, განსაზღვროს მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისთვის მისი საჯარო გზებთან აუცილებელი კავშირის საკანონმდებლო წინაპირობები, გამოიკვლიოს და გაანალიზოს სერვიტუტისა და აუცილებელ გზასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და სხვა რიგი საკითხები. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევხედოთ ეროვნულ კანონმდებლობას „გარედან“ და შევიმუშავოთ რეკომენდაციები პრაქტიკის სრულყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: სამეზობლო ურთიერთობები, სერვიტუტი, აუცილებელი გზა, აუცილებელი კომუნიკაციები, იზოლირებული მიწის ნაკვეთი.

The problem of the necessary road in commercial law

Nata Getsadze, Mariam Adamashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi state university

Abstract

The 21st century is unimaginable without neighborhood relations. The civil code of Georgia regulates the various problems in neighborhood relations, in particular, the chapter on neighborhood law. The legal definition of a necessary road is determined by Article 180 of the Civil Code of Georgia. The paper discusses the doctrine and practice regarding the necessary path. In practice, we find quite a lot of examples in the form of lawsuits, which is an indication that the issue in civil turnover is relevant.

Due to the complexity and urgency of the issue, the object of our research is the problem of the necessary path in the commercial law.

Despite the regulations in the code, public awareness of this issue is low. With the construction of the necessary road, the legislator introduced a control mechanism that, in cases of urgent necessity, can be used by the owner of an isolated plot of land to ensure the connection of the plot of land with necessary communications.

The purpose of the scientific research is to determine the legal prerequisites for the necessary connection of the land plot with public roads, to investigate and analyze the legal practice related to the easement and the necessary road, and a number of other issues. In the research process, the comparative-legal research method is used, which allows us to look at the national legislation "from the outside" and develop recommendations for improving the practice.

Key words: neighborhood relations, easement, essential road, essential communications, isolated plot of land.

სტანდარტიზაცია

მარიამ არსენაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტანდარტიზაცია არის კვლევის ობიექტი, რომლის სამეცნიერო განხილვის დროს დასკვნაა ის, რომ იგი არა მხოლოდ სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, არამედ ის შეეხება ეკონომიკას, სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიას/დოქტრინას/კონცეფციას.

მისი ინსტიტუციონალური კავშირი საკმაოდ ღრმაა სხვადასხვა დარგთან. მათ შორის მედიცინასთან, რომელშიც სტანდარტიზაციის ხარისხი განაპირობებს ისეთი სამართლებრივი ღირებულებების უზრუნველყოფას, როგორცაა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამ ინსტიტუტის გამოსადეგობაზე სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული ექსპურსიცი მეტყველებს. სტანდარტიზაციის შესწავლის უმთავრესი წყაროები არის სამართლიდან, რადგანაც ის პირველ რიგში ამ სფეროს მოწესრიგების საგანია. მის სამართლებრივ მნიშვნელობას ასევე ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ის გაწერილია არა მხოლოდ ნაციონალურ საკანონმდებლო დონეზე, არამედ საერთაშორისო აქტებით, სხვადასხვა ქარტიითა თუ კონვენციით.

თუმცა, მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლა არ არის საკმარისი, ამ ინსტიტუტის შესწავლის და გამოკვლევის მეთოდოლოგიად. საჭიროა სხვადასხვა თეორიების და კონცეფციების ჩაშლა სოციალური დარგებიდან.

პრობლემური არის ის, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგის და კაპიტალისტური წყობის პერიოდში სათანადო ადგილი არ ეთმობა ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ბერკეტს. შედეგად ეს იწვევს მთელ რიგ როგორც ფაქტობრივ ისე სამართლებრივ ხარვეზებს.

შესაბამისად, სტანდარტიზაციის განხილვის დროს დედუქციური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებისას ვასკვნით, რომ ეს არის მულტიკულტურული დარგი, რომელიც სხვადასხვა სპექტრს მოიცავს.

მიუხედავად იმისა რომ ეს სახელმწიფოებრივი ბერკეტი უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, მისი ზოგიერთი ასპექტი დღემდე საკამათოა. პრობლემურია ზღვარი ორ სხვადასხვა ინსტიტუტს შორის: სახელმწიფოებრივი კონტროლი და

ტოტალიტარული რეჟიმი; თავისუფალი და კონტროლირებადი ბაზარი; ანარქიზმი და კაპიტალისტური თავისუფლება. ეს ყველაფერი კი ღირებულებით კონფლიქტს იწვევს.

სტანდარტიზაცია არის სისტემური წყობის მექანიზმი, რომელიც თავისი სპეციფიურობით აისახება სხვადასხვა მიმართულებასა და სახელმწიფოს განვითარების დონეში.

საკვანძო სიტყვები: სტანდარტიზაცია, მედიცინა, სამართალი, სახელმწიფოებრივი კონტროლი.

ხელყოფის კონდიქცია, მისი წინაპირობები და კონკურენცია სხვა კონდიქციებთან

მარიამ ცანკაშვილი, მარიამ ბეგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, იგივე კონდიქციური სამართალი, არის ის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აკისრია დღევანდელ რეალობაში.

უსაფუძვლო გამდიდრება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ისეთ სახეს წარმოადგენს, რომლის დროსაც ერთი მხარე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მდიდრება, ხოლო მეორე მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი ქონების უკან დაბრუნება. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კონდიქციურ ვალდებულებათა ფუნქციას წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქო სამართლებრივი სუბიექტების ინტერესების დაცვა.

სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება, კერძოდ კი ხელყოფის კონდიქცია, წარმოადგენს ჩვენი სამეცნიერო კონფერენციის საგანს, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრებიდან გამომდინარე მისი აქტუალურობა დღითიდღე იზრდება, რაც შესაბამისად ზრდის პრაქტიკაში მისი გამოყენების სამართლებრივ პრობლემებსა და ხარვეზებსაც.

ზოგადად, ხელყოფის კონდიქცია, ისევე როგორც ყველა სხვა კონდიქცია, ეს არის ქონების უსაფუძვლო მოძრაობის, ერთი პირის ქონებიდან მეორესაში უსაფუძვლო გადადინების უკუქცევის ინსტრუმენტი, უბრალოდ მისი ექსკლუზიური გამოყენების სფერო, მისი ნიშა, მდგომარეობს იმაში, რომ ის ეხება შემთხვევებს, როდესაც ქონების ეს გადასვლა ხდება არა კონდიქციის მომავალი კრედიტორის მხრიდან შესრულებით, როგორც ეს შესრულების კონდიქციის შემთხვევაშია, არამედ მოვალის, ხელყოფის მხრიდან მითვისებით.

უსაფუძვლო გამდიდრების თითოეულ კონდიქციას აქვს თავისებური ფუნქცია და განსხვავებით გერმანული სამართლისგან, ქართულ სამოქალაქო კოდექსში ისინი ცალ-ცალკეა მოწესრიგებული. კონდიქციებს საერთო აქვთ ის, რომ ქონებრივი

„რაიმე“ გადავიდეს ერთი ქონებიდან მეორეში, ქონებრივი სიკეთის მოძრაობა მოხდეს, თუმცა განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით ხდება ამ ქონების მოძრაობა. აქედან გამომდინარე, ხშირად პრობლემას წარმოადგენს მათ შორის განსხვავების პოვნა, ამიტომ საჭიროებს ეს საკითხი ფართოდ განხილვასა და ყურადღების მიქცევას.

ნაშრომის მიზანია, გამოკვეთოს ის პრობლემური საკითხები, რაც შესაძლებელია არსებობდეს პრაქტიკაში საკანონმდებლო მოწესრიგებიდან გამომდინარე, რის შემდეგაც დაისახება ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები. უმთავრესად ყურადღება გამახვილებული იქნება ხელყოფის კონდიქციის ძირითად მახასიათებლებზე; მის კრიტიკაზე; კონკურენციაზე სხვა კონდიქციებთან და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან, მათ შორის არსებულ მსგავსებებსა თუ განსხვავებებზე. ეს ყველაფერი გაანალიზებული იქნება საკანონმდებლო მოწესრიგებისა და არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან კავშირში, რადგან ნათლად დავინახოთ ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მოვიძიოთ მათი შეცვლისა და ინტერპრეტაციის ეფექტური გზები.

Condition of encroachment, its prerequisites and competition with other conditions

Mariam Tsankashvili, Mariam Begiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The law of unjust enrichment, the same as conditional law, is that statutory obligation, which holds significant importance in today's reality.

Unjust enrichment is a type of statutory obligations, in which one party is enriched without any legal basis, while the other party has the obligation to return it. The primary function of obligations generated by the unjust enrichment is the legal assurance of restoring the creditor to its previous property status. Apart from that, the function of conditional obligations represents the assurance of stability in civil turnover and protection of interests of civil legal subjects.

It is the obligation arising on the basis of unjust enrichment, in particular condition of encroachment, that it the subject of our scientific conference, since its relevance from day to day grows, which accordingly increases the legal problems and shortcomings of its use in practice. Generally, condition of encroachment, like any other conditions, is an instrument for reversing the unjustified movement of property, the unjustified transfer from one person's property to another, it is just that its sphere of exclusive use, its essence lies in the fact that it refers to cases where this transfer of ownership occurs not by the future creditor, as is the case with the condition of performance, but rather by the appropriation by the debtor.

Each individual condition of unjust enrichment has its own function and differs from the German legal system, as they are separately regulated in the Civil Code of Georgia. They share a commonality that property "something" moves from one party to another, involving the movement of property, but they diverge in how this transfer occurs, in what form the movement of this property takes place. Therefore, their identification of differences often poses a challenge, necessitating thorough examination, broad discussion and careful attention to detail.

The purpose of the project is to explore the problematic issues that may arise from current legal regulations and practice based on them, and subsequently identify possible solutions to address these issues. Attention will primarily be focused on the main aspects of the condition of encroachment, its critique, competition with other conditions and other legal relationships, examining similarities and differences between them. This analysis will be closely linked to both legal regulations and existing judicial practice, aiming to identify the challenges and deficiencies in Georgian legislation and propose effective ways for their amendment and interpretation.

შრომის უსაფრთხოების რეგულირება ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე

მარიამ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შრომის სამართალი საკმაოდ მრავალფეროვანი და პრობლემატური დარგია მისი ხასიათიდან გამომდინარე. უსაფრთხო პირობების შექმნა დასაქმებულისთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა დასაქმებულისთვის.

შრომის უსაფრთხოების სტანდარტები და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება, მნიშვნელოვანი გამოწვევაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ვინაიდან, ადამიანი ცხოვრების უმეტეს ნაწილს სწორედ, რომ სამუშაო სივრცეში ატარებს, შესაბამისად, საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს როგორც ურთიერთობის სუბიექტების, ასევე კანონმდებლის მიერ.

ნაშრომში განხილულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი სტანდარტები ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. მაქსიმალურადაა ყურადღება გამახვილებული მაკონტროლებელი ორგანოს კომპეტენციებსა და საკანონმდებლო მოთხოვნებზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის მექანიზმები საკანონმდებლო დონეზე დღითიდღე იხვეწება, გამოწვევები შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით უცვლელი რჩება. შრომის უსაფრთხოების რეგულირება განსაკუთრებით პრობლემატურია სამშენებლო და სამრეწველო საქმიანობებში თავად საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. საკითხის აქტუალურობას ისიც განსაზღვრავს, რომ შრომისათვის უსაფრთხო პირობების შექმნა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნაშრომის ფარგლებში არა მხოლოდ დამსაქმებლის ან მაკონტროლებელი ორგანოს ვალდებულებებია განხილული არამედ განხილულია დასაქმებულის, როგორც ურთიერთობის ე.წ. „სუსტი“ მხარის ვალდებულებები და უფლებები, რადგან შრომის სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ, რომ ორი მხარის გააზრებული პასუხისმგებლობაა, რაც წარმოშობს, როგორც უფლებებს, ასევე ვალდებულებებს.

კვლევის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების, სტატისტიკური მონაცემებისა

და სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით მკაფიოდ გამოიკვეთოს ის გამოწვევები, რაც თან სდევს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებს უსაფრთხოებისთვის საზრისით, რადგან თითქოს ერთი შეხედვით საკანონმდებლო დონეზე საკითხი მაქსიმალურადაა მოწესრიგებული, თუმცა პრაქტიკაში სამწუხაროდ, ერთ-ერთი მწვავე და პრობლემატური საკითხი სწორედ, რომ შრომის უსაფრთხოების რეგულირებაა, რადგან დასაქმებულთა სიკვდილიანობისა და დაზიანების ფაქტები იმდენად ხშირია, რომ შეუძლებელია ამ მიმართულებით დადებითად შეფასდეს არსებული პრაქტიკა. ნაშრომის ფარგლებში მთავარი მიზანია, რომ მაქსიმალურად გამოიკვეთოს ის ძირითადი სტანდარტები და გამოწვევები, რაც რეალურად არსებობს და საჭიროებს დამატებით რესურსებს ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები: შრომა, უსაფრთხოება, სტანდარტები, დამსაქმებელი დასაქმებული

Abstract

Due to its nature, labor law is a quite diverse and problematic field. Creating safe conditions for employees is constitutionally guaranteed right, therefore the employer is obliged to ensure the creation of safe and decent working conditions for the employees.

Labor safety standards and its legal regulations are important challenges not only for Georgia, but for the whole world since people spend most of their lives in the workplace. That's exactly, why this issue requires special attention from both the subjects of the relationship and the legislator.

The paper discusses the general standards of labor safety by national and international practices. Maximum attention is focused on the competences of the controlling body and legislative requirements. It's true, that the control mechanisms at the legislative level are improving day by day, but the challenges in terms of labor safety remain unchanged. From the point of view of labor safety, it is especially problematic in construction and industrial activities due to the specificity of the activity itself. The urgency of the issue is determined by the fact that creating safe working conditions are directly related to human life and health.

It is necessary to note the fact, that not only the obligations of the employer or the controlling body are considered within the scope of the work, but also the obligations and rights of the employee as the so-called "weak" side of the relationship, because the labor legal relationship is precisely considered responsibility of the two sides, which gives rise to rights as well as obligations.

The purpose of the research based on the analysis of international standards, statistical data and judicial practice is to clearly outline the challenges that accompany labor relations in terms of safety, because at first glance, it seems that the issue is regulated as much as possible at the legislative level, but unfortunately, in practice one of the acute and problematic issue is exactly to labor safety regulation because the facts of death and injury of employees are so frequent, that it's impossible to positively evaluate the current practice in this direction. The main goal of the paper is to maximally highlight the possible basic standards and challenges that actually exist and require additional resources to prevent fatal outcomes.

key words: Work, Safety, Standards, An employer, A worker.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობა პრაქტიკაში

მარიამ გოგინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომი ეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გამიჯვნას პრაქტიკაში, მათი თავისებურებების დახასიათებას ცალ-ცალკე და ერთობლივად. ნაშრომი წარმოდგენელია ამ ორი მიმართულების შესწავლა ერთმანეთთან მიმართებაში, განსაზღვრულია რა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ქმნიან განსხვავებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებს შორის, ადგენს მათი განსჯადობის ფარგლებს.

ადმინისტრაციული სამართალი დაკავშირებულია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელებასთან. ის ცალკე მოწესრიგებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, რომელიც უნდა აღვნიშნოთ რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნაწილია, რითაც ისინი ერთობლივად ქმნიან საპროცესო კანონმდებლობას სამართლის ამ მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეების განხილვისთვის იყენებენ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, ხოლო ადმინისტრაციული საქმეების განხილვისთვის გამოიყენება, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები, ერთგვარი დანამატი და სპეციალური მომწესრიგებელი აქტია.

სამოქალაქო განსჯადობა ორი სახის გვაქვს მოცემული: ტერიტორიული და გვარეობითი ანუ საგნობრივი. პირველი გულისხმობს, დავის ადგილსამყოფლის დადგენას, როდესაც შესაბამისი ტერიტორიული ერთეული სასამართლოს უფლებამოსილს ხდის განიხილოს წარმოდგენილი საქმე. ხოლო გვარეობითი განსჯადობის მიხედვით ერთმანეთისგან გამიჯნულია კომპეტენცია რაიონული (სამოქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებსა და მაგისტრატ მოსამართლეებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავების გამიჯვნა ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს განპირობებულია, თავის მხრივ, საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და კერძო პირების უთანასწორობით ერთმანეთთან მიმართებით

და აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა უფლებების დაცვის მაღალი ინტერესის წარმოშობით. პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესია, გათვალისწინებული იყოს ყველა წვრილმანი დეტალი, როდესაც ხდება განსჯადობის დადგენა დაკვებს შორის, რომ მოხდეს სწორად განხილვა დავის და რაც მთავარია, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მიზანი და საფუძველი საქმის, რის საფუძველზე წარმოიშვა დავა და რა შედეგი შეიძლება გამოიღოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ. ასეთი მსჯელობა სასამართლოს უხმარება განსჯადობის სწორად დადგენაში.

საკვანძო სიტყვები: განსჯადობა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავები, საერთო სასამართლოები, საპროცესო კანონმდებლობა.

**უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას შორის თანაფარდობა:
ვიდეომონიტორინგი სამუშაო სივრცეში**

მარიამ გორგასლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამუშაო ადგილზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, ინფრასტრუქტურის, აპლიკაციებისა და ჰკვიანი მოწყობილობების თვალსაზრისით, საშუალებას აძლევს დამსაქმებელს განახორციელოს მონაცემთა სისტემატური და პოტენციურად უფლებების შემზღუდველი დამუშავება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება მიმართული იყოს თანამშრომლების პროდუქტიულობის გაუმჯობესების, ინტელექტუალური თუ მატერიალური საკუთრების დაკარგვის, აღმოჩენისა ან თავიდანაცილებისკენ დასხვა, აღნიშნული ასევე ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის მიმართულებით. შესაბამისად, დამსაქმებლებმა უნდა შეაფასონ დაცულია თუ არა, სამართლიანი ბალანსი მათ ლეგიტიმურ ინტერესებსა და დასაქმებულის კონფიდენციალურობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ნაწილია ვიდეომონიტორინგის სისტემა, რომელიც, მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმად ჩამოყალიბდა. ვიდეომონიტორინგის ტექნოლოგიების უმეტესობას, თანამედროვე ეპოქაში, გააჩნია პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, ღამის ხედვის, მანევრირების, შორი მანძილიდან დაკვირვების, დეტალების (მათ შორის, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი) აღმოჩენის, აუდიოჩაწერის, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მისი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების ტექნიკური შესაძლებლობები. ასეთი საშუალებით ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი, პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით ისეთ სივრცეში, სადაც მას პირადი სივრცის დაცულობის მოლოდინი აქვს.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებ დასაქმებულის სამუშაო სივრცის/პროცესის ვიდეომონიტორინგის დასაშვებობაზე. ჩემი ინტერესი ამ თემის მიმართ

გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული წარმოადგენს დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში საკმაოდ ინტენსიურ ჩარევას, რის გამოც, იგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამას ადასტურებს, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე 29-ე მუხლის მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის მოსაზრება (2/2017) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ მხრივ, უნდა გამოვყოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ“ (2018), რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დამსაქმებლებს ევალებათ დასაქმებულთა პირადი ცხოვრების პატივისცემა, ამ უფლების დაცვა და მისი მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეზღუდვა.

ამ ნაშრომის მიზანია, სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგის განხორციელების თანმდევი მომეტებული საფრთხეების წარმოჩენა და ამ პროცესის დაწყებამდე დასაქმებულის მიერ პროპორციულობის ტესტის ჩატარების აუცილებლობის ხაზგასმა. ჩემთვის, როგორც დასაქმებულისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილზე მონაცემთა

დამუშავება ხორციელდებოდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და მოთხოვნების დაცვით.

საკვანძო სიტყვები: ვიდეომონიტორინგი, პირადი ცხოვრება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება, კონფიდენციალურობა.

Abstract

The adoption of new information technologies in the workplace, in terms of infrastructure, applications, and smart devices, allows employers to carry out new types of systematic and potentially invasive data processing. Therefore, whilst the use of such technologies can help improve the productivity of employees, detect or prevent the loss of intellectual or material company property, etc., they also create significant privacy and data protection challenges. Employers must assess the balance between their legitimate interests and employee's rights to privacy and data protection.

An important part of information technology is the CCTV security system (video surveillance), which, under conditions of technological development, has become one of the most common forms of data processing. In the modern world, most video surveillance technologies can record 24/7, detect details (including those invisible to the human eye), audio recording, recognize a person's unique characteristics, and behavior analysis. Regular and systematic monitoring of a person with such means creates threats to the unlawful processing of personal data and violation of the right to private life, especially in a space where they have a reasonable expectation of privacy.

Video surveillance of the employee's workplace is a rather intense interference with their right to privacy, which is why it is allowed only in exceptional cases. This is confirmed by the legislation of Georgia, the opinion (2/2017) of the Article 29 Data Protection Working Party, and judgments of the European Court of Human Rights. Particularly interesting is the case of *Antović and Mirković v. Montenegro* (2017).

The purpose of this paper is to present the increased risks associated with the implementation of video surveillance in the workplace and to emphasize the need to conduct a proportionality test. Employers may only collect the data for legitimate purposes and with the legal basis for the processing.

Key Words: Video surveillance Private life The right to the protection of personal data Privacy.

სოციალური მეწარმეობის არსი, ქართული და უცხოური პრაქტიკის შედარება

მარიამ გულიტაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღესდღეობით, საქართველოში მზარდ დინამიკას ინარჩუნებს სოციალური საწარმოების დამკვიდრების და განვითარების პროცესი. სოციალურ მეწარმეობას დიდი პოპულარობა აქვს მოპოვებული მთელს მსოფლიოში, როგორც სოციალური გამოწვევების გადაჭრის მძლავრი ინსტრუმენტი, რადგან ის აერთიანებს სოლიდარული პრინციპების და მდგრადი განვითარების კონცეფციის კომპონენტებს.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სოციალური მეწარმეობის განვითარებადი ლანდშაფტის საქართველოში და ასევე პარალელი გაავლოს საზღვარგარეთ არსებულ სოციალურ საწარმოებთან. შეისწავლოს ის საერთაშორისო პრაქტიკები, რომლის წარმატებით დანერგვის შემთხვევაში საქართველო კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს გადადგავს ძლიერი ეკონომიკის შექმნისკენ და დაეხმარება საზოგადოებას ხელი შეუწყონ სოციალურ ცვლილებებს, როგორც საქართველოში, ისე გლობალურად.

საქართველოში სოციალური მეწარმეობა ჩნდება, როგორც დინამიური სფერო, მრავალი ინიციატივით, რომელიც მიმართულია ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა უმუშევრობა, სოციალური ინკლუზია და მდგრადი განვითარება. ეს კვლევა განიხილავს საქართველოს სოციალური საწარმოების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს, გამოწვევებს და წარმატებულ ისტორიებს, ხაზს უსვამს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკის კონტექსტების როლს მათი განვითარების ფორმირებაში.

უფრო ფართო პერსპექტივის უზრუნველსაყოფად, საქართველოს გამოცდილება შედარებულია დამკვიდრებულ პრაქტიკასთან სოციალური მეწარმეობის მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიური ქვეყნები. შედარება ცხადყოფს სხვადასხვა მოდელებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტური აღმოჩნდა სხვადასხვა გარემოში. იგი ასევე განსაზღვრავს საუკეთესო პრაქტიკებს და გაკვეთილებს, რომელთა ადაპტირება და განხორციელება შეუძლიათ ქართველ სოციალურ მეწარმეებს მათი გავლენის გასაზრდელად.

საბოლოოდ, სტატია ხაზს უსვამს სოციალური მეწარმეობის ზრდად პოტენციალს აქტუალური სოციალური საკითხების გადასაჭრელად და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. სოციალური საწარმოების პრაქტიკის დანერგვა და მასშტაბირება უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას და გრძელვადიან პოზიტიურ ცვლილებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმო, მდგრადი განვითარება, სამეწარმეო ეკოსისტემა.

The essence of social entrepreneurship, comparison of Georgian and foreign practices

Abstract

Nowadays, the process of establishment and development of social enterprises maintains a growing dynamic in Georgia. Social entrepreneurship has gained great popularity around the world as a powerful tool for solving social challenges, as it combines the components of solidarity principles and the concept of sustainable development.

The aim of the paper is to explore the emerging landscape of social entrepreneurship in Georgia and also to draw parallels with social enterprises abroad. To study those international practices, which if successfully implemented, Georgia will take another big step towards creating a strong economy and will help the society to promote social changes, both in Georgia and globally.

In Georgia, social entrepreneurship is emerging as a dynamic field with many initiatives aimed at addressing issues such as unemployment, social inclusion, and sustainable development. This study examines the key drivers, challenges, and success stories of social enterprises in Georgia, highlighting the role of cultural, economic, and policy contexts in shaping their development.

To provide a broader perspective, Georgia's experience is compared to established practices in countries with a rich history of social entrepreneurship, such as the United States, Great Britain, and the Nordic countries. The comparison reveals different models and strategies that have proven effective in different settings. It also identifies best practices and lessons that Georgian social entrepreneurs can adapt and implement to increase their impact.

Finally, the article highlights the growing potential of social entrepreneurship to address pressing social issues and promote sustainable development. Adopting and scaling social enterprise practices will ensure country development and long-term positive change.

Key words: Social entrepreneurship Social enterprise Sustainable development Entrepreneurial ecosystem

საგადასახადო თაღლითობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

ნიკა ზერეკიძე, მარიამ ზურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებში საგადასახადო თაღლითობა საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსხვავებულია და მოწესრიგებული. ქვეყნების უმეტესობა მსგავს შემადგენლობას ითვალისწინებს გადასახადებისაგან თავის არიდების დანაშაულის შემადგენლობაში.

განსხვავებული მოცემულობაა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ: საგადასახადო თაღლითობის შემადგენლობა მსგავსი დასახელებით არ გვაქვს მოცემული. გადასახადისაგან თავის არიდებას აწესრიგებს სსკ-ის 218-ე მუხლი. ნორმის ბლანკეტური შინაარსის გამო ამ ქმედების შემადგენლობის გარკვევის მიზნით უნდა მოვიშველიოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლი. ხსენებული ნორმის ანატომია გულისმობს მანიპულაციების გზით გადასახდელი გადასახადის შემცირებას და ისარმოიაზრებს ისეთ ქმედებებს, როგორცა დაუსაბუთებელი საგადასახადო უპირატესობების მიღება, თანხის თაღლითური დაბრუნების ან სარგებლის მოთხოვნის წარდგენა. აღნიშნული კი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, მას აქვს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი ადგენს - „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ამ ვალდებულების მნიშვნელობა ბევრად ფართოა და ის მოიცავს ზოგად პრინციპს, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია დანაშაულის განსაზღვრა და სასჯელის დაწესება, სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იყოს ფართოდ ინტერპრეტირებული ბრალდებულის საზიანოდ. ქმედების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის არსს და იყოს გონივრულად განჭვრეტადი. განჭვრეტადობის ტესტი უნდა იყოს დაკმაყოფილებული ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიკაციისას.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის შემადგენლობის ზუსტი და განჭვრეტადი ფორმით არსებობა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც ეხებოდა ე.წ. დღგ-ს თაღლითობებს, რომლის არსი ძირითადად გულისხმობდა სხვადასხვა მანიპულაციის გზით დღგ-ს აქტივის ყალბად შექმნას, გამოყენებას. მსგავსი შემთხვევების კვალიფიკაცია კი ხშირად მოიაზრებდა სსკ-ის 185-ე მუხლს. მაგრამ გადასახადი თავისი არსით არის ფინანსური ინსტრუმენტი. შესაბამისად, მსგავსი შემთხვევების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი ნორმა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც გაითვალისწინებდა მსგავს ქმედებას. მი არარსებობა კი წარმოშობს სამართლებრივ პრობლემას, მათ შორის ადამიანის უფლებების კონტექსტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მსურს კონფერენციაზე წარმოვადგინო თემა, საგადასახადო თაღლითობისა და მისი შემადგენლობის არსის შესახებ. მიმაჩნია, რომ საკითხი აქტუალური და პრობლემურია, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით. განხილული თემის ფარგლებში, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შემოგთავაზებთ ზემოთხსენებული დანაშაულის შემადგენლობის ძირითად აღწერილობებს, რომლის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იმპლემენტაცია მიზანშეწონილად და აუცილებლადც მიმაჩნია.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო თაღლითობა, საფინანსო დანაშაული, სარგებლის თაღლითურად მოთხოვნა, დაუსაბუთებელი საგადასახადო უპირატესობები, თანხის თაღლითური დაბრუნება.

**ხელოვნური ინტელექტის როლი საზოგადოებაში, მისი მიმართება
ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან
(მოსალოდნელი საფრთხეები, პრევენციის გზები)**

მარიამ მიქელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ხელოვნურ ინტელექტს დიდი ადგილი უჭირავს დღევანდელ საზოგადოებაში და ყოველდღიურად, საკმაოდ აქტიურად გამოიყენება, თუმცა ცოტა თუ საუბრობს იმაზე, თუ რა საფრთხეები შეიძლება შექმნას მისმა გამოყენებამ ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით.

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი სახეა ე.წ. „დიპფეიკი“-რომლის გამოყენებითაც ხდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს გაყალბება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა. ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება კონკრეტული ნორმა, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას, პირადი ცხოვრების საიდუმლოს გაყალბების, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფისათვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რაც იწვევს მნიშვნელოვან ზიანს და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცულ უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას- ღირსების უფლებას და მისგან გამომდინარე სხვა ძირითად უფლებებს.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ძირითადი უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საქართველოში და სხვა ქვეყნებში და მათი ანალიზი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157 პრიმა მუხლით დაცულია პირადი ცხოვრების საიდუმლო და დაწესებულია პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვის, გამოყენებისათვის, მათ შორის სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის, ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, თუმცა პრაქტიკაში ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც „პირადი ცხოვრების საიდუმლოს გაყალბება მოხდა „დიპფეიკით“, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს კონკრეტული ნორმა, რომლითაც შეიძლება დადგეს დამნაშავეს პასუხისმგებლობის საკითხი.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განხილულ იქნეს ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გავრცელების პოტენციური საფრთხეები და ადამიანთა ძირითადი

უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის პრევენციის გზები.

საკვანძო სიტყვები: ღირსების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, „დიპფეიკის“ საფრთხეები.

განათლების დონე და პროპაგანდის ეფექტურობა

მარიამ პერტაია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიზანდ ისახავს ნათლად წარმოაჩინოს თუ რა კავშირები არსებობს განათლების დონესა და პროპაგანდის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ნაშრომში განხილული იქნება ის თუ რა მეთოდები არსებობს პროპაგანდის ეფექტურად განხორციელებისთვის. ამ თემასთან დაკავშირებული მსჯელობა დაფუძნებულია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მაგალითზე, მსოფლიოში არსებულ ვთარებასა და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზზე. ნაშრომის შექმნის მთავარი მიზანია, სწორად გავიგოთ პროპაგანდის მნიშვნელობა, მისი როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში და წარმოვაჩინოთ მასთან ბრძოლის საუკეთესო გზები. ასევე უმნიშვნელოვანესია ყურადღების გამახვილება პროპაგანდის როლზე პოლიტიკაში, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. ნამუშევარში წარმოდგენილია პროპაგანდის სახეცვლილება დროსთან ერთად, ანუ მისი ქრონოლოგიური განვითარება და ტრადიციული საშუალებებიდან თანამედროვე სამყაროში ტრანსფორმირება. ნაშრომის ბოლოს კი შეჯამებულია ყველა ნახსენები საკითხი დასკვნის სახით.

საკვანძო სიყვები: პროპაგანდა, განათლება, კრიტიკული აზროვნება, დარწმუნების ხელოვნება.

პირგასამტეხლოს როლი ქართული სამართლის სისტემაში

მარიამ რუხაძე, თეკლა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, სადაც მაღალ დონეზეა განვითარებული სახელშეკრულებო ურთიერთობები, უმნიშვნელოვანესია პირგასამტეხლოს როლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417 მუხლი მის დეფინიციას გვთავაზობს- მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ნორმის მიზანია მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულებისა და კრედიტორის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. იგი იცავს ორივე მხარის ინტერესებს, არეგულირებს მათ შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას და შეიძლება ითქვას, რომ პრევენციულ ხასიათს ატარებს.

თუმცა ის, რაც თეორიაში გამტკიცებულია, პრაქტიკაში სულ სხვა სახეს იძენს. ამ აბსტრაქტში მინდა განვიხილო პირგასამტეხლოს მნიშვნელობა, მისი შემცირების შესაძლებლობა და გამოყენების პრაქტიკა.

პირგასამტეხლოს დაკისრების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ორივე მხარე- კრედიტორი, რომლის წინაშე ნაკირი ვალდებულებაც ჯეროვნად უნდა შესრულდეს და მოვალე, რომელმაც არ უნდა დაკარგოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ინტერესი უკიდურესად გადაჭარბებული თანხის დაკისრების გამო. ამ ყველაფერს არეგულირებს სასამართლო, რომელსაც შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ესაა ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს შეზღუდოს სახელშეკრულებო თავისუფლება და შეცვალოს გარემოებები მიღწეული შეთანხმების მიუხედავად.

რალა თქმა უნდა, ნებისმიერი ნორმა, რომელიც მიემართება თანასწორობის შენარჩუნებას, გამართლებულია, თუმცა მეორე საკითხია, როგორ დგება ნორმის განხორციელება მზის შუქზე. დასაფიქრებელია სასამართლო პრაქტიკა, პირგასამტეხლოს შემცირების პროცესი და მის სამართლიანობა დღევანდელ რეალობაში.

კერძოდ, ქვეყნის მდიდარი სასამართლო პრაქტიკა იძლევა იმის საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნა, რომ პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მიღებული საჩივრების უმეტესობა დაკმაყოფილებული იქნა. რამდენადაც ეს ყველაფერი შესაძლოა უწყინარად მოგვეჩვენოს, გასავლება ხაზი, არის პირგასამტეხლო რეალური თავდაცვის მექანიზმი თუ სიმბოლურად არსებული კანონის შემავსებელი დანამატი, რომლის „მოშლაც“ ყველას შეუძლია. აქვს თუ არა რაიმე აზრი მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც მაინც შეიცვლება?

აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა სასამართლოს დადგენილება პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე და განმარტა, რომ სასამართლომ მხარეთა თანასწორობა მისთვის კანონით დაწესებული ჩარჩოს ფარგლებში უნდა დაიცვას.

ვფიქრობ, უნდა იქნეს დაცული ბალანსი. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოვალის ზარალი, არამედ კრედიტორის რეალური ინტერესიც და თავიდან უნდა აიცილოს პირგასამტეხლოს ინსტიტუტის არაპრაქტიკულ, გამოყენებულ ნორმად ქცევა.

საკვანძო სიტყვები: პირგასამტეხლო, სამოქალაქო, პრაქტიკა, სახელშეკრულებო.

The role of civil penalty in the Georgian legal system

Abstract

In modern world, where civil relationships are highly developed, the role of penalty holds great importance. According to Article 417 of the Civil Code of Georgia, penalty is a monetary amount determined by the agreement of the parties, which the debtor must pay for non-fulfillment or improper performance of the obligation.

The purpose of the norm is to ensure that the debtor fulfills his obligations in good faith and to protect the interests of the creditor. However, what is proven in theory takes a completely different form in practice. In this abstract, I would like to discuss the importance of civil penalty, the possibility of its reduction and the practice of its use.

In the process of imposing a penalty, both sides must be taken into account - the creditor, to whom the obligation must be fulfilled in a concerted manner, and the debtor, who must not lose the interest in the contractual relationship due to the imposition of an extremely excessive amount. All of this is regulated by the court, which can reduce the inappropriately high penalty, taking into account the circumstances of the case. Of course, any norm that tends to maintain equality is justified, but how the implementation of the norm stands in the light of day is another matter.

In particular, the rich judicial practice of the country allows us to conclude that most of the complaints received regarding the reduction of the penalty have been satisfied. As innocuous as all this may seem, there is a line, whether it is a real defense mechanism or a symbolic addition to the existing law that anyone can "disrupt". Does it make sense to implement a mechanism that will change anyway?

I would like to mention the decision of the court of cassation, which canceled the court's decision on the reduction of the penalty and clarified that the court must protect the equality of the parties within the framework established by the law.

I think a balance should be maintained. The court should take into account not only the debtor's loss, but also the real interest of the creditor, and should avoid turning the institution of penalty into an impractical, unused norm.

Key words: Penalty, court practice, contractual.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის სუბიექტები და მათი როლი ქართულ სამართალში

მარიამ სეხნიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე კერძო სამართლისათვის განსაკუთრებული აქტუალურობით ხასიათდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულირების საკითხი, რაზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნილებები და ინტერესები. შესაბამისად, მისი კლასიფიკაციის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ისეთი სახის საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც მაქსიმალურად მორგებული იქნება მომხმარებელთა ინტერესებზე.

აღნიშნული კვლევის მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სუბიექტთა მახასიათებელი ნიშნების წარმოჩენა, იმ პრობლემების შესწავლა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოიშობა, მათი აღმოფხვრის გზების დადგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ყოველივე ზემოთხსენებულის გასაანალიზებლად, განხილული იქნება საქართველოს საკანონმდებლო მოწესრიგება, ასევე ევროკავშირის მიერ დაწესებული რეგულაციები და გაცემული დირექტივები. დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რის შედეგადაც გაანალიზდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები ქართულ და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის ურთიერთშედარების საფუძველზე.

შედეგად კი გამოიკვეთება ის ზომები, რომელთა დანერგვა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს, აღმოფხვრას ისეთი პრობლემები, როგორცაა მომხმარებლისა და მოვაჭრის უფლებრივი მდგომარეობა და მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე; მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი კერძო და საჯარო სამართლებრივ ასპექტში; ასოცირების შეთანხმების გავლენა სამომხმარებლო ხეკშეკრულების სუბიექტებზე; მომხმარებელთა უფლებების რეგულირების პროცესში როგორც ქართული, ასევე ევროპული ქვეყნების მიერ დადგენილი სტანდარტები და მათი საკანონმდებლო რეგულირების ურთიერთგამიჯვნა.

მომხმარებლები, თავის მხრივ, უნდა იყვნენ დაკვირვებულები და ყურადღებიანები, თუმცა მათი სამართლებრივი გარანტიების არსებობა აუცილებელია, რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში,

მოვაჭრეს აქვს შესაბამისი ძალაუფლება, რომ შეიმუშავოს გარკვეული წესები და პირობები, რომლებიც სავალდებულოა მომხმარებლისათვის, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს იმის შანსი, რომ მომხმარებელი არ იყოს სათანადოდ ინფორმირებული და მოექცეს მარკეტინგული პოლიტიკის ქვეშ. აღნიშნული საკითხის კვლევა კი მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და დაცული იქნეს მომხმარებელთა უფლებები.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ყველაზე გამოსადეგი საქართველოში არის „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო ევროკავშირში - მომხმარებელთა უფლებების დირექტივა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი და იტალიის სამომხმარებლო კოდექსი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის დირექტივა, მომხმარებელთა უფლებები, ასოცირების შეთანხმება, საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“.

სოკრატეს შეხედულებანი სამართლიანობაზე პლატონისა და ქსენოფონტის თხზულებების მიხედვით

მარიამ ტურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს სამართლიანობის, როგორც სამართლის დასაბამის და ჯერ კიდევ შეუცნობადი სამართლებრივ-ეთიკური ღირებულების ანალიზს იმ ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდი მოაზროვნეების: სოკრატესა და პლატონის ფილოსოფიის სახით გააჩნია. ნაშრომში წარმოდგენილია სამართლიანობის იდეის გამორკვევის საწყისები და დღევანდელი ხედვა. სამართლის მეცნიერება თავიდანვე დაინტერესებული იყო სამართლიანობის ფენომენის შესწავლით, ხოლო ამის ფონზე, ფილოსოფიის წრებრუნვაში ისახებოდა ისეთი მოძღვრებები და იდეები, რომელიც ამ ეპოქაში აქტუალობას არ კარგავს და მეტიც, სამყაროს განვითარებასთან ერთად მოითხოვს ამ ფილოსოფიური ასპექტების კრიტიკულ აღქმას. თანამედროვე პლურალისტული საზოგადოებისთვის ამოსავალს უნდა წარმოადგენდეს სამართლის ფუნდამენტის სიღრმისეული შესწავლა და ამ მხრივ, დღევანდელი გაგება, თუნდაც ჯერ კიდევ ანტიკური მსოფლმხედველობის გააზრების გზით, რამდენადაც თავად სამართლიანობის იდეა, საკმაოდ ხნიერია. ამ იდეის ირგვლივ ცირკულირებს აღნიშნული ფილოსოფოსების აზრებიც, რომელიც შეფასების მოქნილ, მეტად საინტერესო მასშტაბს იძლევა. სამართლებრივი და ფილოსოფიური დოქტრინები, ჯერ კიდევ ძველი ბერძნული ცნობიერებიდან მოყოლებული, გვაძლევს უფრო მეტ სივრცესა და ფართო არეალს იმისთვის, რომ მოხერხდეს სამართლებრივი აზრის განვითარება, სწორედაც რომ მისი მთავარი ბაზის, ამოცანისა და მიზნის კომპლექსური შესწავლის, სამართლის ფილოსოფიის საკვანძო ელემენტების გამოყოფისა და მოაზროვნეთა სამართლებრივ იდეათა პარადიგმის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. მიმოხილვა მიმართულია ზემოაღნიშნული საკითხის პრობლემატიკის 21-ე საუკუნის გადმოსახედიდან შეფასებისა და ამ მხრივ, შედარებითი ანალიზის ჩამოყალიბების, საკითხის პრობლემატიკის აქტუალობის წარმოჩენისაკენ. დრო გადის, სამართლიანობა კი სამართლიანობად რჩება და ისლა დაგვრჩენია, ჩვენი, როგორც შემეცნებელი სუბიექტის ძალისხმევით მიუახლოვდეთ ამ იდეის არსს. კვლევის მიზნებიდან

გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ ზემოთ აღნიშნული ფილოსოფოსების შრომებით, მათში გაერთიანებული სამართლიანობის საკითხების განხილვით, რამაც გამოხატა სამართლის ფილოსოფიურად, ხოლო ფილოსოფიის-სამართლებრივად გასიგრძეგანების ერთგვარი კომბინაცია. იქიდან გამომდინარე, რომ სამართლიანობის საკითხი, თუნდაც კანონთა მიღმა, ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, კვლევა ხელს შეუწყობს იმას, რომ შესაძლებელი გახადოს თეორიის პრაქტიკული რეალიზება, რაც დაგვეხმარება სამართლიანობის ცნების განსაზღვრაში, მაშასადამე იმაში, რომ „მოვაშორეთ ქვას ის, რაც დავითს არ ეკუთვნის“.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივ-ეთიკური ღირებულება, ანტიკური მსოფლმხედველობა, პლურალისტული საზოგადოება, ფილოსოფიური დოქტრინები, სამართლის ფუნდამენტი.

ჰეპარინი, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტი

მარიამ ტყეშელაშვილი, ანა ასლანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აბსტრაქტი ეხება მიმოხილვას, ჰეპარინისა და მისი წარმოებულების როლს, რომელიც მდგომარეობს კიბოს საწინააღმდეგო მექანიზმების განვითარებაში.

ჰეპარინი, როგორც არაფრაქციული (UFH), ასევე, დაბალმოლეკულური (LMWH), გამოიყენებოდა ვენური თრომბოემბოლიების, სისხლის შედედების საპრევენციოდ, თუმცა, ჩატარებული კვლევების შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ იგი ხასიათდება ანტისიმსივნური მოქმედებით, რომელიც გამოიხატება სიმსივნური უჯრედების ზრდის, ანგიოგენეზის, განვითარებისა და მეტასტაზირების ინჰიბირებაში. ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი, რომლითაც იგი ავლენს თავის კიბოს საწინააღმდეგო ეფექტს, გამოიხატება ჰეპარინის, მის წარმოებულებისა და ციტოკინებს შორის რთული რეაქციით, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია ქიმოკინების როლზე კიბოს მეტასტაზების განვითარებაში. ქიმოკინები - მცირე ცილები, რომლებიც იწვევენ სისხლის თეთრი უჯრედების მიგრაციას, გადამწყვეტ როლს თამაშობენ ანთების და კიბოს პროგრესირებაში, ამის მაგალითია CXCL12-CXCR4 სასიგნალო გზა, რომელიც მოიცავს ქიმოკინს CXCL12 და მის რეცეპტორს CXCR4, ჰეპარინის წარმოებულები კი, როგორცაა ტინზაპარინი და ენოქსაპარინი, აინჰიბირებენ CXCL12-სა და CXCR4-ს შორის ურთიერთქმედებას, რითაც აფერხებს პროცესებს, როგორცაა სიმსივნური უჯრედების ზრდა, მეტასტაზების განვითარება და ანგიოგენეზი, თუმცა მხოლოდ ამ მექანიზმში არ გამოიხატება მისი ანტისიმსივნური მოქმედება, ის, ამასთანავე, აინჰიბირებს TGF- β და TGF- β 1 სასიგნალო გზებს. მეორე უმთავრესი მექანიზმის არსი მდგომარეობს ჰეპარანაზას ინჰიბირებაში - ფერმენტი, რომელიც მონაწილეობს უჯრედგარე მატრიქსის დეგრადაციაში და სიმსივნის მეტასტაზების ხელშეწყობაში. ამას გარდა, ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჰეპარინმა გამოავლინა სიმსივნური უჯრედების ანგიოგენეზის დამორგუნველი მოქმედება, რაც გამოიხატებოდა თრომბოციტებისა და სიმსივნური უჯრედების ადჰეზიის ინჰიბირების, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და სხვადასხვა ანტისიმსივნურ პრეპარატთან კომბინირებულ მოქმედებაში. მიმიდინარე წლებში ჰეპარინი და მისი წარმოებულები გამოყენებულ იქნა ანტისიმსივნურ ფარმაკოლოგიურ

პრეპარატებთან კომბინაციაში, როგორცაა პაკლიტაქსელი, შეიქმნა მისი და ჰეპარინის ნანონაწილაკები, რომლებიც გამოყენებულ იქნა 4T1 სიმსივნით დაავადებულ თაგვებში, შედეგად აღინიშნა, რომ სიმსივნე ინჰიბირებულ იქნა 98.1%-ით სისტემური ტოქსიკურობის გარეშე. ჰეპარინი გამოყენებულ იქნა დოქსორუბიცინთან კომბინირებულ თერაპიაშიც, დოქსორუბიცინი (DOX), ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი მათი ფართო სპექტრის სამკურნალოდ, თუმცა, მისი დაბალი სპეციფიკა და მძიმე სისტემური ტოქსიკურობა ნორმალური ქსოვილების მიმართ მნიშვნელოვნად აფერხებს მის კლინიკურ გამოყენებასა და ეფექტურობასაც. მრავალი DOX-წამლის მიწოდების სისტემა იქნა შემუშავებული მისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და გვერდითი ეფექტების შესამცირებლად, თუმცა ცნობილია, რომ კლინიკურ გამოყენებაში ამ წამლის მხოლოდ 0.4% მიიტანება ბირთვში. ამის ფონზე შეიქმნა მისი და დაბალმოლეკულური ჰეპარინის კომბინირებული პრეპარატი, LMHP-DOX, ჩატარებული კვლევის შედეგად კი დამტკიცდა, ჰეპარინმა შეძლო DOX-ის კონცენტრაციის პოტენცირება, რითაც გაძლიერდა კიბოს უჯრედების აპოპტოზური აქტივობა.

ჰეპარინის კონიუგატების ერთობლივი დანერგვის სტრატეგია აჩვენებს პერსპექტიულ პოტენციალს სიმსივნესთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: ჰეპარინი, სიმსივნე, ციტოკინები, ჰეპარინ-პაკლიტაქსელი, ჰეპარინის მიმეტიკები.

**გაფლანგვის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, არსებობის
აუცილებლობა კანონმდებლობაში**

მარიამ ქოქიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკუთრების უფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაც აღიარებულია (მე-19 მუხლი), წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს ძირითად უფლებას, რომლის დაცვასაც ემსახურება სისხლის სამართალი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი ითვალისწინებს მითვისებასა და გაფლანგვას, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მუხლი ორი დამოუკიდებელი დანაშაულისგან შედგება. ამ ორ დანაშაულთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულება არსებობს. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაშიც წარმოიშობა გარკვეული სახის პრობლემები, ვინაიდან ადგილი აქვს მოსამართლეთა მიერ ნორმის არასწორ განმარტებას. ავტორის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემის გადაჭრას ქართულ და განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით.

გაფლანგვა და მითვისება დაუფლებით დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ესენია: ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, დამნაშავის ქონებრივი ფონდის გაზრდა. ავტორი ნაშრომში გაფლანგვასა და მითვისებას შორის განსხვავებას სწორედ ამ ნიშნების ანალიზის საშუალებით განიხილავს. ამასთან, უპასუხებს კითხვებზე: დაზარალებულისთვის რა მნიშვნელობა აქვს დამნაშავე მის ნივთს ან ქონებრივ უფლებას თვითონ მისაკუთრებს თუ გაასხვისებს? მისთვის შედეგი ერთია, შეუმცირდა ქონებრივი ფონდი. იქედან გამომდინარე, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაფლანგვასა და მითვისებას შორის არსებულ განსხვავებაზე აქცენტის გაკეთებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ქმედების კვალიფიკაციისთვის, ნაშრომში ავტორი იმსჯელებს, რამდენად არის გაფლანგვის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, არსებობა კანონმდებლობაში აუცილებელი.

საკვანძო სიტყვები: დაუფლებითი დანაშაული, გაფლანგვა, მითვისება, განმასხვავებელი ნიშნები

The need of to have embezzlement as a criminal offense in the legislation

Abstract

The right of property, which is recognized by the Constitution of Georgia (Article 19), is one of the main rights and it is protected by the criminal law. Article 182 of the Criminal Code of Georgia takes appropriation and embezzlement into account as crimes against property. This article consists of two independent crimes and there are various views about them in Georgian literature. Therefore, problems also arise in judicial practice, because we come across wrong interpretations of the norm by the judges. Purpose of the authors is to solve the problems which exist in Georgian judicial practice about the crimes taken into account in article 182.

Embezzlement and appropriation belong to the category of possessed crimes that have characteristic features. These are: purpose of wrongful (unlawful) possession, increasing the property fund of the offender. In the work, the author discusses the difference between embezzlement and appropriation by means of the analysis of these signs. At the same time, it will answer the following questions: for the for the victim, what does it matter if the criminal owns his thing or property right or alienates it. The result for him is that his property fund has decreased. Based on the fact that focusing on the difference between embezzlement and appropriation in Georgian legal literature is not essential for the qualification of the action, In the article, the author discusses the extent to which the presence of embezzlement as a criminal offense in the legislation is necessary.

Key words: possessed crime, embezzlement, appropriation, distinguishing marks.

ნდობა და ქართული მედია

ელენე სავანელი, მარიამ ჩალაური

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მედიის გამჭვირვალობა, ობიექტურობა და დამოუკიდებლობაა, რაც ყველასთვის კარგად ნაცნობაქსიომასწარმოადგენს. მედიას მეოთხე ხელის უფლებადაც კი მოიხსენიებენ. მას ე.წ. „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია აქვს. მისი ვალია ხელისუფლების შტოების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) საქმიანობის მეთვალყურეობა და კონტროლი. გარდა ამისა, მედია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, როცა მოქალაქეებს ბოლომდე აქვთ გააზრებული მათი პოლიტიკური გადაწყვეტილების სისწორე. მედია უნდა ხსნიდეს კონტექსტს, აძლევდეს ხალხს ობიექტურს, მიუკერძოებელ და ამომწურავ ინფორმაციას, რათა მათ დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა შეძლონ. დღევანდელ სამყაროში, სადაც ძალიან მარტივია ყალბი ამბების გავრცელება, თუ მედია მანიპულაცია, განსაკუთრებით ეჭვქვეშ დგება მედიის სანდოობის საკითხი. საზოგადოებას მუდმივად უწევს ყალბ და ნამდვილ ამბებს შორის ჭიდილი. მედია აღარ ასოცირდება სიმართლის ძიებასთან. ჩვენი კვლევის მეთოდი იყო ონლაინ გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ენდობა საზოგადოება მედიას საქართველოში. გამოკითხვა ჩატარდა 2024 წლის მაისში). როგორც რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ქართული მედია ნაწილობრივ ობიექტურია. გამოკითხულთა 60,4 % ერთხელ მაინც ყოფილა მედია მანიპულაციის მსხვერპლი. აუდიტორია ფიქრობს, რომ ერთხელ მიღებული ამბის რამდენჯერმე გადამოწმება აუცილებელია, სანამ ამ ინფორმაციის ნამდვილობას დავადგენთ. ქართული მედიისადმი გამომხატული უნდობლობა საგულისხმო და გასათვალისწინებელია. მაუწყებლობა არ უნდა განიხილებოდეს დეზინფორმაციის გამავრცელებელ საშუალებად, თუ გვინდა, რომ საფრთხე არ შეექმნას დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, რათა საზოგადოებას კვლავ აღუდგეს მედიისადმი ნდობა და კეთილგანწყობა.

საკვანძო სიტყვები: მედია, მედიისადმი ნდობა, მაუწყებლობა, ტელევიზია, ჟურნალისტიკა

Trust and Georgian Media

Elene Savaneli, Mariam Chalauri

International Black Sea University

Abstract

One of the determinants of the quality of democracy is the transparency, objectivity, and independence of the media, which is a well-known axiom. The media is even referred to as the fourth estate. It has the function of a so-called "watchdog." Its duty is to monitor and control the activities of the branches of government (legislative, executive, and judicial). Additionally, the media plays a crucial role in forming an informed society, ensuring that citizens fully understand the correctness of their political decisions. The media should explain the context, provide people with objective, unbiased, and comprehensive information, so they can draw their own conclusions independently.

In today's world, where it is very easy to spread fake news and media manipulation, the issue of media credibility is particularly called into question. The public constantly has to wrestle between fake and real news. Media is no longer associated with the pursuit of truth.

Our research method was an online survey about how much the public trusts the media in Georgia (the survey was conducted in May 2024). As this quantitative research showed, the majority of respondents think that Georgian media is partially objective.

60.4% of the respondents have been victims of media manipulation at least once. The audience believes that it is necessary to verify the news received several times before determining the authenticity of the information.

The distrust expressed towards Georgian media is noteworthy and should be considered. Broadcasting should not be viewed as a means of spreading disinformation if we want to avoid endangering democratic institutions. Important steps need to be taken in this regard to restore the public's trust and goodwill towards the media.

Keywords: media, trust in media, broadcasting, television, journalism.

პოზიტიური სამართლისა და მის მიღმა არსებული სოციალური ნორმების ურთიერთმიმართება კონფუციუსისა და ლეგისტების მოძღვრებებში

მარიამ წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფა ყველა დროის უმთავრესი გამოწვევაა. მოცემული მიზნის კომპლექსურობის გამოვლინებაა განსხვავებული ნორმატიული სისტემების არსებობა, რომელთა ქმედუნარიანობაზე მსჯელობა დღემდე მიმდინარეობს. ფორმალურად მოქმედი კანონმდებლობა თუ საზოგადოებაში დამკვიდრებული სხვა ქცევის წესები? რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების მოწესრიგებისას? აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მოძიება ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში დაიწყო. ვინაიდან არგუმენტაციების განსხვავებულობამ ყველაზე მკაფიოდ თავი ძველ ჩინეთში იჩინა, მოცემული ნაშრომიც მიზნად ისახავს, კაცობრიობის ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური სკოლის: კონფუციანელობისა და ლეგიზმის მოძღვრებების ანალიზის საფუძველზე გამოიტანოს საერთო დასკვნა. ერთი მხრივ, მსოფლიოს ევლინება უდიდესი მოაზროვნე კონფუცი/კუნფუძი, რომელიც სათნოების საწყისებზე აგებულ, ჰუმანიზმის პრინციპით განმსჭვალულ ნორმატიულ სისტემას ავითარებს, ხოლო, მეორე მხრივ, არიან ლეგისტები მკაცრი კანონებითა და მკაცრი საქციებით. კონფუციუსის მოძღვრება ერთგვარად ავტონომიურ სოციალურ ნორმებს ეფუძნება, რომლებიც დაწერილ სამართალს მიღმა არსებობენ და უშუალოდ საზოგადოებისგან იღებენ ლეგიტიმაციას, განსხვავებით ლეგისტებისგან, რომლებიც ადამიანთა თვითნებობის შეზღუდვის ერთადერთ საშუალებად ძალმომრეობაზე, სასტიკ კანონებსა და სასჯელებზე დაფუძნებულ სამართლებრივ სისტემას აღიარებენ, თუმცა საკითხის კვლევისას გამოვლინდა საინტერესო გარემოება, რომ ორივე მოაზროვნე ფრთის განსხვავებული შეხედულებები განპირობებულია ადამიანის ბუნებისა თუ შინაგანი სამყაროს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით. კერძოდ, კონფუცი თუ პიროვნებას კეთილ საწყისებს უკავშირებს, ლეგისტები ადამიანს „ბუნებით ბოროტ“ ქმნილებად მიიჩნევენ. ცხადია, ამ რადიკალური პოზიციების მიღმა ძველ ჩინეთში სხვადასხვა აზრთა შეთანხმების პრეცედენტებიც არსებობდა, მაგალითად, ხან ფეის შემთხვევაში. საკითხის აქტუალობიდან

და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო დაკვირვების, ანალიზისა, სინთეზისა და შედარების მეთოდების საფუძველზე დასკვნების გამოტანა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ფილოსოფოსთა ორიგინალი ნაშრომების გამოკვლევას. მაგალითისთვის ლეგიზმზე მსჯელობისას განხილული იყო ამონარიდები „შანის ოლქის მმართველის წიგნიდან“, იგივე „შან ძიუნ შუ“-დან, რომლის შედგენაშიც დიდი წვლილი ლეგიზმის ერთ-ერთ მთავარ წამომადგენელს შან იანს მიუძღვის, იგივე ითქმის ფაძიას სკოლის წარმომადგენლის, ხან ფეის „ხან ფეი ძიხეც“, ხოლო კონფუციანელობის შემთხვევაში - „საუბრები და გამონათქვამები“, იგივე „ლუნ იუი“, „ანალექტები“ და ასე შემდეგ. შესაბამისად, განსხვავებული მეთოდების, წყაროებისა და დიდი განხილვის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საერთო დასკვნის გამოტანა. კონფუციისა და ლეგისტების შეხედულებების გააზრებისას, შედარებითობის პრინციპიდან გამომდინარე, უსაფუძვლო იქნებოდა რადიკალურად საკითხის გადაწყვეტა, როდესაც ორივე მხარის პოზიცია განმტკიცებულია ძლიერი არგუმენტებით და მათი განსაზღვრული დამოკიდებულება ადამიანის მიმართ ერთგვაროვანია. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთგვარი მიგნებაა, რომ, ერთი მხრივ, არსებობდეს პოზიტიური სამართალი, რომელიც აღკვეთს ადამიანთა თვითნებობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ფორმალური კანონმდებლობა უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ სოციუმის წიაღში წარმოქმნილი ნორმებისგან და არა კანონმდებლის ერთპიროვნული ნებიდან.

საკვანძო სიტყვები: ნორმატიული სისტემა, კონფუციანელობა, ლეგიზმი, სათნოების საწყისები, ფორმალური კანონმდებლობა.

The relationship between positive law and the social norms behind it in the doctrines of Confucius and legalists

Mariam Tsiklauri

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Ensuring the harmonious coexistence of people is the most important challenge of all time. The complexity of this goal is manifested by the existence of different normative systems, the effectiveness of which is still debated. Formal legislation or other rules of behavior established in society? It started in the ancient period. Since the difference of argumentation manifested itself most clearly in ancient China, this paper also aims to draw a general conclusion based on the analysis of the two most important philosophical schools in the history of mankind: Confucianism and Legalism. The doctrine of Confucius is based on a kind of autonomous social norms, which exist outside the written law and receive legitimacy directly from the society, unlike legalists, who are the only ones who limit the arbitrariness of people. As a means, they recognize a legal system based on force, cruel laws and punishments. However, during the research of the issue, an interesting circumstance was revealed that the different views of both thinking wings are due to their heterogeneous attitude towards human nature. Obviously, behind these radical positions, there were precedents of agreement of different opinions in ancient China, for example, in the case of Han Fei. Due to the relevance and complexity of the issue, it was of fundamental importance to draw conclusions based on the methods of observation, analysis, synthesis and comparison. Special attention should be paid to the excerpts from the "The Book of Lord Shang", "Lun'Yui", "The Analects" and so on. When understanding the views of Confucius and legalists, based on the principle of comparability, it would be unreasonable to radically resolve the issue, when the position of both sides is supported by strong arguments. Considering all this, salvation is in consolidation.

Key words: normative system, Confucianism, Legalism, principles of virtue, formal legislation.

ხელყოფის კონდიქცია, მისი წინაპირობები და კონკურენცია სხვა კონდიქციებთან

მარიამ ცანკაშვილი, მარიამ ბეგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, იგივე კონდიქციური სამართალი, არის ის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აკისრია დღევანდელ რეალობაში.

უსაფუძვლო გამდიდრება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ისეთ სახეს წარმოადგენს, რომლის დროსაც ერთი მხარე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მდიდრება, ხოლო მეორე მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი ქონების უკან დაბრუნება. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კონდიქციურ ვალდებულებათა ფუნქციას წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქო სამართლებრივი სუბიექტების ინტერესების დაცვა.

სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება, კერძოდ კი ხელყოფის კონდიქცია, წარმოადგენს ჩვენი სამეცნიერო კონფერენციის საგანს, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრებიდან გამომდინარე მისი აქტუალურობა დღითიდღე იზრდება, რაც შესაბამისად ზრდის პრაქტიკაში მისი გამოყენების სამართლებრივ პრობლემებსა და ხარვეზებსაც.

ზოგადად, ხელყოფის კონდიქცია, ისევე როგორც ყველა სხვა კონდიქცია, ეს არის ქონების უსაფუძვლო მოძრაობის, ერთი პირის ქონებიდან მეორესაში უსაფუძვლო გადადინების უკუქცევის ინსტრუმენტი, უბრალოდ მისი ექსკლუზიური გამოყენების სფერო, მისი ნიშა, მდგომარეობს იმაში, რომ ის ეხება შემთხვევებს, როდესაც ქონების ეს გადასვლა ხდება არა კონდიქციის მომავალი კრედიტორის მხრიდან შესრულებით, როგორც ეს შესრულების კონდიქციის შემთხვევაშია, არამედ მოვალის, ხელყოფის მხრიდან მითვისებით.

უსაფუძვლო გამდიდრების თითოეულ კონდიქციას აქვს თავისებური ფუნქცია და განსხვავებით გერმანული სამართლისგან, ქართულ სამოქალაქო კოდექსში ისინი ცალ-ცალკეა მოწესრიგებული. კონდიქციებს საერთო აქვთ ის, რომ ქონებრივი

„რაიმე“ გადავიდეს ერთი ქონებიდან მეორეში, ქონებრივი სიკეთის მოძრაობა მოხდეს, თუმცა განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით ხდება ამ ქონების მოძრაობა. აქედან გამომდინარე, ხშირად პრობლემას წარმოადგენს მათ შორის განსხვავების პოვნა, ამიტომ საჭიროებს ეს საკითხი ფართოდ განხილვასა და ყურადღების მიქცევას.

ნაშრომის მიზანია, გამოკვეთოს ის პრობლემური საკითხები, რაც შესაძლებელია არსებობდეს პრაქტიკაში საკანონმდებლო მოწესრიგებიდან გამომდინარე, რის შემდეგაც დაისახება ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები. უმთავრესად ყურადღება გამახვილებული იქნება ხელყოფის კონდიქციის ძირითად მახასიათებლებზე; მის კრიტიკაზე; კონკურენციაზე სხვა კონდიქციებთან და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან, მათ შორის არსებულ მსგავსებებსა თუ განსხვავებებზე. ეს ყველაფერი გაანალიზებული იქნება საკანონმდებლო მოწესრიგებისა და არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან კავშირში, რადგან ნათლად დავინახოთ ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მოვიძიოთ მათი შეცვლისა და ინტერპრეტაციის ეფექტური გზები.

Condition of encroachment, its prerequisites and competition with other conditions

Mariam Tsankashvili, Mariam Begiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The law of unjust enrichment, the same as conditional law, is that statutory obligation, which holds significant importance in today's reality.

Unjust enrichment is a type of statutory obligations, in which one party is enriched without any legal basis, while the other party has the obligation to return it. The primary function of obligations generated by the unjust enrichment is the legal assurance of restoring the creditor to its previous property status. Apart from that, the function of conditional obligations represents the assurance of stability in civil turnover and protection of interests of civil legal subjects.

It is the obligation arising on the basis of unjust enrichment, in particular condition of encroachment, that it the subject of our scientific conference, since its relevance from day to day grows, which accordingly increases the legal problems and shortcomings of its use in practice. Generally, condition of encroachment, like any other conditions, is an instrument for reversing the unjustified movement of property, the unjustified transfer from one person's property to another, it is just that its sphere of exclusive use, its essence lies in the fact that it refers to cases where this transfer of ownership occurs not by the future creditor, as is the case with the condition of performance, but rather by the appropriation by the debtor.

Each individual condition of unjust enrichment has its own function and differs from the German legal system, as they are separately regulated in the Civil Code of Georgia. They share a commonality that property "something" moves from one party to another, involving the movement of property, but they diverge in how this transfer occurs, in what form the movement of this property takes place. Therefore, their identification of differences often poses a challenge, necessitating thorough examination, broad discussion and careful attention to detail.

The purpose of the project is to explore the problematic issues that may arise from current legal regulations and practice based on them, and subsequently identify possible solutions to address these issues. Attention will primarily be focused on the main aspects of the condition of encroachment, its critique, competition with other conditions and other legal relationships, examining similarities and differences between them. This analysis will be closely linked to both legal regulations and existing judicial practice, aiming to identify the challenges and deficiencies in Georgian legislation and propose effective ways for their amendment and interpretation.

კრიპტოვალუტები და მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხი

მარიამ იოსელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამყარო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის წინაშე დგას, რომლის განმაპირობებელი ფაქტორიც ტექნოლოგიების ელვის სისწრაფით განვითარება გახლავთ. აღნიშნულს თან დაერთვა ფულის ვირტუალიზაცია და „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ტრანზაქციების განხორციელების მიზნით, გამოყენება.

კრიპტოვალუტა წარმოადგენს გადახდის თანამედროვე, ვირტუალურ საშუალებას, რომელიც ყოვლად დეცენტრალიზებული სისტემის - აწ უკვე ნახსენები „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიის საფუძველზე ფუნქციონირებს. კრიპტოვალუტებს განეკუთვნება „ბიტკოინი“ (Bitcoin - BTC), „ეთერიუმი“ (Ethereum - ETH), „სოლანა“ (Solana - SOL) და სხვა. ვინაიდან კრიპტოვალუტა დეცენტრალიზებულია, ანუ არ არის გამყარებული რეალური აქტივით ან რომელიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტით, მის ღირებულებას განაპირობებს ღია ბაზარზე არსებული მოთხოვნა და მიწოდება. აღნიშნულმა უზრუნველყო ელექტრონული ბირჟების, ასევე ინვესტორებისთვის (და არა მხოლოდ) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტერმინების, როგორებიცაა ხარის ბაზარი (Bull Market) და დათვის ბაზარი (Bear Market) ფართო მასებში პოპულარიზაცია.

ვირტუალური აქტივებით ვაჭრობას ახასიათებს, ტრადიციულ ვაჭრობასთან შედარებით, დაცული ანონიმურობა, ინფლაციისგან ერთგვარი ხელშეუხებლობა, დაბალი საკომისიო გადასახადები და ტრანზაქციის განხორციელების მაღალი სიჩქარე. შესაბამისად, ბაზარზე შემოდის ნაღდი და ელექტრონული ფულის მეტად მიმზიდველი ალტერნატივა, რომელმაც გამოჩენისთანავე არნახული მასშტაბის ყურადღება მიიპყრო; აღნიშნულთან ერთად, „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიების ბუნებიდან გამომდინარე, მრავალი საფუძვლიანი კითხვა ჩნდება თავად ციფრული ვალუტის არსსა და სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით; მაგალითად: „ბიტკოინი“ ვირტუალურ ფულად უნდა ჩაითვალოს თუ ვირტუალურ ქონებად? კრიპტოვალუტის ტრანზაქცია ნასყიდობად უნდა ჩაითვალოს თუ გაცვლად?

ნაშრომი მიზნად ისახავს კრიპტოვალუტების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის აუცილებლობის, ასევე პოტენციური და უკვე არსებული გზების მიმოხილვას.

დღის წესრიგში გახლავთ როგორც საქართველოს, ისე აშშ-ის, გერმანიის, ჩინეთისა და იაპონიის კანონმდებლობის მოკლე შეჯამება.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტები, ბიტკოინი, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, კრიპტო ბირჟები, ვირტუალური აქტივები

Abstract

The world is facing the fourth industrial revolution, the determining factor of which is the rapid development of technologies. This was accompanied by the virtualization of money and the use of blockchain technologies in everyday life for the purpose of making transactions.

Cryptocurrency is a modern, virtual means of payment, which functions on the basis of a fully decentralized system - the aforementioned blockchain technology. Cryptocurrencies include 'Bitcoin' (BTC), 'Ethereum' (ETH), 'Solana' (SLN), and others. Because cryptocurrency is decentralized, meaning it lacks backing from a tangible asset or a national currency, its value is dictated by supply and demand dynamics in the open market. This phenomenon has spurred the widespread adoption of electronic exchanges and introduced the broader public to key concepts to investors (and not only), such as bull and bear markets.

Compared to traditional trading, virtual asset trading is characterized by anonymity, resistance to inflation, low commission fees, and high speeds of transaction. Consequently, a very attractive alternative to cash and electronic money is entering the market, which attracted unprecedented attention upon its appearance. Along with the aforementioned, due to the nature of blockchain technology, many thought-provoking questions arise regarding the essence and legal nature of the digital currency itself; For example: should "Bitcoin" be considered virtual money or virtual property? Should a cryptocurrency transaction be considered a purchase or a barter?

The paper aims to assess the necessity of integrating cryptocurrencies into legal frameworks, alongside exploring potential and current approaches. It also provides a concise overview of the legislative landscape in Georgia USA, Germany, China, and Japan

Key words: Cryptocurrency, Bitcoin, Blockchain technology, crypto markets, virtual assets

საქართველოს პრეზიდენტის ვეტო - საკანონმდებლო მოქმედება და პრაქტიკა

მარიამ კოპალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განუზრელი დაცვის გარეშე. ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სუბიექტს შორის ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს და ქმნის დემოკრატიულ სახელმწიფოს, სადაც ლეგიტიმაციის წყაროს, სამართლის მიზნის, ანუ ხალხის, არჩევანი უზენაესია. აღსანიშნავია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსი საპარლამენტო რესპუბლიკაში, სადაც წამყვანი როლი პარლამენტს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი აირჩევა პირდაპირი წესით ხალხის მიერ, ამ საკანონმდებლო ორგანოს გაწონასწორება აუცილებელია, რათა არ მოხდეს მის მიერ ფართო უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება.

ძალაუფლების გამიჯვნისა და შეკავება-გაწონასწორების პრინციპის უზრუნველყოფი ერთ-ერთი მექანიზმი არის პრეზიდენტის ვეტო. სახელმწიფოს მეთაური საპარლამენტო რესპუბლიკების უდიდეს უმრავლესობაში ერთგვარი არბიტრია. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი კი „ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტსაც“ მოიცავს. პრეზიდენტს საკანონმდებლო შტოს გაწონასწორება ვეტოს მეშვეობით შეუძლია.

ვეტოს არაერთი სახე არსებობს, რომელთაც სხვადასხვა მმართველობის ფორმაში ვხვდებით და რომელთა გამოყენებასაც განსხვავებული პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს კანონი, რაც განსაზღვრული ფორმით უნდა გაკეთდეს. პრეზიდენტის ვეტო კანონპროექტის სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა დავის საგანი. მოცემულ საკითხს ქართულ რეალობაში არაერთხელ გამოუწვევია სკეპტიციზმის ტალღა და ეჭვი იმისა, რომ პრეზიდენტის ვეტოს ინსტიტუტი საქართველოში არაა ქმედითი და წარმოადგენს საქმის პროცედურულად გაჭიანურებას. საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა აღარ წარმოადგენენ ერთ პოლიტიკურ გუნდს, შესაბამისად, განშირებულია პრეზიდენტის მიერ ვეტოს

გამოყენებისა და პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემთხვევები. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონზე პრეზიდენტის ვეტომ კი განხილვის საგანი გახადა პრეზიდენტის მიერ მოტივირებული შენიშვნების ჩამოყალიბების ფორმა.

ამრიგად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსებობა მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა აქტუალობას არასდროს კარგავს, პირიქით, იხვეწება და იფართოვებს საზღვრებს. მისი განუხრელი დაცვა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის, დემოკრატიის, ფაქტობრივ და იურიდიულ კონსტიტუციებს შორის ნორმალური თანაფარდობის პირდაპირპროპორციულია. სამ სახელისუფლებლო შტოს შორის უფლებამოსილებების გადანაწილება მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული და მისი ხასიათი ქვეყნის მმართველობის ფორმაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტი კი საპარლამენტო რესპუბლიკებში შეკავება-გაწონასწორების პრინციპს ვეტოს უფლების გამოყენებით განამტკიცებს. ინსტიტუტის, რომელიც მრავალ შეკითხვას ბადებს.

საკვანძო სიტყვები: ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, მოტივირებული შენიშვნები, ვეტო, კანონპროექტი, სახელმწიფოს მეთაური, საპარლამენტო რესპუბლიკა.

ჩინეთის რბილი ძალის პროექტირება აფრიკაში: კენიისა და ზამბიის შემთხვევების ანალიზი

მარიამ მჭედლოური

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი იკვლევს ჩინეთის რბილი ძალის პროექციას აფრიკაში-კენიასა და ზამბიაში, კონკრეტულად კი, მისი სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტურობას, სი ძინპინის მმართველობის პერიოდში (2013-2023). რეალიზმისა და ნეოლიბერალიზმის კონკრეტული ცნებებით, როგორცაა რბილი დაბალანსება და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება. რეალიზმი ხაზს უსვამს ჩინეთის სტრატეგიულ ინტერესებს და ძალაუფლებას აფრიკაში, ხოლო ნეოლიბერალიზმი სხვა აქტორების დაბალანსებას უსვამს ხაზს.

ანალიზი იწყება ჩინეთის რბილი ძალის მიზნებისა და აფრიკაში მისი სტრატეგიული კომუნიკაციების მექანიზმების მიმოხილვით, ძირითადი ნარატივებისა და სამიზნე აუდიტორიის გამოკვეთით.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და ინვესტიციებისა, ჩინეთი რბილი ძალის პროექტირებისას აწყდება გამოწვევებს, მათ შორის ნეოკოლონიალიზმის აღქმას, კულტურულ ბარიერებს და კონკურენციას სხვა გლობალური აქტორებისგან.

ნაშრომი ხელს უწყობს ჩინეთის განვითარებადი როლის გააზრებას აფრიკაში, სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტურობისა და სხვადასხვა რბილი ძალის სტრატეგიების შეზღუდვების გათვალისწინებით. თეორიული პერსპექტივებისა და ემპირიული მტკიცებულებების გაერთიანებით, თეზისი გვთავაზობს ზამბიასა და კენიაში ჩინეთის ჩართულობის ირგვლივ არსებული სირთულეების ნიუანსურ ანალიზს, რაც საბოლოოდ ნათელს მოჰყვანს ფართო გავლენებს, ჩინეთ-აფრიკის ურთიერთობებსა და გლობალური ძალაუფლების დინამიკას .

საკვანძოსიტყვები: ჩინეთი, აფრიკა, რბილი ძალა, სტრატეგიული კომუნიკაციები.

მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობა ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში

მარიამ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე იურისპრუდენციაში, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად შევხვდებით ისეთ სადავო საკითხებს, რომლებზედაც კონსესუსი კვლავ მიუღწეველია. ზემოაღნიშნული მკაფიოდ იგრძნობა სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების განხილვისას. არცთუ იშვიათად, სისხლის სამართლის სიღრმისეული შესწავლისას ამოტივტივდება ის პრობლემური საკითხები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობასა და მეცნიერ-მკვლევართა ორ პოლუსად გაყოფას უდებს სათავეს.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების მიზანია გაეცნოს და შეაფასოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი სისხლისსამართლებრივი პრობლემები და, შესაბამისად, გაიაზროს ან უარყოს ის მიდგომები, რომლებსაც ადგილი აქვს უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა თუ სამართლის დოგმატიკაში.

ამ მხრივ, საინტერესოა დანაშაულის განვითარების სტადიების საკითხი ევენტუალური განზრახვისას, ვინაიდან ქართულ რეალობაში ეს საკითხი დღესაც ხანგრძლივი კამათისა და დაუსრულებელი მსჯელობის საგანია. ყოველივე ამან კი ქართულ სისხლის სამართალში ორ ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებას დაუდო სათავე. საპირისპირო მოსაზრებათა ჭიდილი გასულ საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მკვლევარები, მეცნიერები თუ სამართლისმცოდნეები სინამდვილის გამოსაკვლევად ერთმანეთს შესაბამის არგუმენტებს უპირისპირებენ, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საერთო ჭეშარიტება კვლავ მიუღწეველია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაეცნოს ამ აქტუალურ და, ამასთანავე პრობლემურ საკითხს, მიმოიხილოს და შეაფასოს დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები. გამომდინარე აქედან, ნაშრომში განხილული იქნება მკვლევართა მოსაზრებები, გამყარებული საკანონმდებლო ბაზითა და სასამართლო პრაქტიკით. ამასთანავე ქართული და გერმანული სამართლებრივი რეალობის ურთიერთმიმართება, ვინაიდან შედარებით-სამართლებრივი კვლევა ხელს უწყობს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებას, ქართული სისხლის სამართალში არსებული პრობლემების მოდიფიკაციასა და პრობლემის ახლებურად გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: ევენტუალური განზრახვა, არაპირდაპირი განზრახვა, მომზადება, მცელობა, დანაშაულის სტადიები, დაუმთავრებელი დანაშაული.

Abstract

In modern jurisprudence, due to its nature, we often encounter controversial issues on which consensus remains elusive. This is clearly evident when considering individual institutions within criminal law. In-depth studies of criminal law frequently raise problematic issues that lead to differences of opinion and divide scholars and researchers into opposing camps.

The goal of modern Georgian criminal law science is to learn about and evaluate criminal legal problems that are still unknown to it and, accordingly, to understand or reject those approaches that have a place in the judicial practice or legal dogmatics of a foreign country.

In this regard, the question of the stages of the development of the crime in its eventual development is interesting, since in Georgian reality this issue is still a subject of long debate and endless discussion. All this gave rise to two mutually exclusive views in Georgian criminal law. The struggle of opposing opinions began in the last century and continues to this day. Researchers, scientists, and jurists confront each other with relevant arguments to investigate the truth; however, as already mentioned, a common truth is still unattainable.

The purpose of this paper is to get acquainted with this actual and, at the same time, problematic issue, and to review and evaluate the positions of the opposing parties. Based on this, the paper will discuss the opinions of researchers, supported by the legal framework and judicial practice. At the same time, it will explore the relationship between Georgian and German legal realities, since comparative legal research contributes to the development of Georgian criminal law science, the modification of existing problems in Georgian criminal law, and a new understanding of the problem.

Key Words: Indirect Intention, Preparation, Attempt, Stages of Crime, Unfinished Crime.

ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა და მისი აღსრულების გამოწვევები

მარიამ გოგიშვილი, სალომე ნაჭყებია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ელექტრონული ბაზარი და მისი რეალიზაციის საშუალებები თანამედროვე სამეწარმეო თუ არასამეწარმეო საქმიანობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში მომავალი ეკუთვნის სწორედ იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც ცვალებად ციფრულ გარემოსთან ახდენენ ადაპტირებას. ასეთ გარემოს კი წარმოადგენს ელექტრონული ბაზარი, ხოლო ადაპტირების ინსტრუმენტს - ელექტრონული ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი იურიდიულ და IT საზოგადოებაში იქცა ერთგვარ სტრატეგიულ რესურსად, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებული ICT პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას.

ციფრული ეკონომიკისა და ელექტრონული კომერციის ფარგლებში დგას მატერიალური ხელშეკრულებების ელექტრონული ფორმით ჩანაცვლების აუცილებლობა მით უფრო რომ „2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს დაუახლოოს. იგი ქართული სამართალშემოქმედების განვითარების სრულიად ახალი ეტაპის დაწყებას მოწმობს, რაც მისი სამართლებრივად სავალდებულო ბუნებითაა განპირობებული“. ხელშეკრულებათა მიგრაცია ფიზიკურიდან ციფრულ სფეროში ერთგვარად არღვევს სახელშეკრულებო დოქტრინის პარადიგმას, კერძოდ, ამცირებს ადამიანთა ზემოქმედებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ტრანზაქციებში, და განამტკიცებს, რომ სახელშეკრულებო სამართალს გააჩნია ავტომატიზაციის მიმდებლობის უნარი.

ელექტრონული კომერციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თ) ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ხელშეკრულებაა ამ კანონის მიზნებისთვის ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულება. რამდენადაც მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში არასაკმარისადაა დამუშავებული ამგვარი ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმის თავისებურებები, მიზანშეწონილია,

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საკანონმდებლო სივრცეში ელექტრონული ხელშეკრულების ინკორპორირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენა, საერთაშორისო დოკუმენტებზე, სამეცნიერო ნაშრომებსა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით ციფრული გარიგების კონცეფციის ევოლუციის კომპლექსური ანალიზი საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების ჭრილში, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის თვალსაზრისით მიღებული შედეგების გაანალიზება და არსებული პრობლემატიკის აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიება. აღნიშნულ საკვანძო საკითხთა კვლევისას გამოყენებულ იქნა დოგმატური, ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომელთა ფარგლებში ქართული საკანონმდებლო ბაზა განსახილველ სამართლებრივ საკითხთან მიმართებით შედარებულ იქნა საერთაშორისო სასამართლოთა პრაქტიკასთან.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ხელშეკრულება, ციფრული გარიგება, ელექტრონული კომერცია, ციფრული ეკონომიკა, ხელშეკრულების ნამდვილობა, აღსრულება.

Validity of Electronically Concluded Contracts and Challenges in Their Enforcement

Mariam Gogishvili, Salome Nachkebia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The electronic market and its means of realization represent the driving force of modern entrepreneurial and non-entrepreneurial activities. In Georgia, as in the rest of the world, the future belongs to those legal relationships that adapt to the changing digital environment. Such an environment is represented by the electronic market, while the instrument of adaptation is the electronic contract. The latter has become a kind of strategic resource in the legal and IT community, aimed at implementing improved ICT products or services.

Within the framework of the digital economy and e-commerce, there is a necessity to replace material contracts with electronic forms, especially since „in June 2014, Georgia signed an Association Agreement with the European Union, by which the state undertook the obligation to align its legislation with EU legislation and international legal instruments. It marks the beginning of a completely new stage in the development of Georgian lawmaking, which is conditioned by its legally binding nature“. The migration of contracts from physical to digital sphere somewhat violates the paradigm of contractual doctrine, in particular, it reduces human influence in contractual relationships, transactions, and reinforces that contract law has the ability to accept automation.

According to Article 2(h) of the Georgian Law on Electronic Commerce, an electronic contract is a contract concluded by electronic means for the purposes of this law. As the peculiarities of the legal regime of such contracts are insufficiently developed in the current legislative space, it is expedient to establish the legal nature of electronically concluded contracts.

The aim of this paper is to highlight the legal problems related to the incorporation of electronic contracts in the legislative space, to provide a comprehensive analysis of the evolution of the digital transaction concept in the context of international and national experience based on international documents, scientific papers, and court practice, to analyze the results obtained in terms of improving legislative norms, and to seek effective ways to eliminate existing problems. In researching these key issues, dogmatic, normative, and comparative legal research methods were used, within which the Georgian legislative base was compared with international court practice in relation to the legal issue under consideration.

Key words: Electronic contract, digital transaction, e-commerce, digital economy, contract validity, enforcement.

საერთაშორისო ჰუმანიტარულ კრიზისებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში გენდერული თანასწორობის დესტრუქციულობა

მეგი ცანავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა საერთაშორისო ჰუმანიტარული კრიზისებისა და შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში ხშირად დაჩრდილულია გენდერული ძალადობის, სისტემური დისკრიმინაციისა და სტრუქტურული უთანასწორობით. ჰუმანიტარულ რეაგირებასა და კონფლიქტების გადაწყვეტაში გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობის მზარდი აღიარების მიუხედავად, გენდერული უთანასწორობის დესტრუქციული გავლენა გრძელდება, რაც ამძაფრებს ქალების, გოგონების და მარგინალიზებული გენდერების მოწყვლადობას კრიზისულ სიტუაციებში.

ნაშრომი განიხილავს გენდერული თანასწორობის დესტრუქციულობის მრავალმხრივ განზომილებებს, სადაც მსჯელობა განვითარდება სწორედ 21 -ე საუკუნის სისხლისმღვრელი ომის (რუსეთ-უკრაინის) კონტექსტში და იმაზე თუ რა გავლენას ახდენს ხსენებული ადამიანის უფლებებზე, მშვიდობასა და განვითარებაზე.

მოგეხსენებათ, ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში ქალები და გოგონები აწყდებიან სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის გაზრდილ რისკებს, მაშინ როდესაც მათი ხელმისაწვდომობა აუცილებელ სერვისებზე, მათ შორის ჯანდაცვასა და განათლებაზე, ხშირად კომპრომეტირებულია. უფრო მეტიც, გამყარებული პატრიარქალური ნორმები და გენდერული სტერეოტიპები აძლიერებს ძალაუფლების არათანაბარ დინამიკას, ზღუდავს ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამძაფრებს მათ მარგინალიზაციას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ქალებსა და გოგონებზე, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ამის გამო კი მათ მთელი რიგი უმძიმესი ჯაჭვური წნეხის გადატანა უწევთ, რასაც რიგ შემთხვევაში გაუპატიურების შედეგად ორსულობაც მოჰყვება.

ჰუმანიტარულ კრიზისებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში გენდერული უთანასწორობის მსგავსი დესტრუქციულობის აღმოფხვრა კი მოითხოვს ყოვლისმომცველ სტრატეგიებს, მიდგომების გადაუდებელ აუცილებლობას

ჰუმანიტარული დახმარებისა და კონფლიქტების პრევენციის ძალით!

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, გენდერული თანასწორობის დესტრუქციულობა, ქალთა უფლებების მარგინალიზაცია, ჰუმანიტარული სამართლის რღვევა, გენოციდის ნიშნები.

ოჯახში ძალადობრივი დანაშაულები და სამართლებრივი დაცვა

მია აფხაზავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ოჯახური ძალადობა რჩება ფართოდ გავრცელებულ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის იურიდიულ სისტემებს. ეს სტატია განიხილავს ოჯახში ძალადობის დანაშაულების მრავალმხრივ ხასიათს და სამართლებრივი დაცვის ეფექტურობას მათი შედეგების შერბილებაში. ოჯახური ძალადობა მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ და ფინანსურ შეურაცხყოფას ინტიმურ ურთიერთობებში, რაც ხშირად იწვევს მსხვერპლთა მძიმე და გრძელვადიან შედეგებს. გაზრდილი ინფორმირებულობისა და საკანონმდებლო ძალისხმევის მიუხედავად, ბევრი მსხვერპლი აწყდება მნიშვნელოვან ბარიერებს, მათ შორისაა სოციალური სტიგმა, შურისძიების შიში და მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება.

სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც შექმნილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად, იურისდიქციის მიხედვით განსხვავდება, მაგრამ საერთო ელემენტები მოიცავს შემაკავებელ ორდერებს, სავალდებულო ანგარიშგების კანონებს და ოჯახში ძალადობის სპეციალიზებულ სასამართლოებს. ეს ზომები მიზნად ისახავს დაუყოვნებლივი დაცვის განვითარებასა, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობასა და მსხვერპლთათვის დამხმარე სერვისების უზრუნველყოფას. თუმცა, ამ კანონების იმპლემენტაცია და აღსრულება ხშირად ვერ ხერხდება შეზღუდული რესურსების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების არაადეკვატური მომზადებისა და არათანმიმდევრული სასამართლო რეაგირების გამო. უფრო მეტიც, ისეთი ფაქტორები, როგორცაა რასა, სქესი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, კიდევ უფრო ართულებს მსხვერპლთა ურთიერთქმედებას სამართლებრივ სისტემასთან, რაც ხაზს უსვამს უფრო ნიუანსირებული და ინკლუზიური მიდგომის აუცილებლობას.

ეს ნაშრომი ამტკიცებს ყოვლისმომცველი რეფორმების არსებობის საჭიროებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად, ხაზს უსვამს ინტეგრირებული სერვისების მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს იურიდიულ დახმარებას, კონსულტაციას და საბინაო დახმარებას. იგი

ასევე ხაზს უსვამს საზოგადოებაზე დაფუძნებული ინტერვენციებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების აუცილებლობას ოჯახში ძალადობის ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად და მსხვერპლთათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად დახმარების სათხოვნელად. არსებული სამართლებრივი დაცვის კრიტიკული შეფასებითა და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირებით, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს იმ გზების დასახვას, რომლებიც განავითარებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლასა და ყველა მსხვერპლისათვის სამართლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ძალადობა, დაცვა, დანაშაული, სამართლებრივი რეაგირება, ძალადობის მსხვერპლი.

Domestic violence crimes and legal protection

Mia Aphkhazava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Domestic violence remains a pervasive issue, affecting millions of individuals worldwide and presenting significant challenges to legal systems. This paper examines the multifaceted nature of domestic violence crimes and the effectiveness of legal protections in mitigating their impact. Domestic violence encompasses physical, emotional, psychological, and financial abuse within intimate relationships, often leading to severe and long-lasting repercussions for victims. Despite increased awareness and legislative efforts, many victims face substantial barriers in accessing justice, including societal stigma, fear of retaliation, and economic dependency on the abuser.

Legal frameworks aimed at protecting victims of domestic violence vary significantly across jurisdictions, yet common elements include restraining orders, mandatory reporting laws, and specialized domestic violence courts. These measures aim to provide immediate protection, facilitate the prosecution of offenders, and offer support services to victims. However, the implementation and enforcement of these laws often fall short due to limited resources, insufficient training of law enforcement personnel, and inconsistent judicial responses. Moreover, intersectional factors such as race, gender, and socioeconomic status further complicate victims' interactions with the legal system, highlighting the need for a more nuanced and inclusive approach.

This paper argues for comprehensive reforms to enhance legal protections for domestic violence victims, emphasizing the importance of integrated services that include legal assistance, counseling, and housing support. Additionally, it underscores the necessity of community-based interventions and public awareness campaigns to address the root causes of domestic violence and foster a supportive environment for victims seeking help. By critically evaluating current legal protections and identifying areas for improvement, this paper contributes to the ongoing discourse on effectively combating domestic violence and ensuring justice and safety for all victims.

Key words: Domestic violence, protection, crime, legal response, victims of violence.

**ძველი ქართული თამაშების აღორძინება ტურისტული პროდუქტის
განვითარებისთვის**

მინელი ტყებუჩავა, ნინო ყავრელიშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მივიწყებული ქართული ტრადიციული სპორტული თამაშების გაცოცხლება ტურისტულ პაკეტში, როგორც ანიმაცია. ამგვარი ტურიზმის მიმართულება ერთდროულად შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც სპორტულ, ისე კულტურულ სფეროს, რამეთუ ის მდიდარია როგორც ფიზიკური აქტივობით, ისე შემოქმედებითი და უნიკალური კულტურული ელემენტებით. ტურისტული ანიმაციური პროგრამით უნდა აღორძინდეს მივიწყებული ძველი ქართული სპორტული თამაშები და იქცეს ტურისტულ პროდუქტად. ტურ-პაკეტში შემაჯავალ ანიმაციურ პროგრამას მასობრივი სპორტული ღონისძიების ფორმა უნდა ჰქონდეს. ის აღორძინებს ჩვენს ეროვნულ სპორტულ ტრადიციებს, უნიკალურ, თვითმყოფად კულტურულ ელემენტებს და შეძლებს ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებას ძველი ქართული სპორტის მიმართ, მათ დაინტერესებას და აქტიურ ჩართულობას უშუალოდ თამაშებში.

ნაშრომია მიზანია ანიმაციური პროგრამების დანერგვით ტურისტულ პროდუქტში ყურადღების ცენტრში მოექცეს ძველი ქართული სპორტული თამაშები და ამაღლდეს მათ მიმართ ინტერესის დონე ქართულ საზოგადოებაში. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხო ქვეყნებიდან შემოსული სპორტის სახეობები. ცხადია, ქართველთა ინტერესი და ენთუზიაზმი დიდია ზემოაღნიშნული სპორტის სახეობებისადმი ამიტომ, საზღვარგარეთიდან შემოსული სპორტული თამაშების პოპულარიზაციით იჩრდილება ძველი ქართული, ეროვნული სპორტული თამაშები. ამ ნაშრომში დასმული პრობლემა წარმოადგენს ტრადიციული სპორტული თამაშების მივიწყებას და ინტერესის დაკარგვას საზოგადოებისგან. აღნიშნული პრობლემის გადაჭრისთვის საჭიროა ტრადიციული სპორტული თამაშების პოპულარიზაცია, აღორძინება და მისი გამოყენება როგორც ანიმაციური პროგრამა ტურისტულ პაკეტში. სწორედ ამ სახით (ანიმაციური პროგრამით) შედგენილი ტურისტული პაკეტი ინოვაციური იქნება მოსახლეობისთვის. შემდგომში ანიმაციური პროგრამით შესრულებული ტურისტული მომსახურება გამოიწვევს ეროვნული სპორტული თამაშების პოპულარიზაციას და ინტერესის დონის ამაღლებას საზოგადოებაში.

საარჩევნო გენდერული კვოტა და მისი გამოწვევები ქართულ რეალობაში

ელენა მოსულიშვილი, თათია კოტია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომში საუბარია საარჩევნო გენდერულ კვოტაზე და მის გამოწვევებზე ქართულ რეალობაში. მოცემულია გენდერული კვოტირების დეფინიცია, ისტორიული წინამძღვრები და მისი ამოქმედების საფუძვლები საქართველოში. საუბარია საქართველოს საარჩევნო კოდექსზე და ქვეყანაში არსებულ სტატისტიკაზე, რომელიც შექმნა კვოტირებამ. ნაშრომში ნათლად ჩანს გენდერული კვოტირების დადებითი მხარე და მისი სიძნელეები. მნიშვნელოვანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც განმარტა საარჩევნო გენდერული კვოტირების კონსტიტუციურობა და დემოკრატიული შინაარსი.

დღევანდელობას თუ გადავხედავთ მარტივად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა თანდათან ეტაპობრივად აღიარეს, რომ რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მასში უფრო მეტად არის გათვალისწინებული სქესთა თანასწორუფლებიანობა და თანაბარი ჩართულობა. ასეთი ქვეყნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა, თუმცა სხვადასხვა მეცნიერი, მკვლევარი თუ პოლიტოლოგი გენდერული კვოტირების შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, აქამდე არსებული და ახლად მიღებული ცვლილებები, ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემოკრატიული საზოგადოების შენების სურვილი.

წარმოდგენილი კონფერენციის მიზანია, საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება საარჩევნო გენდერული კვოტირების შესახებ, სრულფასოვნად გადმოსცეს ამ საკითხის მნიშვნელობა, ობიექტურად შეაფასოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, განიხილოს საერთაშორისო პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება დემოკრატიული და სრულფასოვანი საზოგადოების მშენებლობას.

მოცემული საკონფერენციო ნაშრომი მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

Abstract

The conference discusses the gender quota and its implementation in the Georgian reality. It presents the definition of gender quotas, historical precedents, and the legal framework for their enforcement in Georgia. The conference focuses on the Georgian Election Code and statistics within the country, which led to the creation of quotas. It also sheds light on the implications of gender quotas on the political landscape and their impact. A significant emphasis is placed on the attention drawn to the Constitutional Court of Georgia's ruling, which established the constitutional validity and democratic essence of gender quotas.

In today's context, it can be argued quite simply that countries that are more democratically developed tend to exhibit greater consideration for gender equality and genuine inclusion. For such nations, gender equality is vital for overall development, but various scholars, experts, and politicians offer diverse perspectives on gender quotas.

The current relevance of this issue is underscored by ongoing processes in the country, including existing and recently acquired changes, women's involvement in political life, and the aspiration for democratic societal inclusivity.

The objective of the conference is to elevate awareness about the significance of gender quotas in the society, fully appreciate the importance of this issue, objectively assess the state of affairs in the country, explore international practices that could significantly contribute to democratic and comprehensive societal development.

The given conference agenda is significant for participants engaged in political processes, law school students, and individuals interested in this topic.

რეფერენდუმი-საჯარო ხელისუფლების უშუალოდ რეალიზაციის შესაძლებლობა თუ ხელისუფლების შეზღუდვის ფორმა

სალომე მღებრიშვილი, ეკატერინე ბიწაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მონარქიული რეჟიმის ნგრევისა და დემოკრატიული წესწყობილების დამკვიდრების პარალელურად, სახელმწიფოთა მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების საზოგადოებაში ძირფესვიანად დანერგვა. ამისთვის კი შეიქმნა მექანიზმები, რომლებიც მოუწოდებს მოსახლეობას თავადვე აიღონ ხელში პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ საქმეებზე და მეტი წვლილი შეიტანონ როგორც თავიანთი, ამავედროულად სახელმწიფოს ბედისა თუ უბედობის გადაწყვეტში.

„შენ შეგიძლია შენი უფლებებისა და ინტერესების სახელმწიფოსგან დაცვა მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლების შექმნისა და პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში თავად მონაწილეობ“ - ეს არის ფილოსოფოს ჯონ სტიუარტ მილის სიტყვები, რომლითაც იგი ახასიათებდა დემოკრატიის სამ სახეთაგან ერთ-ერთს, კერძოდ, უშუალო დემოკრატიის ფორმას, რომლის რეალიზაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს რეფერენდუმი.

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი აწესრიგებს რეფერენდუმთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოებს და განმარტავს მას, როგორც საერთო სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, რომელიც იმართება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. საქართველოს კონსტიტუციით რეფერენდუმის დანიშვნის საკითხები მოწესრიგებულია 52-ე მუხლის მე-2 პუნქტში და მიეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთს. მიუხედავად იმისა რომ მოცემულ საკითხს აწესრიგებს, როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე ორგანული კანონი, მაინც ჩნდება სადავო კითხვა რეფერენდუმთან მიმართებაში, რომელიც ბადებს დისკუსიას თემაზე - ზღუდავს რეფერენდუმი საჯარო ხელისუფლებას თუ ფართო გასაქანს აძლევს მმართველ ორგანოებს პრაქტიკაში აქტიურად დანერგონ ხალხის მმართველობა.

მოხსენებაში მკაფიოდ იქნება საუბარი განსახილველ სადავო საკითხზე, რეფერენდუმის ჩატარების მიზეზსა თუ მიზანზე, მის მონაწილეებზე,

რეფერენდუმზე გასატან საკითხებზე, ამასთანავე საზოგადოებრივი აზრის საბოლოოდ ფორმირებასა და შედეგების გამოქვეყნების პროცესზე. მოცემული ვითარებიდან და აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე, ავტორთა მოსაზრებები გამყარებული იქნება როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის პრაქტიკის საფუძველზე, რაც მკითხველს მისცემს არსებული საკითხის უკეთ აღქმის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: რეფერენდუმი, საჯარო ხელისუფლება, დემოკრატია, სახელმწიფო, ორგანული კანონი, კონსტიტუცია, პრეზიდენტი.

Referendum- The possibility of direct realization of public authority or the form of limitation of the government

Abstract

Along with the destruction of the monarchical regime and the establishment of democratic institutions, the main challenge of the states remains the fundamental introduction of the principles of the democratic state in the society. And for this, mechanisms were created that encourage the population to take responsibility for public affairs and to contribute more to the decision of their own fate as well as their country's destiny.

"You can protect your rights and interests from the state only when you yourself participate in the process of creating the government and determining politics." - these are the words of the philosopher John Stuart Mill, with which he characterized one of the three types of democracy, namely, the form of direct democracy, the main means of implementation of which is a referendum.

The Organic Law of Georgia "On the Referendum" regulates the legal framework related to the referendum and defines it as a general public poll with a vote, which is held to decide important state issues finally. The issues of appointing a referendum according to the Constitution of Georgia are regulated in paragraph 2 of Article 52 and belong to one of the powers of the President of Georgia. Despite the fact that the constitution of Georgia and the organic law regulate this issue, there is still a controversial question in relation to the referendum, which raises a discussion on the topic - does the referendum limit the public authority or does it give the governing bodies more opportunity to actively implement the rule of the people in practice. Based on the given situation and differences of opinion, the viewpoint of the authors will be strengthened on the basis of both Georgian and foreign practice, which will give the reader the opportunity to better understand the current issue.

Key words: referendum, public authority, democracy, government, organic law, constitution, president.

გენეტიკური ინფორმაციის დამუშავება და გამოყენება საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში

ნათია კუჭავა, ნათია გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გენეტიკური ინფორმაციის ინტეგრაცია წარმოადგენს საკმაოდ დიდ ნაბიჯს საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში. გენეტიკური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სასამართლოებს სულ უფრო ხშირად მიმართავენ გენეტიკური მტკიცებულებების განხილვის მიზნით, მამობის, მეურვეობისა და ბავშვის მხარდაჭერასთან დაკავშირებულ დავათა გადაწყვეტაში. გარკვეულწილად, გენეტიკისა და სამართლის ასეთი კვეთა ეჭვქვეშ აყენებს ოჯახისა და მშობლის ტრადიციულ ცნებებს, რაც მოითხოვს სამართლებრივი სტანდარტებისა და ეთიკური მოსაზრებების გადაფასებას.

ისტორიულად, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი ეყრდნობოდა სოციალურ და ბიოლოგიურ კონსტრუქციებს ოჯახური ურთიერთობების განსაზღვრისთვის, თუმცა გენეტიკური ტესტირების განვითარებამ შექმნა ახალი განზომილება მოცემული დეფინიციის განსაზღვრად და წინა პლანზე წამოწია ბიოლოგიური საფუძვლები, როგორც ურთიერთობების დადგენის საშუალება. გენეტიკური ტესტირებების სიზუსტემ და ხელმისაწვდომობამ განაპირობა მისი მზარდი გამოყენება იურიდიულ სფეროში. ეს ცვლილება აჩენს შეკითხვებს სასამართლოში გენეტიკური მტკიცებულებების წონადობაზე, პირთა კონფიდენციალურობის უფლებებსა და გენეტიკური ნიშნით დისკრიმინაციის პოტენციალზე.

საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში გენეტიკური ინფორმაციის გამოყენება გავლენას ახდენს არამარტო მშობლის დადგენაზე, არამედ ზემოქმედებს მეურვეობისა და ბავშვთან ვიზიტის საათებზე, ნახვის უფლებებზე, არასრულწლოვნის მხარდაჭერის ვალდებულებებსა და მემკვიდრეობით საკითხებზე. პრობლემურია იმის დადგენა, თუ რა დონეზე უნდა გამოიყენებოდეს გენეტიკური მონაცემები სასამართლო დავების გადასაწყვეტად და არსებობს მოცემული მონაცემების ბოროტად გამოყენების რისკი. ეს რისკი მიემართება კონფიდენციალურობის საკითხს იმ პირებისთვის, რომელთა გენეტიკური ინფორმაციაც შეიძლება გამოიყენონ ან გაამჟღავნონ მათი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს გენეტიკური ინფორმაციის

მრავალმხრივი როლი საოჯახო და მემკვიდრეობით კანონმდებლობაში, მისი გავლენა მშობლის სამართლებრივ დეფინიციაზე, გენეტიკური ტესტირების სამართლებრივ შედეგებსა და პირთა უფლებებსა და მოვალეობებზე.

საკვანძოსიტყვები: „გენეტიკური ინფორმაცია“, „გენეტიკური მტკიცებულებები“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „სასამართლო დავები“.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის
პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე საზოგადოების
ვალდებულებებისთვის**

ნათია მემარნიშვილი, ანა კვეტენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) პარტნიორის პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე საზოგადოების ვალდებულებებისთვის, განსაკუთრებულია ქვეცენტით საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ბაზაზე. შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი არის ფუნდამენტური შპს-ებისთვის, რომელიც იცავს პარტნიორს პირადი პასუხისმგებლობისგან მესამე პირთა წინაშე კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისთვის. თუმცა, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც პარტნიორი შეიძლება იყოს პირადად პასუხისმგებელი კომპანიის კრედიტორების წინაშე გარკვეული პირობებით. ეს არის გამონაკლისი, როდესაც პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა, რის გამოც საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნული დებულებით შემოდის “კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვის” კონცეფცია, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოებს უგულებელყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სტრუქტურა პარტნიორებისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

ნაშრომი მიზნად ისახავს ამ საკანონმდებლო დებულების გაანალიზებას და იმ გარემოებების შესწავლას, რომლებშიც შესაძლებელია “კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვა” და შპს-ის პარტნიორებისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება. იგი განიხილავს პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კონცეფციის ბოროტად გამოყენების ფორმებს, როგორებიცაა: თალღითური ქმედებები, ქონების აღრევა, არასათანადო კაპიტალიზაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა. გარდა ამისა, ნაშრომი ადარებს საქართველოს პრაქტიკას სხვა იურისდიქციის პრაქტიკასთან, რათა ხაზი გაუსვას სამართლებრივი რეფორმისა და იურისპრუდენციის განვითარების პოტენციურ სფეროებს.

ნაშრომი ასევე მიმოიხილავს ქართულ სასამართლო პრაქტიკას, მის თეორიულ

პერსპექტივებს და სხვა სამართლებრივ სისტემებში არსებულ მსგავს შემთხვევებს, რათა უზრუნველყოს იმ პირობების ყოვლისმომცველი გაგება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა. ამით ნაშრომი ხელს უწყობს მიმდინარე დისკურსს კორპორაციული მმართველობისა და კრედიტორის დაცვის შესახებ, გვთავაზობს ბალანსს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კრედიტორის ინტერესებს შორის. დასკვნები ხაზს უსვამს მკაფიო სამართლებრივი სტანდარტებისა და სასამართლო ხელმძღვანელობის მნიშვნელობას პროგნოზირებადი და სამართლიანი ბიზნეს გარემოს ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, პირადი პასუხისმგებლობა, კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვა, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კრედიტორის დაცვა, კორპორაციული მმართველობა.

Abstract

This paper delves into the liability of a partner of a limited liability company (LLC) to third parties for the company's obligations, with a specific focus on the legal framework in Georgia. The principle of limited liability is foundational to LLCs, typically protecting partners from personal responsibility for the company's debts. However, Georgia's Law on Entrepreneurs provides an exception wherein a partner can be personally liable to the company's creditors under certain conditions. This exception applies in "exceptional cases" where a partner has misused the company form and the company cannot fulfill its obligations to creditors. This provision introduces the concept of "piercing the corporate veil," a doctrine that allows courts to disregard the limited liability structure to hold partners personally accountable. The paper aims to analyze this legislative provision, exploring the circumstances under which the veil can be pierced and the implications for partners of LLCs. It examines the criteria for determining misuse of the company form, including fraudulent activities, commingling of personal and company assets, and undercapitalization. Additionally, the paper compares Georgian practices with those in other jurisdictions to highlight potential areas for legal reform and the development of jurisprudence. Given the nascent state of Georgian case law on this matter, this paper also reviews theoretical perspectives and draws on analogous cases from other legal systems to provide a comprehensive understanding of the conditions that might lead to personal liability. By doing so, the paper contributes to the ongoing discourse on corporate governance and creditor protection, offering insights into the balance between encouraging entrepreneurship through limited liability and safeguarding the interests of creditors. The findings underscore the importance of clear legal standards and judicial guidance in fostering a predictable and fair business environment.

Keywords: limited liability Company, personal liability, piercing the corporate veil, Georgian Law on Entrepreneurs, creditor protection, corporate governance.

სიმსივნის ნეოანტიგენური ვაქცინების ეფექტურობა

ნანა ბერიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პაციენტებს ლოკორეგიონალური თავისა და კისრის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის დაავადების რეციდივის განვითარების მაღალი რისკი არსებობს ოპერაციის შემდეგ და ამჟამად ხელმისაწვდომი მკურნალობა, მათ შორის იმუნური გამშვები პუნქტის ინჰიბიტორები, გვთავაზობს შეზღუდულ ეფექტურობას მორეციდივე დაავადების წინააღმდეგ, პერსონალიზებულმა თერაპიულმა ვაქცინამ შეიძლება შეაფერხოს ქირურგიულად რეზექციის თავისა და კისრის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის რეციდივი რადგან, თითოეული პაციენტის უნიკალურ სიმსივნეზე მორგებულმა თერაპიულმა ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი იმუნური პასუხი, რამაც შეიძლება აღმოიფხვრას ნებისმიერი მინიმალური ნარჩენი დაავადება, რომელიც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს დაავადების რეციდივი. 2024 წელის 10 აპრილს გამოქვეყნდა უახლესი სტატია, სადაც დეტალურად არის აღწერილი შექმნილი ვაქცინის, რომლის სახელწოდებაცაა TG4050 „პირველი ფაზის კვლევების ანალიზი AACR -ის მიერ, რომელიც არის კიბოს კვლევის ამერიკული ასოციაცია, კიბოს კვლევის პირველი და უდიდესი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიც კიბოს დამარცხებაა. პირველი ფაზის შედეგების საფუძველზე კი თვალნათლივანა წარმოდგენილი, რომ ამ ვაქცინამ აჩვენა ძალიან პოზიტიური შედეგები, რაც კეთილსაიმედო მომავალზე გვიქმნის წარმოდგენას და გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა კიბოს მეტასტაზებისა და სიმსივნის დამარცხება ორგანიზმზე ნაკლები გვერდითი ეფექტების მიყენებით შევძლოთ.

საკვანძო სიტყვები: პაციენტი, კარცინომა, რეციდივი, თერაპია, ვაქცინა, კიბოს კვლევა

თაღლითობა და მოტყუებით დადებული გარიგებები

ნანული გეღბახიანი-გულიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკისა და მეწარმეობის სწრაფმა განვითარებამ 21-ე საუკუნეში წინა პლანზე წამოწია და მნიშვნელოვნად გაზარდა თაღლითობის რისკები, რამაც ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულად აქცია. თუმცა, პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობა პირს სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევისთვის შეუფარდეს, ან პირიქით. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალე ნაშრომში განმეხილა და ერთმანეთისგან განმესხვავებინა თაღლითობისა და მოტყუებით დადებული გარიგებების სამართლებრივი ინსტიტუტები.

წინამდებარე ნაშრომში საუბარი იქნება თაღლითობის, "სიყალბის დანაშაულის" სპეციფიკაზე; მისი, როგორც ეკონომიკური დანაშაულის ნიშნებზე და, რაც მთავარია, მოტყუებაზე, როგორც თაღლითობის განხორციელების ხერხზე. ამასთან, ნაშრომში ვისაუბრებ მოტყუებით დადებული გარიგებების მნიშვნელობაზე, არსზე, მათი შესრულებით ან შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე და, რა თქმა უნდა, ვეცდები სამართლის ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან გავმიჯნო ქართული და საერთაშორისო პრაქტიკის დახმარებით.

საკვანძო სიტყვები: თაღლითობა, სიყალბის დანაშაული, მოტყუებით დადებული გარიგებები, განხორციელების ხერხი.

Fraud and Fraudulent Transactions

Nanuli Gelbakhiani-Gulishvili

Abstract

The fast-paced growth of the market economy and entrepreneurship in the 21st century has brought about a significant rise in fraud risks, making it one of the most prevalent criminal activities. However, in real-world scenarios, there are instances where individuals face criminal charges for breaches of civil law, and vice versa. That's why I felt it was important to delve into and clarify the distinctions between fraud and fraudulent transactions.

Throughout this discussion, I'll explore the intricacies of fraud, often referred to as the "crime of falsity." We'll explore its characteristics as an economic offense and, essentially, how deception plays a central role in its execution. Additionally, I'll examine the significance and nature of fraudulent transactions, along with the legal consequences of their execution or failure to execute. Lastly, I'll strive to distinguish between these legal concepts by drawing upon examples from both Georgian and international settings.

**ფიზიკური პირების, კორპორაციებისა და სხვა წარმონაქმნების
ქმედებათა სახელმწიფოსთვის მიკუთვნებისა და პასუხისმგებლობის
საკითხი**

ნატალი ბადრიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში ჩემი განსახილველი თემა ეხება, თუ რამდენად შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს ფიზიკური პირების, კორპორაციებისა და სხვა წარმონაქმნების ქმედებები და რა შემთხვევებში ხდება შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია, თუ რა შემთხვევაში აგებს სახელმწიფო პასუხს და მიეკუთვნება მას, მაგალითად, ფიზიკური პირის ქმედება. ნაშრომის მიზანია, განვიხილო საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შედგენილი მუხლები სახელმწიფოთა საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებისთვის პასუხისმგებლობაზე, რეალურად რამდენად ეფექტურია მოცემული მუხლები, როდესაც ფიზიკური პირების, კორპორაციების თუ სხვა წარმონაქმნების ქმედებების გამო სახელმწიფოა პასუხისმგებელი, რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები დაკისრებულ ვალდებულებებს და რამდენად სავალდებულოა, რომ სახელმწიფოებმა მოცემული მუხლების მიხედვით იმოქმედონ.

ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებელია, განხილვა იმ სასამართლო პრაქტიკის. არაერთი საქმე არსებობს, რომლებშიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ იმსჯელა ფიზიკური პირების, კორპორაციებისა და სხვა წარმონაქმნების ქმედებათა სახელმწიფოსთვის მიკუთვნების და სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე. საბოლოოდ განვიხილავ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დღევანდელ პრობლემებსა და გამოწვევებს, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას პრეზიდენტ პუტინის მიერ გაცემული ბრძანებებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური პირი, კორპორაცია, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, საერთაშორისო სამართალი.

The issue of attribution and responsibility for the actions of private persons, corporations and other entities to the state.

Natali Badriashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The topic of the present paper is the issue of attribution to the actions of private persons, corporations and other entities and if it is possible for a state to take responsibility over their actions.

Nowadays, it is quite relevant to the issue of state responsibility and attribution for the actions of, for example, private person. The goal of this paper is to discuss International law commissions' articles on state responsibility for internationally wrongful acts, how effective these articles are when the actions of private persons, corporations and other entities are attributed to a state, if the states fulfill their obligations and if it is obligatory for states to act according to the said articles.

When talking about this issue, it is imperative to also point out the practice of courts. There are many cases where international court justice discussed if the state should be responsible for the actions of private persons, corporations and other entities. Lastly, I will discuss problems and challenges that we face nowadays, for example if the actions of President Putin should be attributed to the Federation of Russia.

**სანქციები, როგორც პოლიტიკური ბერკეტი და კონფლიქტების
აღმოფხვრის გზა. ჩრდილოეთ კორეისა და ინდოეთ-ნეპალის მაგალითზე**

ნეკო მიქელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნული თემა განიხილავს სანქციების კომპლექსურ საკითხს, როგორც საერთაშორისო დიპლომატიის ინსტრუმენტს. იკვლევს იმას, თუ რამდენად ეფექტურ ბერკეტს წარმოადგენს ეკონომიკური თუ პოლიტიკური სანქციები მწვავე სახელმწიფოებრივი დაპირისპირებების დროს. ცხადია, მის ბუნებას უკავშირდება ომის გადაწყვეტის უნივერსალური მეთოდი, თუმცა მშვიდობის დამყარებასთან ერთად სანქციებს არაფრისმთქმელი როლიც არაერთხელ მოუგია. ნაშრომში განხილული იქნება კონკრეტულ ქეისები, რომელთა საშუალებითაც გამოვავლენ თუ რამდენად ეფექტურია სანქციები დაპირისპირების შესაჩერებლად და რა შემთხვევაში და რატომ არ მუშაობს ისინი. აღნიშნული ნაშრომი შეეხება ჩრდილოეთ კორეისთვის დაწესებულ სანქციებს არაეფექტიანობის კვლევას და ამის ფონზე შედარებისთვის განვიხილავ ინდოეთ-ნეპალის შემთხვევას, როდესაც სანქციებმა სრულებით შეასრულა საკუთარი როლი და იდეალურად იმუშავა. საკვლევ კითხვაა როგორია სანქციის პრაქტიკული ზემოქმედება აგრესორის შესაჩერებლად, ომის დასრულების მიზნით, სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტისა და მოლაპარაკებათა პროცესის გასააქტიურებლად? და რა განაპირობებს მის ეფექტიანობა/არაეფექტიანობას?

საკითხი საკმაოდ აქტუალურია, სანქციები (ეკონომიკური) კი არის „შუალედური „გაჩერება“ პრობლემის მოსაგვარებლად წარუმატებელ დიპლომატიურ მცდელობასა და შეიარაღებულ ჩარევას შორის“ (ვ.ყიფიანი). იქიდან გამომდინარე, რომ დღითიდღე იმატებს საკითხის ჰუმანურად მოგვარების ტენდენცია, არაძალისმიერი ხერხების გამოყენება და მოლაპარაკებების გზით პრობლემის აღმოფხვრა. ამიტომაც წინააღმდეგობრივ ნაბიჯებსაც დღეს ძირითად შემთხვევაში არათუ ბომბებით არამედ მოლაპარაკებებით, დაგმობითა და სანქციებით პასუხობენ. შესაბამისად დღევანდელ გლობალურ პოლიტიკაში სანქციების როლი მაქსიმალურადაა გაზრდილი.

საკვანძო სიტყვები: სანქციები, ჩრდილოეთ კორეა, ბირთვული იარაღი, ინდოეთ-ნეპალი.

Abstract

This paper discusses the complex issue of sanctions as a tool of international diplomacy, investigating how effectively economic or political sanctions function during acute state conflicts. While sanctions are often associated with the universal method of war resolution, their role in establishing peace has been inconsistent. This paper will examine specific cases to demonstrate when sanctions are effective in stopping confrontations and when they fail, along with the reasons for their success or failure.

The study will focus on the ineffectiveness of the sanctions imposed on North Korea, contrasted with the case of India-Nepal, where sanctions fully achieved their intended objectives. The research questions addressed are: What is the practical impact of sanctions in stopping aggressors, ending wars, halting military actions, and activating the negotiation process? What determines the effectiveness or inefficiency of sanctions?

The issue is highly relevant, as economic sanctions serve as an intermediate "stop" between unsuccessful diplomatic attempts and armed intervention (V. Kifiani). With the increasing tendency to resolve issues humanely and through non-violent negotiations, today's geopolitical conflicts are often met with negotiations, condemnation, and sanctions rather than military action. Consequently, the role of sanctions in contemporary global politics has been significantly amplified.

Keywords: sanctions, North Korea, nuclear weapons, India-Nepal.

ერის თვითგამორკვევის უფლება- კოსოვოსა და საქართველოს შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ნია ხარატიშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითად და უმნიშვნელოვანეს პრინციპს. გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, აგრეთვე ჰელსინკის თათბირის დასკვინითი აქტი განსაზღვრავენ ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ყველა ხალხის უფლებას, თავისუფლად, გარედან ჩაურევლად განსაზღვრონ თავისი პოლიტიკური სტატუსი და ახორციელებდეს თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას და თითოეული სახელმწიფო მოვალეა პატივი სცეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად. ეს პრინციპი, მის დადებით მხარეებთან ერთად, გამოწვევაცაა საერთაშორისო სამართლისთვის, რადგან ეროვნულ უმცირესობათა ნაწილი ამტკიცებს, რომ მათ შეუძლიათ თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენება, გამოყოფისთვის. იმისათვის, რომ კარგად გამოჩნდეს, თუ რა დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო საზოგადოებას ამ საკითხისადმი, ჩანს კოსოვოსა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის შემთხვევებიდან. ამ ორი შემთხვევის ანალიზისას დავინახავთ, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლება- გამოეყონ დემოკრატიულ სუვერენულ სახელმწიფოს- გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, არ არის აღიარებული (სამხრეთ ოსეთი), გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაფიქსირდება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უხეში და სისტემატიური რღვევა. კოსოვოს შემთხვევა არის უნიკალური ხასიათის, რადგან ასეთი სახის ეთნიკური წმენდა და დანაშაულები სამოქალაქო პირების მიმართ არსად გვხვდება. სხვადასხვა ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საპირწონედ რუსეთის ფედერაცია შემოიჭრა საქართველოში 2008 წელს, რასაც რუსეთმა „ჰუმანიტარული ინტერვენცია უწოდა“. ნაშრომი მიზნად ისახავს კოსოვოსა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის შემთხვევების განხილვას, თუ რამდენად შეეძლო თითოეულ მხარეს გამოეყენებინა თვითგამორკვევის უფლება, ხოლო მესამე სახელმწიფოებს ამ საკითხში ჩარევა.

The Right to Self-Determination of Nations: A Comparative Legal Analysis of Kosovo and Georgia

Nia Kharatishvili

International Black Sea University

Abstract

The principle of equality and self-determination of nations is a fundamental tenet of international law. This principle is enshrined in the 1970 United Nations Declaration on the Principles of International Law and the Final Act of the Helsinki Conference, which collectively affirm the right of all peoples to freely determine their political status and pursue their economic, social, and cultural development without external interference. Additionally, these instruments obligate states to respect this right in accordance with international statutes.

Despite its foundational importance, the principle of self-determination poses significant challenges to international law, particularly when invoked by national minorities seeking secession. This study examines the international community's stance on this issue through the comparative analysis of the cases of Kosovo and South Ossetia. It highlights that the United Nations and other international organizations generally do not recognize the right of national minorities to secede from a democratic sovereign state (as seen in South Ossetia), except in instances of gross and systematic violations of minority rights that contravene international law (as evidenced by Kosovo).

The Kosovo case is unique due to the severity of ethnic cleansing and crimes against civilians, which have few parallels. In contrast, the Russian Federation's 2008 invasion of Georgia, framed as a "humanitarian intervention," underscores the contentious nature of external interventions purportedly justified by self-determination claims.

This work aims to critically analyze the extent to which the principle of self-determination can be exercised by national minorities and the legitimacy of third-state interventions in such contexts, using the cases of Kosovo and South Ossetia as focal points.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების პრობლემატური საკითხები

ნოდარ გორგაძე, ნიკოლოზ ლარცულიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისების პრობლემატური საკითხები. ზოგადად, საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლით, რაც მიგვანიშებს მისი, როგორც ძირითადი უფლების, უდიდეს მნიშვნელობაზე. საკუთრების უფლებას ფუნდამენტური ხასიათი გააჩნია ადამიანის პიროვნული ზრდისათვის, რამეთუ სწორედ აღნიშნული უფლების რეალიზაციაზეა მეტწილად დამოკიდებული პიროვნების დამოუკიდებლობისა და პიროვნული განვითარების ხარისხის ამაღლება. საკუთრების უფლება ვრცელდება როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე. ჩვენს შემთხვევაში, განხილვის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომელიც შესაძლებელია იყოს ორი სახის: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებაა, შესაძლოა, მისი გარკვეულ ჩარჩოებში, საზღვრებში მოქცევა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისების პრობლემატურობა სწორედ აქ ვლინდება, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იგი შესაძლებელია, რომ იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ქონა არ შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქეს (გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც წესრიგდება სპეციალური კანონით), რაც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ ასპექტში, რაც ბადებს ლოგიკურ შეკითხვას, თუ რამდენად მართებულია აღნიშნული არგუმენტით საკუთრების უფლების მოქალაქეობის ნიშნით შეზღუდვა - სწორედ აღნიშნული წარმოადგენს მოცემულ ნაშრომში განხილვის მთავარ საგანს.

აღნიშნული პრობლემის შესაძლებლობის ფარგლებში გააზრებისა და გადაჭრისათვის გამოვიყენებთ როგორც იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებს, ასევე სასამართლო პრაქტიკიდან გადაწყვეტილებებს, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოცემული საკითხის პრობლემური მხარე. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ უცხოეთის ქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით, რაც შედარების მეთოდის გამოყენებით ხელს შეგვიწყობს ვისაუბროთ ქართული მოწესრიგების მიზანშეწონილობა-მიზანშეუწონლობაზე.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საქართველოს კონსტიტუცია, სასამართლო პრაქტიკა.

Abstract

In this work, the problematic issues of alienation of agricultural land will be discussed. In general, the right to property is protected by the nineteenth article of the Constitution of Georgia, which points to its great importance as a basic right. The right to property has a fundamental character for the personal growth of a person, because it is on the realization of the said right that the increase in the level of independence and personal development of a person largely depends. The right of ownership applies to both movable and immovable things. In our case, the subject of consideration is real estate, in particular, land, which can be of two types: agricultural land and non-agricultural land. Although the right to property is a basic right protected by the constitution, it may be placed within certain frameworks and boundaries. The problem of alienation of agricultural land is revealed right here, because according to Article 19, Clause 4 of the Constitution of Georgia, it can be owned only by the state, a self-governing unit, a citizen of Georgia or an association of Georgian citizens. Based on the above, it is clear that a citizen of a foreign country cannot own agricultural land (except for exceptional cases regulated by a special law), which is due to the special importance of agricultural land in both social and economic aspects, which raises a logical to the question of how valid it is to limit the right to property based on the sign of citizenship with the mentioned argument - This is the main subject of discussion in this work. In order to understand and solve the mentioned problem within the scope of the possibility, we will use both the opinions spread in the legal literature and the decisions from the judicial practice, in which the problematic side of the given issue will be clearly outlined. Based on the importance of the issue, we consider it expedient to consider the legislative regulation of foreign countries regarding the alienation of agricultural land, which, using the comparison method, will help us to talk about the expediency and inadvisability of the Georgian regulation.

Keywords: agricultural land, constitution of Georgia, judicial practice.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრობლემატური საკითხები

ნიკოლოზ ლლონტი, მარი ცეცხლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური რეგულირება მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე. ოკუპირებული რეგიონების გარდა, არანაკლებ ყურადღებას იქცევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხიც, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს იურისდიქციაში იმყოფება და განსაკუთრებული სტატუსი აქვს სხვა რეგიონებთან შედარებით, რაც არა მარტო ისტორიული წარსულით, არამედ თანამედროვე შიდა თუ საგარეო პოლიტიკური გამოწვევებითა და პრობლემებით არის განპირობებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აჭარის კონსტიტუციური სტატუსის შესახებ.

გარდა აღნიშნულისა, აჭარის საკითხი საერთო სახელმწიფოებრივი კუთხითაც არის საინტერესო, რადგან პირდაპირ კავშირშია საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან და ტერიტორიული მთლიანობისა თუ სუვერენიტეტის დაცვის მიზნით დიდ ყურადღებას იპყრობს. სწორედ ქვეყნის საერთო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არის საკითხი გადაიხედოს. მნიშვნელოვანია ასევე იმის გათვალისწინებაც, რომ ის მიზეზები, რომლებმაც 1921 წელს განაპირობა აჭარისთვის ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის მინიჭების საჭიროება, დღეს უკვე აღარ დგას. თანამედროვე კავკასიის რეგიონული პოლიტიკის ფონზე არარელევანტური იქნება, თუ საუკუნის წინანდელ მიზეზებს დავასახელებთ აჭარის ამჟამინდელი სტატუსის გასამართლებლად. დღეს სულ სხვა რეალობა დგას და სწორედ ამ რეალობისა და არც თუ ისე შორეული ისტორიული რაკურსის გათვალისწინებით საკონფერენციო ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიული მოწყობა-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრობლემატური საკითხები“ დაგვეხმარება გავიაზროთ დგას თუ არა დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში აჭარისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ავტონომია, პოლიტიკა, სამართალი, ტერიტორია, კონსტიტუცია, რეგულირება.

Abstract

The constitutional regulation of the territorial arrangement of Georgia is an important challenge in the light of the current political situation. In addition to the occupied regions, the issue of the Autonomous Republic of Adjara attracts no less attention, even because it is under the jurisdiction of Georgia and has a special status compared to other regions, which is due not only to the historical past, but also to modern internal and external political challenges and problems. However, despite this, there are differences of opinion about the constitutional status of Adjara.

In addition to the above, the issue of Adjara is also interesting from a general state point of view, because it is directly related to the state interests of Georgia and attracts a lot of attention for the purpose of protecting territorial integrity and sovereignty. Based on the common political interests of the country, it is necessary to review the issue of constitutional regulation of the Autonomous Republic of Adjara. It is also important to take into account that the reasons that in 1921 led to the need to grant Adjara autonomous governance in local affairs no longer exist today. Against the background of the regional politics of the modern Caucasus, it will be irrelevant if we cite century-old reasons to justify the current status of Adjara. Today there is a completely different reality, and taking into account this reality and the not-so-distant historical perspective, the conference paper "Georgia's Territorial Arrangement - Problematic Issues of the Autonomous Republic of Adjara" will help us understand whether the necessity of granting the status of an autonomous republic to Adjara is on the current Georgian political agenda.

Keywords: autonomy, politics, law, territory, constitution, regulation.

არარეგისტრირებულ ქორწინებათა სამართლებრივი რეგულირების პრობლემატიკა საქართველოში

ნინა კახნიაშვილი, კატო მეუნარგია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარდგენილი ნაშრომის მიზანია არარეგისტრირებულ ქორწინებათა ირგვლივ არსებული პრობლემატიკის განხილვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ საკითხზე. ბოლო ათწლეულების მანძილზე საგრძნობლად იმატა არარეგისტრირებულ კავშირთა რიცხვმა, რომელთაც არარეგისტრირებულ ქორწინებებადაც მოიხსენიებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ ქორწინებას და მის თანმდევ სხვა საოჯახო თუ მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, არარეგისტრირებული კავშირები კი მთლიანად სამართლებრივი რეგულირების მიღმა დარჩენილი, რაც არამხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების სამართლებრივ სივრცეებშიც პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ფაქტობრივ მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით.

ნაშრომში ეტაპობრივად იქნება მიმოხილული რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებათა შორის არსებული ძირითადი განსხვავებები, დე ფაქტო ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისა და მათი კანონისმიერი მემკვიდრეების რიგებში არარსებობის პრობლემატიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. ნაშრომში მკითხველები ასევე შეძლებენ გაეცნონ კავკასიის ბარომეტრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შექმნილ არარეგისტრირებულ ქორწინებათა სტატისტიკას რეგისტრირებულ ქორწინებებთან და რელიგიურ ქორწინებებთან მიმართებით, რომლებიც ასევე არაა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ადგიარებული ქართულ სამართლებრივ სივრცეში. ამდენად, ნაშრომი მისცემს საშუალებას მკითხველს ნათლად აღიქვას არარეგისტრირებულ ქორწინებათა სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა საქართველოში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემული იქნება ავტორთა ხედვები საკითხის სამართლიანი გადაჭრის გზების შესახებ, რომელიც სასამართლო პრაქტიკის ანალიზის

საფუძველზეა შემუშავებული და შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: არარეგისტრირებული ქორწინება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს კონსტიტუცია, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი.

Abstract

The aim of the submitted paper is to discuss the problems surrounding unregistered marriages and raise public awareness on this issue.

In recent decades, the number of unregistered unions, also referred to as unregistered marriages, has increased significantly. The Civil Code of Georgia regulates only marriage registered in accordance with the procedure established by the legislation of Georgia and other family or inheritance relations related to it, while unregistered unions remain completely beyond legal regulation, which is a problem not only in the legal spaces of Georgia, but also in other countries, especially in the case of unregistered marriages, the determination of property rights and obligations among actual spouses point of view.

The paper will gradually review the main differences between registered and unregistered marriages, the problems of the division of the co-ownership of the spouses in de facto marriage and the absence of them in ranks of legal heirs, the practice of the Supreme Court of Georgia and the Constitutional Court of Georgia. In the paper, readers will also be able to learn about the statistics of unregistered marriages created based on the data of the Caucasus Barometer Survey with respect to registered marriages and religious marriages, which are also not recognized in the Georgian legal space. Thus, the paper will allow the reader to clearly perceive the importance of legal regulation of unregistered marriages in Georgia. The final part of the paper will include the authors' views on the ways of resolving the issue, which are developed on the basis of the analysis of judicial practice and in accordance with the constitutional principles of Georgia.

Keywords: Unregistered Marriage, Civil Code of Georgia, Court Practice, Constitution of Georgia, Family Law, Hereditary Law.

საკუთრების უფლების ფარგლები- აუცილებელი გზისა და სერვიტუტის გამიჯვნის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

ნინი კანდელაკი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქართულ სანივთო სამართალში, გერმანულის მსგავსად გვაქვს შეზუდული სანივთო უფლებები, რომელიც მოიცავს ასევე სხვისი საკუთრებით სარგებლობის შეზღუდული უფლება. სწორედ ამას განეკუთნება სერვიტუტი. სერვიტუტის ცნებას გვაძლევს სამოქალაქო კოდექსის 247 მუხლი, რომლის მიხედვითაც სერვიტუტი განიმარტება, როგორც ერთი მიწის ან უძრავი ქონებით სარგებლობა მეორე მიწისა ან უძრავი ქონების სასარგებლოდ. აუცილებელ გზას კი, რომელსაც განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 180 მუხლი, ხშირად კანონისმიერი სერვიტუტის სახელითაც იხსენიებენ.

თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისთვის აუცილებელი კავშირი საჯარო ქსელებთან, წყალმომარაგობასთან და ა.შ, მაშინ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მეზობელს მისი მიწით სარგებლობა აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელ გზას უწოდებენ კანონისმიერ სერვიტუტს, ის სერვიტუტისგან განსხვავდება და საჭიროა დადგინდეს განსხვავების ფარგლები. აუცილებელი გზა მისი მნიშვნელობით ემსგავსება კიდევ სერვიტუტს. ამისთვის, რომ ისინი გავმიჯნოთ უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი გზა მაშინ დგინდება, როცა შეუძლებელია მიწის ნაკვეთის ჯეროვანი კავშირით უზრუნველყოფა, ხოლო სერვიტუტის შემთხვევაში საკმარისია, რომ პირს ეს შეღავათს უქმნიდეს ნაკვეთით სარგებლობაში. აღსაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ აუცილებელი გზა დგინდება კანონის საფუძველზე, სერვიტუტისთვის კი საჭიროა მხარეთა შეთანხმება. ზოგადად აუცილებელი გზის უფლების სარგებლობის დროს დიდ როლს თამაშობს სამეზობლო სამართალი და აქიდან გამომდინარე თმენის ვალდებულება, რომელიც პირველ რიგში უნდა გააჩნდეს მიწის მესაკუთრეს. სწორედ ეს თმენის ვალდებულება გამომდინარეობს კანონიდან, სერვიტუტის შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბუნება. ზოგადად თუ აუცილებელი გზის მთავარი მიზანი არის მიწის ნაკვეთის ქსელთან კავშირი, სერვიტუტი, მხარეების შეთანხმების მიხედვით, შეიძლება იყოს, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შინაარსის მქონე.

თვითონ საჯარო ქსელი განისაზღვრება კანონით და მას შეიძლება მივანიჭოთ საჯარო ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის გზები და ა.შ. თუ გადავხედავთ ქართულ სასამართლო პრაქტიკას ამ თემაზე, აღმოვაჩინებთ რომ მოქალაქეებს ხშირად აქვთ პრობლემა განაცალკაონ აუცილებელი გზა და სერვიტუტი, რაც შემდეგ სასამართლო დავის საგანი ხდება. თუ რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისგან აუცილებელი გზა და სერვიტუტი აქტუალური და განსახილველი თემაა ქართულ სამოქალაქო სამართალში.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ციფრულ სამყაროში
(საქართველოს მაგალითზე)

ციცი ჯოლობორდი, ნინო წიწრიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვესამყაროში ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო გარიგების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, ონლაინ რეჟიმში ინტეგრაციას. აღნიშნული სფერო განსაკუთრებით კოვიდ პანდემიის პირობებში დაიხვეწა, რადგან ადამიანებმა გაანალიზეს, რომ დისტანციური კომუნიკაცია მათთვის მეტად კომფორტული და მოსახერხებელია, ვინაიდან ის ნაკლებ დროს, ენერგიასა და რესურსს საჭიროებს. თუმცა, ელექტრონული კომერცია, თავის მხრივ, მოითხოვს რისკებისა და მისგან მომდინარე საფრთხეების დადგენის აუცილებლობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელთა უფლებებზე, კონკრეტულად მათ უსაფრთხოებაზე, რაც ხშირად გამოიხატება კონკრეტული პიროვნების ნებაში სამართლებრივად დასაძრახი ჩარევით. დღეს, როდესაც აბსოლუტურად შესაძლებელია მოქალაქის ინტერესების დარღვევა დისტანციური ან/და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, აღნიშნულ სფეროში მეტად აქტუალური გახდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი. ამ უკანასკნელით დაინტერესება მნიშვნელოვანწილად პანდემიამ გამოიწვია, რამაც მრავალი ბიზნესის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ამან, რასაკვირველია, მომხმარებელს საშუალება მისცა, ესარგებლა იმ ძირითადი სიკეთეებით, მაგალითად, სიმარტივით, რაც, ზოგადად, ონლაინ ყიდვა-გაყიდვებს ახასიათებთ. ამიტომაც, პანდემიის დასრულების მიუხედავად, დღესაც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს eBay, Amazon, Aliexpress და სხვა ონლაინ პორტალები, რომლებიც, პრაქტიკულად, სრულიად ახალ ეკონომიკურ მოდელს აყალიბებენ. ჩვენი მიზანია წარმოდგენილი ნაშრომით დაგანახოთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი არა მხოლოდ რეალურ, არამედ ციფრულ სამყაროშიც უმნიშვნელოვანია, ასევე შევადაროთ საქართველოსა და მსოფლიოს პრაქტიკა და გამოვყოთ ის ძირითადი სირთულეები თუ გამოწვევები, რომლებიც დღეს ამ მიმართულებით არსებობს.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, მომხმარებელთა უფლებები, საქართველოს კანონი მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ, დისტანციური ხელშეკრულება.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში და მისი გამოწვევები.

ნინო წოწონავა, ზიზი კიკნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინამორბედ სამართლებრივ ინსტიტუტებს სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპებზე ვხვდებით. იქნება ეს ძველ ათენში არსებული ჰელიესტა სასამართლო, „თავისუფლების დიდი ქარტია“ თუ სხვა.

საქართველოში, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 81-ე მუხლით განისაზღვრა, რომ „მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის და აგრეთვე მძიმე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულებისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“. თუმცა, კონსტიტუციის მიღებიდან სამ დღეში, 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია შემოვიდა თბილისში და ჩვენი ქვეყნის პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამაც არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში კი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმდა და იგი აღარ არსებობდა 2004 წლის კონსტიტუციურ ცვლილებამდე.

აღნიშნული ინსტიტუტი მართლმსაჯულების ყველაზე დემოკრატიულ ფორმადაა მიჩნეული, ამ დროს თავად ხალხი წარმოადგენს „უზენაეს მსაჯულს“. მიუხედავად ამისა, საქართველოს მაგალითზე, ვაწყდებით არაერთ პრობლემას, რომელთა განხილვაც ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ეს გამოწვევები ნაკარნახევია იმით რომ, ნაფიც მსაჯულებს მოიხსენიებენ, როგორც არაკვალიფიცირებულ „მოსამართლეებს“. ამასთანავე, მათ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მხოლოდ სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იმ დროსაც კი, თუ გარკვეული მტკიცებულებები შეიძლება აუარესებდეს პირის მდგომარეობას, თუმცა არსებობდეს გონივრული ეჭვი, იგი პირის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რისი გათვალისწინებაც, პრაქტიკაში, არაიურისტისთვის ნაკლებად სავარაუდოა.

მომდევნო დაბრკოლებას წარმოადგენს ე.წ ნულიფიკაცია, მასში ნაგულისხმევი მიკერძოება ეხება ნაფიც მსაჯულთა ქვეცნობიერულ დამოკიდებულებებს და სტერეოტიპებს, რომლებიც ნაკარნახევია საზოგადოებაში ფესვგადგმული ნორმების, კულტურული დიფერენციაციითა თუ სხვა პირობებით, რომელთა არსებობამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასამართლოზე წარმოდგენილი

მტკიცებულებების ინტერპრეტაციაზე და შემდგომში უკვე ვერდიქტზე.

შემდეგი გამოწვევაა მასმედიით, ირიბად, ზეგავლენის მოხდენის საშიშროება ნაფიც მსაჯულებზე, რომელიც დაკავშირებულია 21-ე საუკუნეში ციფრული ეპოქის მნიშვნელობასთან. თუმცა, ასეთ შემთხვევაში კონკურირებს პრესის თავისუფლება და მეორე მხრივ, გარანტია, იმისა რომ ნაფიც მსაჯულები შეძლებენ კეთილსინდისიერად განახორციელონ მათი უფლება-მოვალეობები.

მიუხედავად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნაკლოვანებებისა, აუცილებელია აღქმული იყოს მისი მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის, ამასთან „ქმნა მართლისა სამართლისა“ პრინციპის - აღსრულებისთვის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარის შეპირისპირებისას საყურადღებოა პრაქტიკაში არსებული მაგალითების, სტატისტიკისა და კვლევების გათვალისწინება, რომლებიც მოყვანილი იქნება ჩვენს ნაშრომში რეკომენდაციებთან, აღმოფხვრის გზებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: უზენაესი მსაჯული, გონივრული ეჭვი, ვერდიქტი, უფლება-მოვალეობები, მართლმსაჯულება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, კონსტიტუცია.

Jury institute in Georgia and its challenges

Nino Tsotsonava, Zizi Kiknadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Predecessor legal institutions of the jury trial can be found in the early stages of the origin of states, be it the Helleist court in ancient Athens, the "Magna Carta" or etc.

In Georgia, Article 81 of the Constitution of February 21, 1921 determined that "for serious criminal offenses, as well as serious political and press crimes, there is an institution of jury". However, three days after the adoption of the Constitution, on February 25, 1921, the 11 The army entered Tbilisi and the first democratic republic of our country ceased to exist. During the Soviet occupation, the jury institution was abolished until the 2004 constitutional amendment. The institution is considered as the most democratic form of justice, at this time the people represent the "supreme judge". Nevertheless, on the example of Georgia, we face a number of challanges, the discussion of which is the main goal of our research.

These challenges are dictated by the fact that jurors are referred to as unqualified "judges". In addition, they should make a decision based only on the evidence presented at the hearing, even if certain evidence may worsen the person's condition, although there is a reasonable doubt, it should be decided in favor of the person, which, in practice, is unlikely for a non-lawyer to consider.

The next obstacle is the so-called nullification, implicit bias refers to the subconscious attitudes and stereotypes of the jurors, which are dictated by norms rooted in society, cultural differentiation or other conditions, the presence of which may affect the interpretation of the evidence presented to the court and, subsequently, the verdict.

The next challenge is the danger of indirectly influencing juries by the mass media, which is related to the importance of the digital age in the 21st century. However, in such a case, freedom of the press competes with, on the other hand, the guarantee that jurors will be able to exercise their rights and duties in good faith.

Despite of the various imperfections of the Jury Institute, Its importance for the existence of the democratic state must be recognized, as well as the implementation of the principle - „to perform the fair justice". While discussing the advantages and disadvantages of the Jury Institute It's essential to take into the consideration the examples, statistics and researches that has already been implemented in practice, and these are the sources that we will be using in our work along with recommendations and prevention ways.

Keywords: Supreme judge, reasonable doubt, verdict, rights and duties, justice, jury institution, constitution, implicit bias, magna carta.

პარტნიორის გასვლის უფლების ფარგლები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში და მისგან მომდინარე სამართლებრივი შედეგები

ნინი კვერხელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის სიახლიდან გამომდინარე საკორპორაციო სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. ერთ-ერთი ასეთი საკითხია პარტნიორის გასვლის უფლების ფარგლები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში და მისგან მომდინარე სამართლებრივი შედეგები. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია უკეთ იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თუ რა სახის არის კაპიტალური ტიპის საზოგადოება და რა სამართლებრივი საფუძვლების არსებობა განაპირობებს პარტნიორის გასვლას აღნიშნული საზოგადოებიდან, რა პრობლემურ საკითხებს ეხება საქმე და როგორ უნდა იქნეს იგი დარეგულირებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული ფაქტორი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს ქართული საკორპორაციო სამართლის მიდგომა სამეწარმეო საზოგადოებიდან გასვლის ინსტიტუტის მიმართ. საკანონმდებლო რეგულაციის სიახლის პირობებში ქართული სასამართლო პრაქტიკა ჯერ ვერ გვთავაზობს განჭვრეტად მიდგომას გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობებთან, პროცედურასა და შედეგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, გასაანალიზებელია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი რამდენად ეფექტიანად იცავს მინორიტარი პარტნიორების ინტერესებს კაპიტალური ტიპის საზოგადოებიდან გასვლის ინსტიტუტით და როგორ არის შესაძლებელი საკანონმდებლო რეგულაციის ოპტიმიზაცია. ნაშრომში დოქტრინის, სასამართლო პრაქტიკის, ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის კვლევის მეთოდების საფუძველზე განხილულია სამეწარმეო საზოგადოებიდან მინორიტარი პარტნიორის გასვლის უფლება. წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკითხისადმი ქართული სამართლებრივი სისტემის მიდგომასა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორების ინტერესების დაცვის მექანიზმების ოპტიმიზაციას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის დეტალები, რომელთა მოწესრიგებაც საკანონმდებლო დონეზე, თავიდან ააცილებს დამფუძნებელ პარტნიორს

კაპიტალური ტიპის საზოგადოებიდან გასვლის სურვილს. თავის მხრივ, საზოგადოებას დაიცავს, არ დაკარგოს საინტერესო ფიგურა, რომელიც ასევე საჭიროა ამ საზოგადოების უკეთ არსებობისთვისა და ფუნქციონირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მინორიტარი პარტნიორი, პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის უფლების ფარგლები, კაპიტალური ტიპის საზოგადოება, დივიდენდის გაუნაწილებლობა, პარტნიორის ინტერესების ხელყოფა.

HPV-ის საწინააღმდეგო ვაქცინაზე უარის თქმის მიზეზები განვითარებად ქვეყნებში

ნინო თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განვითარებად ქვეყნებში HPV-ზე ვაქცინაციის შესახებ უარის თქმის მიზეზების წარმოჩენა, შესაბამისი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

ადამიანის პაპილომა ვირუსი (HPV/აპვ) რეპროდუქციული ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვირუსია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ცნობით, აშშ-ში პაპილომა ვირუსული ინფექციით ყოველწლიურად დაახლოებით 14 მლნ ადამიანი ინფიცირდება. დღეისათვის დაავადების 100-ზე მეტი გენოტიპია ცნობილი, ხოლო მათგან HPV16 და HPV18 სეროტიპები იწვევენ საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას. WHO-ის მონაცემებით, მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბო ქალთა შორის მეოთხე ყველაზე გავრცელებული კიბოა. 2020 წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს დაახლოებით 604 000 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. შემთხვევათა 95% პაპილომა ვირუსული ინფექციით იყო განპირობებული. მნიშვნელოვანია ის, რომ განვითარებად ქვეყნებში ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი საკმაოდ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა, გადამდები დაავადებების, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს, მისი გამომწვევი ადამიანის პაპილომა ვირუსის საკითხებში და დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ საკმარისად ინფორმირებული არ არის. სავარაუდოდ, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ გადამდები დაავადებებისაგან, მათ შორის პაპილომა ვირუსისაგან გამოწვეულ საფრთხეს. ეს კი, უმეტესად, ამ სფეროში ადამიანთა არასაკმარისი განათლებითაა განპირობებული, რომელიც, თავის მხრივ, პრევენციულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის ძალიან დაბალ დონეს განაპირობებს. უნდა აღინიშნოს ის, რომ პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილთა დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ვაქცინის ფასი. მაგალითად, Cervarix-ის ვაქცინა პაკისტანში დაახლოებით 5000 PKR (22 აშშ დოლარი) ღირს, რისი გადახდაც პაკისტანის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ შეუძლია.

HPV-სთან დაკავშირებული დაავადებები ფართოდ ვრცელდება განვითარებად

ქვეყნებში, რასაც ამ ქვეყნების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს. აუცილებელია HPV-ზე ვაქცინაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა დონის ამაღლება, HPV ვაქცინაციის შესახებ სხვადასხვა მასტიმულირებელი კამპანიების (მაგალითად, სარეკლამო რგოლების, საზოგადოებასთან ურთიერთობების და სხვ) წარმართვა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ HPV-ის საწინააღმდეგო ვაქცინა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

საკვანძოსიტყვები: ადამიანის პაპილომა ვირუსი (HPV), ვაქცინაცია, საშვილოსნოს ყელის კიბო, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია, განვითარებადი ქვეყნები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიარაღებული კონფლიქტებისას სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში

ნინო კალატოზიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სექსუალური ძალადობა, როგორც ომის ტაქტიკა ან ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, მნიშვნელოვნად ამწვავებს შეიარაღებულ კონფლიქტებს და აფერხებს მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას. იგი იწვევს საზოგადოების რღვევას, შიშში მცხოვრებ მოსახლეობას აიძულებს საცხოვრებლის შეცვლას და გადაადგილებას და შურისძიების საფუძველზე ქმნის ხელახალი დაპირისპირების საფუძველს, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვნად ართულებს საომარი მოქმედებების დასრულებას. იგი დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა როგორც შეიარაღებული კონფლიქტის გარდაუვალი თანმდევი შედეგი, სანამ არ დაიწყო მისი, როგორც ომის ერთ-ერთი მეთოდის, გამოყენება ეთნიკურ კონფლიქტებში 1990-იან წლებში, რამაც ამ დანაშაულისკენ გადმოიტანა საერთაშორისო საზოგადოებისა და შესაბამისად, გაერთიანებული ერების ყურადღება. ამ უკანასკნელს ცენტრალური როლი უკავია აღნიშნულ საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და იმპლემენტაციაში.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაეროს მნიშვნელობის ანალიზს და გამოკვეთს გაეროს წინაშე არსებულ გამოწვევებს ამ საკითხთან მიმართებით, მათ შორის შეზღუდული რესურსების, რთული პოლიტიკური რეალობისა და კონფლიქტის ზონებში ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის სირთულეს.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება დათმობილი უშუალოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ზომებს, ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სწორედ ეს ორგანო ახორციელებს ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტურ ღონისძიებებს, იქნება ეს რეზოლუციები, სანქციები თუ სამშვიდობო ოპერაციები კონფლიქტურ ზონებში. ამასთან, აღნიშნული საკითხების თვალსაჩინოებისთვის მონობილი იქნება შესაბამის სახელმწიფოებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების მაგალითები.

დასასრულს, დასკვნის სახით კი შეფასებული იქნება არა მხოლოდ ორგანიზაციის

წვლილი ამ საქმეში, არამედ ის პრობლემები, რომელსაც იგი (კერძოდ კი უშიშროების საბჭო) აწყდება კონკრეტულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებისას, რაც განპირობებულია როგორც სამართლებრივი შეზღუდვებით, ისე (და უფრო მნიშვნელოვანწილად) პოლიტიკური ინტერესებით.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სამართალი; გაერო; შეიარაღებული კონფლიქტი; ომის დანაშაულები; სექსუალური ძალადობის დანაშაული; საერთაშორისო ურთიერთობები; საერთაშორისო სისხლის სამართალი.

ანალიტიკური აზროვნების როლი ბიზნესის განვითარებაში

ნინო კალმახელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ანალიტიკური აზროვნება წარმოადგენს საყრდენ ძალას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას ბიზნეს ოპერაციებში და იგი მთავარი პრიორიტეტია მენეჯერებისთვის. ანალიტიკური აზროვნებისთვის აუცილებელია ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, რომლის მიზანმიმართული ფაზა მაღალკვლევიფიციურ გუნდებს ნაკლებად წარმატებული კოლეგებისაგან განასხვავებს დაფუძემდებლური პრინციპების შემუშავება, ურთიერთკავშირის დადგენა, სიძნელების და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა და, საბოლოოდ, გადაწყვეტილების მიღება. ანალიტიკური უნარები ეხება კოგნიტურ შესაძლებლობებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევავროვოთ ინფორმაცია, გავაკეთოთ კვლევა, მონაცემების ინტერპრეტაცია და გამოვიტანოთ დასკვნები გადაწყვეტილების მისაღებად, იქნება ეს პროფესიულ თუ პირად კონტექსტში. ცხადია, ანალიტიკური აზროვნება აუცილებელია პრობლემების ეფექტურად გადასაჭრელად, გადაწყვეტილების მისაღებად და სამართლიანი ღირებულებისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანალიტიკური აზროვნება მრავალ სფეროს მოიცავს, მაგრამ ის განსაკუთრებულად აქტუალურია ბიზნესის სფეროში და გადამჭრელი მნიშვნელობა გააჩნია ადამიანის, როგორც ბიზნესმენის განვითარებისათვის. მოცემული სტატია განიხილავს ანალიტიკური აზროვნების იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც ბაზრების რთული დინამიკის ამოცნობის უნარში მდგომარეობს, ანალიზებს მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის ტენდენციებისა და კონკურენტული ლანდშაფტების შესწავლას და იმას, თუ როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს შეიმუშაონ მომხმარებელზე მორგებული სტრატეგიები, რომლებიც რეზონანსდება სამიზნე აუდიტორიასთან, ხელს უწყობს ზრდას და ბაზრის მდგრადობას. თანამედროვე ბიზნესის სწრაფ და დინამიკურ ლანდშაფტში, ანალიტიკური აზროვნება არის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედი. წარმოდგენილი კვლევა შეეხება ანალიტიკური აზროვნების ტრანსფორმაციულ ძალას ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა ბაზრის ცვალებადობა, ტექნოლოგიური შეფერხებები და მომხმარებელთა უპირატესობების ცვალებადობა. ნაშრომი მიზნად ისახავს

შთააგონოს დიალოგი, იდეების გაცვლა და ქმედითი სტრატეგიები ანალიტიკური აზროვნების სრული პოტენციალის გამოსაყენებლად ციფრულ ეპოქაში ბიზნესის სრულყოფისა და კონკურენტული უპირატესობის გატარებაში.

საკვანძო სიტყვები: ანალიტიკური აზროვნების როლი ბიზნესის სფეროში, ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, ორგანიზაციული ზრდა ანალიტიკური აზროვნების ხარჯზე.

The role of analytical thinking in the process of business development

Nino Kalmakhelidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Analytical thinking serves as a fundamental force in making strategic decisions in business operations and is a main priority for managers.

For analytical thinking, it is necessary to process and analyze information, the targeted phase of which distinguishes highly qualified teams from less successful colleagues; Analytical thinking is important to develop foundational principles, establish connections, to identify difficulties and facilitating factors, and ultimately, make decisions.

Analytical skills refer to cognitive abilities that allow us to collect information, conduct research, interpret data, and draw conclusions for decision-making, whether in a professional or personal context.

Clearly, analytical thinking is essential for effectively solving problems, making decisions, and providing fair leadership. Based on the aforementioned, we can say that analytical thinking encompasses many fields, but it is particularly relevant in the business sector and has critical importance for the development of an individual as a businessman.

This article discusses the key aspects of analytical thinking, which lie in the ability to recognize the complex dynamics of markets, analyze consumer behavior, study market trends, and competitive landscapes, and how organizations can develop customer-focused strategies that resonate with the target audience, promote growth, and ensure market sustainability. In the fast and dynamic landscape of modern business, analytical thinking is the cornerstone of strategic decision-making and sustainable development. The presented research addresses the transformative power of analytical thinking on challenges such as market volatility, technological disruptions, and changing consumer preferences. The article aims to inspire dialogue, exchange ideas, and create actionable strategies to leverage the full potential of analytical thinking in the digital age for business improvement and competitive advantage.

Keywords: The role of analytical thinking in the business sector, fostering the development of analytical thinking, organizational growth through analytical thinking

ადგილობრივი კულტურის გავლენები და ეკოლოგიური ინოვაციები ნორმან ფოსტერის შემოქმედებაში

ნინო შველიძე, გიორგი ოთიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორის, ნორმან ფოსტერის შემოქმედების გარკვეულ ნაწილებს. კონკრეტულად, მოხსენებაში შევხებით ფოსტერის ადგილობრივ კულტურასთან შერწყმულ და ეკოლოგიურად მდგრად შენობებს. ისეთ სტრუქტურებსაც, რომლებიც არიან როგორც კონტექსტუალისტური თვალსაზრისით, ასევე, ეკოლოგიური პრინციპების მიხედვით აშენებული. ნაშრომში მიმოვიხილავთ ნორმან ფოსტერის კარიერის დასაწყისს, მისი არქიტექტურული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და გამოწრთობის პროცესს მის შემოქმედებაში. შევხებით ისეთ შენობებს, როგორცაა რილაინს კონტროლს ბილდინგი, აი-ბი-ემის საპილოტე ოფისი, უილის ფებერ დიუმას ოფისი, რენოს და სეინსბერის ცენტრები. ასევე განვიხილავთ ადგილობრივი კულტურის გავლენებს ფოსტერის არქიტექტურაში. მაგალითისათვის: ნიმის მედიათეკა, კრენფილდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საკლერის ხელოვნების გალერეა, ჯოსლინის ხელოვნების გალერეა და ა.შ. მოხსენებაში ასევე განვიხილავთ ფოსტერის შემოქმედებაში ეკოლოგიურად მდგრადი არქიტექტურის დაწინაურებას - გარემოზე ზიანის შემცირებას, ბუნებრივი რესურსებისა და განახლებადი ენერჯის გონივრულად გამოყენების შემთხვევებს. კონკრეტულად, შევხებით ფოსტერის ეკო-არქიტექტურას, რომლის მიზანია შექმნას და შეიმუშავოს ისეთი დიზაინი რომელსაც ყველაზე ნაკლები უარყოფითი გავლენა ექნება იმ გარემოზე სადაც შენდება (გერკინის კოშკი, ეფლის პარკი, სამხრეთ სანაპიროს კომპლექსი, კოპენჰაგენ თაუერსი, კომკასტის შენობა). შევეცდებით ფოტომასალის ანალიზისა და ლიტერატურის შესწავლის გზით დავაფიქსიროთ ნორმან ფოსტერის არქიტექტურული შემოქმედების იდეა, რომელიც არა მარტო ისტორიული კონტექსტუალისტური თვალსაზრისით, ასევე ეკოლოგიური არქიტექტურის კუთხითაც პატივს სცემს და ჰარმონიულ სინთეზშია მიმდებარე გარემოსთან.

საკვანძო სიტყვები: ფოსტერი, გარემო, შემოქმედების, არქიტექტურა.

ელექტრონული არჩევნები

მარიამ მიროტაძე, ნინო შურღია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მრავალი სახელმწიფოს განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტუალობა პოლიტიკურ პროცესებში. მსოფლიოს რიგმა სახელმწიფოებმა უკვე გაიარეს ის გზა, რასაც დღესდღეობით საქართველო გადის და წარმატებით დანერგა ელექტრონული ტექნოლოგიები საარჩევნო პროცესში. საქართველოს ისტორიაში პირველად, 2024 წლის არჩევნები, მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. ამომრჩეველთა თითქმის 90 პროცენტი საკუთარ ნებას ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატთა საშუალებით დააფიქსირებს. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები აღიქმება ერთი მხრივ, დემოკრატიის კონსოლიდაციის, საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობის განმტკიცების, მეორე მხრივ, კი, საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დამატებით რისკებად. ელექტრონულ არჩევნებზე გადასვლა არჩევნების ადმინისტრირების საქმეში წინგადადგმულ, პროგრესულ ნაბიჯად მიიჩნევა, რადგან საგრძნობლად ზრდის საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანობას, არჩევნების შედეგებს სძენს სისწრაფესა და სიზუსტეს და შესაბამისად, ამყარებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის საფრთხეებიც, რაც თან ახლავს არჩევნების გაციფრულებას. საკონფერენციონაშრომის მიზანია შევისწავლოთ ელექტრონული არჩევნების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლის ფონზეც ვიმსჯელებთ ქართულ რეალობაში მისი იმპლემენტაციის ეფექტიანობის შესახებ. ნაშრომი განკუთვნილია იურისტებისთვის, სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

საკვანძო სიტყვები: არჩევნები, ელექტრონული არჩევნები, საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება.

Electronic Elections

Mariam Mirotadze, Nino Shurgaia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Technologies have significantly influenced the development of many states, particularly in political processes. Several states have followed the path that Georgia is taking now and successfully integrated technologies into their election processes. In 2024, for the first time in its history, Georgia will conduct nationwide elections using electronic technologies, with nearly 90 percent of voters using verification and vote-counting machines. While electronic elections are seen as adding risks related to democratic consolidation and electoral trust, they also enhance the security, speed, and accuracy of the process, thereby increasing confidence in election administration. Our conference aims to examine the benefits and drawbacks of electronic elections, explain the features of this process, and assess its implementation in contemporary Georgia. This paper is intended for lawyers, law students, and anyone interested in these topics.

Keywords: elections, electronic voting, election administration.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკა

ნინო ყავლაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი ეხება პირადი არაქონებრივი უფლებების არსს, მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმს-მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს და მისი სამი სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების გამოყენებას პრაქტიკაში. პირადი არაქონებრივი უფლებები სამართლიანი სახელმწიფოს ერთ-ერთ აუცილებელ ფუძემდებელ უფლებებს განეკუთვნება, რომელიც დაცულია მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებით, რომელთაგან ერთ-ერთი არის არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება არის უნივერსალური მნიშვნელობის მქონე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან. ის გამოყენება პიროვნული უფლებების სფეროში ნებისმიერი არამართლზომიერი ჩარევის დროს, რაც ადასტურებს მისი გამოკვლევის მიზანშეწონილობასა და აქტუალობას. ნაშრომი აღწერს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების გარემოებებს და მათ გავლენას ისევე როგორც დაზარალებულზე, ასევე ზიანის მიმყენებლებზე. ეს მექანიზმი არა მარტო დაზარალებულის სულიერი ტანჯვების შემსუბუქებასა და მისი უარყოფითი განცდების დადებითად ჩანაცვლებისკენ მიისწრაფვის, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენზე გავლენის მოპოვებისკენ და სამომავლო პიროვნული უფლებების ხელყოფის აცილებისკენ, რაც ააშკარავებს ინსტიტუტის ეფექტურობას და როლს ადამიანის უფლებათა დაცვაში. განხილული არის ზიანის სხვადასხვა სახე სამოქალაქო სამართალში და მოცემული არის მათი გამიჯვნის საშუალებები, რაც საჭიროა, ვინაიდან არა არსებობს არაქონებრივი ზიანის მკვეთრად განსაზღვრული გაგება. გაშუქებული არის მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემური შემთხვევები-როგორ მოქმედებს სასამართლო პირის ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საშიში დაზიანების მიღებისას ან პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რაც საინტერესოა, ვინაიდან არაქონებრივი საშუალებების დაცვის ეს მექანიზმი განსაკუთრებული სირთულით, კომპლექსურობით და მრავალწახნაგოვანობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არის არამატერიალური ზიანისთვის მიყენებული სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია,

ის მატერიალურად არ ვლინდება და რთულია სულიერი ტანჯვით გამკწვეული ზიანის ქონებრივი ექვივალენტის გამოსახვა. აღნიშნული კვლევის მიზანია არაქონებრივი ზიანის კომპენსირების დანიშნულების წარმოჩენა და იმის დადგენა, თუ როგორ ემსახურება მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მოქალაქეს და სახელმწიფოს თავისუფალი ღირსებადაცული პიროვნების უზრუნველყოფაში. ნაშრომის დანიშნულება არის სასამართლოს მხრიდან არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მეორეული მიზნის- „სასურველი გვერდითი ეფექტის“ ფუნქციის შესრულების პროგრესის რეალური სურათის წარმოჩენა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. დეტალურად ჩამოყალიბებული არის სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები და იდენტიფიცირებული არის ისევე როგორც მორალური ზიანის დადგომის წინაპირობები და მისი სამართლებრივი ფარგლები. ჩამოთვლილი არის პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის ოდენობის გამოანგარიშების მეთოდები და პრინციპები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოსამართლეები. შემოთავაზებული არის ამ ინსტიტუტის ეფექტური მოქმედების შემაჯამებელი მიმოხილვა და დასკვნა მისი გამოყენების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: პირადი არაქონებრივი უფლებები, ზიანი, ზიანის სახეები, ანაზღაურება

Abstract

This scientific work analyzes the essence of personal non-property rights, the legal mechanism of their protection - the institution of moral damages and the use of its three satisfactory, repressive and preventive functions in practice. Personal non-property rights belong to one of the fundamental rights of the state, which is protected by a number of legal regulations, one of which is compensation for non-material damages. Compensation for moral damages is one of the forms of civil-legal responsibility which is of universal importance. Its use in the case of unjustified interference in the field of personal rights confirms the expediency and relevance of its investigation. The paper describes the environment in which the responsibility for non-pecuniary damages is imposed and how the damages can harm both the victim and the person who causes it. This mechanism aims not only to alleviate the mental suffering of the victim and to replace negative feelings with the positive ones, but also to gain influence on the performer of illegal actions and to prevent the infringement of personal rights in the future. Different types of damage in civil law are discussed and the means of their separation are given, which is necessary, since there is no clearly defined understanding of non-material damage. The problematic cases of compensation for moral damages are covered- how the court acts when a person received health and life-threatening injury or when the subject of moral compensation resurfaces after a person's death, which is interesting, because this mechanism of protection of non-property means is characterized by special hardship, complexity and multifacetedness. Non-pecuniary damages are a civil-legal sanction for non-material damages and they are not materially manifested which makes it difficult to depict the financial equivalent of damages caused by mental suffering. The aim of this study is to present the purpose of compensating non-material damages and to determine how the institution of moral damages serves the citizen and helps the state with providing a free person with dignity. The work describes a realistic picture of court's progress in reaching the institution's second goal of achieving „desirable side effect“ Based on the examples. The prerequisites for the satisfaction of the claim are defined in detail, and the prerequisites for the occurrence of moral damage and its legal scope are identified. Listed are the methods and principles of calculating the amount of damages resulting from infringement of personal non-property rights, which are used by judges. At the end is offered is a summary review of the effective operation of this institution and a conclusion on its use.

Keywords: Personal non-property rights, damages, types of damages, compensation.

იძულებითი ქორწინება არასრულწლოვნებში

ნინო წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის ერთ-ერთ დანაშაულს, კერძოდ, იძულებით ქორწინებას არასრულწლოვნებში. ნაშრომის შესავალი ნაწილი დაეთმობა იძულებითი ქორწინების ცნებას და იძულებითი ქორწინების აღმოფხვრის გზებს. განვსაზღვრავ ამ დანაშაულის ამსრულებელსა და დანაშაულის დაცვის უშუალო ობიექტს. ყურადღება იქნება გამახვილებული იძულებითი ქორწინების შედეგად დაზარალებულ პირთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე. ვინაიდან იძულებითი ქორწინება საკმაოდ მწვავე შედეგების მატარებელია, აუცილებელია ამ დანაშაულის ჩადენით გამოწვეულ მძიმე შედეგებზე გავამახვილოთ ყურადღება. იძულებითი ქორწინება ყოველთვის იყო პრობლემური საკითხი როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ნაშრომის მიზანია, რომ განიხილოს, რამდენად უარყოფითი ზეგავლენა აქვს იძულებით ქორწინებას არასრულწლოვნებზე. იძულებითი ქორწინება, როგორც დანაშაული, ჩვენი კანონმდებლობით ზუსტად არის ჩამოყალიბებული. ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ადგილი აქვს იძულებითი ქორწინების მრავალ ფაქტს, რაც უმეტესად ხორციელდება ოჯახის ერთი წევრის მიმართ. მშობლები ზოგჯერ აიძულებენ შვილებს, დაქორწინდნენ მათთვის არასასურველ პირზე. იძულებითი ქორწინება სისხლის სამართლის ისეთ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც, სამწუხაროდ იწვევს ადამიანებში არა მხოლოდ მენტალური, პროფესიული განვითარების შენელებას, არამედ იწვევს მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებსაც, რომელთა გადალახვა არასრულწლოვანთათვის განსაკუთრებით რთული და ზოგჯერ შეუძლებელიც კია. ამ დანაშაულის კომპლექსურობა და დაძლევის სირთულე მისი უარყოფითი ზემოქმედების ფარგლებში გამოიხატება, რომელიც სოციალურ ნგრევას იწვევს პიროვნებაში. ჩემი მსჯელობის მიზანია, განვიხილო, რა უარყოფითი გავლენა აქვს იძულებით ქორწინებას ზოგადად, თუმცა შევალ უფრო მეტად ფართო მსჯელობაში და იძულებითი ქორწინების გამოწვევებზე ვისაუბრებ არასრულწლოვანთა განვითარების მხრივ. ვისაუბრებ, რამდენად დიდი უარყოფითი გავლენა აქვს იძულებით ქორწინებას არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე.

აღვწერ და მოვიშველიებ იძულებითი ქორწინების უარყოფითი ზემოქმედების დამადასტურებელ ფაქტებს და იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსახილველ თემას შეესაბამება.

იძულებითი ქორწინება თავისი არსით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, არღვევს მე-12 მუხლის მოთხოვნას, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იყოს დაცული. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო საწინააღმდეგო მოქმედება და პირისათვის ინდივიდუალურად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის წართმევა ითვალისწინებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: იძულებითი ქორწინების ცნება, არასრულწლოვანთა იძულებითი ქორწინება, იძულებითი ქორწინების გამოწვევები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

Abstract

The topic to be presented at the student conference will concern one of the crimes of criminal law, in particular, forced marriage of minors. The introductory part of the paper will be devoted to the concept of forced marriage and ways to eliminate forced marriage. I will define the perpetrator of this crime and the immediate object of the crime protection. Attention will be focused on mechanisms of legal protection of victims of forced marriage. Since forced marriage carries very serious consequences, it is necessary to focus on the serious consequences caused by committing this crime.

Forced marriage has always been a problematic issue both in Georgia and internationally. The purpose of our work is to discuss how negative impact forced marriage has on minors. Forced marriage as a crime is thoroughly established in our legislation. The practice of recent years has shown that in many regions of Georgia, there are many cases of forced marriage, which is mostly carried out against one family member. Parents sometimes force their children to marry someone they do not want to marry. Forced marriage belongs to the category of crimes of criminal law, which, unfortunately, not only slows down the mental and professional development of people, but also causes serious social and economic problems, which are especially difficult and sometimes impossible for minors to overcome. The complexity of this crime and the difficulty of overcoming it are expressed within its negative impact, which causes social destruction in a person. The purpose of my discussion is to discuss the negative impact of forced marriage in general, although I will discuss more broadly and talk about the challenges of forced marriage in terms of juvenile development. I will talk about how much negative impact forced marriage has on the psyche of minors, I will describe the facts of the negative impact of forced marriage, which correspond to the topic under discussion.

Forced marriage in its meaning contradicts the basic human rights provided by the second chapter of the Constitution of Georgia. Forced marriage violates Article 12 of the Constitution and prevents the free development of a person. The right to free development of person is an imperative requirement of the law. Depriving a person of the rights to free development leads to corresponding legal consequences.

Keywords: The concept of forced marriage, Forced marriage of minors, Challenges of forced marriage, Constitution of Georgia, Criminal Law Code of Georgia.

ვეტო - სახელმწიფოებრივი ინტერესის დამცავი მექანიზმი თუ ადამიანთა ნების დამთრგუნავი ძალა

ეთუნა მარტიაშვილი, მარიამ პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედსა და ამოსავალ წერტილს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს. ძალაუფლების გამიჯვნის მონტესკიესეული პარადიგმის მიხედვით, იმისათვის, რომ ხალხის მმართველობის იდეა განხორციელდეს, ხელისუფლების შტოები ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმებს უნდა ფლობდნენ.

კვლევის საგანია სათანადო ინსტრუმენტების მქონე სახელმწიფოს მეთაურის როლი სამი შტოს დაბალანსებაში. ზოგჯერ პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეშია, საპარლამენტო რესპუბლიკაში კი ნეიტრალური ფიგურაა, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ხელში იმ ბერკეტების არსებობას, რომელთა მეშვეობითაც შეეძლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, რათა არ წარმოიქმნას ქაოსი და პოლიტიკური კრიზისი, დაცული იყოს ადამიანების ინტერესები, უზრუნველყოფილი იყოს მათი თავისუფალი მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, უხეზად არ დაირღვეს მათი კონსტიტუციური უფლებები. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს მეთაური აღჭურვილი უნდა იყოს განსაკუთრებული უფლებამოსილებებით, ვინაიდან მისი მისია სახელმწიფოებრივი ნების აღსრულებაა.

დღეს კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში მოქმედებს ვეტოს ინსტიტუტი, რომელიც პრეზიდენტის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტრუმენტია და ხელს უწყობს მის საკანონმდებლო პროცესებში მონაწილეობას, რაც ზემოთ ხსენებული ბალანსის წინაპირობაა.

ტერმინი "ვეტო" ლათინური წარმოშობისაა და აკრძალვას ნიშნავს. ეს მექანიზმი ძველ რომში აღმოცენდა და მას შემდეგ სახელმწიფო მმართველობისა და სამართლის განვითარების პარალელურად ევოლუცია განიცადა.

ვეტოს უფლების გამოყენება საინტერესო პროცედურაა. საკანონმდებლო პრაქტიკა იცნობს სუსპენზიურ, ანუ შეყოვნებით, ვეტოს. პარლამენტს აქვს პრეზიდენტის მიერ მოტივირებული შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვის ვალდებულება, რაც მთავრდება შენიშვნების მიღებით ან ვეტოს დაძლევით. გარდა

ამისა, არსებობს აბსოლუტური, ანუ “ჯიბის” ვეტოს ცნებაც. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი არც ხელს აწერს კანონპროექტს და არც მოტივირებული შენიშვნებით აბრუნებს პარლამენტში საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლის ან სხვა მიზეზის გამო.

კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებაში ვეტოს როლის შეფასებისთვის აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რა არის ამ ინსტიტუტის მთავარი დანიშნულება.

ცხადია, პრეზიდენტის შემოქმედება პარლამენტის გადაწყვეტილებებზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის აღმოფხვრას ემსახურება და ეს თითოეული ადამიანისთვის სასიკეთოა, თუმცა ყოველთვის შეესაბამება პრეზიდენტის მიერ ამ შემაკავებელი ძალის გამოყენება მოსახლეობის ნებას? ყოველთვის უზრუნველყოფს ვეტო კონსტიტუციის უზენაესობას? საპარლამენტო უმრავლესობაც ხომ ხალხის რჩეულია და უნდა შეეძლოს ერთ ადამიანს მისი ნების უგულებელყოფა? კვლევის მიზანი ამ საკითხის გაანალიზება და კონსტიტუციურ ჭრილში განხილვაა.

საკვანძო სიტყვები: ურთიერთკონტროლის მექანიზმი; დემოკრატიული სახელმწიფო; პრეზიდენტი; ბალანსი; კონსტიტუციის უზენაესობა.

Veto - a protective mechanism of state interest or a suppressing force of people's will

Etuna Martiashvili, Mariam Popiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The basis and starting point of a democratic state is the principle of checks and balances. According to Montesquieu's paradigm of separation of power, for the idea of people's government to be implemented, the branches of government should possess mechanisms of mutual control and mutual balance.

The role of the head of state with appropriate instruments in balancing the three branches is a matter of the research. Sometimes the president is at the head of the executive power, and in the parliamentary republic he is a neutral figure, however, the crucial importance is the presence of levers in his hands, through which he can bind the bodies of the legislative and executive power, so that chaos and political crisis do not arise, people's interests are protected, and their free participation in the management of the country is ensured, their constitutional rights should not be grossly violated. To achieve this goal, the head of state must be equipped with special powers, since his mission is to implement the will of the state. Today, in the practice of constitutionalism, the veto institution operates, which is the most important political tool of the president and promotes his participation in legislative processes, which is a prerequisite for the above-mentioned balance. The term "veto" is of Latin origin and means prohibition. This mechanism originated in ancient Rome and since then it has evolved along with the development of state administration and law. Using the right of veto is an interesting procedure. Legislative practice knows the suspensive veto. The Parliament has the obligation to consider the draft law returned by the President with motivated remarks, which ends with the acceptance of the remarks or the overcoming of the veto. In addition, there is the concept of absolute, or "pocket" veto. In such a case, the president neither signs the draft law nor returns it to the parliament with motivated remarks due to the expiration of the term of office of the legislative body or any other reason.

In order to assess the role of the veto in the implementation of law-making activities, the question of what the main purpose of this institution is must be answered. Obviously, the influence of the president on the decisions of the parliament serves to eliminate the danger of abuse of power, and this is good for each person, but does the use of this restraining power by the president always correspond to the will of the population? Does the veto always ensure the

supremacy of the Constitution? The parliamentary majority is also the people's choice, and one person should be able to ignore their will? The purpose of the research is to analyze this issue and consider it from a constitutional point of view.

Keywords: A mechanism of mutual control; Democratic state; President; Balance; Supremacy of the Constitution.

საჩივარი როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა

მარიამ რუხაძე, სოფიო ხვედელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი „ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა“. საზოგადოებაში პრობლემას ადმინისტრაციული საჩივლისა და საჩივრის განსხვავება და მოქმედების ფარგლების ზუსტი აღქმა წარმოადგენს. ჩვენი მსჯელობის საგანია დემოკრატიულ სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული საჩივრის ცნება, მისი ფუნქციები, სამართლებრივი მნიშვნელობა, ფორმა, დასაშვებობისა და დასაბუთებულობის ასპექტები, საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. ადმინისტრაციულ საჩივართან კავშირში განხილულია ადმინისტრაციული საჩივლის ცნება. მათ ახასიათებთ, როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები, სწორედ ეს საკითხი იწვევს მოსახლეობაში ბუნდოვნებას. ამის გამო, ადამიანი ვერ ახერხებს თავისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი უფლების სრულყოფილ გამოყენებას. ნაშრომში რეკომენდაციების სახით განხილულია ამ ორი ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობები და ფარგლები, რომლებზეც მიგვივლითებს საქართველოს უზენაესი კანონი-კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვ.

წარმოდგენილი კონფერენციის მიზანია, საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ. ადმინისტრაციული უფლებების ამ კუთხით გამოყენება იყოს პოპულარიზებული, რადგან საჭიროების მქონე პირებმა იცოდნენ მათი დარღვეული უფლების აღდგენის ყველა ალტერნატიული საშუალება.

მოცემული საკონფერენციო ნაშრომი განკუთვნილია ადმინისტრაციულ სამართლებრივი უფლებადარღვეული პირებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საჩივარი; სარჩელი; უფლების დაცვა.

Abstract

The conference paper presents one of the important and problematic issues of modern law, "Administrative Complaint as a Prerequisite for Filing a Lawsuit". The problem in society is the difference between an administrative lawsuit and a complaint and the accurate perception of the scope of action. The subject of our discussion is the concept of an administrative complaint in a democratic social legal state, its functions, legal meaning, form, aspects of admissibility and justification, the circle of subjects authorized to submit a complaint. In connection with the administrative complaint, the concept of the administrative lawsuit is discussed, they are characterized by both similarities and differences, this issue causes confusion among the population.

Due to this, the population is not able to fully use their administrative legal right. In the form of recommendations, the prerequisites and scope of the use of these two institutions are discussed, which are indicated by the Supreme Law-Constitution of Georgia, the General Administrative Code of Georgia, the Civil Procedure Code of Georgia, etc.

The purpose of the presented conference is to raise public awareness about the administrative complaint. The use of administrative rights in this regard should be popularized, so that the persons in need know all the alternative means of restoring their violated right.

This conference paper is intended for persons whose administrative legal rights have been violated, students of the Faculty of Law and persons interested in this issue.

Key words: complaint; lawsuit; protection of right.

გენდერული კვოტირების ინსტიტუტი და მისი ეფექტიანობა საქართველოში

ელენე ხუჭუა, პავლე საანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გენდერული უთანასწორობა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში აქტუალობას არ კარგავს. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია საზოგადოების ყოველდღიურობის თანმდევი ნაწილია, მათ შორის ყოფით საკითხებში, შრომის ბაზარზე და პოლიტიკურ ურთიერთობებში. ქალთა სრული და ეფექტური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში კი ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი კი კვოტირების მექანიზმის არსებობაა. მოცემული ნაშრომი განიხილავს გენდერული კვოტების ინსტიტუტს საქართველოში, აფასებს მის ეფექტურობას ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ხელშეწყობაში და მიზნად ისახავს გენდერული კვოტების გავლენის სრულყოფილ გაგებას პოლიტიკურ ლანდშაფტზე. მიუხედავად ქალთა წარმომადგენლობის შესამჩნევი ზრდისა, ნაშრომი ხაზს უსვამს მუდმივ გამოწვევებს და საზოგადოების ფართო ცვლილებების საჭიროებას სრული გენდერული თანასწორობის მისაღწევად. 2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილება ეხება გენდერულ კვოტებს, რომელიც ითვალისწინებს, რომ საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისთვის პარტიულ სიებში ყოველი მეოთხე კანდიდატიდან მინიმუმ ერთი ქალი უნდა იყოს. თავდაპირველი შედეგები მიუთითებს ქალთა წარმომადგენლობის მოკრძალებულ ზრდაზე; გენდერული კვოტირების გაუქმება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ქალების ჩართულობას პოლიტიკურ ასპარეზზე და ამ პროცენტულობას საგრძნობლად შეამცირებს. კვოტებს “პოზიტიურ დისკრიმინაციას” სწორედ იმიტომ უწოდებენ, რომ იგი ერთგვარი წახალისება და მოწოდებაა პოლიტიკური პარტიებისთვის, რომ უკეთ მოახდინონ გენდერული ბალანსი მათივე პარტიებში და შემდგომ პარლამენტში. ნაშრომი ხაზს უსვამს გენდერული კვოტების განხორციელების სირთულეს და ყოვლისმომცველი სტრატეგიების საჭიროებას პოლიტიკურ წარმომადგენლობაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: გენდერული კვოტა, ქალების წარმომადგენლობა, საქართველო, გენდერული თანასწორობა, პოლიტიკური თანასწორობა.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლის განმარტების მეთოდები საოჯახო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში“

საბა ხუბუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ის ნაწილია, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს საზოგადოებაში მომდინარე, ცვალებად მოვლენებს. ზოგადად, ოჯახის როლი საზოგადოების განვითარების პროცესში უდიდესია, ვინაიდან თავდაპირველად მასში იღებს ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა იმ მორალურ საწყისებს, რომლებიც შემდგომ მათ, როგორც საზოგადოების ღირსეული წევრების, მომავალს განაპირობებენ. შემოთავაზებული საკონფერენციო თემა გახლავთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი, მოცემული ნორმის პრობლემატიკის შეფასება, რომელიც ხშირად თავს იჩენს, რაც ნათლად ჩანს ეროვნული სასამართლოს პრაქტიკაშიც. შვილად აყვანის დადასტურებას არმზრდელის გარდაცვალების შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იქიდან გამომდინარე, რომ პირმა შეძლოს ისარგებლოს იმ უფლებებით, რომელიც მას, როგორც მართლზომიერ მემკვიდრეს გააჩნია. თანამედროვე სამყაროში, სამართლის სუბიექტისათვის გადამწყვეტ ფაქტორადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ შვილების აღიარება, მით უმეტეს მაშინ როდესაც აღმზრდელი გარდაცვლილია, ვინაიდან სწორედ ამ ფაქტის დადგენას უკავშირდება მრავალი სამართლებრივი უფლების წარმოშობა, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ მემკვიდრეობითა და ქონების უფლებებით. არნიშნული სამართლებრივი ფაქტის დადგენა ზეგავლენას ახდეს არამხოლოდ შვილად აყვანილის, არამედ გარდაცვლილის სხვა ნათესავებისთვისაც, სწორედამიტომარისმოცემულინორმააქტუალური.სასწორზე დგას ერთი მხრივ, პირი, რომელსაც სურს გარდაცვლილის მიერ მისი შვილად აყვანის ფაქტი დაადასტუროს, რაც შესაძლოა სიმართლეს არ შეესაბამებოდეს, ხოლო მეორე მხრივ, იმ შესაძლო არაკეთილსინდისიერ პირთა წრე, რომელთაც არ სურდეთ მამკვიდრებლის მიერ ამ პირის შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება. სამოქალაქო კოდექსის მოცემული ნორმა პრობლემურია, ვინაიდან საჭირო მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ ორივე მხარეს აძლევს შესაძლებლობას სამართლო შეცდომაში შეიყვანოს. მნიშვნელოვანია ნორმამ განიცადოს შესაბამისი ცვლილება. ნაშრომში, ასევე განხილული იქნება

ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც არაერთგვაროვანია, რაც თავის მხრივ ადასტურებს, აღნიშნული კანონის ნორმის ტექნიკურ გაუმართაობას. ნაშრომში გამოყენებული იქნება შდარებით-სამართლებრივი კვლევა, რომელიც დამყარებული იქნება ევროპული ქვეყნების კანონდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე. შემოთავაზებული იქნება ნორმის ის ფორმულირება, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს წონასწორობის დაცვის აუცილებლობას. მასალის ანალიზის შედეგად, ჩამოყალიბდება შესაბამისი რეკომენდაციები. ეს მოცემულობა საკმარისი იქნება საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისთვის. მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა მკაფიოდ განჭვრიტოს სამომავლო შედეგები.

Abstract

Family and inheritance law is the part of civil law that most clearly reflects the changing events in society. In general, the role of the family in the development process of the society is the greatest, since the majority of people initially receive the moral beginnings in it, which will later determine their future as worthy members of the society. The proposed conference topic is Article 1240 of the Civil Code of Georgia, the assessment of the problematic nature of this norm, which often appears, which is clearly seen in the practice of the national court. Confirmation of adoption in the case of the death of the guardian is important because the person can enjoy the rights that he has as a rightful heir.

In the modern world, we can even consider the recognition of children as a decisive factor for the subject of law, especially when the guardian is dead, since the establishment of this fact is connected with the origin of many legal rights, which are not limited only to custody and property rights. The determination of the mentioned legal fact affects not only the adopted person, but also other relatives of the deceased, that is why this norm is relevant. At stake is, on the one hand, a person who wants to confirm the fact of his adoption by the deceased, which may not be true, and on the other hand, a circle of possible unscrupulous persons who do not want to confirm the fact of the adoption of this person by the heir. This norm of the Civil Code is problematic, since it gives both parties mentioned above the opportunity to make a legal mistake in case of obtaining the necessary evidence. It is important that the norm undergoes a corresponding change. The paper will also discuss the national judicial practice, which is not uniform, which in turn confirms the technical malfunction of the norm of the mentioned law. The paper will use comparative legal research, which will be based on examples of legislation and judicial practice of European countries. The formulation of the norm that best responds to the need to maintain balance will be proposed. As a result of the analysis of the material, relevant recommendations will be formulated. This fact will be enough to fully present the issue. The reader will be given the opportunity to clearly foresee the future consequences.

ელფოსტის, როგორც თანამედროვე და ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენება ხელშეკრულების დასადავად

სალომე ქვარცხავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული

აბსტრაქტი

მოცემული თემა ორიენტირებულია ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებზე ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით, რაც თანამედროვე ბიზნესტრანზაქციების გადამწყვეტ ასპექტს წარმოადგენს. მასში განიხილება, თუ როგორ გამოიყენება ელექტრონულ კომუნიკაციებში ტრადიციული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ხაზი ესმევა ტრადიციული სამართლებრივი ცნებების ადაპტაციის მნიშვნელობას კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდებთან.

აღსანიშნავია ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების ე.წ. „საფოსტო ყუთის“ თეორია, სადაც უპირატესობა ენიჭება უშუალოდ გაგზავნის მომენტს, ხოლო, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული დამოკიდებულებით, აქცეპტანტის ინფორმირებულობას აქვს მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა საქართველოში არსებული, დამკვიდრებული პრაქტიკა, ის, თუ რომელი სისტემისკენ იხრება შესაბამის სიტუაციაში და რამდენად სამართლიანია მსგავსი მიდგომები.

მოცემული ანალიზით შემოთავაზებულია შეხედულებები ელ-ფოსტის საშუალებით ხელშეკრულებათა ფორმირებისა და მართვის იურიდიულ და პრაქტიკულ სირთულეებზე. ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებების ფორმირება ძალზე მნიშვნელოვანი და პრაქტიკული გახდა დღევანდელობაში, რაც გზას უკვალავს კომუნიკაციის ევოლუციას ციფრულ ეპოქაში. „ღილაკზე დაწკაპუნებით“ მხარეებს შეუძლიათ გაცვალონ წინადადებები, ხოლო, ინფორმაციის ეს სწრაფი გაცვლა ტრანზაქციათა დაჩქარების საშუალებას იძლევა. ყოველივე ეს კი, აუმჯობესებს ხელშეკრულების ფორმირების პროცესს.

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულების დადება წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესპრაქტიკის კრიტიკულ ასპექტს, რომელიც ასახავს ტრადიციული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების ციფრულ ტრანსფორმაციას. ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული

ხელშეკრულების შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემატურია იმის განსაზღვრა, თუ როდის ჩაითვლება ნება გამოვლენილად, რადგან აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე პირი ან, თუნდაც, მეწარმე ელექტრონულ ფოსტას, იმაზე ხშირად ამოწმებს, ვიდრე სხვა პირი.

პრობლემის გადაჭრისას, როგორც წესი, გასათვალისწინებელია ის, თუ რამდენად უნდაჰქონოდა პირს მოლოდინი იმისა, რომ მიიღებდა ელექტრონულ შეტყობინებას, რადგან ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ოფერტის მიღება და აქცეპტით დადასტურება.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებათა ფორმირება ელექტრონული ფოსტით წარმოადგენს მნიშვნელოვან განვითარებას თანამედროვე ტრანზაქციებში, რომელიც გვთავაზობს ეფექტიანობას, მოხერხებულობასა და გლობალურ მიღწევებს.

საბოლოო ჯამში, ნაშრომში განვითარებული მსჯელობა, უცხოური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზების ფონზე, შესაძლებელს გახდის, რომ ჩამოყალიბდეს გარკვეული წინადადებები და რეკომენდაციები ქართულ რეალობაში ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებათა განვითარების სამომავლო პერსპექტივების თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ფოსტა, კომუნიკაციის ევოლუცია, ციფრული ტრანსფორმაცია, ტრანზაქცია, ხელშეკრულების ფორმირება.

Utilization of email as a contemporary and convenient means of entering a contract

Salome Kvartskhava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

This topic examines offer and acceptance in email contracts, a crucial aspect of modern business. It explores applying traditional contract law principles to electronic communications, emphasizing adapting established legal concepts to contemporary communication methods.

In the Anglo-American legal system, the "mailbox" rule gives priority to the moment of sending, while the continental European legal system gives priority to the recipient's awareness. Both approaches have their advantages and implications in a legal context. Therefore, it is interesting to see the established practice in Georgia, which system it leans towards in the relevant situation and how fair such approaches are.

This analysis explores the legal and practical challenges of creating and managing contracts through email. Forming contracts via email is now crucial, offering convenience and speed. Parties can rapidly exchange proposals, facilitating faster transactions and enhancing the contract formation process in the digital age.

Contracting via email is a crucial aspect of modern business practices, reflecting the digital transformation of traditional contract law principles. When a contract is made via email, it's critical and challenging to establish when the intent is expressed. This is because individuals in different occupations, such as those working in educational institutions or running their businesses, may check their emails with varying frequencies.

When solving the problem, it's important to consider how likely the person was to receive the electronic message. This is crucial for the contract to be valid, as the offer needs to be received and confirmed through acceptance.

Finally, it must be emphasized that conducting contracts via email represents a significant advancement in modern transactions, providing efficiency, convenience, and global reach.

Upon comprehensive examination of international practices, the paper will provide significant recommendations for improving the use of email-based contracts in the context of Georgia.

Keywords: E-mail, evolution of communication, digital transformation, transaction, contract formation.

რომის სამართლის შედარება თანამედროვე ქართული საკუთრების უფლების ინსტიტუტთან

მარიამ კალმახელიძე, ნინო სალუქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიუხედავად იმისა, რომ ძველი რომის სამართალი საუკუნეებისთვის, მისი გავლენა მაინც მკაფიოდ იგრძნობა მრავალი თანამედროვე, ევროპული სახელმწიფოს სამართალზე და შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სახელმწიფოთა სამართალს სწორედ რომის სამართალი უდევს საფუძველად. მსგავსება თანამედროვე და ძველი რომის სამართლის ნორმებს შორის განსაკუთრებულად იგრძნობა კერძო სამართლის სფეროში, ვიდაიდან ძველ რომში ეს სფერო საკმაოდ დეტალურად იყო რეგულირებული. რომის სამართლის ამგვარმა დეტალურმა, დახვეწილმა ხასიათმა მისი ნორმების სიცოცხლისუნარიანობა განაპირობა საუკუნეების შემდეგაც კი. იურიდიული ტექნიკის მაღალი დონის წყალობით, ეს ნორმები მცირე ცვლილებებით გადმოვიდა თანამედროვე სამართლის ისეთ მნიშვნელოვან სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებში, როგორცაა მაგალითად-საკუთრების უფლების ინსტიტუტი. საკუთრების უფლება სოციუმისთვის აუცილებელი ინსტიტუტია, რომლის საჭიროება და დიდი მნიშვნელობა ისტორიამაც ცხადყო (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ). შეიძლება ითქვას, რომ საკუთრება, ესაა კერძო სამართლის ცენტრი, სანივთო სამართლის მთავარი უფლება, რომელსაც აბსოლუტური უფლების ხასიათი აქვს. საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას უფლებაუნარიანობის წარმოშობისთანავე ენიჭება. საკუთრების უფლება აუცილებლად უნდა იყოს გაკონტროლებული სახელმწიფოსგან, რადგან დასადგურდეს მშვიდობა მესაკუთრესა და ყველა მესამე პირს შორის, შესაბამისად, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და მოაწესრიგოს ადამიანის ბუნებრივი უფლება. გარკვეულწილად საკუთრება უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას და სახელმწიფო სუვერენიტეტსაც კი. საკუთრების უფლება რომშიც ისევე აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო, როგორც დღესაა, რასაც საკუთრების უფლების დეტალური მოწესრიგებაც ამტკიცებს.

საკვანძო სიტყვები: რომის სამართალი, საკუთრების უფლება, კერძო სამართალი, სანივთო სამართალი.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების
აღსრულება ეროვნულ დონეზე: სახელისუფლებო ორგანოების როლი
აღსრულების პროცესისას**

ალექსანდრე გრძელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მექანიზმია. სასამართლომ არსებობის პერიოდში გამოიტანა 10,000-ზე მეტი გადაწყვეტილება, რაც შთამბეჭდავი რიცხვია. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა დავაში მყოფი სახელმწიფოსთვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა აქცევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ძლიერ, ცოცხალ მექანიზმად, რომელიც პასუხობს სამართლის უზენაესობის თანამედროვე გამოწვევებს ევროპაში. როგორც ქართულ ისე ევროპულ პრაქტიკაში ვხვდებით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას კონკრეტულ გამოწვევებს.

იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული, აუცილებელია მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. რაც აღმოფხვრის მომავალში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას.

აღნიშნული კვლევა შეეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმებსა და პროცედურებს, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. განხილული იქნება თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი, საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, თუ როგორ ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურულ ზედამხედველობას და მინისტრთა კომიტეტის როლი აღნიშნულ პროცესში. ასევე განხილული იქნება შიდასახელმწიფოებრივი ეტაპები და სახელისუფლებო როლი აღსრულების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილება, აღსრულება.

Abstract

The European Court of Human Rights is one of the mechanisms of the Council of Europe. During its existence, the court issued more than 10,000 decisions, which is an impressive number. The court's decision is binding on the disputing state and prompts governments to change their legislation and administrative practice in many areas. The case law makes the European Convention on Human Rights a powerful, living mechanism that responds to contemporary challenges to the rule of law in Europe. In both Georgian and European practice, we encounter specific challenges in the execution of court decisions.

In order for human rights to be protected, it is necessary to enforce court decisions at the domestic level. That will eliminate gross violations of human rights in the future.

The research will concern the mechanisms and procedures of the execution of the decision of the European Court of Human Rights, both at the domestic and international level. The role of the European Court of Human Rights itself, in the process of the execution of its decision, how the court carries out procedural supervision of the execution of the decision, and the role of the Committee of Ministers in this process will be discussed. Domestic stages and governmental role in the implementation process will also be discussed.

Key words: European court of human rights, decision, execution.

მარიხუანა და მისი ლეგალიზაციის ხარვეზიანობა ქართულ სამართლებრივ სისტემაში

სალომე ქვარცხავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფას სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფეროში მარიხუანასთან მიმართებაში. მოცემული საკითხი ორიენტირებულია მარიხუანის ლეგალიზაციის მნიშვნელოვან ასპექტებზე. კერძოდ, ხაზი ესმევა ლეგალიზაციის ფარგლებში მოქცეულ ქმედებასა (მოხმარებასა) და მის მიღმა დარჩენილ სხვა დანარჩენ, უკანონოდ განხორციელებულ ფაქტორებს (შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას). იმის მიუხედავად, რომ მოცემული საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო, აქ მხოლოდ ის ნაწილი იქნება განხილული, რომელიც კიდევ ერთხელ გამოააშკარავებს ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში არსებულ ხარვეზებს.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოც კი არის უცხოური პრაქტიკის გამოყენება. მაგალითად, ამსტერდამის მაგალითის, რომელიც ალოგიკურ ბმას არ იწვევს შესაბამის საკითხთან მიმართებაში, რადგან სრულიად დაცულია როგორც მარიხუანის მომხმარებელთა წრე, ასევე მოხმარების ეტაპამდე გასავლელი საფეხურები (მაგალითად, შეძენა).

მარიხუანის ლეგალიზაცია საქართველოში მრავალმხრივი საკითხია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, სოციალურ ფაქტორებზე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და მარეგულირებელ ჩარჩოებზე. მნიშვნელოვანია, სწორად და კონსტიტუციური ჩარჩოების დაცვით იქნეს სისხლისსამართლებრივი ნორმა შედგენილი ურთიერთწინააღმდეგობაში არ მოდიოდეს, რათა მაქსიმალურად იყოს ყველა ადამიანი დაცული.

მას შემდეგ, რაც პირადი მოხმარების მიზნით (მცირე ოდენობით) მარიხუანის მოხმარებისთვის ნებისმიერი პასუხისმგებლობა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, ლოგიკურად უნდა დამდგარიყომის „მოპოვებასთან“ დაკავშირებული გარკვეული მოქმედებებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების საკითხიც. ან პირიქით, პირადი მოხმარება არ უნდა მოქცეულიყო ლეგალიზაციის ფარგლებში, რადგან კანონში მოცემული გარემოება პიროვნებას თითქოს აძლევს იმის ბიძგს, რომ მალულად შეიძინოს ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, ანუ

დაარღვიოს კანონი და შემდეგ თავისუფლად, მშვიდად, შესაბამის გარემოში მოიხმაროს იგი. თუმცაღა, ლოგიკურია, რომ მისი წინარე ქმედება წარმოადგენდა დანაშაულებრივ ქმედებას, მარიხუანის შეძენას, რის გამოც, იგი არც კი დაისჯება, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს და რაზეც მექნება საუბარი წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში.

პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, შესაბამისი სამართლებრივი ნორმის ნაწილები ურთიერთწინააღმდეგობაში არ მოდიოდეს. მარიხუანის ლეგალიზაცია, უდავოდ, სადავო საკითხია, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუმცაღა, მნიშვნელოვანია განხილული იქნეს ის, თურამდენად ალოგიკური და კანონსაწინააღმდეგოა მოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმა.

საბოლოო ჯამში, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა, რომელიც დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე, საშუალებას მოგვცემს ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები საქართველოს სამართლებრივი სისტემის სამომავლო განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ნარკოტიკული საშუალება, მარიხუანის ლეგალიზაცია, ურთიერთწინააღმდეგობა, არაკონსტიტუციურობა.

Marijuana and the shortcomings of its legalization in the Georgian legal system

Salome Kvartskhava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The present work involves separating crucial aspects in the field of criminal marijuana regulation, focusing on legalization and illegal implementation issues in Georgia. This includes consumption, acquisition, storage, transportation, and shipping. Even though this issue is interesting in many ways, only the part that reflects the gaps in the Georgian legal reality will be discussed here.

In many cases, it is important and beneficial to incorporate foreign practices. For instance, when considering Amsterdam as an example, there is no illogical connection regarding the relevant issue. This is because both the community of marijuana users and the various stages leading up to consumption (such as purchasing) are entirely legal and regulated.

The legalization of marijuana in Georgia has far-reaching impacts on the economy, society, public health, and regulations. It's crucial to craft laws that align with the constitution to safeguard everyone.

In recent times, there has been a significant shift in the legal landscape surrounding the personal use of marijuana. With the declaration of the unconstitutionality of liability for personal marijuana consumption in small amounts, questions have arisen about the legal implications of obtaining the substance. Should personal consumption be legalized, or does the existing law inadvertently encourage individuals to engage in criminal behavior by obtaining marijuana clandestinely? These are the complex issues that I will be delving into in this scientific paper.

To resolve the issue, the components of the relevant legal standard should not conflict. The legalization of marijuana is a controversial issue that sparks differing opinions. However, it is important to consider how illogical and illegal this criminal law norm is.

Ultimately, the reasoning presented in this paper, based on the analysis of international best practices, will enable us to provide recommendations for future developments within the Georgian legal system.

Keywords: narcotic drug, marijuana legalization, contradiction, unconstitutionality.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის პრობლემატიკა და სამოსამართლო სამართლის როლი მის იდენტიფიცირებაში

სოფიო კაპანაძე, ნანა დავიძოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დისკრიმინაციის აკრძალვის კონცეფცია წარმოიშვა თანასწორობის იდეიდან, იგი მისი განუყოფელი ნაწილი და ქმედითობის უზრუნველყოფის საშუალებაა და ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის საყრდენსა და მიზანს უნდა წარმოადგენდეს. თანასწორუფლებიანობის არსია ადამიანთა მიმართ თანაბარი მოპყრობა და ინდივიდთათვის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ისეთი სოციალური სიკეთის მიმართ, როგორცაა, მაგალითად: სამუშაო, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

დისკრიმინაციის მრავალი ფორმიდან არაპირდაპირი დისკრიმინაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მრავალი მიზეზის გამო იმსახურებს. არაპირდაპირი დისკრიმინაციის საკანონმდებლო დეფინიციის თანახმად, იგი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება გაცილებით რთულად იდენტიფიცირებადს ხდის არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევას, ვინაიდან, ერთი შეხედვით, პრობლემა არ იკვეთება. საკითხი ყურადსაღებია იმიტომაც, რომ საქართველოში ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა არ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც პირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ბოლო წლებში მიეცა შესაძლებლობა განესაზღვრა სახელმძღვანელო სტანდარტები არაპირდაპირი დისკრიმინაციის დასადგენად, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ პრეცედენტულია მისი 2023 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონფერენციო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის პრობლემატიკის წარმოსაჩენად და შესაძლო სახელმძღვანელო სტანდარტების განსაზღვრის-თვის, გამოყენებული იქნება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შედარებითი ანალიზი.

დასკვნის სახით, საკონფერენციო ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება სამოსამართლო სამართლის უმნიშვნელოვანეს როლზე არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის საორიენტაციო სტანდარტების განსაზღვრაში.

საკვანძო სიტყვები: თანასწორუფლებიანობა, არაპირდაპირი დისკრიმინაცია, სამოსამართლო სამართალი, სახელმძღვანელო სტანდარტები.

აღმსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნა

თამთა უბილავა, მარიამ გულიშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოში სისხლის სამართლის პრობლემების კვლევის დაწყებიდან დღემდე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამართლის ამ დარგის ორ ყველაზე ფუნდამენტურ და პრობლემატიკურ ინსტიტუტს, დანაშაულის აღმსრულებლობასა და თანამონაწილეობას. შესაბამისად, კვლევის ობიექტს და მიზანს წარმოადგენს ამ სამართლებრივი ფიგურების, თანამონაწილისა და აღმსრულებლის დიფერენცირება, ანუ მათი ურთიერთგამიჯვნა, არამხოლოდ ქართული, არამედ უცხოური სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით- სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. ამდენად, უნდა გაანალიზდეს საერთაშორისო უცხოური გამოცდილება, მათი პრაქტიკა, კვლევები, ლიტერატურა, სასამართლო გადაწყვეტილებები, მეცნიერთა მოსაზრებები, რომელთა მისადაგებაც შემდგომ უნდა განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკასა და კანონმდებლობასთან.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ საკვანძო საკითხებს წარმოადგენს აღმსრულებლისა და თანამონაწილის ინსტიტუტების ცნება, მათი ცალკეული სახეები, ბრალი, როგორც დამნაშავეთა დანაშაულებრივი ქმედებების იურიდიული შეფასება სისხლის სამართლებრივად, პასუხისმგებლობის სპეციფიკა, მათი როლი დანაშაულში, კერძოდ მათ მიერ შეტანილი ობიექტური წვლილი და წონა, აღმსრულებლისა და თანამონაწილის ბუნება და თეორიები მათ შესახებ, განსახილველ ინსტიტუტებს შორის არსებული განსხვავებები და საერთო ნიშნები, ასევე ობიექტური და სუბიექტური მხარე, ვინაიდან თითოეული დანაშაულის შემადგენლობა დაკომპლექტებული არის სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისგან და ამ კრიტერიუმების სინთეზით ვანხორციელებთ სწორედ რომ მათ ურთიერთგამიჯვნას. ეს საკითხები პირდაპირ კავშირშია არა მხოლოდ მათ ურთიერთგამიჯვნასთან, არამედ დანაშაულებრივი ქმედების სწორ კვალიფიკაციასთან, გადაწყვეტილების სამართლიანად მიღებასთან, ერთი სიტყვით კი სამართალშეფარდების პროცესთან.

საკვლევ თემატიკაში განვიხილავთ აღმსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თეორიებს, მოვახდენთ მათ ანალიზს ურთიერთშედარების საფუძველზე, ვისაუბრებთ მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნაზე, ვინაიდან

სწორედ ის დაგვეხმარება აღმსრულებლისა და თანამონაწილის ინსტიტუტების გამიჯვნაში და ამ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ კონკრეტული სამართლის მეცნიერების მოსაზრებებებს, რომლებიც განხილულია მათივე ნაშრომებში.

აღნიშნულ საკითხთან მიმართება საქართველოს სისხლის სამართალში დაუსაბუთებელი ნამდვილად არ არის, ვინაიდან არსებობს თეორიები, მეცნიერთა, სისხლის სამართლის პროფესორთა მოსაზრებები ჩვენი კვლევის საგანთან დაკავშირებით, თუმცა მათი ნაწილი ურთიერთწინააღმდეგობაშიც კი მოდის ერთმანეთთან, ამიტომ ის პრობლემატიკა, რაც ბოლომდე ამოწურვადი არ არის, აუცილებლად უნდა განიხილოს ნაშრომის ფარგლებში და ჯეროვნად შეფასდეს ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურის ურთიერთგამიჯვნის საკითხი და შედეგად მისი, როგორც ქართული სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები.

საკვანძო სიტყვები: პრობლემა, კვლევა, გამიჯვნა, დანაშაული, ანალიზი, თეორია.

Separation of performance and complicity

Tamta ubilava, Maraim gulishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Since the beginning of the research of criminal law problems in Georgia, special attention has been paid to the two most fundamental and problematic institutions of this field of law, commission and complicity. Accordingly, the object and purpose of the research is to differentiate these legal figures, complicit and executor, i.e. their mutual separation, not only Georgian, but also foreign. By comparing the dogmatics of criminal law - on the basis of legal analysis. Therefore, the international foreign experience, their practice, studies, literature, court decisions, opinions of scientists should be analyzed, which should then be applied to the practice and legislation of our country.

The key issues discussed in this paper are the concept of the institution of perpetrator and accomplice, their separate types, guilt as a legal assessment of the criminal acts of criminals, the specificity of responsibility, their role in the crime, in particular their objective contribution and weight, the nature of the perpetrator and accomplice and theories about them. , the differences and common features between the institutions in question, as well as the objective and subjective side, since the composition of each crime is composed of subjective and objective elements, and by synthesizing these criteria we will make their mutual separation. These issues are directly related not only to their mutual separation, but also to the correct qualification of a criminal act, with making a decision fairly, in a word, with the legal process.

In the research topic, we will discuss the theories of the separation of performance and complicity, we will analyze them on the basis of mutual comparison, we will talk about the separation of preparation and effort, since it will help us to separate the institutions of the performer and the participant, and in connection with this issue, we will mention the opinions of specific legal scholars, which are discussed in their own works.

The relation to the mentioned issue in the criminal law of Georgia is really not unreasonable, since there are theories, opinions of scientists, professors of criminal law regarding the subject of our research, although some of them even come into contradiction with each other, therefore the problem, which is not fully exhaustive, must be discussed within the scope of the paper and The issue of the separation of these two most important figures and as a result alternative ways of solving it as a fundamental problem of Georgian criminal law should be thoroughly evaluated.

Key words: problem, research, separation, crime, analysis, theory.

ცხოველთა უფლებები ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის სისტემებში

დავით ფურცხვანიძე, ანა ლომთაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი განიხილავს ცხოველების უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოებსა და აღსულების მექანიზმებს საქართველოსა და საერთაშორისო სისხლის სამართლებრივ სისტემებში (გაერთიანებული სამეფოსა და შეერთებულ შტატებზე აქცენტით). ის გვთავაზობს შედარებით სამართლებრივ განხილვასა და ანალიზს თუ თითოეული იურისდიქცია როგორ აწესრიგებს ცხოველთა მიმართ სისასტიკეს, ადგენს კეთილდღეობის სტანდარტებს და ახორციელებს ცხოველთა სამართლებრივ დაცვას. საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც მისი დასახიჩრება ან დაღუპვა გამოიწვია“. საქართველოში მზარდია ყურადღება ცხოველთა უფლებების მიმართ, განსაკუთრებით- ბოლო საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, რაც მიზნად ისახავს ცხოველთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი წამებისთვის პასუხისმგებლობის გაზრდას დამნაშავეთათვის. თუმცა, ამ კანონში არსებული გამოწვევები გვარწმუნებს, რომ საკანონმდებლო დებულებებსა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის კვლავ დიდი განსხვავებაა. ქვეყნის ძალისხმევა საჭიროა მოხმარდეს რეგიონებში ცხოველთა დაცვის გაძლიერებას. შეერთებული შტატები იყენებს კომპლექსურ სისტემას, რომელიც აერთიანებს ფედერალურ და სახელმწიფო კანონებს ცხოველების დასაცავად. ძირითადი ფედერალური დებულებები, როგორებიცაა ცხოველთა კეთილდღეობის აქტი (Animal Welfare Act) და ცხოველთა სისასტიკისა და წამების პრევენციის აქტი (Preventing Animal Cruelty and Torture Act) ადგენს საბაზისო სტანდარტებს და გმობს სისასტიკეს. გარდა ამისა, ფედერალური დონის რეგულაციები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ეს ორმაგი სისტემა იძლევა ლოკალიზებული აღსრულების საშუალებას, მაგრამ ასევე ქმნის უთანასწორობას სასჯელის მხრივ. გაერთიანებული სამეფო წარმოადგენს უნიფიცირებულ საკანონმდებლო მიდგამოს 2006 წლის ცხოველთა კეთილდღეობის კანონით, რომელიც აწესებს ცხოველებზე ზრუნვის მოვალეობას

და სჯის უგულბელყოფასა და სისასტიკეს. გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო ბაზა ცნობილია თავისი პროაქტიული პოზიციით, რომელიც ხაზს უსვამს ზიანის პრევენციასა და ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობას. ამ კანონების აღსრულებას აკონტროლებს სასამართლო ცხოველთა უფლებების დამცველ ინსპექტორებთან ორგანიზაცია- RSPCA-სთან ერთად. ამ განსხვავებული სისტემების ანალიზით, ეს კვლევა მიზნად ისახავს საუკეთესო პრაქტიკისა და რეფორმის პოტენციურ შესაძლებლობას. შედარებითი ანალიზი ხაზს უსვამს თითოეული სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გვთავაზობს ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს ცხოველების სამართლებრივი დაცვა გლობალურ და ლოკალურ დონეზე. რეკომენდაციები ფოკუსირებულია აღსრულების გაუმჯობესებაზე, დაცვის სტანდარტიზაციასა და ნორმის განმარტების გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: ცხოველების წამება, შედარებითი ანალიზი, ცხოველების დაცვა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

Abstract

This paper discusses the legal frameworks and enforcement mechanisms related to animal rights within the criminal justice systems of Georgia and internationally, with a focus on the United Kingdom and the United States. It offers a comparative legal analysis of how each jurisdiction regulates cruelty towards animals, establishes welfare standards, and implements legal protection for animals.

According to Article 259 of the Criminal Code of Georgia, criminal liability is imposed for “torture of an animal, cruel treatment, or other violence that results in its mutilation or death.” There is growing attention to animal rights in Georgia, especially following recent legislative reforms aimed at improving the conditions of animals and increasing accountability for those who commit acts of cruelty against them. However, challenges within this law suggest that there is still a significant gap between legislative provisions and practical application. The country’s efforts need to focus on strengthening animal protection in the regions.

The United States uses a complex system that combines federal and state laws to protect animals. Key federal provisions, such as the Animal Welfare Act and the Preventing Animal Cruelty and Torture Act, set basic standards and condemn cruelty. Additionally, federal regulations vary widely, allowing for localized enforcement but also creating disparities in punishment.

The United Kingdom presents a unified legislative approach with the Animal Welfare Act 2006, which establishes duties of care towards animals and penalizes neglect and cruelty. The UK’s legislative framework is known for its proactive stance, emphasizing harm prevention and the promotion of animal welfare. The enforcement of these laws is overseen by courts in collaboration with animal rights inspectors from organizations like the RSPCA.

By analyzing these different systems, this study aims to explore best practices and potential opportunities for reform. The comparative analysis highlights the strengths and weaknesses of each system, providing insights on how to strengthen legal protection for animals at both global and local levels. Recommendations focus on improving enforcement, standardizing protection measures, and enhancing the interpretation of norms.

Key words: Torture of an animal, Comparative Analysis, Animal protection, Criminal Code of Georgia.

კერძო სამართლის ობიექტები და მისი სამართლებრივი განჯვრების პრობლემატიკა

ვერონიკა ქათამაძე, მარიამ ტურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ქართული სამართალი ტრანსფორმირებისა და განვითარების მრავალწლიანი ისტორიის ფონზე, კერძო სამართლებრივი ობიექტების განსაზღვრის რიგ კრიტერიუმებს გვთავაზობს. კვლევის მიზანია, ამ თემატიკის ირგვლივ არსებული სამსჯელო და პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, მისი კომპლექსური ანალიზი და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება. ნაშრომში წარმოდგენილია კერძო სამართლის ობიექტების განსაზღვრებანი, მისი გამორკვევის პროცესში ჩამოყალიბებულ აზრთა მიმოხილვა და დღევანდელი ხედვა. კერძო სამართალი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ საკითხზე ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას და სამართლებრივი კულტურის განვითარებასთან ერთად, საჭიროა ცალკეულ მოსაზრებათა სისტემატიზაცია, მისი კრიტიკული გააზრება და ახალი პოზიციების წამოყენება. სწორედ ამ საკითხის მასშტაბი და დატვირთვა უდევს საფუძვლად ჩვენს კვლევას. ნაშრომში წამოჭრილია ისეთი კითხვები, რომლებზედაც პასუხების გაცემა არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი კერძო სამართლის ინტერესის ქვეშაა მოქცეული და თუმცა დღევანდელი დროამდე მრავალი პასუხი მოვიდა, თანამედროვეობამ კარგად უნდა დაამუშაოს ისეთი საკითხები, რომელიც უშუალოდ ეხება ობიექტთა წრეს, მის ჯგუფებსა და მიმართებებს ცალკეულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში ქართული და უცხოური კანონმდებლობით ხელმძღვანელობა, მათი შედარებითი ანალიზი, სამართლებრივ ლიტერატურაში მოცემული საზრისების განხილვა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენება სწორედ იმ საშუალებად გვესახება, რომელიც შექმნის შეფასების ახალ მასშტაბებსა და ფართო არეალს იმისთვის, რომ სამართლის სუბიექტებსა და ობიექტებს შორის მიმართება მეტად დარეგულირდეს, რამდენადაც სამოქალაქო ბრუნვაში და საზოგადოებრივ ურთიერთობებში კერძო სამართლის ობიექტის საკითხი, განსაკუთრებით კინივთების სპეციფიკა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. სწორედ ამიტომაც აღნიშნული საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აზრი, რადგან ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით თავს ყოველდღიურ ქონებრივ

ურთიერთობებში იჩენს, ამისათვის ჩავატარეთ საზოგადოებრივი გამოკითხვა და ასევე მოვისმინეთ პროფესორ-მასწავლებლების აზრი. საბოლოო ჯამში, აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს ქართული კერძო სამართლის განვითარების პროცესში ახალი ხედვის ინტეგრაციასა და ძველის ახლებურად აღქმას.

საკვანძო სიტყვები: კერძოსამართლებრივი სიკეთეები, ობიექტთა წრე, სამოქალაქო ბრუნვა, ნივთების სპეციფიკა, ქონებრივი ურთიერთობები.

**პოლიტიკური პარტიების სამართალი, როგორც „გადაწყვეტილება
საკუთარ საქმეში“ და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციასთან
დაკავშირებული პრობლემები საქართველოში**

სოფიო კაპანაძე, ნანა დავიძოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დემოკრატიულ სახელმწიფოში პარტიების პოლიტიკური ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რაც დღის წესრიგში აყენებს საქართველოს პარტიულ-სამართლებრივი კანონმდებლობის გადასინჯვის აუცილებლობას. ეფექტური პარტიულ-სამართლებრივი კანონმდებლობის შემუშავების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სამართალშემოქმედთა მტკიცე პოლიტიკური ნება სამართლიანი წესრიგი დაამკვიდრონ პარტიულ-პოლიტიკურ კონკურენციაში. პარტიულ-სამართლებრივი კანონმდებლობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც “გადაწყვეტილება საკუთარ საქმეში”. ის ფაქტი, რომ პარტიულ-პოლიტიკური კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები პარლამენტის მიერ დგინდება და მოცემული გადაწყვეტილებები, პრაქტიკულად, მმართველი პარტიის მიერ მიიღება, იწვევს ერთგვარ ინტერესთა კონფლიქტს, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო პოლიტიკის დემოკრატიული მიმართულებით განვითარებას სერიოზული საფრთხე შეიძლება შეუქმნას. აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტი განსაკუთრებული ინტენსივობით ვლინდება “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებში.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით განმტკიცებული პოლიტიკური პარტიების თავისუფლება თავის თავში მოიაზრებს პოლიტიკური პარტიების შექმნის თავისუფლებასაც. ამის გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის საკანონმდებლო მოწესრიგება კანონმდებლისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა პარტიათა სერიოზულობის უზრუნველყოფის ხარჯზე გაუმართლებრად არ შეიზღუდოს პოლიტიკური პარტიების თავისუფლების უფლება.

საკონფერენციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოვავლინოთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით

შემოთავაზებული პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის საკანონმდებლო მოწესრიგების ცალკეული ხარვეზები, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მარეგისტრირებელი ორგანო, დამოუკიდებელი მარეგისტრირებელი ორგანოს მნიშვნელობა რეგისტრაციის პროცესში და მისი შესაძლო კომპეტენციის ფარგლები, პარტიის შესაქმნელად 300-კაციანი დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების მოთხოვნის არაპროპორციულობა, რეგისტრაციის ვადების პრობლემატიკა და ა.შ. ამასთანავე, საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, შევეცადეთ დაგვესახა პარტიების რეგისტრაციის ჩვენთვის მისაღები მოდელი.

საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება ვენეციის კომისიის დასკვნები, მსოფლიოს სხვა ქვეყნების პარტიულ-სამართლებრივი კანონმდებლობა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათ მიერ დადგენილი სტანდარტები.

დასკვნის სახით, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზები და მათი აღმოფხვრის სავარაუდო მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: პარტიების რეგისტრაცია, პარტიების სერიოზულობა, მარეგისტრირებელი ორგანო დამფუძნებელი ყრილობა.

**„კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპის კონსტიტუციური
განზომილებები: ფუნდამენტური სოციალური უფლებების
სამართლებრივი პერსპექტივა“**

ქეთა ნებიერიძე, გიორგი ქურციკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე კონსტიტუციური სისტემების ცენტრალურ კომპონენტს, სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა და ხელი შეუწყოს სოციალურ სამართლიანობას. კონფერენციის დისკუსია ეხება კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის კონსტიტუციურ პერსპექტივას, ფოკუსირებულია საკონსტიტუციო სასამართლოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ინდივიდუალური თავისუფლებების საერთო სიკეთესთან დაბალანსებისას, განსაკუთრებით საჯარო რესურსების განაწილებისას. წინამდებარე კვლევის ანალიზი ხაზს უსვამს დაბალანსებული და პროგრესული იურისპრუდენციის მნიშვნელობას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების განვითარებად საჭიროებებს. მიუხედავად გამოწვევებისა, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნის მიზანი, სადაც ყველა წევრს შეუძლია თანაბრად ისარგებლოს სახელმწიფო დებულებებით, უცვლელი რჩება.

ამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, აკადემიური საზოგადოება ეძებს პასუხებს, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური უფლებების არსებობა სახელმწიფოს შიგნით და აფერხებს თუ არა ეს უფლებები ინდივიდუალურ რეალიზაციას. პარალელურად, ხაზი უნდა გაესვას კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ სარგებელს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ სოციალური უფლებათა კონსტიტუციაში აღნიშვნა მნიშვნელოვანია, რათა ადამიანს მიეცეს თავისუფალი განვითარების საშუალება და ამ გზაზე უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოსგან.

ამდენად, თუ სახელმწიფო სოციალურ უფლებებს აღიარებს, ის ვალდებულია შეინარჩუნოს იდეალური ბალანსი თითოეული მოქალაქის ინტერესის დასაცავად. აღნიშნული კვლევა, რომელიც ეფუძნება ემპირიულ, შედარებით და ისტორიულ ანალიზს, იყენებს ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას კეთილდღეობის სახელმწიფოს დროითი და სივრცითი განზომილებების შესასწავლად

და ხაზს უსვამს სოციალური უფლებების მნიშვნელობას სახელმწიფო მმართველობისთვის. გარდა ამისა, კვლევა ადგენს, თუ როგორ შეიძლება სოციალური უფლებების ეფექტურად ინტეგრირება კონსტიტუციურ ჩარჩოებში სოციალური კეთილდღეობისა და თანასწორობის გასაძლიერებლად.

საკვანძო სიტყვები: კეთილდღეობის სახელმწიფო; ძირითადი სოციალური უფლებები; საკონსტიტუციო სასამართლოები; საჯარო რესურსები; თანასწორობა; ინკლუზიური საზოგადოება.

Constitutional Dimensions of the Welfare State Principle: A Legal Perspective on Fundamental Social Rights

Keta Nebieridze, Giorgi Kurtsikidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The principle of the welfare state, which is a central component of modern constitutional systems, imposes on the state the responsibility to ensure the welfare of its citizens and promote social justice. This conference discussion addresses the constitutional perspective of the idea of the welfare state, focusing on the challenges faced by constitutional courts in balancing individual liberties with the common good, particularly in the allocation of public resources. The analysis of the present study highlights the importance of balanced and progressive jurisprudence that takes into account the evolving needs of society. Despite the challenges, the goal of creating a just and inclusive society where all members can equally benefit from government provisions remains unchanged.

Due to the relevance of this issue, the academic community is looking for answers to how important the existence of social rights within the state is and whether these rights hinder individual realization. At the same time, the specific benefits characteristic of the welfare state should be emphasized. Some think that the inclusion of social rights in the constitution is important in order

to give individuals the opportunity to develop freely and to ensure state support throughout this process.

Thus, if the state recognizes social rights, it is obliged to maintain an ideal balance to protect the interests of each citizen. Based on empirical, comparative, and historical analysis, this research uses an interdisciplinary methodology to examine the temporal and spatial dimensions of the welfare state and emphasizes the importance of social rights for state governance. In addition, the study identifies how social rights can be effectively integrated into constitutional frameworks to promote social welfare and equality.

Keywords: Welfare state; Basic social rights; Constitutional courts; Public resources; Equality; Inclusive society.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონმდებლობა – საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და შესაძლო საფრთხეები

ქეთევან ჩხაიძე, ქეთევან დურგლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გლობალიზაციამ და ქვეყნებს შორის ეკონომიკური საზღვრების მოშლამ, სახელმწიფოთაშორისმა თუ საერთაშორისო/რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ქვეყანაში უცხოური თანხების შემოდინება, რაც საზოგადოებაში ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს, აღნიშნული თანხების წარმომავლობისათუმი სიხარჯვით გამოწვეული შედეგებისადმი. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, არსებობდეს მოთხოვნა ამგვარი შემოსავლების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. სწორედ ამგვარმა რეალობამ განაპირობა თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის მარეგულირებელი კანონმდებლობების მომრავლება. მიუხედავად ამისა, ხშირად, მსგავსი ტიპის კანონები საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ პირდაპირ დასახელებულ მიზნებს ყოველთვის არ ემსახურება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ამ ლეგიტიმური მიზნის საფუძველზე, არ მოხდეს სხვა მნიშვნელოვანი უფლებების უგულებელყოფა ან არამართლობიერად შეზღუდვა. ზოგიერთი ქვეყანა ახერხებს, რომ რეგულირება მოარგოს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და გამოიყენოს საზოგადოების კეთილდღეობის დასაცავად. იმავდროულად, გამოცდილება ცხადყოფს, რომ, ხშირად, ეს კანონი ძალაუფლების შენარჩუნებისკენ მიდრეკილი ხელისუფლების ხელში ექცევა, რაც მათი მხრიდან საზოგადოების კონტროლს ამარტივებს. კანონი თავდაპირველ მიზანს სცდება და კვლავ კონტროლის მართლობიერ საზღვრებს - უპირისპირდება დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს.

ნაშრომზე მუშაობისას, შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებები უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი – როგორ მოქმედებს ისინი სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობებში და შედეგი რამდენად პასუხობს მათ პირვანდელ მიზნებს.

აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოშიც მსგავსი კანონის მიღების შემდეგ. მან საზოგადოებაში დაბადა მრავალი კითხვა მისი რეალური მიზნებისა და შესაძლო შედეგების თაობაზე. ამ თემაზე ქვეყანაში

არარსებული პრაქტიკა განსაკუთრებით ართულებს საზოგადოებისთვის კანონის აღქმადობას. შესაბამისად, საჭიროა, მოხდეს სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილებების ანალიზი და კრიტიკული შეფასება, რათა უფრო ნათელი გახდეს საქართველოში შემოღებული კანონის შესაძლო შედეგები და გამოწვევები.

თემის აქტუალობას, ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე დგას და მნიშვნელოვანია სამართლებრივი მოწესრიგებაც სწორედ ამ კურსისკენ იყოს მიმართული. კანონის სიღრმისეული და შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, განვსაზღვროთ, ხომ არ ეწინააღმდეგება იგი საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებს და საფრთხეში აყენებს ქვეყნის განვითარებისკენ სწრაფვას.

საკვანძო სიტყვები: გამჭვირვალობა, ევროინტეგრაცია, დემოკრატია, ძალაუფლება, ლეგიტიმური მიზანი.

**ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოსა და ხელოვნური ინტელექტის
ურთიერთმიმართება: სსსკ-ს 157¹ მუხლის ნაკლი**

ქეთევან სულამანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოსა და ხელოვნური ინტელექტის შორის ურთიერთმიმართებას, კერძოდ, თუ რა პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, განზრახ იქმნება ფაბრიკაციული მასალა, რომელიც შეუიარაღებელი თვალით ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ანალოგია. პირადი ცხოვრების უფლების შელახვა ყოველთვის წარმოადგენდა გამოწვევას ადამიანებისთვის, დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში კი ამ უფლების რეალიზების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას.

ადამიანის პირადი საიდუმლო წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ სხვადასხვა უფლებათაგან შემდგარ კომპონენტს, რომელიც შეიცავს ისეთი უფლებების, მაგალითად, როგორებიცაა სექსუალური ორიენტაცია თუ სექსუალურცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ოჯახური საიდუმლო და ისეთი სახის ინფორმაცია, ზოგადად, რომლის გახმაურებაც პირს არასასურველ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს საზოგადოების წინაშე. ხელოვნური ინტელექტი კი, თავის მხრივ, დრო და დრო უფრო ფართოვდება, თავს იმკვიდრებს საჯარო თუ კერძო სივრცეებში. დღეს უკვე არსებობს მრავალი პროგრამა, მაგალითად ე.წ. "Deepfake", რითაც წამის მეასედში შესაძლებელია ფაბრიკაციული მასალის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ დიგიტალიზაციასთან ერთად, რომელიც მრავალ დადებით ასპექტთანაა დაკავშირებული, თუნდაც გამჭირვალობის უზრუნველყოფასთან მიმართებით, ქმნის საფრთხეს, რომ შეილახება ადამიანის ესა თუ ის უფლება, მათ შორის კი უპირველესად ადამიანის უფლება დაიცვას საკუთარი ცხოვრება სხვების არასასურველი ყურადღებისგან, არ გაასაჯაროს ისეთი დეტალები, რომელიც უკავშირდება პირადად მას. პრაქტიკაშიც, არაერთხელ ყოფილა კოლიზია პირადი ცხოვრების საიდუმლოებასა, ანუ მის ხელშეუხებლობასა, და ინფორმაციის თავისუფლებასა და სიტყვის თავისუფლებას შორის.

შესაბამისად, დგება ამ პრობლემის გადაჭრის საკითხი. არახალია, რომ სისხლის

სამართლის 157 პრიმა მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას, არ აწესებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისთვის, როდესაც პირი ხელოვნურად ქმნის პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველ დოკუმენტს და ასაჯაროებს მას, რაც ამ მუხლის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი უფლების შელახვის შემთხვევაში ექნება მისი აღდგენის შესაძლებლობა, ჩვენს რეალობაში კი ამ უკანასკნელის რეალიზაციის ყველაზე ეფექტური საშუალება ისევ კანონმდებლობაა, შესაბამისად, მიზანშეწონილია ფაბრიკაციული მასალის შეტანა დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, პირადი ცხოვრების საიდუმლო, ხელოვნური ინტელექტი, ფაბრიკაციული მასალა, სისხლის სამართალი, ნაკლი კანონმდებლობაში.

The relationship between personal life and artificial intelligence: Defect in criminal law code article 157¹

Ketevan Sulamanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article delves into the connection between personal life and artificial intelligence, with a focus on the issue of fake material infringing upon a person's right to privacy. Safeguarding the right to personal life has historically posed challenges, and in the current technological landscape, this issue has become notably acute.

Personal secrets consist of various rights guaranteed by the constitution, including sexual orientation or information related to sexual life, family secrets, and information that, if disclosed, would put a person in an undesirable position in front of society. On the other hand, artificial intelligence is increasingly pervasive, establishing itself in public and private spaces. The article highlights the growing prevalence of programs like "Deepfake" that allow for the creation of fake material in a fraction of a second.

Digitalization, while associated with many positive aspects, poses a threat to human rights, including the right to protect one's life from unwanted attention. In practice, there has been a collision between the secrecy of private life, its inviolability, and freedoms of information and speech.

Accordingly, the issue of solving this problem arises. It is noteworthy that Article 157¹ of the criminal law code, which declares the violation of the secret of personal life as a punishable offense, does not impose responsibility for cases when a person artificially creates material containing personal information and makes it public, which should be considered a drawback of this Article. It should be guaranteed that in case of violation of the right, we will have the opportunity to restore it, and in our reality, the most effective means of ensuring the latter is legislation. Therefore, it is appropriate to include fabricated material in the objective composition of the said crime.

Keywords: human rights, person's life secrets, artificial intelligence, fabricated material, criminal law, drawback in legislation.

პრეზიდენტის ინსტიტუტის განვითარების ეტაპები და გამოწვევები საქართველოში

ქეთევან ბუზალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პრეზიდენტის ინსტიტუტის განვითარების ეტაპები და გამოწვევები საქართველოში არის ისეთი საკითხი, რომელიც დღევანდელი ქართული პოლიტიკის რეალობაში ძალიან. საქართველოს საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს პრეზიდენტის ინსტიტუტის განვითარებასთან მიმართებით, რამაც ძალიან ხშირად განიცადა წლების განმავლობაში სახელმწიფოს მეთაურის კონსტიტუციური სტატუსი, რაც შემდეგ მმართველობის ფორმის მოდელზეც აისახებოდა. ნაშრომში განხილული იქნება სხვადასხვა მმართველობის მოდელიდან გამომდინარე, თუ რა ბერკეტებით, უფლებამოსილებით იყო პრეზიდენტი. ასევე მნიშვნელოვანია პრეზიდენტის ხელთარსებული ძალაუფლების მნიშვნელობა. ყველა ქვეყანას განსხვავებული ე.წ. ჰორიზონტალური სისტემა აქვს არჩეული. ქვეყანამ თავად იცის, მმართველობის რომელი მოდელის საჭიროებებიდან გამომდინარე რომელ მოდელსა და პოლიტიკურ კურსს აირჩევს ქვეყნების განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პრეზიდენტის ინსტიტუტი, მმართველობის ფორმა, უფლებამოსილებები, ჰორიზონტალური სისტემა.

გაუპატიურების დოგმატური და საკანონმდებლო ანალიზი

ნინი აბშილავა, ქეთევან თანდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარების მოცემულ ეტაპზე, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გავრცელებამ, ცივილიზებული სამყარო გლობალური პრობლემის წინაშე დააყენა. იურიდიულ დოქტრინაში ერთხმად აღიარებულია, რომ გაუპატიურება სქესობრივ დანაშაულთა შორის ყველაზე საშიშ ძალადობრივ ქმედებას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება გაუპატიურების დანაშაულთა აღმოფხვრის პრევენციული მექანიზმები, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გაუპატიურების შემადგენელი ნორმების მეცნიერული ანალიზი, თანხმობის ჩანაწერის არარსებობა კანონმდებლობაში და მტკიცების ტვირთის გადანაწილება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის.

მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, როგორცაა მაგალითად 2013 წლის 27 ნოემბრის ცვლილება, რომლითაც გამკაცრდა სასჯელი აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით, ხსენებული მუხლების საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, კვლავ პრობლემად რჩება არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, სქესობრივ დანაშაულთან მიმართებით ბევრი სხვადასხვა დოკუმენტი იქნა მიღებული. საინტერესოა საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტში სექსუალური ძალადობის ანალიზი, რომელიც გაუპატიურებას არ მოიაზრებს ვიწრო გაგებით მხოლოდ სქესობრივი კავშირის დამყარებას პირთან, ან სხვის სხეულში შეღწევას, არამედ მასში იგულისხმება, მთელი რიგი კომპლექსური დანაშაულები. ჩვენი მიზანი კი არის ის, რომ ქართული კანონმდებლობა პასუხობდეს საერთაშორისო გამოწვევებს სექსუალურ დანაშაულებთან მიმართებით.

ამ თემასთან დაკავშირებით შეგვიძლია გამოვყოთ სტამბულის კონვენცია, რომელიც 2011 წელს იქნა მიღებული ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ. ქართველმა კანონმდებელმა აღნიშნული დოკუმენტი ასახა შიდა კანონმდებლობაში, ხოლო, თუ რამდენად სწორად და ეფექტურად განხორციელდა ეს ყოველივე ნაშრომში დეტალურად იქნება აღწერილი.

დღეისათვის პრობლემად არამხოლოდ გაუპატიურების შემთხვევათა ზრდა მიიჩნევა, არამედ აღნიშნული სექსუალური ძალადობის საქმეთა დროული გამოძიება, საკითხის სრული მოკვლევა, დამნაშავეთა დასჯა და სამართლიანობის აღდგენაც, მეტიც აღნიშნულს მოწმობს არაერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც ქვეყანაში არსებულ გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვსა და მიუღწეველ სამართლიანობას ასახავს.

ერთ-ერთი და არა ერთადერთი ასეთი ხარვეზი გახლავთ გაუპატიურების ნორმის დისპოზიციაში არარსებული ჩანაწერი მსხვერპლის უარის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომა იკვეთება მეცნიერთა მხრიდანაც, რომელთა ნაწილი საერთაშორისო მიდგომას ეთანხმება და ემხრობა ნორმაში ცვლილების სახით უარის ელემენტის შეტანას, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ნორმის დისპოზიცია სრულყოფილია. საკითხის გარშემო საუბრისას კი ჩვენი მიზანი იქნება ორივე სახის მოსაზრებათა განხილვა სათანადო სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: გაუპატიურება, სტატისტიკა, სქესობრივი დანაშაული, სქესობრივი ხელშეუხებლობა.

Dogmatic and legislative analysis of rape

Ketevan Tandashvili, Nino Abshilava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

At the current stage of human development, the spread of crimes against sexual freedom has put the civilized world in front of a global problem. In legal doctrine, it is unanimously recognized that rape is the most dangerous violent act among sexual crimes.

The present work will discuss the preventive mechanisms for the elimination of rape crimes, scientific analysis of the constituent norms of rape provided by the Criminal Code, absence of a record of consent in the legislation and the distribution of the burden of proof between the victim and the perpetrator.

Despite the changes made in the legislation, such as the amendment of November 27, 2013, which increased the punishment for the crime, in terms of compliance of the mentioned articles with international legal requirements, a number of important aspects still remain a problem.

From the point of view of international law, many different documents have been adopted regarding sexual crimes. It is interesting to analyze sexual violence in the context of international law, which does not mean rape in a narrow sense, only establishing sexual relations with a person, or entering another person's body, but also includes a number of complex crimes. Our direction is that the Georgian legislation responds to international challenges in relation to sexual crimes.

In connection with this topic, we can mention the Istanbul Convention, which was adopted in 2011 by the member states of the Council of Europe. The Georgian legislator reflected the mentioned document in the internal legislation, and how correctly and effectively this was implemented will be described in detail in the work.

Today, not only the increase in rape cases is considered a problem, but also the timely investigation of the said sexual violence cases, the full investigation of the issue, the punishment of criminals and the restoration of justice, moreover, this is evidenced by a number of statistical data that reflect the number of unsolved crimes in the country and the unachieved justice.

One and not the only such gap is the non-existent record of the victim's refusal in the rape norm record. Regarding the mentioned issue, there is a mixed approach from the side of the scientists, some of them agree with the international approach and support the inclusion of the refusal element as a change in the norm, while some consider that the entry of the norm

is correct. While talking about the issue, our mission will be to discuss both types of opinions through proper judicial practice.

Keywords: rape, statistics, sexual crime, sexual inviolability.

შრომის ინსპექციის დიგიტალიზება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

ქეთი მურვანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს განხილვას შრომის ინსპექციის ქმედითობის ამალებისთვის მასში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. შრომის ინსპექციის დიგიტალიზება გულისხმობს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებას, რომლებიც გაამარტივებს ბიუროკრატიულ საკითხებს, მოახდენს მიღებულ ინფორმაციაზე მყარი კონტროლის გარანტირებას და შეზღუდვას შრომითი ინსპექციის სფეროში მხარეთა თვითნებობას. ეს, თავის მხრივ, მოწესრიგებად და გამჭვირვალე ჩარჩოში მოაქცევს ხსენებულ პროცესს.

დასაქმებულები და შრომის ინსპექცია იმ რეალობის წინაშე იმყოფებიან, სადაც არასტაბილური შრომითი კონტროლი მიმდინარეობს. ინსპექციის არსებობის პირობებშიც, საზოგადოება ერიდება სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებას, რაც გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადი გარემოს არარსებობის შედეგია.

შრომის ინსპექციის არასრულ ქმედითობაში წვლილი მიუძღვის სტრუქტურაში შრომის არაოპტიმალურ განაწილებას, რაც ბიუროკრატიულად ართულებს ინსპექტირებას. ხშირია, დამსაქმებელთა მხრიდან ვალდებულება-მოვალეობებისთვის თავის არიდება, ნორმატიული და სისტემური ხარვეზების გამოყენებით, რაც განპირობებულია ზედამხედველობითი ფუნქციის აღსრულების არაპრიორიტეტულობით.

რეალურად, შრომის ინსპექციის მიზანს წარმოადგენს „შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.“ ეს კი გულისხმობს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით შრომით ურთიერთობებში ჩართულ მხარეთა უფლებების დაცვა-გარანტირებას, შრომითი ურთიერთობების ფაქტობრივი მოვლენების ნორმატიულ იდეალთან მიახლოების კონტროლს.

შრომის ინსპექციის განხორციელებაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას აქვს შრომითი გარემოს რევილუციის შესაძლებლობა. არსებობს პერსპექტივა, გამოტოვებული ნიუანსები ინსპექტირების დროს, მიკერძოებულობა, ბიუროკრატიული სტრესი, მონაცემთა დამუშავებისას ადამიანური შეცდომები მაქსიმალურად აღმოიფხვრას. თანამედროვეობის მუდმივი პროგრესის ფონზე

აუცილებელია ცხოვრების სხვადასხვა სფერომ, მათ შორის, შრომითი ბაზრის კონტროლმა, ფეხიაუწყოს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, მათგან მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით.

დიდი როლი შეასრულა შრომის ინსპექციის დახვეწამ პოლონეთში, შრომითი ურთიერთობების კერძო ხელშეკრულებებით შენიღბვის შემთხვევების იდენტიფიკაციაში. ევროპის სხვა ქვეყნებში გაამარტივა ყალბი თვითდასაქმებულების კონტროლი. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება განსახილველი მეთოდი ინფორმაციის მოპოვებაში, მის სისტემატიზაციაში, ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის. საქართველოში დგას ადამიანური რესურსის პრობლემაც, რისი აღმოფხვრის საშუალებას დიგიტალიზება იძლევა.

მიზნის მისაღწევად, საჭიროა, არსებული ადამიანური რესურსების გადამზადება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება დასაქმებულის უფლებების თვალსაზრისით, სპეციალური ტექნიკური სიახლეების დანერგვა და დახვეწა, რაც შესაბამის ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა, უცხოური პრაქტიკის მაგალითზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს გონიერი და მიზანშეწონილი ინვესტიციაა შრომითი ურთიერთობის გასაჯანსაღებლად. ამ ყოველივეს ანალიზს ისახავს მიზნად წინამდებარე კვლევა, რაც, საბოლოო ჯამში, შექმნის შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს გარკვეული წინადადებები და რეკომენდაციები შრომის ინსპექციის დიგიტალიზების მიმართულებით არსებული საუკეთესო პრაქტიკის ქართულ რეალობაში დანერგვის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: შრომის ინსპექცია, ტექნოლოგიური სიახლეები, დიგიტალიზება, გამჭვირვალობა, ბიუროკრატიული მოწესრიგება, ინფორმაციის ანალიზი, ბოჭვის მექანიზმი.

Digitalization of labor inspection and perspectives of its implementation in Georgia

Abstract

The thesis discusses the improvement of labor inspection using modern technology. Digitalization of labor inspection means considering technological advancements into bureaucratic issues, data control and simplification of limiting parties' arbitrariness, ensuring orderly and transparent process.

Employees and labor inspection face the reality of irregular labor control. Even under the circumstances of inspection's existence the usage of legal forces is socially avoided, resulting into inability to ensure transparent and predictable environment.

The fault of incomplete effectiveness of labor inspection lays within workload disbalance in the structure, which complicates inspection. Employers avoid obligations via normative and systemic flaws. This shows: function of supervision - not a priority.

In reality, labor inspection aims to "guarantee the implementation of labor norms," which means, it must protect and guarantee the parties' rights via labor law code and other normative documents, attempting to bring normative ideals to factual legal relationships.

The digitalization has the ability to revolutionize labor field. Further in - minimize omissions of inspection, bias, bureaucratic stress, human error during data analysis - using technology. The fast-paced modernity nudges various aspects of life, including labor market, to pick up, in order to benefit.

Labor inspection refinement proved important in identifying civil contracts signed to cover up labor relationships in Poland. It simplified bogus self-employment control in Europe. South American countries gather information, systemize it, guarantee its availability using technology. Georgia has a human resource issue, with a solution of digitalization.

To achieve the goal, retraining existing human resources, raising social awareness towards employee rights and applying technological advancements are important. Obviously, aforementioned novelties are tied to certain financial expenses. Considering foreign examples, this is a rational and appropriate investment to recover labor relations. Following research aims to analyze this to conclude proposals about labor inspection digitalization to implement best practice into Georgian reality.

Key words: labor inspection, technological advancements, digitalization, transparency, bureaucratic arrangement, data analysis, binding mechanism.

ემოციური მდგომარეობის როლი ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის განვითარებაში

ქეთი ნაკაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით დაახლოებით 422 მილიონი ადამიანია დაავადებული აღნიშნული დაავადებით. ასეთი სტატისტიკა და დაავადების მასშტაბურობა დაკავშირებულია ემოციური ფონის არასტაბილურობასთან, ჯანსაღი რუტინის დარღვევასთან და სხვა მრავალ მიზეზთან, რომელიც ადამიანის მეტაბოლიზმზე უარყოფითად მოქმედებს. კვლევების მიხედვით, მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, ამ ნაშრომის შემთხვევაში, არის გლუკოკორტიკოიდები და კატექოლამინები. გლუკოკორტიკოიდები თრგუნავენ GLUT4 - ის მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს გლუკოზას შეაღწიონ კუნთებში, ცხიმოვან ქსოვილში და ორგანოებში, რის გამოც ყველაზე გამოხატულ სიმპტომად ჰიპერგლიკემია გვევლინება. კატექოლამინები კი გლიკოლიზისის მომატებას უწყობენ ხელს, რა იწვევს გლუკონეოგენეზს, რაც თავისმხრივ იწვევს შეკავშირებულ გლიკოგენეზს თრგუნავს, რის გამოც გამოვლინდება ისევ ჰიპერგლიკემია და ჰიპერლაქტატემია. კვლევებს მიხედვით, სტრესით გამოწვეული ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა და მართვა რთული არ არის. პაციენტისგან სავალდებულოა ნებისყოფა, დიეტა, ფიზიკური აქტივობა, რუტინის დაცვა და მენტალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ფსიქოლოგთან კონსულტაციის ხარჯზე. გარდა ამისა, ავადმყოფს უნიშნება მედიკამენტოზური მკურნალობა მეტფორმინის და ალფა - გლუკოზიდაზის ინჰიბიტორების პრეპარატებით.

ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა

ქრისტინა ჯოლობორდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური მიღწევების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა სხვადასხვასფეროში. კომუნიკაციაგამარტივდადაგეოგრაფიულისაზღვრები აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას, რაც მხარეებს ურთიერთობისა და თანამშრომლობის, სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩართვის საშუალებას აძლევს განურჩევლად მათი მდებარეობისა. დღესდღეობით საქმიანი ტრანზაქციები, მოლაპარაკებები და ხელშეკრულებების ხელმოწერა უმოკლეს დროში სრულდება. ადრე საქონლის შესაძენად ან სასურველი სერვისის მისაღებად პირი მიმართავდა შესაბამის დაწესებულებას. თუმცა, დღეს სერვისების პოვნა, არჩევა, შექენა ან მიწოდება შესაძლებელია სახლის კომფორტიდან ელექტრონული კონტრაქტების გამოყენებით.

ტექნოლოგიების ზრდამ ასევე ხელი შეუწყო ონლაინ თამაშების გავრცელებას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სამართლებრივი ურთიერთობების ახალი ფორმების შექენა. თამაშებში ტრანზაქციები, როგორცაა ვირტუალური საქონლით ვაჭრობა, რეგულირდება ელექტრონული კონტრაქტებით, რომლებიც ჩართულია სათამაშო პლატფორმაში, რომელშიც მითითებულია მოთამაშეების უფლებები და მოვალეობები. შრომითი ურთიერთობებიც უფრო მოქნილი გახდა, დისტანციური სამუშაო ფართოდ გავრცელდა. დამსაქმებლებსა და დისტანციურ მუშაკებს შორის კონტრაქტები ახლა ძირითადად ონლაინ იდება, ელექტრონული ფორმების გამოყენებით.

ასევე ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა, მაგრამ ამ ზრდის გასაადვილებლად საკანონმდებლო ჩარჩოების ჰარმონიზაცია აუცილებელია. ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა შექენას საფუძველი ელექტრონული კონტრაქტების საზღვრებს გარეთ ურთიერთ აღიარების უზრუნველსაყოფად. ელექტრონულ კონტრაქტებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ელექტრონული ხელმოწერების ვალიდურობა, რადგან მათი გაყალბება შედარებით ადვილია. გარდა ამისა, ელექტრონულ კომერციაში მომხმარებელთა უფლებების დაცვა აქტუალური საკითხია, მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის საკითხთნ ერთად.

ამ და სხვა გამოწვევების გადასაჭრელად, კანონმდებლობა უნდა აჰყვეს ტექნოლოგიურ განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ელექტრონულ ტრანზაქციებში ჩართული ყველა მხარის დაცვას და ნდობის, ეფექტურობისა და სამართლიანობის დაცვას. გარდა ამისა, იზრდება საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება, რათა შეიქმნას სტანდარტიზებული რეგულაციები, რომლებიც მოერგებიან სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ტრანზაქციების უსაფრთხოებას და საიმედოობას გლობალურად.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ხელშეკრულება, ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა, გამოსაყენებელი სამართლი, მხარეები.

Overview of the legal nature of the electronic contract

Abstract

In the wake of technological advancements, significant transformations have occurred across various fields. Communication has become easier, and geographical boundaries are no longer obstacles, allowing parties to interact and collaborate, engage in contractual relations, regardless of their location. Nowadays, business transactions, negotiations, and contract signings are executed in the shortest possible time. Previously, purchasing goods or obtaining desired services required a person to visit the relevant institution. Today, however, finding, selecting, purchasing, or providing services can be done from the comfort of one's home using electronic contracts.

The rise of technology has also spurred the proliferation of online games, which in turn has led to the creation of new forms of legal relationships. Transactions within games, such as trading virtual goods, are governed by electronic contracts embedded within the gaming platform, specifying the rights and obligations of the players. Labor relations have also become more flexible, with remote work becoming widespread. Contracts between employers and remote workers are now mostly concluded online, using electronic forms.

International trade is thriving as well, but the harmonization of legal frameworks is essential to facilitate this growth. National legislations should establish a basis for ensuring mutual recognition of electronic contracts across borders. One significant challenge associated with electronic contracts is the validity of electronic signatures, as they can be relatively easy to forge. Additionally, protecting consumer rights in e-commerce is a pressing issue, alongside data protection and privacy concerns.

To address these and other challenges, legislation needs to keep pace with the technological developments, ensuring that all parties involved in electronic transactions are protected and that trust, efficiency, and fairness are upheld. Furthermore, there is a growing need for international cooperation to create standardized regulations that can adapt to rapid technological changes, ensuring that electronic transactions remain secure and reliable globally.

Keywords: electronic contract, electronic signature, electronic contract form, applicable law, parties.

De Facto და De Jure ქორწინებათა სამართლებრივი ბუნება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე

ელენე ჩოკორაია, გიორგი სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი დე ფაქტო ქორწინებანი/ ურთიერთობანი და შემდგომ მათივე სამართლებრივი მოწესრიგება სხვადასხვა სახელმწიფოებისა და საქართველოს მაგალითზე. მართალია, რომ საქართველოში აღიარებულია რა დე იურე ქორწინება (რეგისტრირებული ქორწინება), თუმცა თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ საქართველოშიც განიხილონ ამ ტიპის ურთიერთობების სამართლებრივი ხასიათი და მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგები. თანაც იმ ფონზე, როდესაც საქართველო ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების პარტნიორ სახელმწიფოდ ყალიბდება და ევროპული მომავლის პერსპექტივა თანდათან კიდევ უფრო რეალური ხდება. უპრიანია, რომ საჭირო იქნება, ევროკავშირის ღირებულებების გაზიარება იმ ფარგლებში, რომლებიც სამართლებრივ კონტრაქტისიულობასა და კონფლიქტს არ გამოიწვევს ქვეყანათა შორის.

როგორც პრაქტიკით დასტურდება, დე ფაქტო ქორწინებების რაოდენობა ეტაპობრივად იზრდება და მათი პრეცედენტები სასამართლოშიც მზარდია. თანამედროვე სოციალური და კულტურული წიაღსვლების შესაბამისად, იცვლება რა შეხედულებები ოჯახისა და მისი ფუნქციის, მიზნისა თუ ფორმის შესახებ, ისევე, როგორც სხვა ყველა დარგშიც. აქედან კი, დასკვნა შემდეგია, სამართალი ფეხს უნდა უწყობდეს ამ ყოველივეს.

ჩვენი კვლევის ძირითად სფეროს მოიცავს მიგრაციის საკითხების მიმართება დე ფაქტო და დე იურე ქორწინებებთან. ხოლო აღნიშნული საკითხის განხილვისთვის, გავეცანით, როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან ლიტერატურასა თუ კოდიფიკაციას. ვეცადეთ აგვესახა ის ძირითადი ასპექტები, რითიც ხასიათდება ამ ტიპის ურთიერთობის სპეციფიკა საერთაშორისო შეფასებების ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: დე ფაქტო ქორწინება, დე იურე ქორწინება, მიგრაცია, საერთაშორისო პრაქტიკა.

Abstract

This Article examines the nearly ubiquitous phenomenon of de facto unions and the various methods by which they are adjudicated in law in numerous states-namely, Georgia, and a selection of other countries. While Georgia currently only recognises de jure weddings (official marriage certificates), it may soon be taking these de facto marriages more seriously, if current trends continue. It is indeed very important, as Georgia prepares to accede to the European Union as a partner in economic integration, as the prospects for Europe become more real. The adoption of EU values will be necessary, but it will have to be balanced with a legal system that reduces the risk of litigation and international conflicts.

There is already lots of practice that the number of de facto marriages is growing steadily and along with them are the legal proceedings relating to. Comprehensive social developments are beginning to change our ideas about the family, its functions and ends, and its types.

Hence, law must be updated according to these advancements. For the sake of lucidity, we will focus predominantly on the connection (immigration related) between the above mentioned concerns and marriages, both de facto and de jure. We conducted a literature review on both Georgian and international laws and codifications. We aimed to describe those features we can expect to occur in these exchanges at an elemental level through a case in point of international assessments.

Keywords: migration, international experience, de facto partnerships, formal marriages.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში

მარიამ ძველაია, ამირან ჩაგუნავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაზე წარსადგენი თემა შეეხება დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. თავდაპირველად, ნაშრომი განიხილავს დაინტერესებული მხარის ინსტიტუტს. მოქმედი კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ უფლებამოვალეობებს. ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ როლს, მათი ჩართულობის მნიშვნელობას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, აგრეთვე, ამ უფლების დარღვევით გამოწვეულ შედეგებს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის საკითხი აქტუალობას არ კარგავს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო მასშტაბით. დღესდღეობით თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების სამართლებრივი პოლიტიკა მიმართულია მმართველობის განხორციელების პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობისკენ. ამას ასევე განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომლის დაცული სფეროც მოიცავს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებას. ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვა ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი საკითხი სახელმწიფომ მუდმივად უნდა გაითვალისწინოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული საკითხი პრობლემურობით გამოირჩევა, რაზეც მიუთითებს როგორც სასამართლო პრაქტიკა, ისე იურიდიული ლიტერატურა. უმთავრესად ეს ვლინდება იმ კუთხით, რომ დაინტერესებულ მხარეს არ ეძლევა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, რაც ხელს უშლის ფაქტების ყოველმხრივ გამოკვლევას და, შესაბამისად, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. ამ საკითხს დამატებით სირთულეს სძენს არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგებთან დაკავშირებით. კერძოდ, გვხვდება სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც, ამის მიუხედავად, სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად არ ცნო. თუმცა,

როგორც წესი, ეს იწვევს აქტის ბათილობას, რაც აფერხებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას. დასახელებული საკითხი, ერთი მხრივ, არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, უარყოფითად აისახება სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პროცესზე.

მოცემული საკითხის უკეთ წარმოსაჩენად ნაშრომში განხილული იქნება თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ დასახელებულ საკითხს. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული რელევანტური მოსაზრებები და სასამართლოს მითითებები დასახელებული საკითხის მიმართ, რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: დაინტერესებული მხარე, ადმინისტრაციული წარმოება, სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს კონსტიტუცია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

Abstract

The topic to be presented at the scientific student conference will concern the participation of interested parties in the process of administrative proceedings. First, the paper examines the stakeholder institution, the rights and duties assigned to them by the current legislation. The paper clearly presents their role in the decision-making process, the importance of their involvement in the process of administrative proceedings, as well as the consequences caused by the violation of this right.

The issue of the participation of interested parties in the process of administrative proceedings does not lose its relevance both in Georgia and worldwide. Nowadays, the legal policy of modern European states is aimed at the maximum involvement of society in the process of implementation of governance. This is also confirmed by Article 18 of the Constitution of Georgia, whose protected area includes the right to fair administrative proceedings. Protection of basic human rights is the main duty of every democratic and legal state. Accordingly, the state must constantly take into account the issue under consideration when exercising public powers.

It should be noted that the named issue is problematic, which is indicated by both court practice and legal literature. Mainly, this is manifested in the fact that the interested party is not given the opportunity to present his opinion, which prevents comprehensive examination of the facts and, therefore, making a fair decision. This issue is further complicated by the inconsistent judicial practice regarding the consequences of the violation of the said right. In particular, there are court decisions where, despite this, the court did not recognize the administrative-legal act as invalid. However, as a rule, this leads to the invalidity of the act, which prevents the implementation of public administration activities by the administrative body. The named issue, on the one hand, violates the fundamental human right, and, on the other hand, has a negative impact on the process of implementation of state governance.

In order to present this issue better, the paper will discuss the modern legislative regulation, the General Administrative Code of Georgia and other normative acts that regulate the named issue. Also, the relevant opinions expressed in the legal literature and the court's instructions regarding the named issue will be presented, which will ultimately help to solve the problems related to this topic.

Key words: Interested party, administrative proceedings, Judicial practice, Constitution of Georgia, Administrative legal act, General administrative code of Georgia.

დელიქტური ვალდებულება ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგი

ნანო წულაია, ნატალია ხარაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში სიტყვისა და გამონატვის თავისუფლება მნიშვნელოვნად დაუკავშირდა გამოთქმული პირადი შეხედულებების პირის სახელზე უარყოფითი ზეგავლენის კომპლექსურ საკითხს, რომელიც საკუთრივ კორელაციაშია კონკრეტული ქონებრივი ზიანის მიყენებასთან. ყოველივე აღნიშნულს ადსტურებს სასამართლო პრაქტიკაში იმ საქმეთა სიმრავლე, რომლებიც გახმაურებული ცნობების შედეგად დელიქტური ვალდებულების წარმოშობას შეეხება, ამასთან დოქტრინაში არსებობს არაერთი სამეცნიერო მოსაზრება მასზედ თუ სად შეიძლება იქნეს გავლებული ზღვარი პირად აზრს, რომელიც სიტყვისა და გამონატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული, და სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებას შორის, რაც თავის მხრივ დელიქტური ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა. სწორედ ზემოთ თქმული განაპირობებს შიდასაკანონმდებლო დონეზე სათანადო მოწესრიგების არსებობის აქტუალობას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე არსებული უნიფიცირებული პრაქტიკისა თუ ნორმატიული აქტების ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციასთან.

წინამდებარე ნაშრომის საკვანძო საკითხს წარმოადგენს, დელიქტური ვალდებულება ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგად ნაშრომში გამოყენებულია ქართული და უცხოური წყაროები, ამასთან მოყვანილი მაგალითები გამომდინარეობს, როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან. სტატიაში დეტალურად არის განხილული დელიქტური ვალდებულების არსი, ამასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მიმართება ამავე კოდექსის მე-18 მუხლთან, აღწერილია სახელის გამტეხი ცნობების მნიშვნელობა და მისი უარყოფითი ზეგავლენა, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. სტატიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების რეგულირებას „სიტყვისა და გამონატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ასევე

მსჯელობა განვითარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებით, რომელიც აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის ძირითადი უფლებების რანგში წარმოგვიდგენს.

განსახილველი ნაშრომის მთავარი მიზანია, იმ გამყოფი ხაზის იდენტიფიცირება და წინ წამოწევა, რომელიც გადის გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებასა და სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებას შორის, რომელიც დელიქტური ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, ამასთან სტატიის მიზანია განსაზღვროს დელიქტური ვალდებულების ფორმა და მოცულობა.

საკვანძო სიტყვები: დელიქტური ვალდებულება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სახელის გამტეხი ცნობები, ქონებრივი ზიანი.

Abstract

In the modern world, freedom of speech and expression has been significantly connected to the complex issue of the negative impact of expressed personal views toward right to name, which is correlated with causing specific property damages. All of this is substantiated by variety of cases in judicial practice, which concern the origin of tort liability as a result of publicized information. In addition, there are a wide range of opinions in the doctrine as to where the line can be drawn between personal opinion, which is protected by absolute privilege in accordance with the law of Georgia on freedom of speech and expression, and the publication of defamatory information, which in turn is a prerequisite for the emergence of tortious liability. Therefore above-mentioned statements determine the relevance of the existence of appropriate regulation at the domestic legislative level which is closely related to the implementation of the unified practice or normative acts at the international level in the domestic legislation of the country. It is proposed that the key issue of the paper is the tortious obligation as a result of publicizing the harmful information. Georgian and foreign sources are used in the work, and the examples given are derived from the practices established by Georgian and various states. The article discusses in detail the essence of tortious liability, in addition the relation of Article 993 of the Civil Code of Georgia with Article 18 of the same Code, the importance of defamation notices and its negative impact on both individuals and legal entities are described. In the paper, significant attention is given on the basis of the law of Georgia on "freedom of speech and expression", and the reasoning is developed in relation to Article 17 of the constitution of Georgia, which presents freedom of opinion and expression as basic human rights. The main purpose of the paper, under review, is to identify and advance the dividing line that passes between the constitutional right to freedom of expression and the publication of defamatory information, which is the basis of the tortious liability, while the purpose of the paper is to determine the form and scope of the tortious liability.

**საქართველოს სახალხო დამცველის როლი დისკრიმინაციის
აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფის
მიმართულებით, საქმისწარმოება და რეაგირების ფორმები**

ტარიელ ხარატიშვილი, გურამ დევიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით: „საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას“. სახალხო დამცველი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. ის ასევე ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.“ კანონმდებლობა თანასწორობა-დისკრიმინაციის საკითხის განმხილველ მთავარ ორგანოსთან ერთად, რომელიც სასამართლოა, ასახელებს სახალხო დამცველს. თუ ყველა სხვა შემთხვევაში, სახალხო დამცველის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, დისკრიმინაციის საკითხზე მისი გადაწყვეტილებას აქვს აღსრულების მექანიზმები. ასევე საინტერესოა, თუ როგორ იწყება და მიმდინარეობს საქმისწარმოება სახალხო დამცველის აპარატში.

იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველს, ძირითადად არ გააჩნია აღსრულების მექანიზმები და გასცემს რეკომენდაციებს, მას ასევე აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები, რომელთა გამოყენებითაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სახალხო დამცველის დანიშვნისას მიღწეულ იქნება მიზანი - საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანთა უფლებების დაცვა. საქართველოში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში.

საკვანძო სიტყვები: სახალხო დამცველი, დისკრიმინაცია, საქმისწარმოება, რეაგირება.

სანოტარო დამოწმების აუცილებლობა უძრავ ქონებაზე გარიგებებში: ლეგიტიმურობის დაცვა და თაღლითობის პრევენცია

ნატია ნატისაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე იურისპრუდენციაში ხშირია აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, ყველამოსაზრება, რასაც თანახლავს ლოგიკური მსჯელობა და არგუმენტაცია, რეალურად იმსახურებს არსებობას. სწორედ ასეთ აქტუალურ, სადავო და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე გარიგების დროს სავალდებულო ფორმის დაცვის აუცილებლობა, რაც ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს სანოტარო მომსახურების რელევანტურობა უძრავი ქონების შეძენისა თუ საკუთრების გადასვლასთან მიმართებით და დაადგინოს მისი აუცილებელი არსებობის საჭიროება მოცემულ შემთხვევებში.

სანოტარო ინსტიტუტი ორიენტირებულია შესაძლო იურიდიული შეცდომის პრევენციისაკენ კომპლექსური გარიგების დადებისას, მონაწილე მხარეების უფლებების დაცვისა და ქონების საკუთრებაში შეუფერხებლად გადაცემის ხელშეწყობაზე.

სამართლებრივი ანალიზისა და პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, ეს ნაშრომი განიხილავს 2006 წელს განხორციელებულ ცვლილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რის შედეგადაც, სანოტარო დამოწმება სავალდებულო ხასიათის მატარებელი აღარ არის.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემული იქნება ნოტარიუსების, როგორც სანდო საჯარო მოხელეების, მნიშვნელობისა და განვითარებადი როლის მიმოხილვა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იურიდიული დოკუმენტების ავთენტიკაციაზე, თაღლითობის თავიდან აცილებასა და კანონის უხედავობის დაცვაზე უძრავ ქონებაზე გარიგებებში. ნაშრომში სამი ძირითადი მიზანია ხაზგასმული: 1. ნოტარიუსების კონკრეტული მოვალეობების ანალიზი უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების დამოწმების პროცესში; 2. ნოტარიუსის როლი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში; 3. არსებული ინსტიტუტის განვითარება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე საქართველოში.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება უცხოური ლიტერატურის ფონზე შედარებითი ანალიზი, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები, რაც უფრო არგუმენტირებულს გახდის მოცემულ კვლევას.

კერძოდ, ყურადღება გამახვილდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე, რომლებიც უძრავ ნივთზე გარიგებების დროს სანოტარო დამოწმებას აღიარებენ, როგორც ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობას, განსხვავებით საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსისა. ამასთანავე, გადმოცემული იქნება ინფორმაცია საქართველოს სამართლებრივ წარსულზე, თუ რა გავლენა იქონია საბჭოთა კავშირმა სანოტარო ინსტიტუტთან დაკავშირებით და არის თუ არა ეს არსებულ რეალობასთან კავშირში.

ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც განაპირობებს ღირებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უწყობენ ხელს ნოტარიუსები უძრავი ქონების ტრანზაქციების სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვას. ასევე, თუ რამდენად საჭიროა საქართველოში მსგავსი ინსტიტუტის სავალდებულოობა, გამომდინარე საზოგადოების კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებში მწირი განათლებისა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილული იქნება სხვადასხვა გზა პოტენციურ რეფორმებსა და გაუმჯობესებებზე, რომლებიც მიმართული იქნება სანოტარო ინსტიტუტის გაძლიერებისა და მისი როლის გაზრდისკენ საქართველოში. წინა პლანზე იქნება წამოწეული უძრავი ქონებაზე გარიგებების წარმოების სანოტარიუსის ჩართულობის დადებითი ასპექტები, კერძოდ: გარიგებაში არსებული სუსტი მხარის დაცვა, კეთილსინდისიერების გარანტი სამართლებრივ ურთიერთობებში, დამატებითი დამადასტურებელი მექანიზმი გარიგების ნამდვილობისათვის და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება; საკუთრების უფლება; გარიგებები; ნოტარიუსი; სანოტარო დამოწმება.

Necessity of notarization in real estate transactions: protection of legitimacy and prevention of fraud

Khatia Khatishashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

In modern jurisprudence, there are frequent differences of opinion regarding various issues; however, all opinions accompanied by logical reasoning and argumentation actually deserve to exist. Such an actual, controversial, and problematic issue is the need to observe the mandatory form during real estate transactions, which serves an advisory function. The present study aims to examine the relevance of notary services concerning the purchase or transfer of ownership of real estate and to determine the necessity of their existence in given cases. The Notary Institute focuses on preventing possible legal errors when concluding complex transactions, protecting the rights of participating parties, and promoting the smooth transfer of property ownership. Based on legal analysis and practical examples, this paper examines the changes made in the Civil Code of Georgia in 2006, as a result of which notarization is no longer mandatory. The first part of the paper will provide an overview of the importance and evolving role of notaries as trusted public officials responsible for authenticating legal documents, preventing fraud, and upholding the rule of law in real estate transactions. Three main goals are highlighted in the work: 1. Analysis of the specific duties of notaries in the process of certifying a transaction on real estate; 2. The role of the notary in real estate transactions; 3. Development of the existing institution using examples from different countries, including Georgia. The second part of the paper will present a comparative analysis against the background of foreign literature, as well as the decisions of the Civil Affairs Chamber of the Supreme Court of Georgia, which will make this research more argumentative. In particular, attention will be focused on the norms provided for by the German Civil Code, which recognize notary certification as one of the mandatory prerequisites during real estate transactions, in contrast to the current Civil Code of Georgia. Additionally, information on the legal past of Georgia, the influence of the Soviet Union on the notary institution, and its relation to the current reality will be presented. The third part of the paper presents the results of the research, leading to valuable information about how notaries contribute to the legal security of real estate transactions. Also, it examines to what extent it is necessary to make such an institution mandatory in Georgia, considering society's limited education in specific legal issues. The final part of the paper will discuss various poten-

tial reforms and improvements aimed at strengthening the notary institution and increasing its role in Georgia. The positive aspects of notary involvement in real estate transactions will be highlighted, including the protection of the weaker party in the transaction, being a guarantor of good faith in legal relations, and serving as an additional confirmation mechanism for the authenticity of the transaction.

Keywords: real estate; property rights; transactions; notary public; notarization.

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება

ლოლიტა ხაჭაპურიძე, ნინო გუგეშაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლების შესახებ. მოცემულია ზოგადად ადმინისტრაციული წარმოების ცნების განმარტება, ასახულია მისი სტანდარტი და ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებები. ამასთან, იგი იკვლევს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების ისტორიულ განვითარებას, განამტკიცებს მის არსსა და მნიშვნელობას, დამოკიდებულებას ადამიანის სხვა ძირითად თუ არაძირითად უფლებებთან.

განხილვისას ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ ნაწილს, რომლის კონსტიტუციური ღირებულება ხაზს უსვამს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების აქტუალობას სამართლებრივი, დემოკრატიული, სოციალური და ეკოლოგიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და უკვე არსებულის განმტკიცებაში. საჯარო მმართველობის სათანადო სტანდარტების შესაბამისად განხორციელება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზებას, გვაძლევს თანამედროვე სამყაროსათვის აუცილებელ, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სტანდარტებს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, საზოგადოებაში განამტკიცოს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელობის არსი, უზრუნველყოს ინფორმირება მათი დაცვის საშუალებებზე და ამის შემდგომ მოსალოდნელი თუ აწ უკვე არსებული უფლების დარღვევისთვის, მტკიცედ მოითხოვოს, სამართლიანად აღსრულდეს კონსტიტუციურად შელახული უფლება, რომელიც დაკავშირებულია სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებასთან. მოცემული ნაშრომი მიმართულია, რომ ხელი შეუწყოს თითოეულ ადამიანს საკუთარი უფლებების გაცნობასა და გამოყენებაში, რაც საზოგადოებას მნიშვნელოვნად დაეხმარება ცნობიერების ამაღლებასა და კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების განმტკიცებაში. მოცემული ნაშრომი ყურადსაღებია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაში მონაწილე სუბიექტებისთვის, ასევე სამართლის სტუდენტებისა თუ ამ საკითხით

დაინტერესებული პირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული ორგანო, ადამიანის ძირითადი უფლებები, საჯარო მმართველობა.

